

ცნობილი იმ ქართველი მოღვაწეების სახელები, რომელთაც თუნდაც ერთი ხელნაწერი გადაწერეს, აკინძეს ან ტყვეობიდან გამოიხსნეს" — წერენ ანოტაციაში წიგნის შემდგენლები გვანცა კოპლატაძე და გრიგოლ რუხაძე.

ქართველი მკითხველისთვის ეს მშვენიერი საჩუქარი საქველმოქმედო ორგანიზაცია „სინერჯის“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

თბილისის ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდი ბოლნისში

14 იანვარს (ძვ.სტ. 1 იანვარს) წმ. ბასილი დიდის ხსენების დღეს, ძველით ახალ წელს, ბოლნისის სიონის ტაძრის მოძღვარმა, მამა ბასილ ახვლედიანმა მიიწვია თბილისის ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდი. ანჩისხატის ინიციატივით ბოლნისის კულტურის სახლში ჩატარდა ფოლკლორული კონცერტი, რომელსაც დაესწრნენ ბოლნისის ეპიკოპოსი, ყოვლადუსამღვდელოესი ეფრემი (გამრეკელიძე), ადგილობრივი მრევლი და თბილისიდან ჩამოსული სტუმრები. ანჩისხატის გუნდისთვის ეს გამოსვლა დასაწყისია მათი ახალი პროექტისა — „ზრუნვა ქართული გალობისა და სიმღერის აღორძინებისათვის“. მომავალში გუნდი მიზნად ისახავს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლებთან და ქართულ დიასპორებთან უშუალო, მჭიდრო კულტურულ კონტაქტს, რომელიც შემდეგი სახით განხორციელდება:

სისტემატური გასვლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში რამდენიმე დღით და პერიოდული ვიზიტები ქართულ დიასპორებთან.

წირვა-ლოცვაში გალობით მონაწილეობის მიღება ადგილობრივ ეკლესია-მონასტრებში.

ფოლკლორული ლექცია-კონცერტების გამართვა.

აუდიო ჩანაწერებისა და ქართული გალობისა და სიმღერის რაობის შესახებ მომზადებული ბუკლეტების დარიგება-გავრცელება.

რეგიონებში/დიასპორებში არსებული ფოლკლორული ანსამბლებისთვის კონსულტაციებისა და მასტერკლასების ჩატარება. ამ ფოლკლორულ ჯგუფებთან სამომავლო სამუშაო გეგმის შედგენა და ურთიერთვალდებულებების განსაზღვრა.

ანჩისხატის გუნდის ცალკეულ წევრთა პერიოდული მივლინებები ქართულ დიასპორებში ხალხური სიმღერის სასწავლო კურსის ჩატარების მიზნით.



ჩატარებული სამუშაოს მასშტაბის საშუალებით გაშუქება.

ხელდასხმა

21 დეკემბერს რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში ცურტავის ეპისკოპოსმა იოანემ (გამრეკელი) მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ ანდრია ჯღამაიძეს.

მღვდელი ანდრია წმინდა მიქაელ ტვერელის სახელობის ტაძარში იმსახურებს.

21 დეკემბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დიაკვნად აკურთხა შიომღვიმის მონასტრის ბერი ევაგრე (კვიციანიძე).

28 დეკემბერს ცაგერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსმა სტიფანემ (კალიაიჯიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ბერ-დიაკონ დავითს (გაბიძაშვილი).

28 დეკემბერს სოფელ პატარძელის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის მამათა მონასტერში ნინოწმინდისა და საგარეჯოს ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა ბერი ათანასე (კარანაძე).

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს ბრძანებით 2009 წლის 15 იანვრიდან:

ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძრის (ნუცუბიდის პლატოზე) წინამძღვარი, საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარე, დეკანოზი დავით ლონდარიძე დაინიშნოს თავდაცვის სამინისტროს ტერიტორიაზე არსებული წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის წინამძღვრად;

თბილისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის (ზოოვეტის ინსტიტუტის მახლობლად) წინამძღვარი, მღვდელი მოსე (ავთანდილ) ქელიძე დაინიშნოს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში სულიერ მოძღვრად;

ბოლნისის ეპარქიის მღვდელმსახური, მღვდელი დავით მესხი დაინიშნა კოჯრის რეზერვისტთა მოიმიზადების 1 ბაზაზე სულიერ მოძღვრად და კოჯრის წმინდა თამარ მეფის სახელობის ტაძრის წინამძღვრად;

რუის-ურბნისის ეპარქიის მღვდელმსახური, არქიმანდრიტი გაბრიელი (გელა იმედაშვილი) დაინიშნოს გორის I სამხედრო ქვეითი ბრიგადის სულიერ მოძღვრად;

სამთავისისა და გორის ეპარქიის მღვდელმსახური, მღვდელი თევდორე (ზურაბ) სულუაშვილი დაინიშნოს ვაშლიჯვრის სპეციალური ოპერაციების დაჯგუფებაში სულიერ მოძღვრად და ვაშლიჯვრის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვრად;

ფოტომატიანე

მღვდელმონაზონი ტიხონი (ბულია)

მღვდელმონაზონი ტიხონი — ერისკაცობაში პროკოფი ბულია XIX საუკუნის II ნახევარში სამეგრელოში, გლეხის ოჯახში დაიბადა. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, თუ სად იილო მან საეკლესიო განათლება და რომელ მონასტერში დაიწყო თავისი ბერული მოღვაწეობა.

ცნობილია, რომ 1921 წელს იგი მამა ანდრიასთან (გობეჩია) ერთად წარჩეს მთავარანგელოზთა სახელობის მონასტერში მოღვაწეობდა, რომლის დახურვის შემდეგ საცხოვრებლად სოფელ ბაშში გადასულა.

საბედნიეროდ, სამეგრელოში, ძველი თაობის წარმომადგენლებში, შემორჩენილია ზეპირი მოგონებები მათი ტიხონზე, სადაც აღწერილია მისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდი. გთავაზობთ ერთ-ერთ ასეთ მოგონებას, რომელიც ქალბატონმა ნინო ფიფიამ მოგვითხრო:

„ძველად ქართველებს უთქვამთ, რომ ყოველი ადამიანი უზარმაზარი კარიბჭეა, რომელსაც მხოლოდ ერთი პატარა გასაღები ალებსო. ამბობდა ამას ქართველი და ყოველთვის იმას ცდილობდა, რომ ეს კარიბჭე რწმენის, იმედისა და სიყვარულის გასაღებით გაეღო და ახერხებდა კიდევ. ამას ცდილობდა მაშინაც, როდესაც ათეისტურმა წყობამ აღზევების ხანას მიაღწია, დაიხურა ეკლესია-მონასტრები, იდევნებოდა წინაპართაგან დანერგილი ქრისტიანული სული და ზნეობა.

სწორედ, ასეთ დროს გამოჩნდა, „ვითარცა მოციქონარი ვარსკვლავი“, მღვდელმონაზონი ტიხონი (ბულია).

ბერი ტიხონი იყო სულიერი მამა, ახალგაზრდობის გამოცდილი მრჩეველ-დამრიგებელი. მისი სახით წარმოგვიდგება მრავალფეროვანი მორალური და სულიერი თვისებებით დაჯილდოებული სრულყოფილი პიროვნება.

მამა ტიხონის განსაკუთრებული ნიჭი ქრისტეს და ადამიანების უსაზღვრო სიყვარული იყო. ის გა-



მუდმივად ადიდებდა ღმერთს, მასში ქრისტესადმი გამოუთქმელი, უსაზღვრო სიყვარული იყო დავანებული. მისი სამოძღვრო საქმიანობის ძირითადი საშუალება შემწყნარებლობა, მღვიძარება და მოუკლებელი ლოცვა იყო.

მამაჩემი, მიხეილ ჩაგუს ძე ფიფია ღრმადმორწმუნე და ღვთისმომშიში ადამიანი იყო. მას ცალკე სალოცავი ოთახი და საეკლესიო წიგნები ჰქონდა, ჰქონდა ხატები და თითქმის მთელ დღეებს ლოცვასა და ღვთისვედრებაში ატარებდა. აინტერესებდა რელიგიასთან დაკავშირებული საკითხები. ის ცდილობდა, ბევრ ღვთისმორწმუნე ადამიანს დაახლოებოდა და ბევრიც ღვთის სჯულზე მოექცია. მოგეხსენებათ, ეს პერიოდი იყო კომუნისტების აღზევების ხანა, ამ დროს ღვთის სახელიც არ

იხსენიებოდა, ინგრეოდა ეკლესიები, იბილწებოდა ხატები, იდევენებოდნენ საეკლესიო პირები და, დროის შესაბამისად, მორწმუნე ადამიანებიც კანტი-კუნტად იყვნენ.

მე მაშინ ალბათ მეხუთე ან მეექვსე კლასში ვიქნებოდი, 1941-42 წლები, ომის პერიოდი იყო, როცა მამაჩემი სოფელ ბაშში მცხოვრებ ბერთან საზიარებლად ფეხით დადიოდა და ყოველი მარხვის დამთავრების შემდეგ მე, ჩემი და — მარიამი და დედაჩემი დავყავდით. თავიდან მამაჩემი მარტო დადიოდა, ხოლო შემდეგ ჩვენც დავიწყეთ სიარული საზიარებლად. გზად ტყე გვქონდა გასავლელი, ვცდილობდით, როგორმე შეუმჩნეველად გვევლო, რომ ვინმე ურწმუნოს არ შევემჩნიეთ და არ დავესმინეთ (მამაჩემი იმ ხანებში პედაგოგად მუშაობდა). მახსოვს, ერთხელ მოხუცი კაცი შეგვხვდა და დედაჩემს შიშით ვუთხარი: „ვაი, დედი, კაცი—მეთქი“. დედაჩემმა კი ხუმრობით მითხრა: „ნუ გეშინია, მოხუცია და კარგად ვერ ხედავს“. პასუხად კი იმ კაცმა გვითხრა: „ძალიან კარგად ვხედავო“.

მაშინ 11-12 წლის ბავშვისათვის მართლაც რომ საკვირველი იყო მამა ტიხონი მთელი თავისი ცხოვ-

ფოტომატიანე

რების წესით. ეს საშუალო ტანის, წარმოსადეგი, განსწავლული და ღვთის მადლით შემკული მოხუცი ცხოვრობდა წნელით შეღობილ ფაცხაში, რომლის კედლები ტალახით იყო შელესილი და იატაკის ნაცვლად მინაყრილი ჰქონდა, სახურავი კი — ისლისაგან იყო გაკეთებული.


გარედან ბერის ადგილსამყოფელი ეკლით იყო დაფარული და შესასვლელ კარზე ურდული ჰქონდა, რომლის გაღება მხოლოდ მას შეეძლო შიგნიდან. ეზოში მოყავდა სიმინდი, ლობიო, ჰქონდა თავის ხელით გადამყნობილი ხეხილის ხეები. თავისუფალ დროს სულ მუშაობდა და თავისი ნამუშავევით უხვად გასცემდა მოწყალეებს. ოთახში ხატებისა და საეკლესიო ნივთების გარდა, სანოლი და ტაბაკი (სატრაპეზო მაგიდა) ედგა, რათა მოსულთ გამასპინძლებოდა. ბერის მუდმივი ასკეზი, თავის დამდაბლება, მორჩილება თვითშემეცნების საწინდარი იყო, ამიტომაც გასცემდა ასე უხვად სიყვარულს სულიერ შვილებში.

მამა ტიხონს ეშმაკი განსაცდელსაც ხშირად უვლენდა. ერთხელ, მახსოვს, საზიარებლად რომ მივედით, მაშინ გვითხრა, ეშმაკის სახით ქალი ყოველდღე მეცხადებოდა და მეძახდა, მაგრამ მე ამ ცდუნების დაძლევა ღვთის შემწეობითა და ლოცვით შევძელიო. ალბათ ბევრი ჩვენთვის უცნობი საცდური თუ განსაცდელი ევლინებოდა ღვთის სამსახურში მყოფ ბერს, მაგრამ თავისი რწმენითა და რუდუნებით ყოველგვარ ბოროტებას ძლევდა.

დამაშვრალი მხცოვანი მამა, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დასნეულდა, ლოგინად ჩავარდა და სხეული დაუნყლულდა. მის მოსაველეად დადიოდნენ დედა ფოტინე და დედა აკეფსიმა. ერთი წლის შემდეგ მისი სული უფალმა მიიბარა. იმ დღეს კიდევ ერთხელ მოვიყარეთ მუხლი მისი წმინდა გვამის წინაშე და, გვნამს რომ განწმენდილი სულით, ანგელოზების თანხლებით დაიმკვიდრა ცათა სასუფეველი“.



ხელნართა ეროვნული ცენტრის საცავიდან



ვანის სახარება. შობა, მათე მახარებელი. 9v (1)

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინყებებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

მთხოვით, გაცემთ გაუფრთხილდით მასში დაგაქვლილი მასალების გამო
ეზოვით დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში # 360851555 მფო. 220 101 406
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ-გვერდი: <http://www.patriarchate.ge>
ელ.ფოსტა: sap.uts@posta.ge sapatriarcho-press@posta.ge
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: თამაზ გაბისონია, ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი),
მარიამ გაგუა, ნინო გავგოშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე,
გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე ფინანსური მენეჯერი:
ვლასი ჯიბლაძე, გავრცელება: ილია ბოკუჩავა, დიზაინერი: გოგი ავსაჯანიშვილი
დამკავალბონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ქრონიკა. ინფორმაცია.

ბანცხადება

18 წლის გოგონას, ეკატერინე მგელაძეს, სასწრაფოდ ესაჭიროება მკურნალობა გერმანიაში, სადაც უნდა გაკეთდეს ძვირადღირებული ოპერაცია სიმსივნური პროცესის შესაჩერებლად.

თი-ბი-სი ბანკში მის სახელზე გახსნილია ანგარიში. გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ გოგონას სიცოცხლის შენარჩუნებასა და გახანგრძლივებაში.

ბანკის რეკვიზიტები:

ანგარიშსწორების ანგარიში: 610 360 101 000 26

თი-ბი-სი ბანკი

220 101 850

ასევე, შეგიძლიათ, ჯეოსელის ქსელიდან განახორციელოთ ფასიანი ზარი გოგონას ანგარიშზე — 700 545 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

გთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ სწული ეკატერინე.

**საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის
დეპარტამენტის განცხადება**

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი წმინდა ადგილების მოსალაგად ვთავაზობთ შემდეგ ტურებს:

წილკანი-მუხრანი-ძალისი 31 იანვარი; შაბათი; გასვლა 9 სთ; ფასი 14ლ;

მარტყოფი (ხსენება ანტონ მარტყოფელისა) 1 თებერვალი; კვირა;

გასვლა 8 სთ; ფასი 15 ლ;

გარეჯი 7 თებერვალი; შაბათი; გასვლა 9სთ; ფასი 15ლ;

გელათი-ბაგრატი-მონამეთა (ხსენება კეთილმსახურისა მეფისა დავით აღმაშენებელისა) 8 თებერვალი; კვირა; გასვლა 7:00სთ; ფასი 35 ლ;

ისრაელი წმიდა მიწა აღდგომის დღესასწაულისათვის 16-22 აპრილი;

საბუთების მიღება 25 მარტამდე; ფასი 1500-1600\$;

მომლოცველებს მოემსახურება გიდი

ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე:

„ოქროს სანძისი“, სიონის ქ. 13

„წმიდა კუთხე“ ბახტრიონის ქ. 8

ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძართან არსებული მალაზია, რუსთაველის 9

დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მალაზია, წერეთლის 44

ვაკის სამების ტაძართან არსებული მალაზია, ჭავჭავაძის 37

ავტობუსები გადის რესპუბლიკის მოედნიდან (სასტუმრო „ივერიის“ წინ)

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ: 92 39 78 (11-დან 17 სთ-მდე); ტელ/ფაქ: 92 39 79

ელ.ფოსტა: pilgrim_church@yahoo.com

(899)33 33 52; 898 26 78 69;

**სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა
საპატრიარქო გუნდის განცხადება**

სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა საპატრიარქო გუნდი აცხადებს მომღერალ-მგალობელ ვაჟთა მიღებას.

საკონტაქტო ტელეფონი: 879770105, 897576727, 893222936

**საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო
გალობის ცენტრის განცხადება**

ორშაბათს, 2 თებერვალს, საზეიმოდ აღინიშნება წმინდა ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძის) ხსენების დღე. სადღესასწაულო წირვას თბილისის ქაშუეთის ტაძარში აღავლენს საეკლესიო გალობის ცენტრის ხელმძღვანელი ამბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი. წმინდა ექვთიმე აღმსარებელი, როგორც ქართული გალობის დიდი მოამბე, ქართველი მგალობლებისთვის გამორჩეულად სათაყვანო წმინდანია.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

რევმატოლოგი — 29 იანვარს, 16.00-18.00 სთ.;

ხელის (მტევნის) ტრავმატოლოგ-ორთოპედი — 31 იანვარს, 12.00-14.00 სთ.;

ანგიოლოგი — 31 იანვარს, 14.00-15.00 სთ.;

ენდოკრინოლოგი — 31 იანვარს, 15.00-17.00 სთ.;

ბავშვთა ორთოპედი (კისერმრუდობა, ტერფმრუდობა, თანდაყოლილი სიმახინჯეები) — 31 იანვარს, 12.00-14.00 სთ.;

ოტო-რინო-ლარინგოლოგი — 4 თებერვალს, 16.00-18.00 სთ.

კარდიოლოგი — ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 12.00-14.00 სთ.

ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა კარდიოქირურგის, ნეფროლოგისა და უროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით, დაგვირეკეთ:

8 99 57 65 31

გამოვიდა ჟურნალ

„ახალგაზრდობის“ მეორე ნომერი

იანვრის ნომერში წაიკითხავთ მასალებს: „ქრისტეს შობაზე“, „შეხვედრა უწმინდესთან“, „როგორ აღნიშნავენ ქრისტეშობას სხვადასხვა ქვეყნებში“, სტატიას ინტელექტუალურ თამაშის „ჩვენ ესწავლობთ ბიბლიის“ შესახებ, წერილებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე, ემიგრანტის ჩანაწერებს, ახალგაზრდების პრობლემატურ საკითხებს, საღვთისმეტყველო თემას, გაეცნობით ახალგაზრდა შემოქმედებს, „მოგზაურობა ტაო-კლარჯეთში“, 2008 წლის ქართული სპორტის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციებს და სხვა მრავალ საინტერესოს.

გერად აღკვეცა

3 იანვარს ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში არქიმანდრიტმა ადამმა (ახალაძემ) ბერად აღკვეცა მორჩილი ბესარიონი (ვეკუა) და უწოდა სახელი იაკობი.

**საპატრიარქოს სამშობიარო
სახლიდან გვატყობინებან**

საქართველოში 2009 წელს პირველი ახალშობილი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლში პირველის პირველ ნუთზე გაჩნდა. პატარა ამირან ხალათაშვილი ქართულ-ოსური ოჯახის მეორე შვილია.

შარშან სამშობიარო სახლში 1958 ბავშვი გაჩნდა. ა. წ. 21 იანვრისათვის კი უკვე 152 ახალშობილი დაიბადა. მათ შორის 82 ვაჟია და 70 გოგონა. ორი მშობიარობის შედეგად ტყუპები გაჩნდა.

ფოტომატიკა

საფარის მონასტერი 1891-1930 წლებში

1891 წლის იანვრამდე საფარის მონასტერი ირიცხებოდა საფარის სამრევლოს შტატის ეკლესიად და ზედ იყო მიწერილი ოთხი სოფლის — მუსხის, ანდრიაწმინდის, ღრელისა და ტობის ეკლესიები თავის სამრევლოებით. მუსხში ირიცხებოდა — 35 კომლი, ანდრიაწმინდაში — 25, ღრელში — 15 და ტობში — 5. ხსენებულ სოფლებში, მიუხედავად მცხოვრებთა რიცხვისა, აშენებულია ეკლესიები, ტურფად შემკული მრევლთაგანვე. საქართველოს ეგზარქოსად მყოფმა პალადიმ (რაევი) იხილა რა მშენებლობა მუსხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიისა, მოისურვა მისი სამრევლოდ გადაქცევა, ხოლო საფარის ტაძრისა — მონასტრად.

1891 წლის 12 თებერვალს საფარის მონასტერში განამწესეს ქართველი, ზედაზნის მონასტრის საძმოს წევრი, მღვდელ-მონაზონი ათანასე (ზურაბაშვილი) სამი მორჩილით. აქ მას დახვდა მოხუცი ბერი ქრისტესია (სამადალაშვილი). ამავე წლის 18 სექტემბერს ახალციხის წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიის მედავითნე პეტრე ფაფერაშვილი ბერად აღიკვეცა და სახელად პახუმი ეწოდა. 29 სექტემბერს დიაკვნად აკურთხეს, ხოლო 1 ოქტომბერს კი — მღვდლად დაასხეს ხელი.

მღვდელ-მონაზონი ათანასე — ერისკაცობაში ალექსანდრე მიხეილის ძე ზურაბაშვილი 1856 წელს, გლეხის ოჯახში დაიბადა. წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი მარტყოფის მონასტერში ისწავლა. 1880 წლის 11 ივნისს ამავე მონასტრის მორჩილად განამწესეს. 1885 წლის 15 დეკემბერს ეგზარქოსების კარის ეკლესიაში ბერად აღკვეცეს და სახელად ათანასე უწოდეს. 1886 წლის 2 თებერვალს დიაკვნად აკურთხეს. 1888 წლის 1 მაისს მღვდლად დაასხეს ხელი და ზედაზნის მონასტერში განამწესეს. 1889 წლის 15 მაისს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1891 წლის 12 თებერვალს საფარის მონასტერში გადაიყვანეს. 1892 წლის 17 ნოემბერს ქვათახევის მონასტერში განამწესეს და ხაზინადრად დაინიშნა. 1899 წლის 18 ივნისს გათავისუფლდა ხაზინადრის თანამდებობიდან. 1899 წლის 6 სექტემბერს ალავერდის მონასტერში განამწესეს. 1900 წლის 10 იანვარს გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში გადაიყვანეს და ხაზინადრად დაინიშნა. 1902 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. 1905 წლის 15 ივნისს ხირსის მონასტერში განამწესეს და პერიოდულად ბოდბის დედათა მონასტერში წირვა-ლოცვის შესრულება დაევა. 1914 წლის 16 დეკემბერს ბეთანიის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. 1915 წლის ნოემბერში გაათავისუფლეს წინამ-

ძღვრობიდან. მამა ათანასე დროებით თბილისში დასახლდა. 1916 წლის 11 მარტს იგი ქოლერით გარდაიცვალა. დაასაფლავეს ნათლულის წმინდა ბარბარეს სახელობის სამხედრო სასაფლაოზე.

მღვდელ-მონაზონი პახუმი — ერისკაცობაში პეტრე სვიმონის ძე ფაფერაშვილი 1837 წელს ქ. ახალციხეში დაიბადა. წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი თავის მოძღვართან ისწავლა. 1855 წლის 15 ნოემბერს საფარის წმინდა საბას სახელობის ეკლესიაში უშტატო მედავითნე განამწესეს. 1865 წლის 18 აგვისტოს შტატში დაინიშნა. 1881 წლის 14 თებერვალს ახალციხის წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ბერად შედგომა გადაწყვიტა. 1891 წლის 18 სექტემბერს საფარის მონასტერში ბერად აღკვეცეს და სახელად პახუმი უწოდეს. ამავე წლის 29 სექტემბერს დიაკვნად აკურთხეს, 1 ოქტომბერს კი მღვდლად დაასხეს ხელი და საფარის მონასტრის ხაზინადრად დაინიშნა. 1893 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს ეგზარქოსმა ვლადიმერმა (ბოგოიაველენსკი) მონასტერი მოინახულა და მამა პახუმი საგვერდულით დააჯილდოვა. XX ს-ის დასაწყისში იგი ბორჯომის რაიონის ტიმოთესუნის მონასტერში დაშვებულა და სიცოცხლის ბოლომდე იქ მოღვაწეობდა. მამა პახუმის დაუღალავი შრომით არაერთი თაობა აღიზარდა — მან მონასტერთან დაარსა სამრევლო-საეკლესიო სკოლა, სადაც მახლობელი სოფლების ბავშვებს თავადვე ასწავლიდა საღმრთო სჯულსა და ქართულ წერა-კითხვა-გალობას. იგი თავისი უბრალოებითა და ჭეშმარიტი ბერული ღვაწლით საყოველთაო სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. 1914 წლის 6 მაისს ეკლესიაში ერთგული მოღვაწეობისათვის სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. მამა პახუმი 1925 წელს ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა. დაკრძალულია ტიმოთესუნის მონასტრის ეზოში.

ქართველი ბერები მხოლოდ ორი წლის განმავლობაში მოღვაწეობდნენ საფარის მონასტერში. 1892 წლის 30 მაისს ჯერ მამა ქრისტესია გარდაიცვალა, ხოლო ამავე წლის 17 ნოემბერს მამა ათანასე ქვათახევის მონასტერში გადაიყვანეს. 1893 წლის დასაწყისისთვის მხოლოდ მამა პახუმი დარჩა მონასტერში. ამავე წელს რუსეთიდან გამოგზავნეს არქიმანდრიტი პაისი, რუსი მღვდელ-მონაზვნებითა და მორჩილებით, რომელთა რიცხვი დღითიდღე მატულობდა და XX საუკუნის 10-იან წლებში 50 კაცს გადააჭარბა.

1894 წელს გაზეთ „ივერიაში“ უცნობი ავტორის მიერ და-



მღვდელ-მონაზონი პახუმი (ზაფერაშვილი)

იბეჭდა სტატია „საფარის მონასტერი“, სადაც აღწერილია მონასტრის მაშინდელი მდგომარეობა.

„საფარის მონასტრის გალავანში ძველთაგანვე აშენებული იყო თორმეტი ეკლესია. მათ შორის ერთი ყველაზე დიდი და ტურფა, წმინდა საბა განწმენდელის სახელზეა ნაკურთხი. ამ ტაძარში დღემდე იწირება, ხოლო დანარჩენი გაუქმებული არიან. მიძინების ეკლესიაში დღეს ბერებისაგან გამართულია სახელოსნო დურგლების მოწყობილობა. მუშაობენ რამდენიმე ანაფორიანი მორჩილნი. ერთ პატარა ეკლესიაში ცხოვრობს ჩექმების მკერავი ანაფორიანი მორჩილი. წმიდა გიორგის ეგვტერში ცხოვრობენ მორჩილნი. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში ცხოვრობს თუნუქის ხელოსანი და აკეთებს ლუმელ-ფეჩებს, ვედროებს და სხვა.

„სთანავე იმყოფება შვილი ამ ხელოსნისა, რომელიც საკებო მკითხველი და მგალობელი მორჩილია. წმიდა სტეფანეს ეკლესიაში ცხოვრობს პირველი მგალობელ-დიაკონი. წმინდა მარინეს ეკლესიაში არის კანცელარიის განყოფილება და შიგვე ცხოვრობს მდივანი, მანტიის მქონე მონაზონი. ერთი ძველი ოთახი გადაუქცივით სახელოსნოდ და მუშაობენ საკერავი მანქანით. ძველი და საძირკვლამდე გაოხრებული ათაბაგების სადგომი გადაუკეთებიათ სენაკად და ცხოვრობენ შიგ ერთი ქართველი მორჩილი — მეგრელი მღვდლის შვილი და ერთიც ანაფორიანი რუსი მორჩილი. ერთ გამოქვაბულ კლდეში ცხოვრობს ანაფორიანი ფერშალი თავის პატარა აფთიაქითა და მასთანვე ორნიც სხვანი. სამრეკლოს ზემოთ ცხოვრობს მეორე მგალობელ-დიაკონი. გაუქმებიათ აგრეთვე თავიანთი შრომითა ერთი დიდი შენობა და გაუყვიათ ორ ნაწილად, ერთი მათგანი არის კანცელარიის განყოფილებად, ხოლო მეორეში არის დიდი პურის საცხობი ფურნე და იქვე ცხოვრობენ რამდენიმენი. გალავანში არის სამი ანკარა წყარო. ამათში ერთს უხსოვარ დროიდგან უწოდებენ ბერების წყაროს. ამ წყაროს ახლო უერთი გრძელი ქვითკირის ბუნი მიწაში. რადგან ეს ბუნი უკა-ყორით და მიწა-ნაგვით იყო სავსე, ამიტომ ამოუწმენდათ და გამოჩენილა ერთი განყოფილება, რომელშიაც დღეს ცხოვრობენ ბერები. ამავე ბერების წყაროსთან ერთი ხეივანი არის, რომლის მალლა შეყოლებაზედ ტყეში წყაროა და ეწოდება ანკარა, ანუ მაკარის წყარო, ამ წყაროზედ დაახლოებით კლდეში გაუქმებიათ ბუნი, რომელსაც აგრეთვე უწოდებენ მაკარის ბუნს და ცხოვრობს შიგ ერთი მესეფისკვერე ანაფორიანი მორჩილი. წმინდა გიორგის ეგვტერის გვერდზე ხევში იყო ერთი დიდი დანგრეული შენობის ალავი. იგი გაუქმებიათ სანოვაგე-სალეველის შესანახად, როგორც მაგალითად წნილისა, ხახვისა, კარტოფილისა, ქარხლისა და სხვა. ერთ მოზრდილ სახლში არის საზოგადო ტრაპეზი და სამზარეულო, რომელშიაც ცხოვრობენ მზარეულნი მორჩილნი. გაუქმებიათ აგრეთვე მშვენიერი გომური — საჯინიბო და ინახავენ შიგ ერთ ცხენს, რომელიც ახალციხეში მდგომმა ბატარეამ აჩუქა ამ ბერებს და ორი ხარს. იქვე გამოკვეთილ კლდეში ცხოვრობს მეჯინიბე-მორჩილი.

საფარის მონასტერში სულ ერთად-ერთი ქართველი ბერია, მღვდელ-მონაზონი პახუმი, სიყრმითაგანვე კეთილი და პატიოსანი (იხ. მისი ბიოგრაფია ზევით).

მამა პახომი დაიბადა ქ. ახალციხეში ღარიბ და ღვთის მოყვარე მშობელთაგან. მისი მშობელნი თათრებმა მრავალ-გვარ სტანჯეს და, რომ არ მიიღეს მათი სარწმუნოება, მათის ხელით სიკვდილი მიიღეს. მამა პახომი აღიზარდა მესხეთის გამოცდილ მოძღვრებთან, შეისწავლა მათგან სანაქებოდ საეკლესიო ტიბიკონი, გალობა, კითხვა, საკმაოდ კატეხიზმო და ისტორია, ხოლო წერა სანაქებოდ. მან დიდხანს იმსახურა მედავითნედ. შემდეგ გარდაეცვალა მეუღლე და დარჩა ორი ქალიშვილი. მათ გათხოვების შემდეგ



საძარბაველოს ეგზარქოსი ვლადიმერი (გომოიავლენსკი) სტუმრად საფარის მონასტარში 1893 წ. 18 ოქტომბერი

აღიკვეცა ბერად და გადაწყვიტა სიკვდილამდე ემსახურნა საფარის ტაძრისათვის. დღეს მამა პახომი დაულაღავად შრომობს ამ ძველ და დიდებულ მისგან აგრე ძლიერ შეყვარებულ ტაძარში. იგი ყოველდღიურ ლოცვის შემდეგ აკეთებს საკალატოზო საქმესა, გალავანში სთხრის, ასუფთავებს სხვადასხვა ძველ მივიწყებულ შენობებს, აკეთებს და აახლებს სადგომად ძმათა და მლოცველთათვის. მან გააკეთა, სხვათა შორის, დიდი დერეფნიანი უზარმაზარი სენაკი პურის ორმოდ, რომელშიაც აღმოაჩინა მრავალი წერილ-წერილი ქვევრების გარდა, ორი ორმოც-სამოც კოკიანი ქვევრი, შემოკირული და სრულიად მთელი. დერეფანში გააკეთა ორ განყოფილებიანი ოთახი, რომელიც ისე კარგად მოაწყო, რომ წინამძღვარმა, მამა პაისმა, ინება შიგ დაბინავება ორის მღვდელმონაზონითა, კელეინიკითა და მორჩილითა. მამა პახომმა ახლა სხვაგან დაიწყო მუშაობა და გადააკეთა ის მივიწყებული ბუნები, რომელშიაც მლოცავნი ცხენებს და ხარებს აბამდნენ. ამ ბუნებში ცხოვრობს ახალი ორი მორჩილითა. დღეს საფარის მონასტერში იმყოფებიან: ერთი წინამძღვარი, არქიმანდრიტი, ორი მღვდელმონაზონი, გარდა ზემოხსენებულის ქართველისა, ექვსი მანტიის მქონე, მონაზვნად აღკვეცილი. ცხრამეტი ანაფორიანი მორჩილი, ოცეც ისე მორჩილი. დღითი დღე მატულობს რუსის ბერობა, მონასტრის გამშვენებაც წარმატებით მიდის. თვითონ ბერნიც ცხოვრობენ კეთილად, სიმშვიდით, სიწყნარით და სასოებით და ფრიად მადლობელნი ჰყავთ ადგილობრივი მცხოვრებნი განურჩევლად ნოდებისა და სარწმუნოებისა, განსაკუთრებით ქართველობა, საფარის გლეხობა.

მონასტერში მცხოვრებ ბერებს სასტიკად აქვთ აკრძალული სოფლებში სიარული რაიმე საზრდოს მოსახოვად.

დღეს საფარის მონასტერს არა აქვს რაიმე ნივთიერი შეძლება, არც სახნავი მიწები, არც სათიბი, არც შემოსავალი ფულითა, გარდა წერილ-წერილ მცირე შესანიშნავისა, რუსეთიდგან.

XX ს-ის დასაწყისში საფარის მონასტერს წინამძღვრობდა არქიმანდრიტი ალექსი, ხოლო 1904-18 წლებში არქიმანდრიტი საბატი.

1917 წლის 12 მარტს აღსდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. 1920 წლის 17 თებერვალს მენშევიკურმა მთავრობამ გააუქმა კავკასიის საეგზარქოსო და საქართველოში არსებული რუსული ეკლესიები და მონასტრები ქართულ ეკლესიას დაექვემდებარა. 1918 წლიდან საფარის მო-

ფოტომატიანე



საფარის მონასტარი

ნასტერს წინამძღვრობდა მღვდელ-მონაზონი ტიმოთე.

მღვდელ-მონაზონი ტიმოთე — ერისკაცობაში ტროფიმე ივლიანეს ძე ლიცკევიჩი 1869 წელს დაიბადა. განათლება მიიღო სოფლის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში. მსახურობდა მეფის რუსეთის ჯარში. სამსახურიდან გადადგომის შემდეგ ბერად აღკვეცის სურვილით, 1909 წლის 13 ნოემბერს საფარის მონასტერში მორჩილად მიიღეს. 1911 წლის 24 სექტემბერს არქიმანდრიტმა საბატომ ბერად აღკვეცა და სახელად ტიმოთე უწოდა. 1914 წელს დიაკვნად და მღვდლად დაასხეს ხელი).

კომუნისტების შემოსვლის შემდეგ საფარის მონასტერსაც მძიმე დღეები დაუდგა. ეს კარგად ჩანს ანყურის ეპარქიის მთავარბუცესის დეკანოზ სვიმონ სარალიძის წერილიდან, რომელიც მან 1924 წლის შემოდგომაზე გაუგზავნა კათოლიკოს-პატრიარქის მოვალეობის დროებით შემსრულებელს, მუეფე ქრისტეფორეს (ციციქიშვილი): „მოვალეთ ვთვლი თავს, ვაცნობო თქვენს ყოვლადუსამღვდელოესობას, რომ ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში მღვდლები, რომელნიც იყვნენ წლის დასაწყისში, ცოცხალნი არიან და თავიანთ ადგილებზე მსახურობენ. მინდოდა სექტემბრის დამდეგს კრება მომწვდია, მაგრამ საქართველოში შექმნილი მდგომარეობის გამო თავი შევიკავე. საეკლესიო სახლი კომისარიატმა ჩამოგვართვა, გვინდოდა გვეჩივლა, მაგრამ არეულობის გამო თავი შევიკავეთ. საფარის მონასტრის შესახებ ვაცნობებთ. მარიამობას ვიყავი იქ მწირველი, სოფლის ხალხიც ბლომად იყო. რვა ბერი ცხოვრობს დღეს მონასტერში, რვავე რუსია — 2 მღვდელ-მონაზონი, 2 ბერ-დიაკონი და 4 ბერი.

მათი მდგომარეობა აუტანელია. ზაფხულში იქ ბავშვთა თავშესაფარი იყო გამართული. როცა ისინი ჩამოიყვანეს, იქ დაბინავდნენ 15 მოსაზღვრე რუსის ჯარისკაცი თავისი ცხენებით. წინამძღვარი მღვდელ-მონაზონი ტიმოთე მთხოვდა, რომ თქვენ მისთვის ხელდასხმის სიგელი გაგვეგზავნათ და თუ იქნება სადმე რუსული სამრევლო, გადაგეყვანათ იქ. ფილტვების ანთების შემდეგ დაზიანებული მაქვს ფილტვებიო და ცარიელი ხმელი პური ვერ ავიტანე, მკლავსო. მეც ამით ვასრულებ მის თხოვნას. რაც შეეხება ბერდიაკონ დიონისეს, იგი თავისთან გადაიყვანა დეკანოზმა იოანე სალარიძემ ბორჯომის წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში“.

1929 წლის მაისში შედგენილი ერთი საბუთის მიხედვით, საფარის მონასტერში კვლავ მოღვაწეობდა 6 ბერი, რომლებიც პერიოდულად ახალციხის წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიაშიც აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას. XX ს-ის 30-იანი წლებიდან, ისევე როგორც საქართველოს ეკლესიის უმეტეს მონასტრებში, აქაც შეწყდა ბერული ცხოვრება და მღვდელმსახურება.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავიდან



ეპიკიტად ლტოლვა. ჯრუჭის II ოთხთავი H 1667 XII-ს

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინყებინებინოთ ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩუროშვილი

გთხოვთ, გაზამთ გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამომცემს და ვადასტურებთ, რომ მათი გამოქვეყნება არ შეეხება მათს. გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ შემდეგ ანგარიშზე: სახალხო ბანკი, კრწანისის მე-2 ფილიალი, ანგარიში № 360851555 მფო, 220 101 406 „საპატრიარქოს უწყებანის“ ებ.გვერდი: <http://www.patriarchate.ge> ელ.ფოსტა: sap.uts@post.ge sapatriarcho-press@post.ge მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე რედაქტორის მოადგილეები: თამაზ ვაბისონია, ნანა ბოკუჩავა სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შოლავაძე), მარიამ ვაგუა, ნინო ვაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე ფინანსური მენეჯერი: ელასი ჯიბლაძე, გავრცელება: ილია ბოკუჩავა, დიზაინერი: გოგი აესაჯანიშვილი დამკავადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ქართული ენის ინტერპრეტაცია

ქართული გალობის ზიზიზი წმინდა
ეპითიმა აღმსარებლის ხსენების დღეს

2 თებერვალს, თბილისის ქაშუეთის ეკლესიაში ჩატარდა წმინდა ექვთიმე აღმსარებლის ხსენებისადმი მიძღვნილი წირვა, რომელიც სხვა სამღვდლოებასთან ერთად ქაშუეთის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა ბიძინა გუნიაშვილმა აღავლინა. ქართული გალობის მფარველი წმინდანის დღე თბილისისა და რუსთავის სხვადასხვა ტაძრის მგალობლების ერთობლივი მსახურებით ჩატარდა (წირვა-ლოცვაზე ანტიფონურად შვიდი გუნდი გალობდა). თავად ქაშუეთის ტაძარში ბოლო დროს ტრადიციული ქართულ გალობას ორი გუნდი ასრულებს, რაც ამ სამრევლოს ამ მხრივ მონივნად წარმოსახავს.

იმავ დღეს, რუსთავის საკათედრო ტაძარში, ცურტავის ეისკოპოსმა იოანემ (გამრეკელმა) აღავლინა წმინდა ექვთიმე აღმსარებლის პარაკლისი. პარაკლისზე რუსთავის მგალობელთა 3 გუნდი მონაწილეობდა. პარაკლისის ძველი ქართული გალობის გულშემატკივრები დაესწრნენ.

მღვდელ-მონაზონ ვასილ ფირცხალავას
ბახსენება მის მშობლიურ სოფელ ზუმში

24 იანვარს ჩხორონყუს რაიონის სოფელ ზუმში გაიმართა XX საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული სასულიერო მოღვაწის მღვდელ-მონაზონ ვასილ ფირცხალავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. ზუმის საერო სასაფლაოზე მამა ვასილის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი სენაკისა და ჩხორონყუს ეპისკოპოსმა შიომ გადაიხადა ბოლნელ ეპისკოპოს ეფრემთან და სხვა სასულიერო პირებთან ერთად.

პანაშვიდის შემდეგ ჩხორონყუს კულტურის სახლში გაიმართა, სადაც ზუმის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა რაიონის სხვა აღსაზრდელებთან ერთად დამსწრეებს მამა ვასილის ცხოვრების გზა, მისი გარემოცვისა და მისი ეპოქის სურათი წარუდგინეს საგალობლების ფონზე; ნაჩვენები იყო ბეთანიის მამათა ცხოვრების ამსახველი ფოტო-მასალა, ბეთანიისა, სადაც მამა ვასილიმ წმინდა იოანე მაისურაძესთან და წმინდა გიორგი მხეიძესთან ერთად იღვანა, ხოლო შემდეგ —

მონამეობრივი აღსასრული ჰპოვა.

სალამოს დასასრულს მრევლს მეუფე შიომ და მეუფე ეფრემმა მიმართეს და კიდევ ერთხელ აღნიშნეს მნიშვნელობა ამ მხარის მრევლისათვის უკვე ტრადიციად ქცეული დღესასწაულისა — მამა ვასილი ფირცხალავას ბერად აღკვეცის დღისა.

საპატრიარქოს საპატრიარქოსთან
არსებული კრეაციული საზოგადოების
სამეცნიერო საბჭოს სხდომა

28 იანვარს შედგა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული კრეაციული საზოგადოების სხდომა. სხდომაზე მოისმინეს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ რობერტ ბაბლიძის მოხსენება „სამყაროს ქვანტურობა და „სალი აზრის“ პრობლემა მეცნიერებასა და რელიგიაში“.

ქვანტური მექანიკა დაბეჯითებით ადასტურებს, რომ ბუნებაში რეალურად არსებობს მოვლენათა მთელი კლასი ე.წ. ქვანტური მოვლენები, რომელთა „სალი აზრით“ აღწერა ადამიანს არ ძალუძს — ამ მოვლენების თვალსაჩინო და ცხადი წარმოდგენა პრინციპულად შეუძლებელია. მოყვანილ იქნა ამ მოსაზრების დამადასტურებელი მაგალითები — ელექტრონის „მოდრობა“ ტრეკტორიის გარეშე, სითხის „ზედენადი“ მდგომარეობა (სითხის მდგომარეობა სიბლანტის გარეშე), „ზეგამტარობის“ მოვლენა (ელექტრული დენის არსებობა დანაკარგების გარეშე) და სხვ. რომლებიც ექსპერიმენტებით მრავალგზისაა დადასტურებული. ფაქტობრივად, ეს მოვლენები სასწაულებს მიეკუთვნება. ანალოგიურად, კაცობრიობა იცნობს მრავალ ღვთიურ სასწაულს, რომელთა ახსნა შეუძლებელია ჩვეულებრივი, ადამიანური აზროვნებით და მათი გაგება მხოლოდ რწმენითაა შესაძლებელი. სხდომაზე აღინიშნა, რომ ქვანტური ფიზიკის წარმოდგენათა საფუძველზე შესაძლებელია დასაბუთდეს რელიგიური სასწაულების რეალურობა. რელიგიური საკითხების განხილვისას ქვანტური ფიზიკის პრინციპების გამოყენება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არ არსებობს არავითარი პრინციპული წინააღმდეგობა რელიგიასა და მეცნიერებას შორის.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული კრეაციული საზოგადოების შემდეგი სხდომა შედგება 11 თებერვალს 16 სთ-ზე საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (ილია ჭავჭავაძის გამზირი, 53-ა). სხდომაზე განხილული იქნება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ამირან ფირცხელანის მოხსენება „ევოლუციის თეორიის კრიტიკა ბიოლოგიის თანამედროვე მიღწევების პოზიციებიდან“.

დასწრება თავისუფალია.

ხელდასხმა

13 დეკემბერის ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში ჭყონდიდელმა მთავარეპისკოპოსმა პეტრემ (ცაავა) ბერად აღკვეცა მორჩილები — გიორ-

გი ლიპარტიელიანი (ენოდა ვახტანგი) და ბესარიონ ალადაშვილი (ენოდა ანდრია).

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

- დერმატოლოგი — 6 თებერვალს, 15.00-17.00 სთ.;
- ანგიოლოგი — 7 თებერვალს, 13.00-14.00 სთ.;
- ოფთალმოლოგი — 7 თებერვალს, 14.00-15.30 სთ.;
- ნევროპათოლოგი, ნეიროქირურგი (დისკოგენური რადიკულიტი, თავის და ზურგის ტვინის სიმსივნეები და სხვ.) — 8 თებერვალს, 12.00-14.00 სთ.;

- თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 9 თებერვალს, 12.00-14.00 სთ.;
- რევმატოლოგი — 10 თებერვალს, 16.30-18.00 სთ.;
- ოტო-რინო-ლარინგოლოგი — 11 თებერვალს, 16.00-18.00 სთ.

კარდიოლოგი ყოველდღე 12.00-14.00 სთ., შაბათ-კვირის გარდა.

მამოლოგის, ნეფროლოგის, ბავშვთა დიაბეტოლოგის, ბავშვთა კარდიოლოგისა და კარდიოქირურგის მიღების საათებთან დაკავშირებით, დაგვირეკეთ.

ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 99 5

ერისკაცი

„ადამიანი მუდამ რალაც არჩევანის წინაშე დგას ცხოვრებაში და არც ერთ შემთხვევაში უკან არ უნდა დაიხიოს...“

ინტარვიუ ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის დირექტორთან, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ მაია გოთუასთან

— ქალბატონო მაია, თქვენ ბრძანდებით ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ლევან გოთუას ძმისწული. გვიამბეთ თქვენს ოჯახზე, სადაც დაიბადა და გაიზარდა ბატონი ლევანი...

— ჩვენი ოჯახისთვის მეტად მნიშვნელოვანია ის სახლი, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ მამა და ბიძა. ტრადიციულად, აქ იკრიბებოდნენ საქართველოს ბედ-იღბალზე შეჭირვებული ადამიანები და ჩვენი ქვეყნის ანმყოფსა და მომავლის ბევრი საკითხი იქ წყდებოდა. მამაჩემის მამა, პართენ გოთუა, შესაძლოა, დღეს თანამედროვე საზოგადოებისთვის იმდენად ცნობილი არ იყოს, მაგრამ თანამედროვენი მას იცნობდნენ და დიდ პატივს მიაგებდნენ, როგორც საზოგადო მოღვაწესა და პუბლიცისტს.

პართენ გოთუამ ოქროს მედალზე დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტი. წარჩინებული სწავლისთვის იგი დააჯილდოვეს კავკასიის სტიპენდიით, რომლის საშუალებითაც მან მიიღო საფუძვლიანი დასავლეთ ევროპული განათლება. სრულყოფილად ფლობდა რუსულ და ფრანგულ ენებს; იყო ფინანსისტი და ხელმძღვანელობდა სათავადაზნაურო ბანკს, რომლისგა-

ნაც შემდგომში „ცენტრობანკი“ ჩამოყალიბდა. ამასთან, იგი რედაქტორობდა სხვადასხვა გამოცემის ქართულ და რუსულენოვან ჟურნალებს. პართენი ნაციონალ-დემოკრატიული ორიენტაციისა იყო და იგი გახლდათ ყველა იმ მნიშვნელოვანი მოვლენის თანამონაწილე, რომელიც იმ პერიოდში ხორციელდებოდა. აქტიურად თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან. პედაგოგობდა და გარკვეულ პედაგოგიურ საკითხებში ჰქონდა პაექრობა იაკობ გოგებაშვილთან.

მისი მეუღლე, სოფიო კემულარია, საკმაოდ განათლებული ქალბატონი გახლდათ. იგი იყო ქუთაისელი კომერსანტის, გრიგოლ კემულარიას ასული, რომელსაც იმ პერიოდში „შავ ბრილიანტს“ უწოდებდნენ, იმდენად დიდი ფიგურა იყო კომერციაში; გახლდათ ძალიან მდიდარი, გილდიის ვაჭარი, მას ჰქონდა აქტიური ურთიერთობა და დიდი კავშირები უცხოეთთან.

სოფიო ბებია დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და მოსკოვის ბესტუჟევის რუსული ენისა და პედაგოგიკის კურსები. კარგად ფლობდა რუსულსა და ფრანგულ ენებს; ჰქონდა მუსიკალური განათ-



მაია გოთუა

ფოტომატიანი

კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი II (საძაგლიშვილი) 1854-1918

კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი — ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი 1854 წლის 10 ნოემბერს დუშეთის მაზრაში, სოფელ მლეთაში მღვდლის ოჯახში დაიბადა. მისი წინაპრები გამორჩეული სასულიერო პირები იყვნენ. გიორგის პაპა, მღვდელი გაბრიელი, 1826 წელს მოხსენიებულია ოსეთის გამაქრისტიანებელი კომიტეტის წევრად და დიდი წვლილიც აქვს ამ საქმეში შეტანილი. უფრო ადრე კი დიდი პაპა, მღვდელი ბესარიონი, მოხსენიებულია XVIII საუკუნის II ნახევარში, როდესაც არქიმანდრიტ გაიოზთან (ბარათაშვილი, შემდგომში ასტრახანისა და მოზდოკის მთავარეპისკოპოსი) რომელიც ერეკლე II-მ და ანტონ კათალიკოსმა გაგზავნეს ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის გასაფრცვლებლად. მღვდელი ბესარიონი ქადაგებდა ქრისტიანობას ინგუშეთში, დიდოეთსა და ქისტეთში.

სასულიერო სასწავლებლის სრული კურსის დასრულების შემდეგ, 1870 წელს გიორგი თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა, რომელიც 1876 წელს დაამთავრა და, როგორც საუკეთესო მოწაფე, სახელმწიფო ხარჯით გაიგზავნა კიევის სასულიერო აკადემიაში. აკადემია მან 1880 წელს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაასრულა. 1880 წლის 1 აგვისტოს დაინიშნა ოდესის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ. 1883 წლის 10 ნოემბერს საქართველოს ეგზარქოსის პავლეს (ლებედვეი) განკარგულებით გადმოვიდა თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწედ. 1884 წელს თელავის მაზრის სამღვდლოებამ დაავალა თელავის სასულიერო სასწავლებლის 1875-84 წლების ანგარიშის შედგენა. პარალელურად ასწავლიდა რუსეთის სამოქალაქო ისტორიას თელავის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელში. იყო თელავის სასულიერო სასწავლებელთან არსებული ბიბლიოთეკის გაფართოება-გაზრდის კომიტეტის წევრი. 1885-90 წლებში გორის სასულიერო სასწავლებელში მუშაობდა იმავე თანამდებობაზე. გორში მუშაობის დროს დაინიშნა ნიქოზის ძველი ეკლესიის აღმდგენელი კომისიის წევრად; 1890 წელს, ქუთაისის ქალთა საეპარქიო სასწავლებელში — რუსული ენის მასწავლებლად. 1891 წლის 16 ივნისს დაინიშნა მეტეხის უძველესი ეკლესიის აღმდგენელი კომისიის წევ-

რად. ამავე წლის 10 ოქტომბრიდან კი თბილისის სასულიერო სასწავლებელშია ქართული ენის მასწავლებლად. 1893 წელს გულმოდგინე სამსახურისათვის და ზემო ნიქოზის ეკლესიის განახლებისათვის, უწმიდესი სინოდის მიერ ებოძა სიგელი და ლოცვა-კურთხევა. 1896 წლის 24 სექტემბერს აირჩიეს ქართული ბრ-



ლიის შემასწორებელ კომისიაში და სიონის ტაძართან არსებული თბილისის სიძველეთა კომიტეტის წევრად. ამავე წლის 2 ნოემბერს ეგზარქოსების კარის ეკლესიაში ექვსფსალმუნების წაკითხვის შემდეგ ეგზარქოსმა ვლადიმერმა (ბოგოიაველენსკი) ბერად აღკვეცა და სახელად კირიონი უწოდა. მეორე დღეს დიაკვნად აკურთხეს, 9 ნოემბერს კი — მღვდლად დაასხეს ხელი. 15 ნოემბერს კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი კომისიის ინსპექტორად დაინიშნა. ამავე წლის 6 დეკემბერს ქვათახევის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად განამწესეს და იმავდროულად ილუმენის ნოდება მიენიჭა. 22 დეკემბერს საგვერდულით დაჯილდოვდა, ხოლო 31 დეკემბრიდან ქართლ-კახეთის მონასტრების მთავარბუცესია. 1897 წელს საუკეთესო შრომისათვის და არაერთი მნიშვნელოვანი ისტორიული გამოკვლევებისათვის მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების გამგეობამ საზოგადოების წევრად აირჩია. 1898 წლის 10 მაისს სიონის საკათედრო ტაძარში ეგზარქოსმა ფლაბიანემ (გოროდეცკი) არქიმანდრიტის ნოდება მიანიჭა.

აი, რას წერს 1898 წლის 590-ში მისი მოღვაწეობის შესახებ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ — „ინსპექტორობის დროს არქიმანდრიტმა კირიონმა საუკუნოდ დაუვინყარი ღვანლი გაუნია ჩვენს ქვეყანას. ამ თანამდებობაზე იმსახურა მხოლოდ ცხრამეტი თვე და ამ ხნის განმავლობაში თბილისის გუბერნიაში აშენდა ყველა იმ სამღვდლოებისათვის ახალი სახლები, რომლებიც მსახურებენ მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების ეკლესიებში და ამ შენობების კომიტეტებში ყველგან თავჯდომარედ ბრძანდებოდა. მისივე შრომით და მეცადინეობით აშენდა რამოდენიმე ეკლესია გორის მაზრაში. აგრეთვე აშენდა ხელ-ახალი სახლები სკოლებისთვის და ზოგიერთები კი მხოლოდ

შეკეთდნენ. მამა კირიონის შუამდგომლობით სამი ერთ-კლასიანი სასწავლებელი გადაკეთდა ორ-კლასიანად: ერთი — სოფელ ვანათში (გორის მაზრა), მეორე — სოფელ ვალეში (ახალციხის მაზრა), და მესამე — სოფელ თიანეთში (თიანეთის მაზრა). სკოლებთან მან დააარსა ბიბლიოთეკები. ზოგიერთ სკოლას კი თავისი საკუთარი ფულით უყიდა ნიგნები და ისე დაუარსა ბიბლიოთეკები. დააარსებინა ერთი ახალი სასწავლებელი სოფელ ანერისხევში, რომელიც იქნა გადმოტანილი სოფელ ედისიდან. მოუმატა მასწავლებლებს ჯამაგირები და დღეს ამათი სკოლების მასწავლებლები წელიწადში იღებენ თვითოეული ოცდათხუთმეტ თუმნიდან ორმოცდაათ თუმნამდე. შეძლებისდაგვარად მასწავლებლებად გზავნიდა უფრო გამოცდილ და განვითარებულ მასწავლებლებს. იბარებდა მასწავლებლებს თბილისში საპედაგოგო კურსებზე დასასწრებლად. თვითონაც წელიწადში ერთხელ გაშინჯვის მაგივრად, სკოლებში წელიწადში რამდენჯერმე მიბრძანდებოდა ხოლმე და მამაშვილურ დარიგებას აძლევდა მასწავლებლებს, რის გამოც ამ ცოტა ხანში ეს სკოლები სრულიად გამოიცვალნენ. აგრეთვე ეცადა, ცხინვალში გადმოეტანა საქალებო სასწავლებელი ექვსი კლასის კურსით ვლადიკავკავის ოლქიდან. მისივე დარიგებით რამდენიმე სომეხმა მოინადინა შეერთება მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რის გამოც რამდენიმემ მიართვა თხოვნები საქართველოს ეგზარქოსს ფლაბიანეს. ერთი სიტყვით, მამა კირიონის ამ მცირე დროში ნამოღვაწევი, დიახ, თვალსაჩინოა. ვისურვებთ, ახალმა მღვდელმთავარმა ახალს ხარისხზე კიდევ უფრო დიდი სამსახური გაუწიოს ქვეყანას.

1898 წლის 27 ივნისს რუსეთის წმინდა სინოდმა ლავრდის ეპარქიის მღვდელმთავრად და საქართველოს ეგზარქოსის მეორე ქორეპისკოპოსად გამოიჩინა. 22 აგვისტოს ეგზარქოსების კარის ეკლესიაში, დღის 12 საათზე, მოხდა მისი წარდგინება ეპისკოპოსად. მეორე დღეს, 23 აგვისტოს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში საქართველოს ეგზარქოსმა ფლაბიანემ (გოროდეციკი), გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე), იმერეთის ეპისკოპოს ბესარიონისა (დადიანი) და გორის ეპისკოპოს ლეონიდეს (ოქროპირიძე) თანამწირველობით ხელი დაასხა ეპისკოპოსად და ლავრდის ეპარქიის მმართველად დანიშნა.

1900 წლის 6 მაისს ეპისკოპოსი კირიონი დაჯილდოვდა წმინდა ანას II ხარისხის ორდენით. ამავე წლის 12 აგვისტოდან კი გორის კათედრაზე იქნა გადაყვანილი. 1902 წლის 10 მარტიდან იგი ბალტსკის ეპისკოპოსია, კამენეც-პოდოლსკის ვიკარიატში, ხოლო ამავე წლის 6 მაისს დაჯილდოვდა წმინდა ვლადიმერის III ხარისხის ორდენით. 1903 წლის 3 მაისიდან ხერსონის, 1904 წლის 24 აპრილიდან ორიოლის, 1906 წლის 3 თებერვლიდან სოხუმის, 1907

წლის 25 იანვრიდან კოვნოს ეპარქიის მმართველია. 1908 წლის 15 თებერვალს პატრიტული მოღვაწეობისთვის რუსეთის ეკლესიის სინოდმა ჩამოართვა მღვდელმთავრის ხარისხი და უანდარმერიის მეთვალყურეობის ქვეშ კურაუის მონასტერში (ხარკოვის ეპარქია), შემდეგ სანაქსირის უდაბნოში (ტამბოვის ეპარქია) და ბოლოს ხერსონის წმინდა ვლადიმერის მონასტერში გადაასახლეს. 1915 წლის 10 იანვარს დაუბრუნეს ხარისხი და დანიშნეს პოლოცკისა და ვიტებსკის ეპარქიაში.

1917 წლის 12 მარტს (ძვ. სტ.) მცხეთის ათორმეტთა მოციქულთა საპატრიარქო ტაძარში მოხდა საქართველოს საეკლესიო ცხოვრების უდიდესი აქტი. ქართველმა მღვდელმთავრებმა, სამღვდელთა კრებულმა და აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქართველობამ თავიანთი წარმომადგენლების პირით გამოაცხადეს საყოველთაოდ, რომ ამიერიდან საქართველოს ეკლესია განაგრძობს თავის ავტოკეფალურ ცხოვრებას, რომლის სვე-ბედს, წინააღმდეგ მსოფლიო კრებათა დადგენილებისა, ასი წლის განმავლობაში განაგებდა რუსეთის თვითმპყრობელობა. საქართველოს ეკლესიის დროებით გამგედ ერთხმად აირჩიეს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე).

ქართული სამღვდელთა ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა, დეპუტაცია გაეგზავნა რუსეთში, ეპისკოპოს კირიონთან, და ეთხოვათ მისთვის სამშობლოში დაბრუნება.

ამ პერიოდში ვიტებსკში მყოფ მეუფე კირიონს რუსეთის ეკლესიის ობერ-პროკურორმა ლვოვმა პეტროგრადისა და ლადოგის ეპარქიის მწყემსთმთავრობა შესთავაზა, რაზედაც მან უარი განაცხადა.

1917 წლის 1 აგვისტოს ეპისკოპოსი კირიონი თავისი თხოვნის საფუძველზე გათავისუფლდა ვიტებსკის ეპარქიიდან და საქართველოში დაბრუნდა. იგი აქტიურად ჩაება მშობლიური ეკლესიის საქმიანობაში. 1917

ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი“ პატარა მეგობრები მონაზონი ანა (ირემაშვილი)



ფოტომატიანე



კირიონ კათალიკოსი ქართველ სტუდენტებთან

წლის 11-17 სექტემბერს გამართულ პირველ საექ-
ლესიო კრებაზე იგი სრულიად საქართველოს კათო-
ლიკოს-პატრიარქად აირჩიეს. ამავე წლის 1 ოქტომ-
ბერს, მცხეთის თორმეტი მოციქულის სახელობის
საპატრიარქო ტაძარში მოხდა მისი ინტრონიზაცია
და ეწოდა სახელად კირიონ II.

1918 წლის 26 ივნისს კათოლიკოს-პატრიარქი
მარტყოფის მონასტერში გაემგზავრა დასასვენებ-
ლად. მეორე დღით, 27 ივნისს, კირიონ II თავის
ოთახში ტყვიით განგმირული ნახეს. მოხდა საზარე-
ლი ამბავი, რაც ერთ-ერთი სისხლიანი და ტრაგიკუ-
ლი ფურცელია საქართველოს ეკლესიის ისტორიაში.
დიდი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ, ეს კი-
დევე ერთი საშინელი დარტყმა იყო ქართველი ერის
სათვის.

კათოლიკოს-პატრიარქის ცხედარი 7 ივლისს სიო-
ნის საკათედრო ტაძარში დიდი პატივით დაკრძალეს.

2002 წლის 17 ოქტომბრის წმინდა სინოდის განჩი-
ნებით უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II წმინდა-

ნად შეირაცხა. ხსენების დღე (10 ივლისი ახ. სტ.)
1918 წლის 26 იანვარს, (ძვ. სტ.) წმინდა მეფე და-
ვით აღმაშენებლის ხსენების დღეს, ქართველ მეც-
ნიერთა და საზოგადო მოღვაწთა დიდი მონდომები-
სა და მეცადინეობის შედეგად გაიხსნა თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი. კათოლიკოს-პატრი-
არქი კირიონი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც მიუ-
ლოცა ეს ღირშესანიშნავი დღე ქართველ საზოგა-
დოებას და ამ დღესთან დაკავშირებით სიტყვაც
წარმოთქვა:

რომელსაც ჩვენი გაზეთის მეორე გვერდზე
ვთავაზობთ

ხელნაერთა ეროვნული ცენტრის საცავიდან



ფსალმუნი H-1665. XVს. მიძიველ მთავარანგელოზის
მიერ ამბაკუმის წაყვანა დანიელის მღვიმეში

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა
ფოტოები, ვთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინყებინებთ ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩუროშვილი

გარეკანზე დავით აღმაშენებლის ხატის ავტორია ამირან გოგლიძე

ბთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაგვიწილი მასალების გამო
გთხოვთ დაგვიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში # 360851555 მფო. 220 101 406
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ-გვერდი: <http://www.patriarchate.ge>
ელ.ფოსტა: sap.uts@post.ge sapatriarcho-press@post.ge
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: თამაზ გაბისონია, ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი),
მარიამ გაგუა, ნინო ვაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე,
გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, დინანსური მენუჯერი:
ელასი ჯიბლაძე, გავრცელება: ილია ბოკუჩავა, დიზაინერი: გოგი ავსაჯანიშვილი
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (ოქროპირიძე) 1861-1921

კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე — ერისკაცობაში ლონგინოზ სოლომონის ძე ოქროპირიძე დაიბადა 1861 წლის 15 თებერვალს, მღვდლის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მამის ზედამხედველობით მიიღო, შემდეგ კი მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც ახალგაზრდა ლონგინოზი მუდამ პირველი იყო სწავლითა და სათნო ხასიათით, ხოლო მასწავლებლებსა და მოსწავლეთა შორის საყვარელ პიროვნებად იყო მიჩნეული. მეგობრები მას კრძალულებისა და ღვთივსათნო ცხოვრებისათვის სასწავლებელშივე „ბერს“ ეძახდნენ. სასულიერო მოღვაწეობის მისწრაფება და სამონაზვნო ცხოვრებისადმი ტრფიალი მას თანდათან ემატებოდა და უძლიერდებოდა. თბილისის სასულიერო სასწავლებლიდან სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში გადავიდა, რომელიც 1884 წლის 2 ივნისს დაამთავრა და ამავე წლის 31 აგვისტოს კიევის სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა. აკადემიაში სწავლის პერიოდში, მეოთხე კურსზე გადასვლისას, ითხოვა მონაზვნად აღკვეცა.

1887 წლის 19 ივნისს აკადემიის რექტორმა, ეპისკოპოსმა სილვესტერმა (მაღვეანსკი) მონაზვნად აღკვეცა იგი და სახელად ლეონიდე უწოდა. ამავე წლის 29 ივნისს დიაკვნად აკურთხეს, ხოლო 1888 წლის 2 მაისს — მღვდლად დაასხეს ხელი. 1888 წლის 14 ივნისს დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია, ღვთისმეტყველების მაგისტრის კანდიდატის ხარისხით და საქართველოში დაბრუნდა. მაშინდელმა ეგზარქოსმა პალადიმ (რაევი) მღვდელმონაზონ ლეონიდეს ძალიან ძნელი და მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა დააკისრა: 1888 წლის 20 ოქტომბრიდან საქართველოს საეგზარქოსო მთიანეთში — საინგილოში, ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთსა და ოსეთში ქრისტიანობის აღმდგენელი კომიტეტის ინსპექტორად განაწესა. თავისი მოღვაწეობის დაწყებისთანავე მან, თავაზიანმა და გულახდილმა მოძღვარმა, დაიხლოვა და გვერდში ამოიყენა ყველა, ვისთანაც კი საქმე უნდა დაეჭირა, გაამხნევა თითქმის სასონარკ-

ვეთილებამდე მისული ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მასწავლებლები, გაულვიდა მონაფეებს ცნობისმოყვარეობა სწავლის მიმართ და მათ მშობლებს ბავშვების ქრისტიანული სარწმუნოებით აღზრდის უპირატესობა და საჭიროება შეაგნებინა. განწესებისას მან ჩაიბარა 25 სასწავლებელი და მტრე ხანში გააორმაგა მათი რიცხვი. მისი მოღვაწეობის შესახებ გაზეთი „ივერია“



წერდა: „ამ თხუთმეტითდე წლის წინ ჩრდილო ოსეთში სულ ათი-თხუთმეტი სკოლა მოიპოვებოდა და ისიც კავკასიაში, ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების ხარჯით აშენებული. მაშინდელი ოსები დიდი ხალისით კი არ გზავნიდნენ თავიანთ შვილებს სკოლაში, არამედ თითქმის საყვედურით. მაგრამ ჩრდილოეთის მხრის ოსებმა სწავლის მნიშვნელობა მალე შეიგნეს, მომეტებულად მას დღეს აქეთ, რაც მათი სკოლების ინსპექტორად დაინიშნა დიდად პატივცემული ეხლანდელი იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე, მაშინ ისევ მღვდელმონაზონი. მათი მეუფება მობრძანდებოდა თუ არა აქაურ სკოლებში, მაშინვე

სოფლის ყრილობას ახდენდა და მცხოვრებთ ტკბილის მოძღვრებით ესაუბრებოდა, თუ სწავლა-განათლებლას რა მნიშვნელობა აქვს... კეთილმა თესლმა კეთილი ნაყოფი გამოიღო და ეს რჩევა-დარიგება უნაყოფოდ არ დარჩა.“

1889 წლის 1 იანვარს ერთგული სამსახურისა და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის საგვერდულით დაჯილდოვდა. ამავე წლის 2 აგვისტოს დაინიშნა საქართველოს საეპარქიო სასწავლებლების კომიტეტის წევრად. 1890 წელს მღვდელ-მონაზონმა ლეონიდემ საინგილოში, სოფელ კახში დააარსა ქალთა სამრევლო-საეკლესიო სკოლა, რაც იმ მხარეში სასიხარულო მოვლენად იქცა. 1892 წელს სოფელ თასმალოში ქრისტიანობაზე მოაქცია 62 სული განდგომილი და მათი მსგავსი ინგილოები. მამა ლეონიდე დიდ ყურადღებას აქცევდა ქართული ენისა და საეკლესიო გალობის საქმეს სასულიერო სემინარიაში, სხვადასხვა სასწავლებლებსა და თბილისის საეპარ-

ქიო დედათა სასწავლებელში. გულმხურვალედ ეპყრობოდა ქართული საეკლესიო გალობის აღდგენის საქმეს.

1892 წლის 15 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა, რომელიც 23 მაისს, სიონის საკათედრო ტაძარში, სულიწმიდის მოფენის სადღესასწაულო წირვის დროს გადაეცა. 1892 წლის 30 ოქტომბერს სასწავლებელში დამსახურებული მოღვაწეობისათვის მღვდელმთავრული მადლობა გამოეცხადა. ამავე წლის 1 ნოემბერს, სიონის საკათედრო ტაძარსაქართველოს ეგზარქოსმა ვლადიმერმა (ბოგოიავლენსკი) ილუმენის წოდება მიანიჭა და ზედაზნის მონასტრის წინამძღვრად განაწესა. 1893 წლის 9-16 აპრილის წმინდა სინოდის ბრძანების საფუძველზე, ხირსის წმიდა სტეფანეს სახელობის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა და ამავე წლის 6 მაისს არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა. 1893 წლის 24 ნოემბერს დაინიშნა აღმოსავლეთ საქართველოს მონასტრების მთავარხუცესად.

1896 წლის 15 მაისს არქიმანდრიტი ლეონიდე დაჯილდოვდა წმიდა ანას III ხარისხის ორდენით. 1896 წლის 24 სექტემბერს კი დაინიშნა ქართული პიბლიის შემსწორებელი კომისიის თავმჯდომარედ. ამავე წლის 7-10 ნოემბრის, წმინდა სინოდის ბრძანების საფუძველზე, გადადგა მთავარხუცესობიდან, ინსპექტორის თანამდებობიდან და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად აირჩიეს.

1897 წლის 14 ივლისს გადაიყვანეს გარეჯის წმიდა იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრად. 1898 წლის 20 მარტს წმიდა სინოდმა საქართველოს საეგზარქოსოს პირველ ქორეპისკოპოსად და გორის ეპარქიის მმართველად გამოარჩიეს. ამავე წლის 19 აპრილს სიონის საკათედრო ტაძარში მოხდა მისი ეპისკოპოსად ხელდასახვა. ქიროტონიის წესი შეასრულეს: საქართველოს ეგზარქოსმა — მთავარეპისკოპოსმა ფლაბიანემ (გოროდეცკი), გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე), ალავერდის ეპისკოპოსმა ბესარიონმა (დადიანი) და ვლადიკავკაზის ეპისკოპოსმა ვლადიმერმა.

ამავე წლის 20 მაისს ეპისკოპოსი ლეონიდე ქართული საღვთისმსახურო წიგნების შემასწორებელი კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა, ხოლო 31 აგ-

ვისტოს სინოდალურ კანტორაში, უშტატო წევრად განაწესეს. 1900 წლის 6 მაისს დაჯილდოვდა წმინდა ანას II ხარისხის ორდენით. 1900 წლის 12 აგვისტოს იმერეთის ეპარქიის მღვდელმთავრად გადაიყვანეს. 1903 წლის 6 მაისს დაჯილდოვდა წმინდა ვლადიმირის III ხარისხის ორდენით. 1907 წლის დეკემბერში ჩააბარეს შიომღვიმის მონასტრის წინამძღვრობა. 1908 წლის 1 თებერვალს დაინიშნა გურია-სამეგრელოს ეპარქიის მმართველად. 1911 წლის 7 დეკემბერს გათავისუფლდა შიომღვიმის მონასტრის წინამძღვრობიდან. 1914 წლის 6 მაისს დაჯილდოვდა წმინდა ანას I ხარისხის ორდენით. 1915 წლის 16 თებერვალს ისევ დაინიშნა შიომღვიმის მონასტრის წინამძღვრად.

1917 წლის თებერვალში რუსეთში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დაემხო ნიკოლოზ II-ის ხელისუფლება. ქართველმა მოწინავე სამღვდელთა ბამ დროულად მიიჩნია ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ყველაზე მეტად აქტიურობდა გორის ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე). მან დაიყოლია მეუფე ლეონიდე გადაედგათ ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი. 1917 წლის 12 მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ეპისკოპოსმა ლეონიდემ, სხვა ქართველ მღვდელმთავრებთან თანამწირველობით შეასრულა საგანგებო წირვა, რომლის დროსაც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია აღდგენილად გა-



**ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი“
ბაგრატიონთა ჯვრისწერაზე
ია ხაზარაძე**



ფოტომატიანე

მოცხადდა.

13 მარტს ეპისკოპოსმა ლეონიდემ საქართველოს ეგზარქოს პლატონს განუცხადა, რომ იგი გათავისუფლებულია თანამდებობიდან და ჩამორთმეული აქვს საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა. 14 მარტს ეპისკოპოს ლეონიდეს თავმჯდომარეობით გაიმართა სამღვდელთა კრება, რომელმაც დაადგინა, რომ სიონის საკათედრო ტაძარში წირვა-ლოცვა ქართულად ჩატარდეს. 1917 წლის 12 აგვისტოს ეპისკოპოსი ლეონიდე აირჩიეს თბილისის კათედრაზე და მეორე დღეს მიენიჭა თბილელი მიტროპოლიტის წოდება. 1917 წლის 8-17 სექტემბრის I საეკლესიო კრებაზე მიტროპოლიტი ლეონიდე 11 ხმით დამარცხდა ეპისკოპოს კირიონთან, რის შემდეგაც საქართველოს-კათოლიკოს პატრიარქად აირჩიეს ეპისკოპოსი კირიონი, კირიონ II-ის სახელით. მიტროპოლიტი ლეონიდე კი თბილელის კათედრაზე დარჩა და წირვა-ლოცვას სიონის საკათედრო ტაძარში აღასრულებდა.



მინდესმა განაცხადა: „მეც იმავე წყლით ვისარგებლებ, რომლითაც ჩემი სულიერი შვილები სარგებლობენო.“ ამან კი გამოიწვია ის, რომ კათოლიკოს-პატრიარქს შავი ჭირი დაემართა და 1921 წლის 11 ივნისს გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია სიონის საპატრიარქო ტაძარში.


ეპისკოპოს ლეონიდეს გამოცემული აქვს ქადაგებათა კრებული. მისი სიტყვანი და მოძღვრებანი იბეჭდებოდა საქართველოში გამომავალ თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთში.

ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე გთავაზობთ მის წარმოთქმულ ქადაგებას 1900 წლის 2 თებერვალს (ძვ. სტ.), მირქმის დღესასწაულზე, თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიაში.

კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის გარდაცვალების შემდეგ მიტროპოლიტი ლეონიდე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს. 1919 წლის 23 თებერვალს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში აღესრულა მისი ინტრონიზაცია.

უნმიდესისა და უნეტარესის ლეონიდეს მმართველობის პერიოდში კომუნისტებმა მოახდინეს საქართველოს ანექსია, რის შემდეგაც ქვეყანა უმძიმეს გასაჭირში ჩავარდა: სურსათის სიმცირეს, სასმელი წყალის ნაკლებობაც ერთვოდა, ხალხს სასმელად ვარგისი წყალი მტკვრიდან ამოჰქონდათ, მორჩილებმა კათოლიკოს-პატრიარქს შესთავაზეს, რომ მისთვის წყალი თბილისიდან მოშორებით მდებარე წყაროდან მოეტანათ, მაგრამ უნ-

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავიდან



ბელათის ოთხთავი 9-908. XIII ს. კეთროვანთა განაშურება

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მარჯარიშვილი

გარეკანზე: თამარ მეფის ფრესკა ვარძიის მონასტრიდან (XII ს.)

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამოცხადებას და ვადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სახალხო ბანკი, კრწანისის მე-2 ფილიალი, ანგარიში # 360851555 მფო. 220 101 406 „საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ-გვერდი: <http://www.patriarchate.ge> ელ.ფოსტა: sap.uts@post.ge sapatriarqo@post.ge მისამართი: ერეკლე II-ს შოედანი #1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე რედაქტორის მოადგილეები: თამაზ გაბისონია, ნანა ბოკუჩავა სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო ვაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მარჯარიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე ფინანსური მენეჯერი: ვლასი ჯიბლაძე, გავრცელება: ილია ბოკუჩავა, დიზაინერი: გოგი ავსაჯანიშვილი დამკვებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

არქიმანდრიტი ნიკოლოზი (ნამორაძე) 1872-1924

არქიმანდრიტი ნიკოლოზი — ერისკაცობაში ნიკოლოზ ზაქარიას ძე ნამორაძე 1872 წელს დუშეთის მაზრის ერთ-ერთ სოფელში, აზნაურის ოჯახში დაიბადა. 1885-89 წლებში თელავის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. 1889-95 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიის სწავლენით. 1895 წელს პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში აგრძელებს სწავლას, რომელიც 1899 წელს ღვთისმეტყველების მაგისტრის კანდიდატის ხარისხით დაამთავრა, დაიცვა რა საკანდიდატო თემა: „საქართველოს საეკლესიო მმართველობა რუსეთთან შეერთებამდე.“



ბოდა საეკლესიო სიძველეთა საცავის წევრად და ერთ დროს ასწავლიდა ქართულ ენას და ანგარიშს ქართველ ქალთა ამხანაგობის სკოლაში. ნივთიერად ხელმოკლე მღვდელ-მონაზონი ქველმოქმედიცაა. მისი ხარჯით იზრდება ორი ღარიბი მონაფე. მამა ნიკოლოზი ლექსების წერის ნიჭსაც არაა მოკლებული. ხასიათით მშვიდი, წყნარი და მშვიდობისმოყვარეა. ზედმინევენით იცის ქართული საერო და სასულიერო მწერლობა. ქართულ ქადაგებათა წარმოქმაც დიდად ეხერხება. ყოვლადსამღვდელო ლეონიდი მალე შემოსავს მას არქიმანდრიტის ხარისხით. მომავალი არქიმანდრიტი ნიკოლოზი, გელათის

საქართველოში დაბრუნებული ნიკოლოზი, 1901 წლის 10 იანვარს თბილისის სასულიერო სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად დაინიშნა. 1902 წლის 1 მარტს საქართველოს ეგზარქოსმა ალექსი I-მა (ოპოცკი) ბერად აღკვეცა და სახელად ისევ ნიკოლოზი უწოდა. მეორე დღეს დიაკვნად აკურთხა, 4 მარტს კი — მღვდლად დაასხა ხელი. 1902 წლის 5 ივლისს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1904 წლის სექტემბერში წმინდა სინოდის ბრძანების საფუძველზე გელათის კლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა და არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა.

მონასტრის წინამძღვარი, მუყაითი, მარჯვე, მხნე, სასარგებლო მოღვაწეობის გულმხურვალე მოყვარულია. ეჭვს გარეშეა, რომ მტკიცე ენერჯიის თავგამოდებას, ბევრი რამ შეუძლიან. ვინ არ იცის, რომ სულის ძალის ნაყოფია კაცობრიობის დღევანდელი წარმატება. იმედია, რომ მომავალი არქიმანდრიტი წრფელის გულით შეიყვარების დავით-თამარის სავანეს, სადაც ამ დიდებულ მეფეთა სული იქცევის და მადლი ისადგურებს. ეცდება ალაყვავოს იგი თვისის მღვდელმთავრის ლეონიდის ლოცვა-კურთხევით და დარიგე-

აი, რას წერს გაზეთ „ივერიის“ 1904 წლის სექტემბრის ერთ-ერთ ნომერში ვინმე პიროვნება — „ილია თეზბიტელი“-ს ფსევდონიმით: „ერთ დროს დიდებული გელათის მონასტერი მოუთმენლად მოელოდა მხნე წინამძღვარს, და აკი კიდევ მიეცა ასეთი წინამძღვარი — რომელიც აღირჩიეს საქართველოს ეგზარქოსმა მაღალყოვლადუსამღვდელოესმა ალექსიმ და იმერეთის მღვდელმთავარმა ლეონიდემ. ეს წინამძღვარია მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი. ერისკაცობაშიაც ნიკოლოზი ერქვა. მისი გვარია ნამორაძე. დღეს ოცდათორმეტი წლისაა. სწავლა დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. მას უკან ქართული ენის მასწავლებლად და გამგეობის წევრად მსახურებდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში. აქ, თბილისშივე ითვლე-

ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი“

გელათი

ლიდია ილონა



ფოტომატიანე

ბით და აღუდგინოს ძველი, ან დაკარგული სახელი და დიდება“.

1906 წლის 31 ივლისს მამა ნიკოლოზი ანტისაეკლესიო და მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის, ასევე რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის, გაათავისუფლეს გელათის მონასტრის წინამძღვრობიდან, აუკრძალეს ღვთისმსახურება და მიუსაჯეს რუსეთში, ხარკოვის ეპარქიის სვიატოგორსკის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის უდაბნოში გადასახლება. არქიმანდრიტი ნიკოლოზი არ დაემორჩილა ამ ბრძანებას, გაიხადა ანაფორა და არალეგალურად ცხოვრობდა თბილისში. თავის ირჩენდა ლიტერატურული შრომით. შეეკედლა სოციალისტ-ფედერაციული გაზეთის რედაქციას. 1908 წლის 28 მაისს რევოლუციით მოკლა საქართველოს ეგზარქოსი ნიკონი (სოფისკი) და იძულებული გახდა სტამბულში გაქცეულიყო.

მამა ნიკოლოზი სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში ცხოვრობდა. მისი იქ ყოფნის პერიოდში, ერთ საინტერესო ფაქტს ჰქონდა ადგილი. 1911 წელს ქართველებზე გაბოროტებულმა ათონის მთის ივერონის მონასტრის ბერძენმა ბერებმა საჩივარი შეიტანეს უმაღლეს მმართველ ორგანოში — პროტატში: „ქართველები არ გვემორჩილებიან და გთხოვთ, მიიღოთ ზომები: ან დაგვიმორჩილეთ, ან განდევნეთ“. საჩივარი სტამბოლში სულთანის კარამდე ჩავიდა. ეს ამბავი იქ მყოფმა არქიმანდრიტმა ნიკოლოზმაც გაიგო. იგი სასწრაფოდ დაუკავშირდა სულთანის კართან დაახლოებულ მუსულმან ქართველებს, გვარად ირემაძეებს და მათი საშუალებით ათონზე გაიგზავნა მოთხოვნა, თავი დაენებებინათ ქართველი ბერებისათვის. მისმა მცდელობამ მცირე ხნით ქართველი ბერები ათონის მთიდან გამოდევნისაგან იხსნა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში, სადაც კვლავ აღუდგინეს მღვდელმსახურება და ხარისხი. არქიმანდრიტი ნიკოლოზი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის I, II და III საეკლესიო კრებებზე. აპირებდნენ მის მღვდელმთავრად კურთხევასაც, რასაც კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II არ დათანხმდა.


1917 წლის 13 ოქტომბრიდან იგი დროებით განა-

გებდა გელათის მონასტერს, 1918-23 წლებში კი — მონამეთას წმინდა დავით და კონსტანტინეს სახელობის მონასტრის წინამძღვარია.

1923 წელს კომუნისტებმა მონამეთას მონასტერი დაარბიეს. წინამძღვარი და ბერები ძალით გამოდევნეს იქიდან. არქიმანდრიტი ნიკოლოზი იქვე, ტყეში დასახლებულა სამოღვაწეოდ.

უცნობია მისი აღსრულების თარიღი და გარემოებანი. 1924 წელს დაწერილ ერთ-ერთ საბუთზე მისი ხელმოწერაა, საიდანაც ცხადი ხდება, რომ იგი ამ დროს ჯერ კიდევ ცოცხალია. ზოგიერთი ძველი თაობის წარმომადგენელთა გადმოცემის თანახმად, იგი ტყეში გარეული ცხოველების მსხვერპლი გახდა.

ხელნაერთა ეროვნული ცენტრის სავაჭიდან



ჯრუჭის II ოთხთავი H-1667. XIII. დღე განკითხვისა

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინყებებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გარეკანზე: თამარ მეფის ფრესკა ვარძიის მონასტრიდან (XII ს.)

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაგაჰფილი მასალების გამოგზობით დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სახალხო ბანკი, კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში # 360851555 მფო. 220 101 406. „საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ-გვერდი: <http://www.patriarchate.ge> ელ-ფოსტა: sap.uts@posta.ge sapatriarqo-press@posta.ge მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე რედაქტორის მოადგილეები: თამაზ გაბისონია, ნანა ბოკუჩავა სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გავოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კურესელიძე ფინანსური მენეჯერი: ელასი ჯიბლაძე, გავრცელება: ილია ბოკუჩავა, დიზაინერი: გოგი ავსაჯანიშვილი დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ულს — შექმნას უკავშირდება. ამასთან, სამყაროს შექმნის კრეაციული მოდელის პრინციპული ნიშანია ბუნებაში არსებული გენეტიკური მრავალფეროვნება ისე, რომ ყველა სახეობა ექვემდებარება ღმერთის ბრძანებას: „განაყოფიერდით და გამრავლდით“.

მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. აზრი გამოთქვეს პროფესორებმა რამაზ გახოკიძემ, მერაბ ახოვაძემ, ნოდარ კეკელიძემ. დამატებით, ადამიანთა რასების თავისებურებებზე ისაუბრა ისტორიკოსმა ოთარ ბალათურიამ, რომელმაც აჩვენა თუ როგორ იქნა მიღებული ადამიანთა სხვადასხვა რასები გარემო პირობების ზეგავლენით ერთი საერთო წყაროდან.

დაჯილდოება

22 თებერვალს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა ნიქოზისა და ცხინვალის სამღვდლოების წარმომადგენლები:

მღვდელი დავითი დურგლიშვილი — ოქროს ჯვრით და მიენიჭა დეკანოზის წოდება;

მღვდელი რაჟდენი კინწური — ოქროს ჯვრით და მიენიჭა დეკანოზის წოდება;

მღვდელი გიორგი დათაშვილი დაჯილდოვდა ოქროს ჯვრის და დეკანოზობის წოდებით კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით ნიქოზის საკათედრო ტაძარში ნირვაზე მიტროპოლიტი ისაიას (ჭანტურიას) მიერ.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუნყება, რომ კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსს, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორეს (ჭუაძეს) გარდაეცვალა მამა — ამირან ჭუაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული ამირანის სული.

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუნყება, რომ საპატრიარქოს ყოფილ თანამშრომლებს ნონა და ირმა ცომაიებს გარდაეცვალათ დედა — ცილა-ელისაბედი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული ელისაბედის სული.

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი

შიო-მღვიმე-მცხეთა (ხსენება შიო მღვიმელისა)

26 თებერვალი; ხუთშაბათი;

გასვლა 8სთ; ფასი 15ლ;

სამთავისი-ატენის სიონი 28 თებერვალი; შაბათი; გასვლა 8:00სთ; ფასი 16 ლ;

ტიმოთესუბანი, სადგერის წმ.გიორგი, მწვანე მონასტერი 1 მარტი;

კვირა; გასვლა 8 სთ; ფასი 19ლ;

ისრაელი წმიდა მინა აღდგომის დღესასწაული-სათვის 16-23 აპრილი;

საბუთების მიღება 20 მარტამდე; ფასი 1500-1600\$;

მომლოცველებს მოემსახურება გიდი

ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე:

„ოქროს საწმისი“, სიონის ქ. 13

„წმიდა კუთხე“ ბახტრიონის ქ. 8

ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძართან არსებული მალაზია, რუსთაველის 9

დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მალაზია, წერეთლის 44

ვაკის სამების ტაძართან არსებული მალაზია, ჭავჭავაძის 37

ავტობუსები გადის რესპუბლიკის მოედნიდან (სასტუმრო „ივერიის“ წინ)

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ: 92 39 78 (11-დან 17 სთ-მდე);

ტელ/ფაქ: 92 39 79

ელ.ფოსტა: პილიგრიმ—church@yahoo.com

(899)33 33 52; 898 26 78 69;

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ანგიოლოგი — 28 თებერვალს, 14.00-15.00 სთ.;

ენდოკრინოლოგი — 28 თებერვალს, 15.00-17.00 სთ.;

ტრავმატოლოგ-ორთოპედი — 1 მარტს, 12.00-14.00 სთ.;

კარდიოლოგი ყოველდღე 12.00-14.00 სთ., შაბათ-კვირის გარდა.

ინფექციონისტი, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით დაგვირეკეთ.

ინფორმაციისთვის დარეკეთ : 8 99 57 65 31

მარხვისათვის.

ქველი ქართული პატერიკიდან

ძმამან ჰკითხა მამასა ქსოიოსს: უკუეთუ ვსუა სამი ჭიქაი ღვინოი, დიდ არს? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ იცი, რომელ ეშმაკი არღარა ცოცხალ არს, არა დიდ არს, ხოლო უკუეთუ ეშმაკი არს-ლა, მამა დიდ არს, რამეთუ ღუინოი ყოვლადვე უცხო არს მონაზვნისაგან.

ერთხელ მივიდა მამა იოვანე მამასახლისი დიდისა

მონასტრისაი მამისა პესიპოისა, რომელსა დაეყო უდაბნოს ორმეოცი წელი, და ჰრქუა მას: ყავ სიყუარული, მამაო, და მითხარ მე, ესეზომითა ამათ ჟამთა უდაბნოსა ყოფასა შინა რაი წარგიმართებია, რამეთუ კაცთაგან არა აღიძრვი? მიუგო და ჰრქუა მას ბერმან: ვინაითგან მონაზონ ვიქმენ მე, მზესა ჭამად არა უხილავ. ჰრქუა მას მამამან იოვანე: არცა მე უხილავ მზესა განრისხებული.

ქრონიკა. ინფორმაცია.

**კათოლიკოს-პატრიარქი შემეცნებით
საუბრაზე ახალგაზრდულ ცენტრში**

10 მარტს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში შემეცნებით საუბრების პროგრამით ახალგაზრდობისთვის ლექცია წაიკითხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

დღეიდან ახალგაზრდულ ცენტრში ეს ტრადიციად დამკვიდრდება და ყოველ სამშაბათს დღის სამ საათზე კათოლიკოს-პატრიარქი შეხვედბა ახალგაზრდებს და სხვადასხვა თემაზე ისაუბრებს.

განცხადება

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (სამების საკათედრო ტაძარი) განახლდა „შემეცნებითი საუბრები“, რომლებიც გაიმართება ყოველდღე 15.00 საათზე, ახალგაზრდული ცენტრის საკონფერენციო დარბაზში. დასწრება თავისუფალია.

ორშაბათი, 16.3.2009.- ისტორია

დიალოგის თემა: „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხები“

საუბარს წარმართავს სასულიერო აცადემია-სემინარიის ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი ერგო ვარდოსანიძე;

სამშაბათი, 17.03.2009.- ღვთისმეტყველება და ფილოსოფია

საუბარს წარმართავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II;

ოთხშაბათი, 18.03.2009.- სოფლის მეურნეობა

დიალოგის თემა: „ბიომეურნეობის თავისებურებანი-ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი“ ასევე ნაჩვენები იქნება თემატური ფილმი.

საუბარს წარმართავს ზურაბ კარბელაშვილი;

ხუთშაბათი, 19.03.2009.- სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ლოცვა-კურთხევით, ეს დღე მღვდელმთავრებს დაეთმობა.

დიალოგის თემა: „წმინდა სამების საიდუმლოების გააზრებისათვის“

საუბარს წარმართავს ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსი: სტეფანე (კალაიჯიშვილი);

პარასკევი, 20.03.2009.- ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა

დიალოგის თემა: ოჯახის დაგეგმვა-სიკვდილის კულტურა;

საუბარს წარმართავს მღვდელი კონსტანტინე გიორგაძე;

კვირა, 21.03.2009.- ფილმის ჩვენება;

გერმანელი რეჟისორის, რეტ ოლსენის ფილმი, საქართველოზე და ქართულ ფოლკლორზე.

დაჯილდოება

8 მარტს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სიონის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი ლავრენტი ბუზიაშვილი მიტრით დააჯილდოვა.

ხელდასხმა

7 მარტს წინონმინდისა და საგარეჯოს ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძემ) წინონმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ დავით ჩეკურაშვილს.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ თანამშრომელს ილია ძულიაშვილს გარდაეცვალა მამა — ბონდო ძულიაშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული ბონდოს სული.

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს ყოფილ თანამშრომელს ნინო მგალობლისვილს გარდაეცვალა მამა — გურამ მგალობლიშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული გურამის სული.

განცხადება

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრისა და საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანიზებით 11 მარტს, 17 საათზე, ახალგაზრდული ცენტრის მოენყობა გაზეთ „ცისკრის“ - 145 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო.

განცხადება

საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი, ახალგაზრდა შემოქმედთა საღამოების მოსაწყობად ინვეს ახალგაზრდა შემოქმედებს 15-დან 35 წლამდე.

მსურველები დაგვიკავშირდით მისამართზე:

ულთან დაკავშირებით. ამჟამად ინდულგენციების მინიჭება აქტიურად მიმდინარეობს „მოციქულ პავლეს წლის“ გამო, რომელსაც რომი ამა წლის ივნი-სამდე აღნიშნავს.

მალაიზიაში ქრისტიანებს სიტყვა „ალაჰის“ დაბეჭდვის უფლება მიეცათ

მალაიზიაში ყოველკვირეული კათოლიკური გაზეთი „ჰერალდს“ უფლება მიეცა თავის სტატიებში იხმაროს სიტყვა „ალაჰი“, რომელიც მალაურ ენაზე ღმერთს აღნიშნავს. საქმე ისაა, რომ ადრე ამ გამოცემას მთავრობის მიერ აკრძალა ამ სიტყვის ქრისტიანული შინაარსის სტატიებში გამოყენება, რადგან ასეთი საქციელი მუსლიმი მოსახლეობის პროტესტს იწვევდა. მაგრამ სასამართლოს საბოლოო ვერდიქტით ეს აკრძალვა გაუქმდა. მალაიზიის მოსახლეობის 60%-ს მუსლიმები შეადგენენ. დანარჩენი მოსახლეობა ძირითადად ქრისტიანები და ბუდისტები არიან.

ერთ-ერთი ინგლისური ტაძრის ზარი ლენონის მელოდიას ღარკავს

ინგლისში, ლივერპულის ერთ-ერთი ეკლესიის (საინფორმაციო ცნობაში დენომინაცია არაა მინიშნებული) ზარები მალე ამ ქალაქის ცნობილი მუსიკალური ჯგუფის „ბითლზის“ ერთ-ერთი ნეკრის

ჯონ ლენონის სიმღერა „იმეჯინის“ მელოდიას დაუკრავს. ეს გადაწყვეტილება დიდ ბრიტანეთში გაორებულ რეაქციას იწვევს: პაციფისტური მოძრაობის ჰიმნად ქცეული ამ სიმღერის სიტყვებში ათეისტური შინაარსის ფრაზაა.

კვიპროსის ეკლესია თურქეთს ტაძრებისადმი უპატივცემლობას უჩივის

კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლი მთავარეპისკოპოსი ქრიზოსტომოს II აპირებს ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში სარჩელი შეიტანოს თურქეთის წინააღმდეგ. საქმე ისაა, რომ კვიპროსის ეკლესიის მიერ გამოქვეყნებული პრეს-რელიზის თანახმად, ამ კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში განლაგებული 522 ბერძნული მართლმადიდებლური ტაძარი თურქეთის მხარის მიერ მეჩეთებად ან თავლებად, ლამის კლუბებად და მორგებადაა გადაკეთებული.

კვიპროსი 1974 წლიდან ნაციონალური ნიშნით ორ ნაწილადაა გაყოფილი. ამ დროიდან თურქეთის მიერ კუნძულის ჩრდილოეთი ნაწილია დაკავებული. ამჯერად მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რომელთა შედეგად შესაძლოა გამოიკვეთოს ქვეყნის გამთლიანების პერსპექტივა.

ფოტომატიანე

მღვდელი არსენ კვირკველია 1887-1980

მღვდელი არსენი 1887 წელს სამეგრელოში, სოფელ გარახში, მღვდლის ანდრია კვირკველიას ოჯახში დაიბადა. ჭეშმარიტ ქრისტიანულ გარემოში მყოფი, ბავშობიდანვე მართლმადიდებელი ეკლესიის სულისკვეთებით იზრდებოდა.

დაამთავრა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ კი XX ს-ის დასაწყისში თბილისის სასულიერო სემინარია. სასწავლებელში ყოფნის პერიოდს მამა არსენი სიჭარმაგეში ტკბილად იგონებდა.

XX საუკუნის 10-იან წლების ბოლოს მამა არსენს დიაკვნად და მღვდლად დაასხეს ხელი და გარახის წმინდა გიორგის სა-



ხელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. მისი მსახურების დასაწყისი დაემთხვა მკაცრი რეაქციის პერიოდს, 20-იანი წლები მძიმე ხანა იყო საქართველოს ისტორიაში, ერს ტკივილიანი საცდური მოეძალა. როგორც სხვაგან, სოფელ გარახის ეკლესიაც დაკეტეს — კლუბად გადააკეთეს, ხატები წაიღეს.

თანამედროვეთა გადმოცემით, ვერცხლის ჯამები ჩხორონწყუს მილიციამ ჩაიბარა. ზარი სახანძრო ნაწილისათვის გადაუციათ, ქრისტიანები კი იდევენბოდნენ.

ამ წლებმა კიდევ უფრო განამტკიცა და სულიერად გაამდიდრა მამა არსენი, ამდენი განსაცდელისა და გაჭირვების

ფოტომატიანე

დათმენამ თავისი ნაყოფი გამოიღო, როცა უკეთურმა ჟამმა გადაიარა. მას აიძულებდნენ გაეკრიჭა წვერი, თავი დაენებებინა ღვთისმსახურებისათვის, მაგრამ ის თავისი რწმენის, უფლისადმი სიყვარულის ერთგული დარჩა.

XX საუკუნის ბოლო მეოთხედში, 1978 წლის ივლისში, უფლის ნებით, იგი ისევ შეიმოსა მღვდელმსახურის სამოსით. დოკუმენტში ვკითხულობთ: „მღვდელ არსენ კვიციანიას! მცხოვრებს — ჩხორონყუს რაიონი, სოფელ ზედა გარახში, გაძლევთ ლოცვა-კურთხევას, რომ ძალისაებრ შენისა, შეასრულო ყოველგვარი მღვდელმოქმედება, რისი შესრულებაც ჯერ არს მღვდლისაგან, დღევანდელი დღიდან — 9. VII. 1978 წელი. იოანე ყყონდიდელი ეპისკოპოსი“.

ჭეშმარიტად სასიხარულო იყო საუკუნეს მიღწეული მხცოვანი მღვდლის შეხვედრა სენაკის სამღვდელმთავრო სახლში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უნმინდესსა და უნეტარეს ილია მეორესთან.

კათოლიკოს-პატრიარქმა დიდი სიყვარულით მიიღო მამა არსენი, მასთან საუბრისას უნმინდესს აღუნიშნავს: „ახლა რა ბრწყინვალედ გალობ და წარმომიდგენია შენი ადრინდელი ეკლესიაში მსახურებაო“.

იმ დღიდან ჩხორონყუელებს შესაძლებლობა

ჰქონდათ სახლში მისულიყვენენ მოძღვართან, რომელიც უშურველად აღასრულებდა ნათლობის საიდუმლოს, წესის აგებას.

მამა არსენს მეუღლე ადრე გარდაეცვალა. ჰყავდა ორი ტყუპი შვილი — ბორისი და გლები. ორივე გარდაცვლილები არიან. გლების 6 ვაჟიშვილი დარჩა. ყველა დაოჯახებულია. უფროსს იერონიმე ჰქვია. ბორისს 2 შვილი დარჩა. მამა არსენის შვილიშვილები, შვილთაშვილები პატიოსნებით, უფლისადმი სიყვარულით გამოირჩევიან.

მღვდელი არსენი გამოირჩეოდა თავმდაბლობით, უფლისადმი ღრმა სიყვარულით. განსაკუთრებით უყვარდა პატარებთან საუბარი. ურიგებდა მათ ხურდა ფულს, ხშირად ლოცავდა.

მღვდელი არსენი 1980 წლის 7 მარტს აღესრულა. დაკრძალულია გარახის უბნის ცენტრალურ სასაფლაოზე.

ინფორმაციის მონოდებისთვის
მადლობას ვუხდით ზაურ ჯალალონიას
და ვახტანგ მამფორიას.

ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი“ მზადება ზიარებისთვის პაატა ჩუბინიძე



„საპატრიარქოს უწყებანი“
გამოაქვეყნებს რელიგიური
დანიშნულებისა და ხასიათის
რეკლამასა და განცხადებებს.
ტელ: 989541, 893181000

„საპატრიარქოს უწყებანი“
სათანამშრომლოდ იწვევს
ყურნალისტებს.
ტელ: 989541, 893181000

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინყებთგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ დაეალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი, კრწანისის მე-2 ფილიალი, ანგარიში # 360851555 მფო. 220 101 406
„საპატრიარქოს უწყებანი“ ვებ-გვერდი: <http://www.patriarchate.ge>
ელ.ფოსტა: sap.uts@posta.ge sapatriarqo-press@posta.ge
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: თამაზ გაბისონია, ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი),
შარიამ გაგუა, ნინო ვაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე,
გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე ფინანსური მენეჯერი:
ვლასი ჯიბლაძე, გავრცელება: ილია ბოკუჩავა, დი ზაინერი: გოგი ავსაჯანიშვილი
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ცემული თემების მიხედვით. თემები შევიძლიათ იხილოთ ვებ გვერდზე www.axalgazrdoba.ge ან მობრძანდეთ ახალგაზრდულ ცენტრში

განაცხადები მიიღება 2009 წლის 20 მაისამდე, ყოველ დღე 14-დან 18სთ-მდე

მისამართი: ელიას მთა, სამეზობლო საკათედრო ტაძარს, სპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის კლიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი

ტელ: 822 45 92 72; 855 10 51 01; 898 42 56 86

განცხადება

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (სამეზობლო საკათედრო ტაძარი) ყოველდღე 15.00-საათზე, იმართება „შემეცნებითი საუბრები“. დასწრება თავისუფალია.

ორშაბათი, 23.03.09 — ისტორია თემა: „საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაცია 1921 წელს.“

საუბარს წარმოეთავს: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ოთარ ჯანელიძე.

სამშაბათი, 24.03.09 — ღვთისმეტყველება და ფილოსოფია.

საუბარს წარმოეთავს: სრულიად საქართველოს კათოლიკოს — პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

ოთხშაბათი, 25.03.09 — კულტურა და ხელოვნება.

თემა: „სიმბოლიკა მხატვრობაში“

საუბარს წარმოეთავს: ემირ ბურჯანაძე.

ხუთშაბათი, 26.03.09 — მღვდელმთავრის დღე

თემა: „ეკლესია და ეროვნული იდენტობა“

საუბარს წარმოეთავს: მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე).

პარასკევი, 27.03.09 თემა: „ოჯახური უთანხმოების მიზეზები“

საუბარს წარმოეთავს ფსიქოლოგი ნინო (კანდელაკი).

კვირა, 29.03.09 კახაბერ იმნაიშვილის ფილმის „უფლის ჯარისკაცები“ — ჩვენება და განხილვა.

დაჯილდოება

15 მარტს თბილისს ყოვლადწმინდა სამეზობლო საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა:

— დეკანოზი ბესარიონ მენაბდე — გამშვენიებული ჯვრით და მიტრით და

— დეკანოზი ალექსანდრე ბოლქვაძე — მიტრით.

ხელდასხმა

8 მარტს რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში ცურტავის ეპისკოპოსმა იოანემ (გამრეკელმა) დიაკვნად აკურთხა

თბილისის ყოვლადწმინდა სამეზობლო სახელობის საპატრიარქო ლავრის ბერი ანდრია (სილაგაძე).

8 მარტს ნინონმიდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინონმიდისა ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძემ) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის თაბორის მთის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მონასტრის ბერ-დიკონ ნათანაელს (მდივანს) და დიაკვნად აკურთხა საქართველოს საპატრიარქოს რეზიდენციის ბერი ვახტანგი (ლიპარტელიანი).

15 მარტს რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში ცურტავის ეპისკოპოსმა იოანემ (გამრეკელმა) დიაკვნად აკურთხა ბერი ნერსე (სამხარაძე).

ბერ-დიაკონი ნერსე კოჯორში იმსახურებს.

ალკვეცა

10 მარტს თბილისის ყოვლადწმინდა სამეზობლო სახელობის საპატრიარქო ლავრაში არქიმანდრიტმა ილიამ (ნასიძე) ბერად ალკვეცა მორჩილი გიორგი ბერაძე და სახელად გრიგოლი უწოდა.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ 14 მარტს გარდაიცვალა თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის დედათა მონასტრის მონაზონი თეოდორა (მათიაშვილი).

17 მარტს დედა თეოდორა მარტყოფის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში დაასაფლავეს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადმესვენებული მონაზონის თეოდორას სული.

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი

ზედაზენი-მცხეთა 21 მარტი; შაბათი; გასვლა 8სთ; ფასი 12 ლ;

ალავერდი-იყალთო-შუამთა 22 მარტი; კვირა; გასვლა 8 საათზე; ფასი 18 ლ;

ისრაელი წმიდა მინა აღდგომის დღესასწაულისათვის 16-22 აპრილი;

საბუთების მიღება 20 მარტამდე; ფასი 1500-1600\$;

იტალია (ნიკოლოზობის დღესასწაულისათვის) 19-28 მაისი;

ფასი 1600-1700€; საბუთების მიღება 20 აპრილამდე;

მომლოცველებს მოემსახურება გიდი

ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე:

„ოქროს სანძისი“, სიონის ქ. 13

„წმიდა კუთხე“ ბახტრიონის ქ. 8

ფოტომატიკა

ეპისკოპოსი ბართლომე (ჩიჩუა) 1804-1864

ეპისკოპოსი ბართლომე — ერისკაცობაში ბესარიონ ხახუს ძე ჩიჩუა — 1804 წელს სამეგრელოში, თავადის ოჯახში დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. 1820 წლიდან ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტერში მიაბარეს, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა საღმრთო წერილი, წერა-კითხვა, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი. 1834-36 წლებში ჯრუჭის წმინდა გიორგის სახელობის მონასტრის მორჩილია. 1836 წლიდან ისევ ხობის მონასტერშია.

1837 წლის 30 დეკემბერს სამეგრელოს მთავარი ლევან დიანი სამეგრელოს ეპისკოპოსს გიორგის (კუხალაშვილს) წერს: „გარდაცვალებულის თავადისა ჩემისა ხახუ ჩიჩუას ძე, მორჩილებასა შინა მყოფი ბესარიონ ჩიჩუა შემოვიდა რა ჩემთან თხოვნითა თვისითა და განმიცხადა რა, რომელ წრფელისა სურვილისა გამო თვისისა მეთექვსმეტესა წელსა შობიდან თვისისა შესულა მორჩილებასა შინა და დაუყვიეს მას შინა თოთხმეტი წელი. მთხოვა ნების მიცემა და წარწერა ვისდამიცა ჯერ არს აღკვეცად და ხელდასხმად მისსა, ადგილსა მყოფოს ხოფის მონასტერსსა შინა მღვდელ-მონაზონის თომასსა. ვითარისა თხოვნისა გამო, ვითხოვ რა მორჩილისა ბესარიონ ჩიჩუას საეროს ცხოვრებისაგან, ვაძლევ მას ამით ნებას შესვლად შავსა სასულიერო წოდებასა შინა და თქვენ წარმოგიგზავნი რა არზასა მისსა, მოგიწერ უკეთუ სასულიეროს მხრით დაბრკოლება არა ნახო რა მას შინა, მაშინ წარადგინო, სადაცა ჯერ არს სია ნამსახურებათა მისისა და გამოითხოვო მისთვის აღკვეცა ბერობისა სქემისა და კურთხევა დიაკონობისა და მღვდელ-მონაზონობისა“.



1840 წლის 31 დეკემბერს მარტვილის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში სამეგრელოს ეპისკოპოსმა გიორგიმ (კუხალაშვილმა) მორჩილი ბესარიონი ბერად აღკვეცა და სახელად ბართლომე უწოდა. 1841 წლის 30 მარტს კი დიაკვნად აკურთხა. 1846 წლის 1 ოქტომბერს ეპისკოპოსმა ანტონმა (დადიანმა) მღვდლად დაასხა ხელი. 1854 წლის 1 აგვისტოს ცაგერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა და იღუმენის წოდება მიენიჭა. 1857 წლის 7 მარტს ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად გადაიყვანეს და არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა.

1863 წლის 1 იანვარს თბილისის სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში საქართველოს ეგზარქოსმა ევსევიმ (ილინსკი), გო-

რის ეპისკოპოსმა გერონტიმ (პაპიტაშვილმა) და იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძემ) ეპისკოპოსად დაასხეს ხელი და სამეგრელოს ეპარქიის მმართველად დაინიშნა.

1863 წლის 22 იანვარს მეუფე ბართლომემ პირველი სამღვდელმთავრო წირვა აღასრულა მარტვილის საკათედრო ტაძარში, სადაც მას ეპისკოპოსად ხელდასხმა სამღვდელოების სახელით დეკანოზმა ლუკა განერელიამ მიულოცა: „ყოვლადუსამღვდელოესო მეუფეო! სახარულევეანი შემთხვევა, რომელსაცა მოელოდა კათედრა ესე, სრულ იქმნა სანუგეშოდ სამეგრელოს საზოგადოებათა. დაუსაბამომან განგებულებამან ღვთისამან, კეთილ-მნებებელობითა ყოვლად მოწყალისა ხელმწიფისა ჩვენისათა, აღმოგირჩიათ თქვენ, სამეგრელოს შვილი, მწყემსმთავრად მისვე მინგრელიის ეპარქიისა. ჩვენ ვსასოებთ, რომელ მმართველობა და მწყევა თქვენი ამა ეპარქიასა შინა იქმნებთან კეთილნი და ნაყოფიერნი, ვითარცა ძველთა მღვდელმთავართა, ჩვენთა მემამულეთა, რომელნიცა, შეძლებისაებრ მათისა, ფრიად მეცადინეობდნენ განმტკიცებისათვის ყოვლისა ქრისტიანობრივისა წესისა სამეგრელოს შინა.“

მოწყალეო მწყემსმთავრო! სამღვდელონი მენგრელიისა შეესწირავთ დიდსა მადლობასა და თაყვანისცემასა მამასა ზეცათასა, და ვილოცავთ ყოვლად მოწყალისა ხელმწიფისა ჩვენისათვის მონიჭებისათვის ჩვენდა ესრეთისა მწყემსმთავრისა. ჩვენ ყოველნი სულიერითა სიხარულითა ვისწრაფით მიგებებად თქვენდა, ვითარცა ახლისა მწყემსმთავრისა ჩვენისა, და მოგილოცავთ მღვდელმთავრობასა და აღსვლასა მარტვილის კათედრასა ზედა. წარმართნეს უფალმან მამობრივნი მზრუნველობანი თქვენნი მენგრელიას შინა, და გყოს მრავალჟამიერ სანუგეშოდ და სასიხარულოდ ჩვენდა, კეთილ-საიმედოთა სკიტათა და სამწყსოთა თქვენთა, და სადიდებელად ღვთისა და სასარგებლოდ ეკლესიისა და მამულისა! გვაკურთხენ ყოვლადუსამღვდელოესო მეუფეო, დიდითა მით კურთხევითა თქვენითა“.

სამწუხაროდ, ეპისკოპოს ბართლომეს არ დასცალდა ეპარქიის დიდი ხნით გაძლოლა, იგი 1864 წლის 15 დეკემბერს გარდაიცვალა.

მეუფე ბართლომეს ნეკროლოგი დაიბეჭდა მაშინ გამოცემულ ქართულ ჟურნალში „საქართველოს სასულიერო მახარებელში“ — „15 დეკემბერს 1864-სა წელსა, მიიცვალა მარტვილს (მინგრელიაში), შემდგომად სამის დღის ავადმყოფობისა, ყოვლადსამღვდელო ბესარიონ (ნეკროლოგში ყველგან იხსენიება ერისკაცობის სახე-

ფოტომატიანე

ლით გ. მ.) ეპისკოპოსი მინგრელიისა, 54-სა წლისა შობიდან (შეცდომაა, გარდაიცვალა 60 წლის გ. მ.) — მსახურება მისი ქრისტეს ეკლესიისა, ეპისკოპოსობის ხარისხში, იყო მოკლე დროებითი, ესე იგი — ორი წლის ნაკლებ, მაგრამ ხსენება მისი სასიამოვნოა ყოველთა ნაცნობთა მისათვის, და უმეტესად მინგრელიის ეპარქიისათვის, რომლისაცა იყო იგი ფრიად საყუარელი მწყემსი.

ყოვლად-სამღვდლო ბესარიონ, გვაროვნებით სამეგრელოს თავადთაგანი ჩიჩუა, არქიმანდრიტობის ხარისხში იმყოფებოდა ხობის მონასტრის წინამძღვრად, რომელიცა არის სამეგრელოში. მღვდელმთავრად ხელდასხმულ იქნა 1 იანვარს 1863-სა წელსა. სწავლა-განათლება არ მიუღია მას უმაღლეს სასწავლებელში, არამედ აღიზარდა თავის სახლში და მონასტერში, მაგრამ კარგად იცოდა მან ყოველივე წესი სამწყსოს მართვისა მწყემსობრივი გონიერებით და განმხილველობით, სიყვარულით და სიმშვიდით. ესრეთითა თვისებითა მალე მოიპოვა მან მთელს სამეგრელოში სიყვარული და პატივისცემა. მზაკვრობა და ბოროტება, პირმოთნეობა და პირ-მხედველობა, ქრთამის-მოყვარება და დიდების-მოყვარება, ამპარტანება და უდრეკელობა, ანუ უდიარობა, სისწრაფე და დაუფიქრებლობა, რაიცა შეემთხვევათ ზოგიერთს დიდკაცებს და მწყემსმთავრებსაც — ყოვლადსამღვდლო ბესარიონში სრულიად არ იპოებოდა, ანუ არა ჩანდა, და გულთა მხილველი ღმერთი არს, ამისთვის მთავრობასა და გარეშე პირთაცა აქუნდათ მას ზედა

ძლიერ კეთილი აზრი, და უწოდებდნენ მას ფრიად კეთილ-გონიერ მწყემსმთავრად რიცხვთა შორის საქართველოს ეკლესიების მღვდელმთავართა. შესახებულად ჩვენისა რედაქციისა სიმართლე ითხოვს ვახსენოთ, რომ შემდგომად მაღალყოვლადუსამღვდლოესისა ეგზარქოსისა, ყოვლადსამღვდლო ბესარიონმა აღმოგვიჩინა ჩვენ დიდი შემწეობა განსამრავლებელად ჩვენისა ჟურნალისა თავის ეპარქიაში, და კიდევ აღგვითქვა მომეტებული შემწეობა, მაგრამ იყავნ ნება ღვთისა!

საკვირველი საქმეა! პირველ იანვარს 1863-სა წელსა ჩვენ მივულოცეთ ყოვლადსამღვდლო ბესარიონს ახალი წელი, ახალი ხარისხი და ახალი ბედნიერება, და ვისურვეთ მისთვის ყოველი კეთილი, და იანვარში 1865-სა წელსა მოგვიხდა ჩვენ გამოცხადება მისი სიკვდილისა. სჩანს, რომ ის არ ყოფილა დიდად მოსურნე ქვეყნიერის ბედნიერებისა, არამედ ყოველი აზრი და ფიქრი ჰქონია მიქცეული ზეცად „სათნო ეყო უფალსა სული მისი. ამისთვის აღიტაცა იგი შორის უკეთურებისა, რათა არა ბოროტებამან შესცვალოს გული მისი, ანუ მზაკვარებამან აცთუნოს სული მისი“... განუსვენოს უფალმან სულსა ამა კეთილისა მწყემსმთავრისა საყოფელსა შინა მართალთასა, ადგილსა განსასვენებელსა! და იყავნ სტრიქონნი ესე სახსენებელად მისისა კეთილ-მმართველობისა და კეთილ-მზრუნველობისა ქრისტეს ეკლესიისათვის, და სამომხებელად ჭეშმარიტისა ჩვენისა პატივისცემისა მისდა მიმართ!“

მომზადა
გიორგი მაჩურიშვილმა

**გაზეთის გარეკანზე: დიდი დაფარნა.
ავტორები: მანანა გოგავა
და ელენე ყაყიტაშვილი**

**„საპატრიარქოს უწყებანი“
გამოაქვეყნებს რელიგიური
დანიშნულებისა და ხასიათის
რეკლამასა და განცხადებებს.
ტელ: 989541, 893181000**

**„საპატრიარქოს უწყებანი“
სათანამშრომლოდ იწვევს
ჟურნალისტებს.
ტელ: 989541, 893181000**

ფოტოგამოფენა „თვალსანიერი“ ანანურში რეტლავ სნელასი



თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინყებინებინოთ ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

ბთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ დავალანება ვადიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი, კრწანისის მე-2 ფილიალი, ანგარიში # 360851555 მფო. 220 101 406
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ-გვერდი: <http://www.patriarchate.ge>
ელ.ფოსტა: sap.uts@posta.ge sapatriarcho-press@posta.ge
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: თამაზ გაბისონია, ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მოილაშვილი),
მარიამ გაგუა, ნინო ვაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე,
გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე ფინანსური მენეჯერი:
ვლასი ჯიბლაძე, გავრცელება: ილია ბოკუჩავა, დი ზაინერი; გოგი ავსაჯანიშვილი
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

29 მარტს წმინდა ამბროსი აღმსარებლის ხსენების დღეს მონასტერში ჩატარდება საზეიმო ნირვალოცვა.

ლოცვა — შაბათს: 17.00 საათზე.

ნირვა — კვირას: 10.00 საათზე.

კვირას, 8.30 საათზე, გადასასვლელ ხიდთან მდებარე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიიდან გავა ავტობუსები.

ალკვეცა

21 მარტს, ჯვართამაღლების სადღესასწაულო ღოცვაზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ღოცვა-კურთხევით, სამთავროს დედათა მონასტერში ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძემ) მონაზვნად აღკვეცა საპატრიარქოს მორჩილები და სამთავროს მონასტრის მკვიდრნი;

საპატრიარქოდან:

მორჩილი ლიდია ჯანიაშვილი — უწოდა მონაზონი ელენე,

მორჩილი ქეთევან შელია — უწოდა მონაზონი ელისაბედი,

მორჩილი ნინო ბიბილეიშვილი — უწოდა მონაზონი თამარი,

მორჩილი თინათინ ჭილაძე — უწოდა მონაზონი მარინე,

მორჩილი მარიამ მუშკუდიანი — უწოდა მონაზონი ეკატერინე,

სამთავროს მონასტრიდან:

სამონაზვნე თამარი (ჭანკვეტაძე) — უწოდა მონაზონი ანა,

სამონაზვნე ნესტან სამხარაძე — უწოდა მონაზონი ნინო,

სამონაზვნე თომაიდა ფირანიშვილი — უწოდა მონაზონი სალომე,

სამონაზვნე ვალენტინა სასანია — უწოდა მონაზონი ევდოკია,

სამონაზვნე ემილია ბესკარავიანი — უწოდა მონაზონი ევგენია.

21 მარტს, ჯვართამაღლების სადღესასწაულო ღოცვაზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ღოცვა-კურთხევით, სამთავროს დედათა მონასტერში არქიმანდრიტმა ლაზარემ (გაგნიძემ) სამონაზვნეებად და მორჩილებად აკურთხა მონასტრის მკვიდრნი;

სამონაზვნეებად აკურთხა:

მორჩილი ასმათ ასათიანი — უწოდა სამონაზვნე

მარიამი,

მორჩილი ვერონიკა არჩვაძე — უწოდა სამონაზვნე მაკრინე,

მორჩილი აგრაფინა მეფარიძე — უწოდა სამონაზვნე მართა,

მორჩილი ნინო სირბილაძე — უწოდა სამონაზვნე მელანია,

მორჩილი შორენა ჰაპავა — უწოდა სამონაზვნე თეოდულა,

მორჩილი ნადეჟდა ხუბუნიანიშვილი — უწოდა სამონაზვნე მინადორა,

მორჩილი გულნარა ძაგანია — უწოდა სამონაზვნე პელაგია,

მორჩილი სოფიო გურული — უწოდა სამონაზვნე ევფროსინე,

მორჩილებად აკურთხა:

ნინო მესხი,

მარიამ იაკობიძე,

თინათინ გუგუშაშვილი,

თამარ როსტიაშვილი.

ხელდასხმა

14 მარტს გურჯაანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტერში, გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (ლეჟავამ) დიაკვნად აკურთხა გელათის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული გოჩა ჩიტციძე.

დიაკონი გოჩა თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

ფილმი ქართული სიმღერის შესახებ

ფილმის „საქართველო და ქართული ფოლკლორი“ პირველი ჩვენება, რომელიც 2005 წელს გერმანელმა რეჟისორმა რეტ ოლსენმა გადაიღო, 2006 წელს მოენყო კინოთეატრ „ამირანში“. ამჯერად კი კვირას, 21 მარტს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში ფილმი წარადგინა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტმა თემურ ხვედელიძემ. ფილმში მონაწილეობენ ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები: „ლაშარი“, „შინი“, „თუთარჩელა“, „გეორგიკა“.

ფილმში ანსამბლი „ლაშარი“ მოგზაურობს ზემო სვანეთში, სტუმრობს მარგვლიანების ოჯახს. „სვანეთი იმიტომ ავირჩიე, რომ, როცა აქ მოვდივარ, მგონია წინა საუკუნეებში ვბრუნდები, აქ ტრადიციები ძალიან ღრმაა. საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ წინა საუკუნეების ხმები მოგვასმენინონ, მათ შემოგვინახეს უნიკალური განძი“ — ამბობს „ლაშარის“ ხელმძღ-

როსად ახალქალაქში, ახალციხეში, გორში და ბაკურიანში, დააპატიმრეს თავის ძმასთან, შალვასთან ერთად. გადაურჩა დახვრეტას და დაბრუნდა სამშობლოში).

ამ დროსვე დაიწყო მისი თანამშრომლობა გაზეთ „ივერიაში“, სადაც გამოაქვეყნა ტოლათსოფელში ჩანერილი ხევსურული ლექსები. რამდენიმე წლის შემდეგ მშობლების თხოვნით იგი თავის მშობლიურ კუთხეში დაბრუნდა და სოფელ მუსხში დაბინავდა. აქ ვასილმა გაკრძო თავისი აქტიური თანამშრომლობა ქართულ პრესასთან. მან გადანყვიტა კალმით გამოეხატა ქართველი საზოგადოებისათვის იმ დროისათვის ნაკლებად ნაცნობი თავისი კუთხის ყოფა-ცხოვრება. ვაჟა-ფშაველას, ნ. ხიზანიშვილის და სხვების ეთნოგრაფიული წერილებით ნახალისებულმა, მან 1889 წელს „ივერიაში“ დაბეჭდა საინტერესო ფელეტონი, „ყვენობა ჯავახეთში და ზოგიერთი ცრუმორწმუნეობა ქართველებისა“. აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა ქართველთა წარმართობის საკულტო ნეს-ჩვეულებების შესწავლისას სათანადოდ გამოიყენა მამა ვასილ კოპტონაშვილის მიერ ამ წერილში გამოყენებული მასალები. მამა ვასილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე წერილები: „შენიშვნები ახალციხის მაზრის ქართველთა შესახებ და „ახალი ლის დღესასწაული ჯავახეთში“ და სხვა.

მამა ვასილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჯავახეთში უხვად არსებულ ნასოფლარებს. მან აღწერა და გამოაქვეყნა მასალები სირგვისა და მურჯის უძველეს ნასოფლართა შესახებ. მის მიერ შეკრებილი სიტყვიერების ნიმუშებიდან აღსანიშნავია „ლეგენდა რუსთველისა და შოთა რუსთველის სამშობლოს შესახებ“, „ომალ ხან ჩოფანი“, „ერეკლე ხანი“ და სხვა. მამა ვასილი მხატვრულ ნაწარმოებებსაც აქვეყნებდა,



მამა მასილი შვილთან — დავითთან ერთად 1912წ.

ნებდა, მათ შორის ყურადღებას იპყრობს „მოთხრობა ჯავახეთის ცხოვრებიდან“, „აღდგომა დღეს“, „კაკო დიაკონი“. მას ასევე დაწერილი აქვს ვრცელი ბიოგრაფია ვაჟა-ფშაველაზე და ილია ალხაზიშვილზე.

აი, რას წერდა გაზეთი „ივერია“ 1890 წლის №130-ეში: „ახალციხის მაზრაში სოფელ მუსხში ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ დაარსა სკოლა. სკოლის მასწავლებლად დაინიშნა ნიჭიერი ახალგაზრდა ვასილ კოპტონაშვილი. „ივერიის“ მკითხველები და მისი რედაქტორი ილია ქავჭავაძე კარგად იცნობენ ჯავახეთის მაშინდელ მიყრუებულ სოფელში დაბადებულსა და გაზრდილ გლეხ-ჭაბუკს, რომელიც საზოგადოებრივი მოღვაწეობის კეთილშობილურ გზას დაადგა და მიზნად თავისი ბეჩავი, ჩამორჩენილი კუთხისათვის სარგებლობის მოტანა დაისახა. ჯერ კიდევ 1888 წლიდან მან საინტერესო კორესპოდენციების გამოქვეყნება დაიწყო გაზეთის ფურცლებზე. მისი სტატიები მრავალ საკითხს ეხებოდა, უმთავრესად კი, ხალხის სადღეისო ჭირ-ვარამს, მის ყოფა-ცხოვრებასა და ისტორიულ წარსულს, მის ძველისძველ ადათ-წესებსა და ცრუმორწმუნეობას, ხალხის მეტყველებასა და შემოქმედებას“.

1889 წელს ახალციხის მაზრაში, სოფელ მუსხში განამწესეს. ვასილმა გაამართლა „ივერიის“ მაღალი შეფასება. სოფელ მუსხში, სადაც ის მსახურობდა, მალე მოიპოვა ხალხის ნდობა და სიყვარული. იგი თავდადებით ზრუნავდა ჩამორჩენილი სოფლის განათლებისა და კულტურული ამაღლების საქმისთვის. თავისი დაულალავი გარჯით მან შეძლო საზოგადოებრივ შემოწირულებათა გზით მოკლე ხანში სკოლასთან დაეარსებინა სოფლის ბიბლიოთეკა-სამკითხველო და მთელი თავისუფალი დრო ამ საქველმოქმედო დანებებულების გაუმჯობესებისათვის შეენირა. სამკითხველოს სასარგებლოდ წიგნებისა და ფულის შემწირველთა სახელები არაერთხელ იყო გამოცხადებული გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე. მას დიდ დახმარებას უწევდა აგრეთვე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

1895 წლიდან ჩუნჩხის სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებლად დაინიშნა. 1904 წლის 18 ივლისს დიაკვნად აკურთხეს, ახალციხის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარში განამწესეს და ამავე ქალაქის სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებლად დაინიშნა. 1905 წლის 24 თებერვალს დიაკონ ვასილს მღვდლად დაასხეს ხელი და დროებით ისევ ახალციხის ეკლესიაში დიაკვნის შტატში დატოვეს. ამავე წლის 24 აგვისტოს საროს მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1910



ვასილ კოპტონაშვილი ოჯახით. 1903 წლის ივნისი

ნობით ყოველწლიურად მხოლოდ ერთ ადამიანს ენიჭება, რომელიც, ფონდის დასკვნით, „გაკვალავს გზებს იმ აღმოჩენებისა და დიდი მიღწევებისადმი, რომლებიც ღვთის განგების ადამიანურ აღქმას გააფართოებს და ღვთაებრივი შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას ხელს შეუწყობს“. პრიზი დაწესებულია მე-18 საუკუნის ინგლისელი ფილანთროპის სერ ჯონ ტემპლტონის საპატივცემულოდ. ბერნარ დესპანიამ ჯილდო მიიღო კვანტური ფიზიკის კვლევების გამო, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია ის დასკვნა, რომ „არსებობს რეალობა მეცნიერული შემეცნების მიღმა“.

**სისხლის გადასხმაზე უარის
გამო პეტიარგუმენტი
„იუპოვას მონმემ“ შვილი დაელუა**

პეტიერბურგის ერთ-ერთ სამშობიაროში დაიღუპა ახალშობილი, რომლის დედამ — რწმენით „იუპოვას მონმემ“ — უარი განაცხადა სისხლის გადასხმაზე. გადაუდებელი დახმარება საჭირო გახდა ბავშვისა და დედის სისხლის ჯგუფების შეუთავსებლობის გამო. ამ რელიგიური მიმდინარეობის წევრები ამგვარი შემთხვევისათვის წინასწარ აფორმებენ დოკუმენტს — „არავითარი სისხლი“, რომელსაც ხელს აწერს ორი სხვა „იუპოვას მონმემ“.

**ევროპაში გახშირდა საკუთარი
ნათლრგის უარყოფის პრაქტიკა**

ერთ-ერთი ბრიტანელი ათვისტი ცდილობს უარყოს თავისი კათოლიკური ნათლობა, როგორც „ბავ-

შობისას გაუცნობიერებული ქმედება“. ამ მიზნით მან გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება ერთ-ერთ გაზეთში, ასევე — შეავსო ნათლობის უარყოფის დოკუმენტი ერთ-ერთი სეკულარული მიმდინარეობის ვებსაიტთან. ამ საიტის მესვეურები ამტკიცებენ, რომ ანალოგიური დოკუმენტის ფორმა 100 000-ზე მეტმა ადამიანმა გადაინერა თავისთვის.

ნათლობის უარყოფის შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია კათოლიკურ ქვეყნებში. გერმანიაში კი ასეთი ოფიციალური განაცხადი საეკლესიო გადასახადის თავიდან აცილების საფუძველი ხდება.

**რელიგიური ადამიანები მათი
შემატებით ებრძვიან სიკვდილს**

345 უიმედო ავადმყოფზე დაკვირვების შედეგად ამერიკელი მედიკოსები მივიდნენ დასკვნამდე, რომ რელიგიური ადამიანები უფრო მეტი ენერგიით იბრძვიან საკუთარი სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის — მეტჯერ ითხოვენ ინტენსიური თერაპიის კურსის ჩატარებას (თუნდაც ეს აუტანელ ტკივილებს იწვევდეს) და ბევრად ნაკლებად აწერენ ხელს უიმედო პერსპექტივის გამო სარეანიმაციო აპარატიდან გამორთვის წინასწარ ხელშეკრულებაზე.

ინფორმაცია მონოდებულია შემდეგ საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით: pravoslavie.ru, blagovest-info, APF, interfax-religia, invictory.org.

მოამზადა
თამაზ გაბისონიამ

ფოტომატიანე

**დეკანოზი ვასილ კოპტონაშვილი
1866-1958**

დეკანოზი ვასილ სოლომონის ძე კოპტონაშვილი 1866 წლის დეკემბერში ახალქალაქის მაზრაში, სოფელ კოთელიაში დაიბადა. პირველდანიყებითი განათლება ბარალეთის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში მიიღო, რომლის დასრულების შემდეგ, მშობლების სურვილის წინააღმდეგ, სწავლის გასაგრძელებლად თბილისში გაჰყვა თავის მასწავლებელს — ტიმოთე ხმალაძეს. მზრუნველთა დახმარებით იგი შევიდა ავღაბრის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ორკლასიან სასწავლებელში და მისი დასრულების შემდეგ, 1883 წლის 1 სექტემბერს თიანეთის მაზრაში, სოფელ ტოლათსოფლის სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებლად დანიშნეს, სადაც მის მისვლამდე დიდი ქართველი პოეტი, ვაჟა-ფშაველა მსახურობდა. აქ მოღვაწეობის პერიოდში ახალგაზრდა ვასილი ახლოს გაცნო და დაუმეგობრდა ვაჟა-ფშაველას. ტოლათსოფელში მან ექვსი წელი დაჰყო, შეეჩვია ხალხს, შეის-

წავლა მათი ყოფა-ცხოვრება და სამაგალითო პიროვნების სახელი დაიმსახურა. მისი შთამომავლების გადმოცემით ფშავიდან დაბრუნებულმა ვასილმა ჯავახეთში ფშაური ხინკალის ტრადიცია გაავრცელა.

იქვე შეირთო ცოლად სოფელ ბარალეთში მცხოვრები ანგელინა (იგივე ევდოკია) სვიმონის ასული მურჯიკნელი, დაბადებული 1866 წლის მარტში, ვისთანაც ხუთი შვილი შეეძინა: ლუბა (დაბადებული 1887 წელს, გარდაიცვალა 1905 წელს, დასაფლავებულია ახალციხის სამხედრო ოფიცერთა სასაფლაოზე); შალვა (დაბადებული 1895 წლის იანვარში, დახვრიტეს 1942 წლის 18 იანვარს); ნიკოლოზი (დაბადებული 1898 წელს, გარდაიცვალა ტრაგიკულად 1921 წლის დეკემბერში, დასაფლავებულია თბილისში, კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის სასაფლაოზე); პავლე (დაბადებული 1901 წელს, გარდაიცვალა 1985 წელს) და დავითი (მუშაობდა შინაგან საქმეთა განყოფილების უფ-

ფოტომატიკა

ნლის აღდგომას, წმინდა სინოდის ბრძანების საფუძველზე საგვერდულით დაჯილდოვდა. 1915 წლის 23 ივლისს სკუფია უბოძეს. 1918 წელს თურქთა რაზმების მიერ ახალციხე-ახალქალაქის მახრების დარბევის დროს მას გარდაეცვალა მეულლე. 1919 წლის 30 ივლისს ურბნელმა ეპისკოპოსმა დავითმა (კაჭახიძე) მამა ვასილი ახალქალაქის სამრევლოში გადაიყვანა. XX საუკუნის 20-იან წლებში ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა და დეკანოზის წოდება მიენიჭა.




დეკანოზი ვასილი XX ს. 30-იან წლებში

კომუნისტური ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ეკლესია-მონასტრების დახურვისა და სამღვდელოების დევნის დროს, მამა ვასილი ჩუმად აღავ-

ლენდა ღვთისმსახურებას ხან თავის სახლში, ხან ამა თუ იმ მრევლის ოჯახში. ცხოვრობდა თავის სოფელში კოთელიაში. მასწავლებლობდა სოფლებში ჩუნჩხასა და პტენაში. თან, როგორც კი ამის საშუალება მიეცემოდა, ქრისტიანული წესით ნათლავდა მოსახლეობას. წერდა მოგონებებს და აგროვებდა თავისი კუთხის ადათ-ჩვევების ამსახველ ეთნოგრაფიულ მასალებს, რომლებიც უმეტესად ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული, რასაც ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატის კუკური თორდიას სადისერტაციო ნაშრომი მიეძღვნა.

მოგვიანებით, უკვე მოხუცი მოძღვარი ცხოვრობდა ხან ბორჯომში გადასახლებიდან დაბრუნებულ შვილ დავითთან, ხან კი ბაკურიანში მეორე ვაჟ პავლესთან. დეკანოზი ვასილი 1958 წლის 19 მარტს გარდაიცვალა და დაასაფლავეს დაბა ბაკურიანის საერო სასაფლაოზე.

ფოტოგამოფენა „თვალსანიერი“ ზიარების შემდეგ მაია ცისკაძე



გაზეთის გარეკანზე ფოტოს ავტორია სერგო კერესელიძე

„საპატრიარქოს უწყებანი“ გამოაქვეყნებს რელიგიური დანიშნულებისა და ხასიათის რეკლამასა და განცხადებებს.
ტელ: 989541, 893181000

„საპატრიარქოს უწყებანი“ სათანამშრომლოდ იწვევს ყურნალისტებს.
ტელ: 989541, 893181000

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინყებებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩუროშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამოგზავნა და აღიარება ვადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სახალხო ბანკი, კრწანისის მე-2 ფილიალი, ანგარიში # 360851555 შფო. 220 101 406. „საპატრიარქოს უწყებანი“ ვებ.გვერდი: <http://www.patriarchate.ge> ელ.ფოსტა: sap.uts@posta.ge sapatriarcho-press@posta.ge მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე რედაქტორის მოადგილეები: თამაზ გაბისონია, ნანა ბოკუჩავა სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შილაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გავოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე ფინანსური მენეჯერი: ვლასი ჯიბლაძე, გავრცელება: ილია ბოკუჩავა, დიზაინერი: გოგი ავსაჯანიშვილი დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

დასრულდა. ტაძრის გახსნა საზეიმო ვითარებაში მოხდა.

29 მარტს ბობოყვათის ახალ ტაძარში პირველი ნათლობა შესრულდა; ათობით ბავშვი მოინათლა.

**ვიქტორინა „გზა ტაძრისაკენ“
124-ე საჯარო სკოლაში**

30 მარტს თბილისის 124-ე საჯარო სკოლაში მოეწყო რელიგიური თემატიკის ვიქტორინა — „გზა ტაძრისაკენ“. ვიქტორინას დაესწრო საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარე, ცურტავის ეპისკოპოსი იოანე (გამრეკელი).

ლონისძიება სკოლის დირექტორის — ელენე შაბურიშვილის, მისი მოადგილის — მარინე მამარდაშვილისა და რელიგიის პედაგოგის — მალვინა მარგველაშვილის ინიციატივითა და ძალისხმევით გაიმართა. სკოლის „საზრიანთა კლუბს“, რომელშიც VII-XII კლასების მოსწავლეები არიან გაერთიანებულები, რუსუდან მურცხვალაძე ხელმძღვანელობს. საზ-



რიანთა კლუბის 12 ჯგუფი ერთმანეთს საღმრთო სჯულისა და საქართველოს სინამდვილის ცოდნაში შეეჯიბრა. გუნდების კაპიტნებმა ბლიც შეკითხვებში დამატებითი ქულები მოუპოვეს თავიანთ გუნდებს. სკოლის პედაგოგებისგან შემდგარი ჟიური გუნდების პასუხებს აფასებდა. მოსწავლეებმა ქართული ხალხური სიმღერები და საეკლესიო საგალობლები შეასრულეს.

ვიქტორინის დასასრულს მოსწავლეებს საჩუქრად ხატები გადაეცათ. მეუფე იოანემ დალოცა ბავშვები და უთხრა მათ, რომ ასეთ ვიქტორინებში ყველა გუნდი გამარჯვებულია, რადგან აქ მათ ღვთის სიყვარული და მისი შემეცნების სურვილი აერთიანებთ.

ხელდასხმა

29 მარტს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათადრო ტაძარში, ცურტავის ეპისკოპოსისმა იოანემ (გამრეკელმა) დიაკ-

ნად დაასხა ხელი თბილისის სასულიერო აკადემიის III კურსის სტუდენტს — არჩილ ხაჩიძეს.

დიაკონი არჩილი თბილისის ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

ტაძრის კურთხევა

7 თებერვალს შემოქმედის ეპარქიაში, სოფელ გრიგოლეთში, შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვიძემ), ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტ გერასიმესთან (შარაშენიძესთან) ერთად აკურთხა წმინდა გიორგის სახელობის ახალი ბაზილიკური ტიპის ტაძარი.

9 თებერვალს შემოქმედის ეპარქიაში, სოფელ წყალწმინდაში, შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვიძემ) აკურთხა წმინდა ირინეს სახელობის ახალი ტაძარი.

**საპატრიარქოს საეკლესიო გალობის
ცენტრის განცხადება**

საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრმა განაახლა საქართველოს ტაძრების სამგალობლო გუნდების მოსმენები. ცენტრის თანამშრომლები გუნდებს მოუსმენენ როგორც ღვთისმსახურებისას, ასევე წინასწარ დანიშნული შეხვედრების დროს და გუნდის წევრებს გააცნობენ თავიანთ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს. საეკლესიო გალობის ცენტრი სთხოვს ტაძართა წინამძღვრებს, ხელი შეუწყონ ამ მეტად საჭირო ღონისძიების ჩატარებაში.

ამას გარდა, საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი აცნობებს საქართველოს ტაძრებისა და მონასტრების წარმომადგენლებს, რომ ცენტრში, საქართველოს საპატრიარქოს შენობაში (I სადარბაზო II სართული) შესაძლებელია შექმნა ქართული ტრადიციული გალობის სანოტო კრებულებისა ღვთისმსახურების სრული ციკლისათვის ტელ: 98-71-54.

ღვინის ფესტივალი გათუგვი

3 მაისს, ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრის ლოცვა-კურთხევით, ბათუმში გაიმართება ოჯახში დამზადებული ღვინის მეორე ფესტივალი.

ფესტივალის მიზანია — ფართო საზოგადოებისთვის ოჯახში დამზადებული ღვინის საუკეთესო ნიმუშების გამოვლენა და ღვინის კულტურის ამაღლების ხელშეწყობა.

სადეგუსტაციო ნიმუშების მიღება 10 მარტს დაიწყო და 20 აპრილამდე გაგრძელდება.

კონკურსში მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს შეუძლია.

ფესტივალზე დაწესებულია დიპლომები, სიგელები და სხვადასხვა პრიზები.

საუკეთესო ღვინოებს კომპეტენტური ჟიური გა-

**ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი
„მუსლიმებისადმი რეპრესიებზე დალაღა“**

მუსლიმებს, რომლებიც შარიათის კანონებით ცხოვრობენ, ავსტრალიაში პრობლემები ექმნებათ.

ამ თემაზე საინტერესო სიტყვა წარმოთქვა ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა კევინ რადმა. აი, ზოგიერთი ამონარიდი მისი გამოსვლიდან:

„შემგუებული უნდა იყვნენ მოსულები და არა — ავსტრალიელები, დაეთანხმეთ ამას, ან — დატოვეთ ქვეყანა... მე დავილაღე იმისგან, რომ ავსტრალიელები მუდამ შიშში არიან, ვაითუ, რაიმე აწყენინონ რომელიმე სხვა კულტურის წარმომადგენლებს... ავსტრალიაში ლაპარაკობენ ინგლისურად, და ვისაც სურს, გახდეს ჩვენი საზოგადოების წევრი, დაე ისწავლოს ინგლისური... ეს ქვეყანა ქრისტიანებმა ააშენეს ქრისტიანულ პრინციპებზე და გვაქვს უფლება, რომ ჩვენი სკოლის კედლებზე ამის შესახებ ილუსტრაციები ავსახოთ... და თუ თქვენ არ შეწყვეტთ ჩივილს და ტირილს ჩვენი დროშის, ჩვენი ფიცის, ჩვენი ქრისტიანული რელიგიისა და ცხოვრების წესის გამო, შეგიძლიათ გამოიყენოთ ერთ-ერთი მთავარი ავსტრალიური უფლება — უფლება ქვეყნის დატოვებისა. ჩვენ თქვენ აქ არ მოგვიყვანისხარო. თქვენ გვთხოვთ აქ ცხოვრება. და მაშ, მიიღეთ ეს ქვეყანა ისეთი, როგორიც მიიღეთ თავიდანვე.“

**პოლანდიაში ევროკავშირის
სიმბოლოს „კათოლიკურობას“ უწუნებენ**

პოლანდიელი პროტესტანტების ერთი ნაწილი კატეგორიულად მოითხოვს ავტომობილების ნომრებიდან ევროკავშირის სიმბოლოს მოშლას იმ მოტივით, რომ ეს სიმბოლო კათოლიკური შინაარსისაა. კერძოდ, ამტიკიცებენ, რომ ცისფერ ფონზე თორმეტი ოქროსფერი ვარსკვლავი კათოლიკური მადონას ხატზე ღვთისმშობლის შარვანდედის გასწვრივ თორმეტი ვარსკვლავის ანალოგიაა. 1989 წელს ვატიკანის ორგანო „ლ'ოსერვატორე რომანო“ მართლაც წერდა, რომ ევროკავშირის სიმბოლოს ავტორი არსენე ჰაიტზი თავად ამტიკიცებდა, რომ ამ თემაზე მუშაობისას იგი შთაგონებული იყო „საფრანგეთში ღვთისმშობლის გამოცხადებით“. ამასთან, ევროკავშირის სიმბოლო ოფიციალურად 1955 წლის 8 დეკემბერს გაცხადდა, როდესაც კათოლიკური სამყარო ღვთისმშობლის „უბინო ჩასახვის“ დღესასწაულს შეიმობდა.

ევროპარლამენტის პოლანდიელი დეპუტატი ტონე მანდერსი კი ზემონახსენებ პროტესტს „აღმაშფოთებელს“ უწოდებს. „ამ თორმეტ ვარსკვლავს ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში იყენებდნენ სიმბოლოდ,“ — აცხადებს იგი.

**დიდ ბრიტანეთში შესაძლოა სამეფო
ტახტის მემკვიდრე კათოლიკეც გახდეს**

ინგლისის დედოფალი ელისაბედ II და პრემიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნი განიხილავენ დიდ ბრიტანეთში სამეფო ტახტზე კათოლიკეს ასვლის, ასევე — ქალ დამაკაც ტახტის მემკვიდრეთა შორის მეფობაზე უფლებების გათანაბრების შესაძლებლობას. თუ კანონში ეს შესწორება მიიღეს, ტახტის პრეტენდენტობას უბრუნდება პრინცი მაიკლი, რომელსაც კათოლიკე ცოლი ჰყავს, ხოლო პრინცესა ანა მეორე შესაძლო კანდიდატობდება პრინცი ჩარლზის შემდეგ (და ნინ უსწრებს ამ უწყისკენელის შვილებს უილიამს და ჰარის).

კათოლიკეთა ასეთი აღზევება პრეცედენტი 1688 წლის რევოლუციის მიერ კათოლიკე მეფე იაკობ II-ის განდევნის შემდეგ.

**წლებადღელ რვა აპრილს
ისრაელში განსაკუთრებული
რელიგიური დატვირთვა ენიჭება**

ამა წლის 8 აპრილს, ებრაული წელთაღრიცხვით კი სამყაროს შექმნიდან 5769 წლის 14 ნისანს, უნიკალური ასტრონომიული და რელიგიური თანხვედრა უნდა მოხდეს — მთვარის კალენდარი მზისას სრულიად ემთხვევა. ებრაელთამტიკიცებით, ეს შესამედ ხდება დედამიწის ისტორიაში. პირველად ასეთი დამთხვევა ეგვიპტიდან ისრაიტელთა გამოსვლისას მოხდა (მეორე ასეთი დამთხვევის შესახებ ინფორმაციაში არაფერია ნათქვამი). კაბალას (ებრაული მისტიკური მოძღვრების) ზოგიერთი სწავლებით, სწორედ ერთ-ერთ ამგვარ დამთხვევას უნდა მოხდეს „მოშიახის“ („მესიის“) გამოცხადება.

ამ დღეს „გოდების კედელთან“ ებრაელ მლოცველთა მრავალათასიან თავყრილობას ელიან.

ინფორმაცია მონოდებულია შემდეგ საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით: pravoslavie.ru, blagovest-info, APF, interfax-religia, invictory.org.

მოამზადა
თამაზ გაბისონიამ

ფოტომატიანე

**ქუთათელ—გაენათელი მიტროპოლიტი ნაომი (შავიანიძე)
1889—1969**

დაბადებიდან 140 და გარდაცვალებიდან 40 წელი

მონამეთას ეკლესიის კარიბჭეში არის მემორიალური დაფა, სადაც აღბეჭდილია მიტროპოლიტ ნაომ შავიანიძის საქმენი, რისთვისაც ის წამკითხველთაგან შენდობას ითხოვს.

საკუთარი ხელით დაწერილ ავტობიოგრაფიაში მიტროპოლიტი ნაომი აღნიშნავს: „ფრიად ძნელია ჩემი ცხოვრების 80-წლიან გაფანტულ მოგონებათა ფურც-

ლების კრეფა. ბედმა და პროფესიამ წილად მარგუნა მემსახურა და მომეარა საქართველო კიდით—კიდემდე, რომლისადმი სამსახურსაც სრული რწმენით მივუძღვენი შეგნებული ცხოვრება ჩემი. თუმცა ყველაზე თბილი ადგილი ყოველთვის მქონდა დათმობილი იმ კუთხისათვის, რომელთანაც მშობლიური გრძნობითა ვარ დაკავშირებული და რომელშიც შეკრებილია ჩვენი ქვეყნის,

საქართველოს ყველა სიკეთე. ალბათ, ამიტომ უნოდებიან მისთვის „ოკრიბა“. დაუმთავრებელი ბავშვობის უამს, უმამოდ დარჩენილს, დამეკისრა მრავალრიცხოვანი ოჯახის შენახვა და ცხოვრებისეული მრისხანე პასუხისგებაც, მაგრამ ქედი არასოდეს მომიდრეკია მძიმე განსაცდელთა წინაშე და თან მდევდა პავლე აპოსტოლის სიტყვები: „კაცად კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოს უნდა“.

მიტროპოლიტი შავიანიძე ნაომ გრიგოლის ძე დაიბადა სოფელ ოხოშირაში (ტყიბულის რაიონი) 1889 წელს, მედავითნის ოჯახში.

დედა — ედუკი გომბეთელიანი ზართელი აზნაურის შვილი იყო. ნაუმს ექვსი დედმამიშვილი ჰყავდა: ერთი ძმა — დავითი — ოცხელის სახელო-გიმნაზიის კურსდამთავრებული და ხუთი და.

„შავიანიძეების გვარის საცხოვრისი არის ისტორიული ოკრიბის პატარა სოფელი ოხოშირა, მათ ეზოში მე—ნ საუკუნით დათარიღებული სალოცავი ნიშა მდებარეობს. შავიანიძეები ოკრიბაში მოსვლამდე შავლიანებად იწოდებოდნენ. შავიანიძეთა წინაპარი „შავიანი ბერები“ — ღვთისმსახურებაში მყოფი აზნაურები, ხოლო სვანეთში ღვთის მსახურებაში გადასვლამდე, აფხაზეთის მთავრები—შერვაშიძეები იყვნენ“ (დ. შავიანიძე ისტორიოსი).

დასტური იმისა, რომ შავიანიძეების არაერთმა წინაპარმა ღვთისმსახურებაში გაატარა თავისი ცხოვრება, არის 1804 წლით დათარიღებული მინის ნასყიდობის სიგელი, რომელიც მეფე სოლომონ II—ის სარდალმა, აგიაშვილმა, გადასცა მღვდელ სვიმონ შავიანიძეს და მის შვილს — მღვდელ ნიკოლოზ შავიანიძეს სამუდამო სარგებლობაში. 1904 წელს ნაომმა დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, სადაც მისი მასწავლებელი, შემდგომში კათოლიკოს—პატრიარქი მელქისედეკ III გახლდათ. სასულიერო სასწავლებელში მასთან ერთად მერხზე იჯდა ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი აკაკი შანიძე, რომელთანაც მეგობრობა მას სიკვდილამდე არ გაუნწყვეტია. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ის დაინიშნა ცუცხვათის მაცხოვრის ეკლესიის მედავითნედ.

1905 წელს სოფელ ოხოშირაში ნაომმა დააარსა საკუთარი სკოლა, სადაც გლეხის შვილებს ასწავლიდა ქართულს, ანგარიშს, რუსულსა და ფიზკულტურას. ჯერ კიდევ 1889 წელს მამამისმა, გრიგოლ შავიანიძემ ნაბოსლევის წმინდა გიორგის ეკლესიასთან დააარსა ცოდნის სკოლა, სადაც თვითონ მასწავლებლობდა. მანამდე, ცუცხვათის გარდა, სკოლა თურმე არსად ყოფილა.

ალსანიშნავია, რომ ნაომი ამ დროს სულ 15—16 წლის ჭაბუკი გახლდათ: 1916 წელს ეპისკოპოს გიორგის (ალადაშვილი) მიერ ნაომ შავიანიძეს ხელი დაასხეს მთავარდიაკვნად ქუთაისის საკათედრო ტაძარში. 1918 წელს ეპისკოპოს ანტონის (გიორგაძის) მიერ იკურთხა მღვდლად და გამწესდა კოკა—ოხოშირას მაცხოვრის ეკ-

ლესიაში; 1924 წელს ის გადაიყვანეს ჭოგნარის მაცხოვრის ეკლესიაში. 1921 წელს ნაომი შეთავსებით მუშაობდა სამრევლო სკოლების განათლების განყოფილების გამგის მოადგილედაც, ვინაიდან ქუთაისის კლასიკური გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული, სამასწავლებლო განხრით. პარალელურად ის ხელმძღვანელობს ქუთაისის მთავარანგელოზთა საკათედრო ეკლესიასთან არსებულ სანთლის ქარხანას.

1921 წელს ნაომ შავიანიძე აქტიურ მონაწილეობდა სრულიად საქართველოს მესამე საეკლესიო კრების მუშაობაში, რომელსაც საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქი უნდა აერჩია. აქედან მოყოლებული, ოცი წლის განმავლობაში, ის ქუთაისის ეპარქიის უცვლელი მდივანი და მთავარხუცესია.

1929 წელს მამა ნაომი ინიშნება ქუთაისის მწვანეყვავილის ეკლესიის წინამძღვრად, სადაც 11 წელი იმსახურა. შემდეგ ეკლესიის დაკეცივის გამო არ უმსახურია. ამას თან დაერთო ის ფაქტიც, რომ მისი უფროსი შვილი, შალვა, 26 წლის, ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი და კორნელი კეკელიძის ასპირანტი, დაიჭირეს და დახვრიტეს, როგორც 1942 წლის „შეთქმულების“ ერთ—ერთი ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი.

მამა ნაომი სიცოცხლის ბოლომდე ელოდა მას და თავის ანდერძში დაუბარა შვილებს: „თუ გამოჩნდა ჩემი უფროსი დაჩაგრული შვილი, მიეცით მას ძმური ნაწილი...“. ცოტა ხანში კი პარაკლისი გადაუხადა შალვას, რად-



შავიანიძე ნაომი შვილთან და რძალთან ერთად

გან იცოდა, ჯალათების ხელში ჩაგარდნილი, განსაცდელს თავს ვერ დააღწევდა. „შეთქმულების“ საქმე სუკის არქივში იყო დაცული და მასზე არავის მიუწვდებოდა ხელი, მხოლოდ ზ. გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს ოჯახმა (ძმამ ოთარმა) მიიღო შეტყობინება, რომ განაჩენი სისრულეში 1942 წელს მოიყვანეს.

მიუხედავად ამისა, მიტროპოლიტი ნაომი ღვთის ერთგული მსახური რჩება. მისგან აუგი არავის ახსოვს.

1943 წელს კათოლიკოს—პატრიარქმა კალისტრატემ ის თბილისში გაიწვია და სიონის სობორის კანდელაკად დანიშნა.

ამ დროიდან ნაომი ითვლებოდა საკათალიკოსოს მუდმივ წარმომადგენლად. მისი მონაწილეობითა და ღვაწლით 1947 წელს გამოვიდა პირველი საეკლესიო კალენდარი, რომელსაც ის ხელს აწერდა, როგორც კალენდრის გამოშვებისათვის პასუხისმგებელი.

1943 წელს ის მონაწილეობას იღებს რუსეთის პატრიარქის სერგის ოფიციალურ წარმომადგენელ, არქიეპისკოპოს ანტონთან მოლაპარაკებებში. ამ მოლაპარაკებების შემდეგ, რუსეთის საპატრიარქომ ცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფლია და ამ ორ ეკლესიას შორის ნორმალური ურთიერთობა დამყარდა.

ქუთაისის მწვანეყვავილის მრევლი უმორჩილესად ითხოვდა თავისი წინამძღვრის ქუთაისში დაბრუნებას.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქი ამაზე წერდა:

„მწვანეყვავილის ეკლესია. ეფრემ ეპისკოპოსს.

აცნობეთ მთხოვნელებს, ნაომი ჩემთვის საჭროა, დროებით მაინც. გთხოვთ ასევე განუმარტოთ მორწმუნეთ, ჯერჯერობით ნაომს ვერსად ვერ გავუშვებ“.

სიონის ტაძარში მსახურების პერიოდში მამა ნაომი ხშირად იგზავნებოდა ქ. ქუთაისში სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქის მიერ, „საეკლესიო საქმიეების გამო“.

1944 წელს ნაომი თურმე ჯარში გაუწვევიათ (კიდევ ერთი ბედის ირონია). ამის შესახებ ინტერნეტის საშუალებით შევიტყვეთ, სადაც მოყვანილია კათოლიკოს—პატრიარქის კალისტრატეს წერილი. კავკასიის და სამხრეთის ფრონტის სარდალს ტიულენევს ის თხოვნით მიმართავს ნაომი გამითავისუფლეთო და ასაბუთებს იმით, რომ ჯარში არ უმსახურია და ვითომ ქლეჩი აქვს. სარდალმა პატრიარქს თხოვნა შეუსრულა. გასაკვირია, რომ იმ დროს ასეთი ლმობიერება გამოეჩინა სარდალს.

1945 წლის თებერვალში საქართველოს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იმყოფებოდა დეკანოზი ნაომ შავიანიძე, მოსკოვს მიემგზავრება, რათა მონაწილეობა მიიღოს სრულიად რუსეთის და მოსკოვის პატრიარქის ალექსის ინტრონიზაციის ცერემონიაში. მოსკოვში ყოფნისას პატრიარქმა ალექსიმ საკათედრო ტაძარში აღვლენილ ლიტურგიაში მონაწილეობისათვის ის ძვირფასი თვლებით შემკული ჯვრით დააჯილდოვა.

1945 წლის ოქტომბერში თბილისს საპასუხო ვიზიტით ესტუმრა პატრიარქი ალექსი პატრიარქ ალექსის შესახვედრად კათოლიკოს—პატრიარქმა კალისტრატემ ქ. ბაქოში გაგზავნა დელეგაცია მიტროპოლიტ მელქისედეკისა და სიონის ტაძრის კანდელაკ ნაომის შემადგენლობით.

1946 წელს მოსკოვში მოეწყო რუსეთის ეკლესიის ადგილობრივი კრება, რომელიც მიეძღვნა რუსული ეკლესიის დამოუკიდებლობის 500 წლისთავს. მასში აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართულმა დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაში ნაომიც გახლდათ. საზეიმო კონცერტში საქართველოს საეკლესიო გუნდმა ფრიად დიდი მონაწილეობა დაიმსახურა.

კავშირები რუსეთთან არ წყდება და შემდგომში ეპისკოპოსი ნაომი მონაწილეობს რუსეთის პატრიარქობის აღდგენის ორმოცი წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში, რომელიც შედგა ზაგორსკში 1958 წელს, აგრეთვე ის იმყოფებოდა დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც სომხეთის პატრიარქის, ვაზგენ პირველის არჩევასა და კურთხევას დაესწრო ერმიადინში.

1946 წელს კათოლიკოს—პატრიარქი კალისტრატე წერს: „ძვირფასოს მოძღვარო მ. ნაომ! თქვენი მოღვა-

ნობა სიონის ტაძარში, თუმცა რამდენიმე, სულ 3—4 წლის ამბავს წარმოადგენს, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ ეს მანძილი, თქვენი დაუცხრომელი შრომისა, ნათლად გვიხატავს ეკლესიის ჭეშმარიტი მსახურებისა და ღვთის საყვარელი მონაფის სურათს — სიმშვიდე, სიმდაბლე, გულწრფელობა და სიყვარული ღვთისა და ხალხის მიმართ, აი რას ახორციელებთ თქვენ“.

მწვანეყვავილის მრევლი განაგრძობს მოთხოვნას, დაუბრუნდეთ მამა ნაომი, რაზეც სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქი კალისტრატე პასუხობს: „ვიღებთ რა მხედველობაში მწვანეყვავილის მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელის სახელობის ეკლესიის სამრევლოს არერთგზის თხოვნას, თანხმობას ვაცხადებ, რათა დეკანოზი ნაომი დანიშნულ იქნას ხსენებულ სამრევლოს წინამძღვრად“.

1947 წელს ის ბრუნდება ქუთაისის მწვანეყვავილის მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელის ეკლესიაში. თვით დეკანოზი ნაომი წერს: „თუმცა სიონში შემომავალი მორწმუნენი, ქართველი და რუსი, ძალიან სწუხან ჩემს წასვლას, მაგრამ ჩემი ოჯახური მდგომარეობით ხელი მეტი არ მენყობა“ (თბილისში ბინის უქონლობის გამო).

მის ოჯახურ არქივში მოპოვებული, 1947 წლით დათარიღებული ცნობები გვამცნობს, რომ ერთგული სასახურისათვის ის დაჯილდოებული იყო ენქერით და შემდეგ მიტრით უწმინდესის კალისტრატეს მიერ, რაც საეკლესიო კანონებით მიუღებლად ითვლებოდა და მხოლოდ მასზე იყო „განსაკუთრებული განჩინება“.

მას დიდი ბრძოლა უწევდა ფინანსურ განყოფილებასთან, რომლის უსამართლოდ დაბეგვრის თანხა სამჯერ აღემატებოდა შემოსავალს, „მწვანეყვავილის ეკლესია ძალიან მცირეშემოსავლიანია, ის აშენებულია ქალაქის განაპირას, კლდეზე, სადაც მხოლოდ ერთი პატარა ბილიკი მიდის, ირგვლივ უმეტეს ნაწილად არის ებრაელთა მოსახლეობა, ქრისტიანობა ცოტაა და თანაც ღარიბი, ამას დაერთო ფულის რეფორმაც, რის შედეგაც შემოსავალმა მკვეთრად იკლო, ეკლესია მოქმედებს მხოლოდ შაბათ—კვირას...“ წერდა ნაომი ქუთათელ—გაენათელ მიტროპოლიტ ეფრემს და სთხოვდა შუამდგომლობას იქ, სადაც ჯერ არს... „შემცირებულ იქნას გადასახადი იმ ზომამდე, რომ ჩემი შემოსავლით დავფარო“.

მიტროპოლიტი ნაომის გარდაცვალების შემდეგაც, მის სახელზე მოვიდა საგადასახადო ქვითარი, რომელსაც მისმა შვილმა ოთარ შავიანიძემ უწოდა დროის, სივრცის და ეპოქის დაცინვა!

ქუთათელ—გაენათელ მიტროპოლიტ გაბრიელის გარდაცვალების გამო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქმა მელქისედეკმა შემდეგი განკარგულება გამოცხადა: „ქუთაისის ეპარქიის მთავარ ხუცესადა დაინიშნოს დეკანოზი ნაომ შავიანიძე, ქორეპისკოპოსის



შავიანიძე ნაუმი გელათის კრების მონაწილეთა შორის 1921წ.

უფლებებით, მოიწვიოს საეპარქიო კრება და იქონიოს მსჯელობა ეპარქიის მოვლა—პატრონობაზე.

ამის პასუხად მამა ნაომი წერს: „ბავშვობიდანვე მქონდა სურვილი, გავმხდარიყავი ეკლესიის მსახური, მაგრამ ის კი არასდროს არ მიფიქრია, რომ ეპისკოპოსი ვყოფილიყავი, ვინაიდან მღვდელმთავრობა არის დიდი და ძნელი საქმე და რომ ეპისკოპოსი უნდა იყოს შემკული მრავალგვარი კარგი ღირსებით, მაგრამ რადგანაც ეს ღმერთმა იწვევს, მე უღირსი მონა ღვთისა სავესთით მოჩილებას ვაცხადებ და დიდ მადლობას შევნიშავ უფალსა ღმერთსა ჩვენსა ჩემდამი დიდი მონყალეებისათვის...“

1958 წელს ეპისკოპოსი ნაომი ჯილდოვდება ჯვრით — კათოლიკოს პატრიარქ მელქისედეკ III-ის მიერ.

მისი მღვდელმთავრად დანიშვნის შემდეგ და მანამდეც მასზე არაერთხელ მომხდარა სასტიკი თავდასხმა, დევნა და დარბევა, თუ ტაძარში და თუ სახლში მისთვის უცნობი პირების მიერ... ამის გამო ის თხოვნით მიმართავს კათოლიკოს პატრიარქს მელქისედეკ III-ს: „ვინაიდან ეს შესაძლოა კიდევ განმეორდეს, მარცხის აცილების მიზნით, ვითხოვ ლოცვა—კურთხევას, რათა ღამისთევის ლოცვაზე ამ ზამთარს მაინც არ წავიდე საკათედრო ტაძარში, არამედ დამშვიდებულად ვილოცო ჩემს კელიაში“, რაზეც თანხმობა მიიღო.

ამ ფაქტით შენუხებული მიტროპოლიტი ეფრემი წერდა მას: „არ დაგიმაღავ, ნამეტანად დამწუხრებული ვარ ჩვენი დღევანდელი გარემოებით და მდგომარეობით. ამდენი განკვეთილი ზედ დაერთო მთელ ამიერკავკასიაში. იყავი ჯანმრთელი და მრავალუამიერი მავკუთხის საიმედოდ...“

ამასთანავე, ქუთათელ—გაენათელი ეპისკოპოსი ნაომი წერს: „ქუთაისში, პეტრე—პავლეს ტაძარში, კარგა ხანია დაიწყო შფოთი და ეკლესიისათვის დიდად საზიანო მდგომარეობა (არ იფიქროთ, რომ ეს ხდებოდა გარეშე ვისმესაგან...). საქმის გასაშუქებლად ბევრი ფრიად მნიშვნელოვანი საბუთი მოიპოვება. ბევრმა იცის, რა მოუვიდა მიტროპოლიტ ეფრემს, ერთი უღირსი დედაკაცი შეუვარდა ღვთისმსახურების დროს და მისი მოკვლა უნდოდა. ღვთის მადლით, ის ცოცხალი დარჩა, ასევე მიტროპოლიტ გაბრიელს მსახურების დროს შეუვარდნენ და ჩაქოლავდნენ საკურთხეველში, რომ არ მოესწრო შესვლა, მე კი რამდენი შენუხება მომაცენეს თუ უსახელო წერილებით, თუ ჩემი ოჯახის წევრებისადმი დამუქრებით და თუ სხვა ბევრი რამით...“

„1957 წლის 7 იანვრიდან ე.ი. ჩემი მღვდელ—მთავრად კურთხევის დღიდან საშინელ დევნილ და ტანჯულ მდგომარეობაში ვიმყოფები.

არ მქონია საშუალება, რომ დამშვიდებულად შემესრულებინოს წირვა და ლოცვა და ეს როგორი ღვთისმსახურებაა, როცა მღვდელმთავარი იმის ფიქრშია, თუ როდის ესვრიან მას, ანდა ცივი იარაღით გამოასალმებენ წუთისოფელს“. თუმცა ბევრი, სინდისის ქეჯნით



შენუხებული მოგვიანებით მივიდა და პატიება ითხოვა მისგან თავისი უგუნური საქციელის გამო და ევედრა შეენდო ცოდვა. მიტროპოლიტი ნაომი ბევრს უყვარდა. მღვდელ ი. ჭკადუს წარმოთქმულ სიტყვაში ვკითხულობთ: „ბავშვობიდან იყავით მორწმუნე, თავმდაბალი, ყველასათვის საყვარელი, საუკეთესო მნიგნობარი, მცოდნე საეკლესიო წესებისა და დაუზარელი ეკლესიის მსახური. იშვიათად მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომ თქვენი აუგი თქვას, თუ იგი ბოროტების და სიხარბის შხამით არ არის გაჟღენთილი. უწმინდესი პატრიარქი კალისტრატე დიდ იმედს ამყარებდა თქვენზე და დიდად გაფასებდა. უწმიდესი კათლიკოს—პატრიარქი მელქისედეკი გიცნობთ, როგორც

სპეტაკ და წმინდა ცხოვრების მატარებელს. დღეს ქუთათელ—გაენათის ეპარქიის საყვარელი მღვდელმთავარი ბრძანდებით, საუკეთესო წირვა—მლოცველი, მცოდნე საეკლესიო წესებისა, დინჯი, ყველასათვის კეთილი, კარგი მქადაგებელი და ღვთის ღრმა მორწმუნე“.

მელქისედეკ III-ის ანდერძით, თავის შემცვლელად ნაომს ტოვებდა, რაზედაც ამ უკანასკნელმა კატეგორიული უარი განაცხადა. არგუმენტად არასაკმარისი განათლება მოიყვანა, „სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქის ტახტი უხერხულია ჩემი განათლების მქონე ადამიანს ერგოს, როდესაც არის უფრო განათლებული — ის ეფრემს გულისხმობდა, რომელსაც სასულიერო ხარისხიც ჰქონდა. ამ ფაქტის დამადასტურებელი საბუთი არქივშიც მოიპოვება.

1964 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქ ფრემ II-ის მიერ ეპისკოპოსი ნაომი დიდი ხნის საეკლესიო ღვანლის და სამსახურისათვის წმინდა ნინოს მესამე ხარისხის ორდენით ჯილდოვდება, ხოლო 1967 წელს კი მიტროპოლიტის პატივით, როგორც სამიტროპოლიტო ეპარქიის მმართველი და როგორც სრულიად ღირსეული პირი ამ პატივისა და თანამდებობისა.

ეფრემ II მას წერს: „შენ ერთს გაქვს უფლება ცოდვების მოკითხვისა და ბედნიერი ვართ, რომ შენ ამას არ აკეთებ, ბედნიერი ვართ, რომ შენ არ იცი ზედმეტი თქმა, ის, რაც შენ იცი, რომ გეთქვა, ვინ იცის, შეიძლება წარღვნაც მოსულიყო“.

მეუფე ნაომის საუბრების უმთავრესი თემა იყო ბედნიერება, სიკეთე, სიყვარული. თავის სამწყსოს შთაავრებდა, რომ ადამიანი ბედნიერი იქნება, თუ ყველა სურვილი აუსრულდება, მაგრამ უფრო ბედნიერი იქნებოდა, კმაყოფილი რომ ყოფილიყო ღვთის ნაბოძებით, ბევრს ქადაგებდა ოჯახსა და მის სინმინდეზე.

დიდი ამაგი გაუნევია მეუფე ნაომს მონამეთას მონასტრისათვის. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა წმინდა დავით და კონსტანტინეს სავანეს: გაუყვანია გზა, აუგია საეპარქიო სახლი, დაუნესებია მატარებლის გაჩერება, მოუნყვია და მოუნესრიგებია მთელი მონასტერი.

მიტროპოლიტი ნაომი მძიმედ დაავადდა. მას განგრენის დიაგნოზი დაუდგინეს. გადარჩენის ერთადერთი



არქიმანდრიტი ლაზარე მრავლთან ერთად ლინცში

გალობა, ერთად ილოცონ ჩვენი ქვეყნის მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის.

9 აპრილის მოსაგონებლად

9 აპრილს, სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ პარლამენტის შენობის წინ, დალუპულთა მემორიალთან პანაშვიდი გადაიხადა.

9 აპრილის აქციასთან დაკავშირებით კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ 8 აპრილს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქოს ტაძარში სამშვიდობო პარაკლისი აღავლინა და ქართველი ერისადმი საგანგებო მიმართვა გაავრცელა. პატრიარქის ქადაგება და მიმართვა იხილეთ მე-6 გვერდზე.

აღდგომისთვის ღვთაებრივი ცეცხლის ჩამოსატანად იერუსალიმში ჯგუფი გაემგზავრა

12 აპრილს, ბზობის დღესასწაულზე, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ამბიონიდან დალოცა იერუსალიმში აღდგომისთვის ღვთაებრივი ცეცხლის ჩამოსატანად მიმავალი ჯგუფი დეკანოზ გიორგი საბიაშვილის ხელმძღვანელობით და სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება უსურვა.

პატრიარქმა ეძიებთ საზოგადოება დალოცა

5 აპრილს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დალოცა წმინდა გიორგის სახელობის ექიმთა საზოგადოება, რომელსაც ხელმძღვანელობს ბატონი ლადო კახაძე და საჩუქრად გადასცა მათ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული კრეატიული კრეატიული პროცესული საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს სხდომა

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული კრეატიული საზოგადოების შემდეგი სხდომა შედგება 22 აპრილს 16 სთ-ზე საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (ილია ჭავჭავაძის გამზირი, 53-ა). სხდომაზე განხილული იქნება მედიცინის მეცნიერება-

თა დოქტორის, პროფესორ ემანუელ დვალისშვილის მოხსენება „ჯანმრთელი ცხოვრების წესი“. დასწრება თავისუფალია.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ოტო-რინო-ლარინგოლოგი — 22 აპრილს, 16.00-17.00 სთ.

რევმატოლოგი — 23 აპრილს, 16.00-18.00 სთ.,

ანგიოლოგი — 25 აპრილს, 14.00-15.00 სთ.,

ენდოკრინოლოგი — 25 აპრილს, 15.00-17.00 სთ.

ჩკარდიოლოგი ყოველდღე 12.00-14.00 სთ., შაბათ-კვირის გარდა.

პედიატრის, ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფეციონისტიკის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის, მიღების საათებთან დაკავშირებით, დაგვირეკეთ.

ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 99 57 65 31

ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ცენტრის განცხადება

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში შემეცნებითი საუბრები არ შედგება საალდგომო არდადეგების გამო. საუბრები განახლდება ბრწყინვალე სვიდეულის შემდეგ.

ხელდასხმა

29 მარტს გურჯაანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტერში გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (ლუჟავამ) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის III კურსის სტუდენტი ვლადიმერ ვახტანგაძე.

დიაკონი ვლადიმერი სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძრის ღვთისმსახურად დაინიშნა.

29 მარტს ნინოწმიდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმიდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული გურამ გამცემლიძე.

დიაკონი გურამი დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის ღვთისმსახურად დაინიშნა.

29 მარტს ახალციხის წმინდა დიდმონაშემ მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის III კურსის სტუდენტი ლევან ჟღერტი.

დიაკონი ლევანი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის ღვთისმსახურად დაინიშნა.

5 აპრილს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის დიაკონს გიორგი სახვაძეს.

მღვდელი გიორგი ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

5 აპრილს ახალციხის წმინდა დიდმონაგმე მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძემ) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის დიაკონს თეოდორე ნადაშვილს.

5 აპრილს რუსთავის წმინდა კეთილმსახური მეფის ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში ცურტავის ეპისკოპოსმა იოანემ (გამრეკელმა) დიაკვნად აკურთხა გიორგი ალიაშვილი.

დიაკონი გიორგი რუსთავის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

7 აპრილს რუსთავის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ეკლესიაში ცურტავის ეპისკოპოსმა იოანემ (გამრეკელი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული შოთა გიგაური და სახელად გაბრიელი უწოდა.

დიაკონი გაბრიელი ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

7 აპრილს ბარაკონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში ნიკონწმიდელმა მიტროპოლიტმა ელისემ (ჯობაძემ) დიაკვნად აკურთხა თორნიკე გეგეშიძე.

12 აპრილს რუსთავის წმინდა კეთილმსახური მეფის ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში ცურტავის ეპისკოპოსმა იოანემ (გამრეკელმა) დიაკვნად აკურთხა ლევან ჯანაშია.

დიაკონი ლევანი ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

დაჯილდოება

5 აპრილს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სასულიერო პირები დააჯილდოვა. კერძოდ,

ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის სამღვდლოება:

მღვდელ-მონაზონი ზაბულონი (კვირკველია) — ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით;

მღვდელ-მონაზონი ბიძინა (ქობალია) — ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით;

მღვდელ-მონაზონი პიმენი (ქარდავა) — ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით;

ბერ-დიაკონი გიორგი (გურჩიანი) — არქიდიაკონის წოდებით.

მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდლოება:

თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური დეკანოზი იოანე გივიშვილი — მიტრით;

გლდანის „ლომისის“ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელი დავით დათუაშვილი — ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით;

გლდანის „ლომისის“ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელი ირაკლი კუთხაშვილი — ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით;

ფონიჭალის დასახლებაში მდებარე 153 საშუალო სკოლაში არსებული წმინდა ნიკოლოზის სახელობის სამლოცველო სახლის წინამძღვარი მღვდელი გიორგი გუგენიშვილი — ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

7 აპრილს თბილისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა შემდეგი სასულიერო პირები:

ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი იაკობ აბაშიძე — მიტრით;

ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი თეოდორე გოგოლაძე — მიტრით;

ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახური, მღვდელი თეიმურაზ თათარაშვილი — ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით;

ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახური, მღვდელი არჩილ ავანაშვილი — ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით;

ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის ღვთისმსახური, დიაკონი მირიან სხირტლაძე — პროტოდიაკონის წოდებით.

12 აპრილს თბილისის ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ლავრის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ შემდეგი სასულიერო პირები დააჯილდოვა:

წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, არქიმანდრიტი ანტონი (გულიაშვილი) — მეორე გამშვენებული ჯვრით,

ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახური, მღვდელი ირაკლი ჭინჭარაული — ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.



ფოტომატიკა

გზა კიდურის ამპუტაცია იყო, რაზედაც მან უარი განაცხადა, — ღმერთთან სამსჯავროზე ცალი ფეხით როგორ წარვდგეო.

1969 წლის 3 მარტს პეტრე—პავლეს ტაძრის ზარებმა ქუთაისის მორწმუნეებს ამცნო, რომ მიტროპოლიტი ნაომი გარდაიცვალა.

იგი პეტრე—პავლეს ტაძარში დაკრძალეს. მწირველნი იყვნენ და წესის აგების საიდუმლო შეასრულეს კათოლიკოს—პატრიარქმა ეფრემ II—მ, ცხუმ—აფხაზეთის ეპისკოპოსმა ილიამ, ამჟამად სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქმა, თბილისისა და ქუთაისის სამღვდელთა მცხეთის სასულიერო სემინარიის სტუდენტობამ.

გარდაცვალების მეორე დღეს ბათუმიდან ეფრემ II—მ დეპეშა გამოგზავნა: „ჩემი უძვირფასესი ნაომის გარდაცვალების გამო, ვერ მოგახსენებთ სამძიმარს, რადგან ყველამ მე უნდა მითხრას სამძიმარი...“

ყველაზე ხშირად თურმე მიტროპოლიტი ნაომი იმეორებდა ფრაზას, რომ სიცოცხლე წუთისოფელია, რომელიც ერთი ოთახის ორ კარშორისაა მოქცეული. უნდა ეცადო, ეს მონაკვეთი ჭუჭყიანი ფეხებით არ გაიარო, რათა ცუდი ნაკვალევი არ დატოვო. როდესაც მას ეკითხებოდნენ: „მამაო, ღმერთი გნამს?“ — ის მშვიდად პასუხობდა „როგორ შეიძლება მთელი ცხოვრება ემსახურო იმ საქმეს, რომელიც არ გნამს?!“

გაზეთის გარეკანზე: ხარება, ლენჯერი, მთავარანგელოზთა ეკლესია XIV-XV სს.

**„საპატრიარქოს უწყებანი“
გამოაქვეყნებს რელიგიური
დანიშნულებისა და ხასიათის
რეკლამასა და განცხადებებს.
ტელ: 989541, 893181000**


**„საპატრიარქოს უწყებანი“
სათანამშრომლოდ იწვევს
ჟურნალისტებს.
ტელ: 989541, 893181000**

სიკვდილის წინ მეუფე ნაომმა თავის ვაჟს სთხოვა, თუ შესაძლებელი იქნებოდა, მისთვის ჩამორთმეული საეკლესიო ნიგნები „ჩეკადან“ წამოეღო. ოთარმა ქუთაისის სუკს მიაკითხა და ძნელი მისახვედრი არაა, რა პასუხსაც მიიღებდა. გავიდა დრო და ოთარ შავიანიძის, უკვე წყალტუბოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტში შემოვიდა მღვდელი და მეუფე ნაომის ნიგნები მოიტანა. ღიმილით ჰკითხა „ვერ მცნობ?“ — მე ის ჩეკისტი ვარ, მეუფე ნაომი დასაკითხად რომ დამყავდა.“

ის, ვისაც სარწმუნოებისა და ღვთისმსახურების ამოძირკვა—განადგურება ევალა, თავად მოექცა ნაომის ღვთიური გავლენის ქვეშ.

მარინა შაბიანიძე

ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი“ უფლისციხე ვიქტორ კაპოსი



თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინახოთ და ვინახოთ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ დაეალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში # 360851555 მფო. 220 101 406
„საპატრიარქოს უწყებანი“ ვებ-გვერდი: <http://www.patriarchate.ge>
ელ-ფოსტა: sap.uts@posta.ge sapatriarcho-press@posta.ge
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: თამაზ გაბისონია, ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი),
მარიამ ვაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე,
გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე ფინანსური მენეჯერი:
ელასი ჯიბლაძე, გავრცელება: ილია ბოკუჩავა, დიზაინერი: გოგი ავსაჯანიშვილი
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

სხეულს ენებებოდა და მისი მოშორება სხეულის სრული დაზიანების გარეშე წარმოუდგენელი იყო. სწორედ ეს მდგომარეობა აძლევს საფუძველს იოანე ლეთისმეტყველს, დარწმუნდეს აღდგომის ჭეშმარიტებაში (იოანე. 20, 6-8). ამის გარდა, აღდგომის ჭეშმარიტებას ამტკიცებს აღდგომილი მაცხოვრის მრავლგზის გამოცხადება მოციქულებთან.

XIX საუკუნეში ლიბერალური კრიტიკა ცდილობდა ეს ფაქტები ბუნებრივი მიზეზებით აეხსნა. მაგალითი ამგვარი ახსნისა შეიძლება ემსახურებოდეს ე. წ. მოჩვენებითი სიკვდილის თეორიას, რაც XIX საუკუნის პირველი ნახევრის გერმანელ ლიბერალ თეოლოგს — შლაიერმარხერს ეკუთვნის. ამ ჰიპოთეზის თანახმად, ქრისტი ჯვარზე ლეთარგიულ ძილს მიეცა, ხოლო სამარეში ყოფნისას, სადაც სიცივე და ნესტი იყო, გონს მოეგო. შემდეგ, რაგვარი სახით, გაუგებარია, ის საფლავიდან გამოვიდა და მოციქულებთან იმყოფებოდა, ვიდრე არ გამოჯანმრთელდა. ცხადია, ამგვარი ვარაუდი, უსაფუძვლოა თუკი მაცხოვარი მართლაც ერთგვარ ლეთარგიულ ძილში ჩავარდა, მახვილის გმირვა „გვერდსა მისსა“ მაინც აღარ დაუჭოვებდა იმის შესაძლებლობას, რომ ცოცხალი დარჩენილიყო. ამავე დროს, დაუჯერებელია — ასეთ მდგომარეობაში მყოფს უზარმაზარი ქვა გადაეგორებინა, რომლის ადგილიდან დაძვრა ერთად შეკრებილ რამდენიმე ადამიანსაც კი არ შეეძლო.

არსებობს ასევე აღდგომის მოვლენების ახსნის სხვა მცდელობაც, კერძოდ, მას უწოდებენ მასობრივ ჰალუცინაციას. მაგრამ ამგვარი ახსნა არ იძლევა პასუხს კითხვაზე, საიდან გაჩნდა მოციქულებში რწმენა აღდგომის შესახებ, რწმენა, რომლითაც სუნთქავს მოციქულთა ქადაგებები და მათი სიკვდილადმდე მონამებრივი ღვაწლი? ჭეშმარიტად, აღდგომის ფაქტის აღიარების გარეშე ეკლესიის ისტორის მოვლენების ლოგიკურად ახსნა სრულიად წარმოუდგენელია.

მოამზადა
ნინო გაგოშაშვილმა

ფოტომატიანე

დეკანოზი დავით ლამბაშიძე 1841-1910

დეკანოზი დავით ბესარიონის ძე ლამბაშიძე 1841 წელს იმერეთში, შორაპნის მაზრაში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. პირველდანიყებითი განათლება ოჯახში, მამის მეთვალყურეობის ქვეშ მიიღო. შემდეგში იგი ასე იგონებდა ამ ამბავს: „მამაჩემმა დააწყებინა საღმრთო და საეკლესიო წერილის კითხვა ჩემს ორ უფროსს ძმას. როდესაც ისინი კარგად კითხვას შეეჩვივნ, შემდეგ მათ დააწყებინა საზეპირო სწავლება. იმ დროს, როცა ჩემი ძმები თავს აკლავდნენ სერობის ლოცვის ზეპირად დასწავლას, მე თავისუფლად ვთამაშობდი. როცა ძმები ზეპირობდნენ, მე მათ ყურს ვუგდებდი და ზოგიერთ ადგილებს ლოცვებიდან ვიხსოვებდი. არასოდეს არ ყოფილა ისეთი დღე, რომ განსვენებულ მამაჩემს სერობის ლოცვა არ შეესრულებინოს ნავახშმებს. მწუხრი და ცისკარი ხომ იშვიათი დღე იქნებოდა, რომ არ შეესრულებინა, მწირველიც რომ არ ყოფილიყო მეორე დღეს. სერობის ლოცვას ჩემს ძმებს აკითხებდა. ხშირად, როცა ძმებს შეეშლებოდათ საზეპირო და შეჩერდებოდნენ, მე ვუსწორებდი ხოლმე, რადგან მათ კითხვაში მე ზოგიერთი ადგილები ზეპირად დავისწავლე. ძლიერ უკვირდათ განსვენებულ ჩემს მშობლებს ეს და ჩემს ძმებს შენიშვნას აძლევდნენ, თქვენ კითხვაში ეს ზეპირად სწავლობს, როდესაც ჯერეთ „ანბანი“ არ იცისო.“

1855 წელს უკვე მოზრდილი დავითი მამამისმა ქუთაისში ჩაიყვანა და სასულიერო სასწავლებელში მიაბარა, რომლის დასრულების შემდეგ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა. 1867 წლის 10 ნოემბერს გარდაიცვალა მამა, მღვდელ ბესარიონი და იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დავითი დიაკვნად აკურთხა, ერთ კვირაში კი მღვდლად დაასხა ხელი და ფუთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის

ნუთუ უფალი სამშობლოშია? სული და ხორცი, კაცი და ღმერთი, ორი ერთში და ერთი ორშია. ან ის მხედრები ვინლა არიან, ასე კუშტად რომ უმზერენ მტერსა, ან რას ღიღინებს ის მეომარი აგრე სიტყბოთი, ან რასა ლესავს? რატომ მიმზერენ ასე სიმშვიდით, რატომ მძმობენ და სად შედახიან, რად ფეთქავს გული, თითქოს ვილაცამ ბინდის ზენარი სხივით გახია? თუ ასე მწარედ დავმარცხებულვარ, რატომლა ცქმუტავს ადამის მტერი? ჩემი სიცოცხლის ნიშნებს შეჰყურებს და ენუნება შიშით იერი. რამდენი ხმაა ამ სიმღერაში, რამდენი ტომი არის ქართული, რამდენი მინა მოელის პატრონს წართმეული და ვერ შენახული. რა ხმა ჩაესმის მამამებელი თავის ცოდვაზე მომტირალ ქართველს: „მცირე გაქუს ძალი, მაგრამ იმარხვი მახარებელთა უწმინდეს სათქმელს. და ვიცი, რომ არ გილალატინა, ამისთვის მოგცე ჰყრობად ზეობა და შენ წინ თრთოლვით დაიჩოქებდნენ სიცრუე, შური და უზნეობა. მტკიცედლა გეპყრას გვირგვინი შენი, რათა არავინ სხვამ არ მოილოს, რომც ვერ მხედვიდე, რაგინდ გიჭირდეს, ნუ დაეგები ხილულ მსოფლიოს. და მაშინ ვერა გერეოდიან მრავლის მომშობი უძლები ბჭენი, იერუსალიმს ახალს გინოდებ, როგორც ახალი გქვია ედემი.“ გმადლობ, უფალო, ყველაფრისათვის, სასჯელისათვის და გამოზრდისთვის, ლაზარესათვის, ლეთისმშობლისათვის, ფილადელფიის ანგელოზისთვის. მე ვინ ვარ, მართლა რამე ვიცოდე, რამეს ვხედვიდე, რამეს ვხედებოდე, შენს ნებას ნებსით განვასრულებდე და პირმართალი გეგებებოდე. არა მდიოდეს კაენის ცრემლი, არა მტანჯვიდეს ეჭვი მაეანი, შემთხვევით რამით გაგახარებდე და არ ვხედებოდე ამპარტაენი. მაგრამ, უფალო, რაც გინდა ვიყო, ვერ ჩამომგლიჯა წარღვნამ ფესვები, და საქართველოს აღდგომის იმედს მე ვერასოდეს ვერ შევეშვები. და ნუ მეტყვიან, როგორ მოხდება, ნუ დამითვლიან — რა დამიჯდება, ნუმც მოვესწრები, ჩემი სათქმელი მტერს ხმალში უთრხან ჩემმა ბიჭებმა. ოლონდაც, თუკი ასე ინებებ, თუკი მიბრძანებ, რომ ჩემი გული ვერა ყოფილა გამარჯვებასთან შესახვედრებლად დამდაბლებული. სანამ წამიყვან, ეს ხმა ცოდვილი აიტაცე და ასნიე ზემო, არნივად ვჭექო ოქროს თაველებს: „მზეგრძელი იყავ, სამშობლოვ ჩემო!“

ლევან ვასაძე

წინამძღვრად განამწესა. 1868 წელს შორაპნის ოლქის მთავარსუცესად დაინიშნა. 1868-73 წლებში შროშის წმინდა გიორგის, 1873-75 წლებში დანაეთის წმინდა გიორგის, 1875-87 წლებში კი ცხრანყაროს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიებში მსახურობდა. 1887 წელს ყვირილას წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა და დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1891 წლის 15 მაისს წმინდა ანას II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1896 წლის 6 მაისს წმინდა ვლადიმერის IV ხარისხის ორდენი უბოძეს. 1904 წლის აღდგომას წმინდა სინოდმა მადლობის სიგელით დააჯილდოვა. 1905 წლის ივნისში ენქერი ეწყალობა.

მამა დავითის სახელს უკავშირდება დაბა ყვირილაში სამრევლოს გახსნა. 1869 წლამდე ამ დასახლებაში არ არსებობდა ეკლესია. მამა დავითმა მიაქცია ყურადღება ერთ შენობას, რომელიც პურის მალაზია ყოფილიყო 1868 წლამდე, მაგრამ რადგან მალაზია სურამში გადაეტანათ, ყვირილაში ეს შენობა გაუქმებული იყო. მამის უფროსის დახმარებით მამა დავითმა სთხოვა კავკასიის მაშინდელ მმართველს, მის იმპერატორობით უმალღესობას, დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძეს, რომ ეს შენობა დაბა ყვირილის მცხოვრებთათვის დაეთმოთ უფასოდ, რათა იქ ეკლესია მოეწყოთ. ყველას გასახარად, მალაზია ეკლესიის სტილში იყო აშენებული და იგი ადვილად გადაკეთდა ტაძრად. 1870 წელს მეუფე გაბრიელმა ეს ტაძარი წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობაზე აკურთხა.

ყვირილაში დანიშნვისთანავე მამა დავითმა გადაწყვიტა ახალი ტაძარი აეშენებინა დაბაში, რადგან ძველი, ხის ტაძარი საკმაოდ მოზრდილ მრევლს უკვე ვეღარ იტევდა. მისი ლოცვა-კურთხევით ადგილობრივმა მცხოვრებმა, ქველმოქმედმა, მეორე გილდიის ვაჭარმა, გედევან ზურაბის ძე ჩუბინიძემ გამოთქვა სურვილი, თავისი ხარჯით აეგო შესაფერისი ტაძარი. მეუფე გაბრიელმა დიდი სიხარულით მიიღო ეს წინადადება და კურთხევაც გასცა ამ დიადი საქმის დაწყებისათვის. 1894 წელს მშენებლობა დაიწყო. ძველი ხის ეკლესია გადაიტანეს სასაფლაოზე, რომელიც ეკურთხა წმინდა ნინოს სახელზე და ახალი ქვითკირის ეკლესიის აშენება კი არგვეთის მთავართა, წმინდა დავით და კონსტანტინეს სახელობაზე გადაწყვიტეს. ტაძრის აშენება 70 ათასი მანეთი დაჯდა. ეკლესიის კედლები მთლიანად ეკლარის თლილი ქვით იყო აშენებული. 1899 წლის 2 ოქტომბერს მისი კურთხევა, რადგან ეპარქიის მმართველი, ეპისკოპოსი ლეონიდე ულონოდ ბრძანდებოდა, შეასრულეს ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ნიკიფორემ (კანდელაკი), კვიპროსის კუნძულის კიკოსის მონასტრის არქიმანდრიტმა მელეტიოსმა, დეკანოზმა დავით ლამბაშიძემ და მღვდელმა ბესარიონ გველესიანმა. ლამისთევით ცისკარი შეასრულა ბერძენმა არქიმანდრიტმა მელეტიოსმა.

წირვაზე რუსულად და ქართულად გალობდნენ ადგილობრივი და სამრევლო სკოლის შეგირდები ყვირილის სამრევლო სკოლის მასწავლებლის ლ. კელენჯერიძის ლოტბარობით. „განიცადეზე“ შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა დავითმა.



გთავაზობთ პატარა ამონარიდს ამ ქადაგებიდან: „დღესასწაულობა მრავალგვარია, ძმანო ქრისტიანენო, მაგრამ დღევანდელი ჩვენი დღესასწაული, ენქენიობა, ჩვენი ახალი ეკლესიის კურთხევა, აღემატება ყველა იმ სასიხარულო დღესასწაულებს, რომელთაც ჩვენ ვდღესასწაულობთ ხოლმე ჩვენს ცხოვრებაში. ჭეშმარიტი ქრისტიანის გული აღვსილია სიხარულით თავისი ეკლესიის კურთხევის დროს. რატომაა ეს დღე ასე სასიხარულო ყოველთა ქრისტიანეთათვის? იმისთვის, რომ ეკლესია არის საზოგადო ჩვენი დედა, აღმზრდელი სარწმუნოებასა და კეთილმსახურებასა შინა დაბადებიდან სიკვდილამდე. ეკლესია ყოველთვის ცხოველს მონანილეობას იღებს ჩვენს არა მარტო სულიერ და სარწმუნოებრივს არამედ საზოგადო შინაურ ოჯახურ ცხოვრების საქმეებშიც. არც ერთ შემთხვევა არ მოხდება ჩვენს ცხოვრებაში, რომ ლოცვით და ეკლესიის კურთხევით არ იქნეს დაწყებული. დაგებადა, ვთქვათ მაგალითად — ბავშვი. წმიდა ეკლესიის მოსამსახურე, შენი სულიერი მოძღვარი იქარის შენი სახლისკენ, რათა მშობიარეს ნაუკითხოს ეკლესიისაგან დაწესებული ლოცვა, უწოდოს სახელი ახლად დაბადებულს და შეავედროს ღმერთს, რომ მან მოუვლინოს მას მფარველი ანგელოზი.“

გახდა ვინმე, ძმანო, თქვენ შორის ავად. წმიდა ეკლესია გიგზავნის შენ მღვდელს და გაძლევს ხორცსა და სისხლსა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, რომელიც გკურნებს ჩვენ სულიერად და ხორციულად.

შენ გსურს, რომ ჯვარი დაინერო — წმიდა ეკლესია გაკურთხევს, როგორც შენ, სასიძოს, ისე შენს მეგობარ სასიძოს და გვირგვინოსან გყოფს სახითა მაცხოვრისათა ეკლესიასთანა, თქვენთვის გამოითხოვს უფლისაგან კეთილ ცხოვრებასა, მშვიდობასა და სიყვარულსა.

ვინ გაგვაცილებს ჩვენ ამ ქვეყნიდან ცხოვრების დასრულების დროს საიქიოს, თუ არა იგივე დედა ჩვენი — წმიდა ეკლესია?

ყოველივე ჩვენს ცხოვრებაში ეკლესიისაგან იკურთხება: სახლი, ეზო, აგარაკი, ვენახი, ნაყოფი, წყარო, საქმელი და სასმელიც.

აი, ამისთვის გმართებს, ძმანო, დიდი სიხარული დღეს, რადგან ეკურთხა ჩვენი ახალი ეკლესია“.

მამა დავითი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა იმერეთის ეპარქიის სანთლის ქარხანას, იყო მთავარსუცესი და სამღვდელოების სულიერი მოძღვარი.

1884-1910 წლებში საქართველოში მამა დავითის რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი „მწყემსი“ ქართულ ენაზე და ჟურნალი „პასტირი“ რუსულ ენაზე, სადაც ქვეყნდებოდა უამრავი სახის საინტერესო სტატია. ჟურნალმა იმთავითვე დიდი სიმპათია და მოწონება დაიმსახურა როგორც სამღვდელოების, ისე საზოგადოების ყველა ფენაში. იგი იბეჭდებოდა სოფელ ყვირილაში. დეკანოზი დავითი პირადი სახსრებით გამოსცემდა მას.

ღვანლმოსილი დეკანოზი 1910 წლის 21 დეკემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა. 30 დეკემბერს, დილის ცხრა საათზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი მამა დავითის დაკრძალვაზე. მიცვალებული დიდი ცერემონიით წაასვენ-

ნეს სახლიდან წმინდა დავით და კონსტანტინეს სახელობის ტაძარში, წინ უძღოდა მრავალი სამღვდელოება ორი მღვდელმთავრის — გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ლეონიდესა (ოქროპირიძე) და იმერეთის ეპისკოპოს გიორგის (ალადაშვილი) წინამძღოლობით. გალობდა ქართული გუნდი განიცადებუ სიტყვები წარმოსთქვეს მღვდელმა კირილე კელენჯერიძემ და მღვდელმა გიორგი ბაკურაძემ. წირვის შემდეგ, წესის აგების წინ, სიტყვა წარმოსთქვა მეუფე ლეონიდემ, დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ, „შინაური საქმეების“ რედაქტორმა მღვდელმა სვიმონ მჭედლიძემ, მღვდელმა კონსტანტინე ანთაძემ, მღვდელმა ბესარიონ ვაშაძემ, დეკანოზმა იოსებ წერეთელმა, მღვდელმა სერგი მაჭარაშვილმა, მღვდელმა პარმენ ყიფშიძემ, მღვდელმა იოანე ცქიტიშვილმა, მღვდელმა ალექსანდრე არდიშვილმა და სხვებმა.

სასულიერო პირებმა ვრცლად ისაუბრეს განსვენებულის მხნე, მედგარ და ნაყოფიერ სამსახურზე და მის განსაკუთრებულ ღვაწლზე ეკლესიის წინაშე. განსაკუთრებით შთამბეჭდავი სიტყვები წარმოთქვეს მეუფე ლეონიდემ და დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ. სიტყვების შემდეგ ანდრძი აუგეს იმავე ეკლესიაში და შემდეგ მიცვალებული წაასვენეს წმინდა წინოს სახელობის ეკლესიაში დასაკრძალად.

პროცესია ნახევარ ვერსზე გაგრძელდა. სამღვდლოება თავის დაუვიწყარ მოძღვარს ხელით მიასვენებდა. ხალხთა შორის დეპუტაციებიც იყვნენ სხვადასხვა ქალაქებიდან, ქართლ-კახეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდლოებიდან. სამგლოვიარო დეპეშები და წერილები ხომ ურიცხვი იყო. ნაშუადღევს, სამ საათზე, დეკანოზი დავითი მიასვენეს სასაფლაოზე. დაკრძალვამდე ერისკაცებმა კიდევ გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს. მგოსანი აკაკი წერეთელი მწუხარებას აცხადებდა, რომ, ავადმყოფობის გამო, პირადად ვერ დაესწრო გარდაცვალებული დეკანოზის დასაფლავებას და თავისი სიტყვა გაუზავნა, რომელიც საჩხერის სკოლის მასწავლებელმა იასონ ლამბაშიძემ წაიკითხა. შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს: ყვირილის მასწავლებელმა ბესარიონ კელენჯერიძემ, ვარდენ ყიფიანმა, სოსიკო მერკვილაძემ, წერა-კითხვის საზოგადოების ყვირილის განყოფილების წარმომადგენელმა, ყვირილის საქალბო სკოლის ერთმა მონაფე ქალმა და სხვებმა. მონაფე ქალმა ისეთი გრძნობიერი სიტყვა თქვა, რომ მთელი დამსწრე საზოგადოება ააცრემლა და ააქვითინა. საქართველოს სამღვდლოების ისტორიაში ჯერ არ მომხდარა სამღვდლო პირის ასეთი დიდებული და ცერემონიული დასაფლავება, გარდა გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვისა. თუმცა ის გარემოებაცაა მხედველობაში მისაღები, რომ იმერეთის სამღვდლოებაში დეკანოზ დავით ლამბაშიძისთანა საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და გამოცდილი მოძღვარი იშვიათად თუ მოიძებნებოდა და, შესაბამისად, არავისთვის იყო მოულოდნელი მისი ასეთის პატივისცემა და დაფასება, როგორც სამღვდლოების, ისე საერო საზოგადოების მხრიდან.

მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ, ნაშუადღევის ოთხ საათზე, გარდაცვალებული დეკანოზის შვილებმა, ექიმმა ვახტანგმა და მღვდელმა ქსენოფონტე ლამბაშიძეებმა თავის ოჯახში სადილად მიიწვიეს თავიანთი კრებულებით ყოვლადსამღვდლონი და მასთან მთელი დამსწრე საზოგადოება, წარმომადგენლები და დეპუტაციები.

დეკანოზი დავითი გახლდათ შესანიშნავი მქადაგებელი. ვთავაზობთ მის წარმოთქმულ ერთ-ერთ ქადაგებას აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით:



დეკანოზი დავითი წირვის გვირაგის კურთხევაზე. უკან მამიდასთან წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი (ძიძოძე)

**ქრისტეს აღდგომისათვის
დეკანოზი დავით ლამბაშიძე**

„ჯვარზე გამსჭვალულმა ქრისტემ სულის განტევის წინადაწარმოსთქვა სიტყვა: „აღსრულდა“. ამ სიტყვით დასრულდა ძველი აღთქმის ისტორია კაცობრიობისა. მაცხოვრისაგან ამ სიტყვის წარმოთქმის დროს გადატყდა, ესრეთ ვსთქვათ, ღერძი კაცობრიობის ისტორიული ცხოვრების ბორბალისა. ამ გადატყებით შეიძრა ქვეყანა, და აჰა, მოგვიტხოვრობს მახარებელი: „**კრესაბმელი იგი ტაძრისა მის განიპო ორად ზევიდგან ვიდრე ქვედმდე, და ქვეყანა შეიძრა, და კლდენი განჰსქდენ და საფლავნი აღეხვნენ**“. შიში დაეცა ყველას, ყველანი მოელოდნენ, რომ მინა შთანთქავს მათ და შეძრუნდნენ. მაგრამ ცხოველ არს ღმერთი და ცხოველია სული კაცობრიობისა. ვერ მისწვდება კაცის გონება ღვთის განგებულების საქმეს. სადაც ჩვენ სიკვდილი გვეჩვენება გამარჯვებულად, იქ იგი დამარცხებულია. თესლი მცენარეთა, როდესაც იმარხება მიწაში და სრულებით იხრწნება, მაშინ იწყებს და იჩენს სიცოცხლეს. აგრეთვე კაცობრიობის ცხოვრებაც. განახლებული ცხოვრება მაშინ იწყება, როდესაც უკანასკნელად იმარჯვებს სიკვდილი ძველ ცხოვრებაზე. და აი, საშიშარი დროს, წამი ქრისტეს, სოფლის მხსნელის, სიკვდილისა, რომლიდგანაც იწყება ახალი, გამოცვლილი და განახლებული ცხოვრება კაცობრიობისა. ქრისტე აღსდგა მკვდრეთით დიდებული სხეულით და მასთან აღადგინა მთელი კაცობრიობა ახალი დიდებული ცხოვრებისათვის. ისტორია ქრისტეს აღდგომისა საუკუნო წყაროდ დარჩება ახალი ზნეობრივი დაბადებისა როგორც კერძო პირთა, ისე მთელი ხალხისა და ქვეყნისათვის და წმიდა მოთხრობა აღდგომაზე არ დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას უკუნითი უკუნისამდე.

„**ქრისტე აღსდგა!**“ — უთხრეს ანგელოზებმა მტირალ მენელსაცხებელ დედათა, რომელნიც მოვიდნენ ქრისტეს საფლავად, რომ მიეცათ თავის მოძღვრისათვის უკანასკნელი ვალი სიყვარულისა და პატივისცემისა, და ეს სასიხარულო ხმა იმ დროიდგან ვრცელდება თანდათან და გავრცელდება შემდეგშიაც, ვიდრემდის მთელ ქვეყანაზედ არ მოისმება ეს სადღესასწაულო ღაღადების ხმა და ამ ანგელოზთა ხმაზე: „**ქრისტე აღსდგა!**“ ყველასაგან

ფოტომატიანე

ერთითა პირითა და ერთითა გულითა არ მოისმება მიგება: „ჭეშმარიტად აღსდგა!“

მართლმადიდებელი ეკლესია თავის დადგენილობათა და მღვდელმოქმედებათა შინა მშვენიერად და ცხადად წარმოგვიდგენს ჩვენ ამ ქვეყნიურ ცხოვრების ისტორიულ შეცვლას და ამით გვამცნებს, რომ ყველამ ჩვენ სულიერ ცხოვრებასა შინა ვიგრძნოთ ის გრძნობანი შიშისა და სასოებისა, მწუხარებისა და მზიარულებისა, სიკვდილისა და აღდგომისა, რომელიც იგრძნეს ნამდვილად იესო ქრისტეს სიკვდილის და აღდგომის დროს. ყოველივე ეს გრძნობანი ისე ნათლად და ცხადად არსად არ სრულდება, როგორც დიდ მარხვაში და განსაკუთრებით ვნების კვირიაკეში. დიდი მარხვა მომასწავებელია ძველი აღთქმისა, როდესაც ხალხი მოელოდა მაცხოვარს, სოფლის მხსნელსა. დიდ მარხვაში ჭეშმარიტი ქრისტიანი თანდათან



გრძნობს დიდი მარხვის სიმძიმეს და თანაც მოელის ამ მძიმე მდგომარეობის მალე შეცვლას. ბუნებაც ამ დროს თითქმის ახლდება. ახლოვდება გაზაფხული. მცენარეები იმოსებიან. ზამთრის სუდარი ეხდება არემარეს და ყველა სულდგმული რალაცა სიხარულს გრძნობს. ყოველივე ამის მხილველი კაცის გულში თანდათან ღვივდება და ძლიერდება რალაცა გამოუთქმელი სიხარული და სასოება ბრწყინვალე დღესასწაულის მოლოდინისა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ჩვენგანს არ შეუძლია იგრძნოს ეს სიხარული და ნეტარება. ვის შეუძლია დასტკბეს საჭმლის გემოთი? ვისაც უმარხულია და შიმშილი უგრძნვია. ვის შეუძლია ბედნიერება იგრძნოს? ვისაც უბედურება გამოუცდია. ამისთვის წმიდა ეკლესიამ დაადგინა ვნების კვირიაკეში დროის შესაფერისი მღვდელ-მოქმედებანი, რომელთაც გრძნობაში მოჰყავთ ყველანი, აფიქრებს მათ თავის ცხოვრებაზე და, რაც უნდა გაფანტული იყოს კაცი, მაინც აფიქრებს მას, ერთის მხრით, თავის სინდისზე და ეს დაფიქრება ატყობიებს მას თავის ზნეობით დაცემას, ხოლო, მეორეს მხრით, ამცნებს კაცს მაცხოვრისაგან კაცობრიობისათვის შენიღული მხსვერპლის სიდიდეს. ნეტავი იმ კაცს, რომელსაც ყველა ეს უგრძნვია და ეკლესიის ყო-

ველივე დადგენილებანი მტკიცედ აღუსრულებია! მხოლოდ ამგვარ კაცს შეუძლია იგრძნოს ის ჭეშმარიტი გულის მზიარულება, რომელსაც გრძნობს კაცი აღდგომის დღეს. იმათ კი, რომელნიც თავის თავს და სვინდისს არ გამოცდიან, არ იციან, რა არის ზომიერი ჭამა და მარხულობა, არ დადიან ეკლესიაში ვნების კვირიაკეში და არც შინ კითხულობენ სახარებას, არ შეუძლიათ იგრძნონ ჭეშმარიტი სიხარული დღესასწაულისა.

ქრისტეს დროს თორმეტ მოციქულში მხოლოდ იუდა შეიქმნა ქრისტეს გამცემელი. დღეს ამდენ ქრისტიან ხალხში, რასაკვირველია, არა ერთნი მოინახებიან იუდას თანაზიარნი. ზოგიერთნი ჩვენგანი იწოდებიან ქრისტიანებად, მაგრამ საქმით სრულებით არ გვანან ქრისტიანეთა.. მათი სარწმუნოება დამდაბლებულია და მოქმედება გაცუდებული და დაუვიწყებიათ მათ მაცხოვრის მცნება, რომელიც ბრძანებს: „**შეიყვარე უფალი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა. შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი**“.

ქრისტე აღსდგა და ვისურვოთ, რომ აღსდგეს ჩვენში დაცემული სარწმუნოება და ზნეობა.

„ქრისტე აღსდგა!“

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინახებინათ ვინსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.


რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩუროშვილი

მთხოვთ, გაზიარდეთ ჩვენი მასალი და დაგვიხმობთ მასში

გთხოვთ დაგვიხმობთ ჩვენი მასალი და დაგვიხმობთ მასში
სახალხო ბანკი, კონსტანტინე 2-ე ფილიალი, ანგარიში # 360851555 მფო. 220 101 406
მომღებო: ნ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
„საპატრიარქოს ურთიერთობების“ ელ.კავშირები: <http://www.patriarchate.ge>
ელ.ფოსტა: sap.uts@post.ge
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: თამაზ გაბისონია, ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შილაშვილი),
მარიამ ვაგუა, ნინო ვაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე,
გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე ფინანსური მენეჯერი:
ელასი ჯიბლაძე, გავრცელება: ილია ბოკუჩავა, დიზაინერი: გოგი ავსაჯანიშვილი
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

სუროტის დედათა მონასტერსა და ახალი შუამთის მონასტერს შორის დაიდო ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულების საფუძველზე ითარგმნა ზემოხსენებული წიგნი, სადაც გამოყენებულია ბერძნული გამოცემის ფოტოები და ორნამენტები. წიგნი გამოსაცემად მომზადდა ახალი შუამთის მონასტრის მეტოქიონში, წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობაში.



**სართავორისო
სამეცნიერო**

კომპლექსი დიდაქარაში

2-3 მაისს სოფელ დიდაქარაში შედგა სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენცია გახსნა ხულოსა და სხალთის ეპისკოპოსმა სპირიდონმა (აბულაძემ). კონფერენციის მუშაობაში ქართველ სასულიერო პირებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ატლანტის შტატის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა, დეკანოზმა იოანე თაუზენდომ.

მეუფე სპირიდონმა კონფერენციის მონაწილეებს ახარა, რომ სულ მალე ცნობილი ქართველი გმირის, მუხანათურად მოკლული სელიმ ხიმშიაშვილის ცხედარი მთანმინდაზე დაიკრძალება.

მრავლის საყურადღებოდ

ყოველ პარასკევს, საღამოს 6 საათზე, წმინდა მიხეილ ტვერელის სახელობის ტაძარში ჩატარდება პარაკლისი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატთან — „შუესმელი ბარძიმი“.

ხელდასხმა

5 აპრილს საჩხერის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში ცხუმ-აფხაზეთის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის III კურსის სტუდენტი გიორგი გოგესაშვილი.

დიაკონი გიორგი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

11 აპრილს გურჯაანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტერში გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (ლეჟავა) მღვდლად დაასხა ხელი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის დიაკვნ კახაბერ ქუბიაშვილს.

მღვდელი კახაბერი თბილისის წმინდა პანტელეიმონის სახელობის ტაძარში (ვერაზე) იმსახურებს.

11 აპრილს გურჯაანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტერში გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (ლეჟავა) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის III კურსის სტუდენტი ზაქარია შონია.

დიაკვანი ზაქარია ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

12 აპრილს გურჯაანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტერში გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (ლეჟავა) მღვდლად

დაასხა ხელი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის დიაკვნ კახაბერ ფირანიშვილს.

მღვდელი კახაბერი თბილისის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარში იმსახურებს.

12 აპრილს გურჯაანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტერში გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (ლეჟავა) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის III კურსის სტუდენტი იოანე ნუნუნავა.

დიაკონი იოანე ვარკეთილის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში იმსახურებს.

16 აპრილს ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) დიაკვნად აკურთხა ამავე ტაძრის მედავითნე თამაზ გოგოტიშვილი და სახელად თომა უწოდა.

დიაკონი თომა ოზურგეთის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

18 აპრილს ოზურგეთის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) დიაკვნად აკურთხა ბათუმის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული და ოზურგეთის საკათედრო ტაძრის მედავითნე ზაქარია თბილაიშვილი.

დიაკონი ზაქარია ოზურგეთის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

დაჯილდოვება

26 აპრილს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიტროპოლიტის წოდება მიანიჭა მარგვეთისა და უბისის მთავარეპისკოპოს ვახტანგს (ახვლედიანი).

**საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის
დეპარტამენტის განცხადება**

შენება-თელეთი (გიორგობის დღესასწაულისათვის) 6 მაისი; ოთხშაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 12 ლ;
ღვთაება-მარტყოფი 9 მაისი; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 12 ლ;

ბოდბე-ხირსა 10 მაისი; კვირა; გასვლა 8 სთ; ფასი 14 ლ;
ულუმბო-ბრეთი (ხსენება მიქაელ და არსენ ულუმბოელთა) 16 მაისი; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 14 ლ;

ისრაელი, წმიდა მიწა (სულთმოფენობის დღესასწაულისათვის) 5-12 ივნისი;

საბუთების მიღება 18 მაისამდე; ფასი 1400-1500\$;
ტაო-კლარჯეთი-კაბადოკია 29 მაისი — 5 ივნისი, საბუთების მიღება 27

მაისამდე; ფასი 500-520\$ გასვლა 7:00 სთ.
მომლოცველებს მოემსახურება გიდი ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე:

„ოქროს სანძისი“, სიონის ქ. 13
„წმიდა კუთხე“, ბახტრიონის ქ. 8, ჩიტაიას ქ. 39

ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძართან არსებული მალაზია, რუსთაველის 9

დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მალაზია, წერეთლის 44

ვაკის სამების ტაძართან არსებული მალაზია, ჭავჭავაძის 37

ავტობუსები გადის სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით — ტელ: 92 39 78 (11-დან 17 სთ-მდე);

მოცხადების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ღმერთმა პირდაპირ არ უპასუხა მის შეკითხვას, რატომ იტანჯებოდა დაუმსახურებლად. ღმერთმა არ გაუმჟღავნა ადამიანური გონებისათვის მიუწვდომელი ღვთაებრივი განგებულების სიბრძნე. უფალი მიმართავს იობს:

„სად იყავი, როცა დედამიწას ვაფუძნებდი? ამიხსენი, თუ გაქვს გაგება. ვინ დასაზღვრა მისი ზომები თუ იცი...» (იობ. 38. 4—5). და ასე შემდეგ.

რელიგიურმა კრიზისმა იობში ღმერთის ახალი ხედვა დაბადა. ამიტომაც, რომ იობის დრტივინვა უფრო ძვირფასია უფლისათვის, ვიდრე მისი სამი მეგობრის ფორმალური თეოდისეა ანუ ღვთის დაცვა. ღმერთმა გაამართლა იობი მისი მეგობრების წინაშე და უბრძანა მათ, შვიდი ხარი და შვიდი ცხვარი შეენი-

რათ ღმერთისათვის იობის თანდასწრებით. რათა იობს ელოცა მათი ცოდვების შენდობისათვის. ტანჯვაში გამოწონობილი შეუორგულელებელი რწმენისა და მოთმინებისათვის უფალმა უხვად დააჯილდოვა იობი. ღმერთმა მას მისცა წინანდელზე ორმაგი ქონება, ისევ ეყოლა შვიდი ვაჟი და სამი ასული. განკურნების შემდეგ 140 წელი იცხოვრა და მოესწრო შვილთაშვილს მეოთხე მოდგმამდე. თუმცა კიდევ უნდა დავძინოთ, რომ იობმა მისი ტანჯვის სანაცვლოდ ადამიანურ თანაგრძნობაზე გაცილებით მეტი რამ მიიღო. დაუმსახურებელმა ტანჯვამ ალამალა ახალ აღთქმისეული ღმერთის წინათგრძნობამდე.

თეიმურაზ ბუაძე.

ქრონიკა-ინფორმაცია

ხელდასხმა

10 მაისს წინონმიდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და წინონმიდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის II კურსის სტუდენტი დავით გელბახიანი.

დიაკონი დავითი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

11 მაისს წინონმიდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და წინონმიდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) მღვდლად დაასხა ხელი ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის დიაკვანს გიორგი წეროძეს.

მღვდელი გიორგი კარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

დაჯილდოება

14 მაისს, პარიზის წმინდა თამარ მეფის სახელობის პირველ წირვაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა დასავლეთ ევროპის ეპარქიის მღვდელმსახურნი:

ბერლინის წმინდა მღვდელმონაშე კირიონის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი (გერმანია), არქიმანდრიტი ლაზარე (სამადბეგიშვილი) — მეორე გამშვენებული ჯვრით;

კანის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი (საფრანგეთი), ილუმენი ისააკი (ფირცხალავა) — არქიმანდრიტის წოდებით;

ბრიუსელის წმინდა თამარ მეფის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი (ბელგია), ილუმენი დოსითე (ბოგვერაძე) — არქიმანდრიტის წოდებით;

ბარსელონას წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი (ესპანეთი) ილუმენი ლუკა (ფალავანდიშვილი) — არქიმანდრიტის წოდებით;

დიუსელდორფის წმინდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი (გერმანია), მღვდელ-მონაზონი ისე (გელაშვილი) — ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით;

ვიტორიის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი (ესპანეთი), მღვდელ-მონაზონი სერაპიონი (გრიგალაშვილი) — ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით;

პარიზის წმინდა თამარ მეფის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი (საფრანგეთი), მღვდელ-მონაზონი ანტონი (კანდელაკი) — ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით.

მართლმადიდებლური

საგალობლის საერთაშორისო ფესტივალი ბელორუსიაში

30 აპრილიდან 3 მაისამდე ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში მართლმადიდებლური საგალობლის ფესტივალი ჩატარდა. საქართველოდან ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ვერის წმინდა დიდმონაშე პანტელეიმონ მკურნალის ტაძრის მგალობელთა გუნდმა: ბადრი ჯიმშელიშვილის, პაპუნა ლვაბერიძის, მალხაზ მახარაშვილისა და გიორგი ნატროშვილის შემადგენლობით. ფესტივალის ყოურიმ ლაურეატობა ქართულ გუნდს მიანიჭა.

ვერის წმინდა დიდმონაშე პანტელეიმონ მკურნალის ტაძრის მგალობელთა გუნდმა მინსკში ეკლესია-



ღირსი შიო მღვიმელის წმინდა ნაწილები

ქრისტიანად მხოლოდ 42% იწოდება; ხოლო 32% არცერთ კონფესიას არ მიეკუთვნება; 19% ათეისტობას აღიარებს, ხოლო 8%-მდე რელიგიურ კუთვნილებაზე პასუხისას ჭოჭმანობს.

**ამერიკაში რელიგიური
თვალსაზრისით შუაწყნარებალი
ძვეყნების სია გამოაქვეყნეს**

აშშ-ს კონგრესთან არსებული აღმსარებლობის თავისუფლების კომისიამ დაასახელა ქვეყნები, სადაც სხვადასხვა კონფესიები შეუწყნარებლობის გამოვლინებებს აწყდებიან. ესენია: რუსეთი, ბელორუსი, ტაჯიკეთი, თურქეთი, კუბა, ვენესუელა, ეგვიპტე, სომალი, ავღანეთი, ლაოსი.

ცალკეა გამოყოფილი ქვეყნები, რომელთა მთავრობის უმოქმედობის გამო სერიოზული რელიგიური კონფლიქტები დაფიქსირდა. ესენია: ნიგერია, ეთიოპია, ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა, მიანმა, ვიეტნამი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ირანი, ერაყი, პაკისტანი, საუდის არაბეთი, სუდანი. კომისიამ ამერიკის მთავრობას ამ ქვეყანათა წინააღმდეგ სანქციების დაწესების რეკომენდაცია მისცა.

თავად აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს იმ ქვეყნების საკუთარი სია გააჩნია, სადაც ზემოხსენებული სანქციების გატარება იგეგმება. ესენია: ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა, მიანმა, უზბეკეთი, საუდის არაბეთი, ირანი, სუდანი და ეთიოპია.

ერთადერთი ქვეყანა, სადაც აღნიშნული კომისიის აზრით, რელიგიის შემწყნარებლობის მხრივ დადებითი ძვრები შეიმჩნევა, ბანგლადეშია.

**იერუსალიმში ქრისტიანთა რიცხვი
კლებულობს**

ბოლო 60 წლის განმავლობაში იერუსალიმში მცხოვრებ ქრისტიანთა რიცხვი ორჯერ და უფრო მეტად შემცირდა. ამჯერად ამ ქალაქში 14 000 ქრისტიანი ცხოვრობს, აქედან 2 600 — მონაზონი და სამღვდელთა. 1946 წლისთვის ქრისტიანთა რიცხვი 31 000-ს შეადგენდა, რაც ქალაქის მოსახლეობის 20% იყო. ამჟამად ეს წილი მხოლოდ 2%-ია.

კათოლიკეთა რიცხვი 4 500-ს შეადგენს, ხოლო მართლმადიდებლებისა — 3 500-ს. ახალგაზრდა ქრისტიანთა უმრავლესობა იორდანიაში, აშშ-ში, კა-

ნადაში და ლათინური ამერიკის ქვეყნებშია ემიგრირებული.

ქრისტიანთა რიცხვი შემცირდა ბეთლემში და ნაზარეთშიც. 1946 წელს ეს წილი შესაბამისად 60% და 40% იყო, ამჟამად კი — 20% და 30%-ია.

სამაგიეროდ, იზრდება მუსლიმთა რიცხვი — 1946 წელს იგი 30 000-ს შეადგენდა დღეს კი — 230 000-ია.

**სარწმუნოებას ამერიკელების
დიდი ნაწილი იცვლის**

სოციოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აშშ-ს მოსახლეობის 40%-მა ერთხელ მაინც შეიცვალა რელიგიური კონფესია. განსაკუთრებით ხშირად იცვლიან სარწმუნოებას 24 წლის ასაკის ამერიკელები. ყველაზე მეტი განდგომილი ჰყავს კათოლიკურ ეკლესიას, თუმცა მათი რიცხვი ნაწილობრივ კომპენსირდება ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან ემიგრირებულებით. პროტესტანტული დენომინაციების მიმდევართა ერთი მეოთხედი სარწმუნოების „შიდაპროტესტანტულ“ ცვლას ამჯობინებს. ამერიკის მოსახლეობის 15% ურწმუნოა, რა წილიც წინა წლებთან შედარებით შესამჩნევად გაზრდილია. ურწმუნოები მიიჩნევენ, რომ მორწმუნეები სუბიექტურები, არაგულწრფელები და ფარისევლები არიან.

საინტერესოა, რომ ურწმუნოთა ოჯახებიდან გამოსული ამერიკელების უმრავლესობა ამჟამად მორწმუნეა.

**ინტერნეტში ანტირელიგიური
თამაში გავრცელდა**

ინტერნეტში გავრცელდა უფასო თამაში "Faith Fighters" („სარწმუნოებისათვის მებრძოლნი“), სადაც კარიკატურულადაა ასახული იესო ქრისტე, ასევე — ბუდა, მუჰამედი და ინდუისტური ღმერთი განეში. მოთამაშე მათ ერთმანეთს უპირისპირებს აღმოდებული შენობების ფონზე. რელიგიურმა საზოგადოებრიობამ მთელ მსოფლიოში ხმა აიმაღლა ამ პროვოკაციული ნამოწყების წინააღმდეგ. საპასუხოდ თამაშის შემქმნელებმა დაამზადეს მეორე თამაში "Faith Fighters-2", სადაც მოთამაშეს თითქოსდა საშუალება ეძლევა პატივისცემა გამოხატოს მსოფლიო რელიგიური წინამძღოლების წინაშე.

მოამზადა თამაზ გაბისონიამ

ფოტომატიანე

**ილუმენია ათანასია (სალაყაია)
1849-1903**

ილუმენია ათანასია — ერში, ალათი სალაყაია 1849 წელს, სამეგრელოში, აზნაურის ოჯახში დაიბადა. XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში მონაზვნად შედგომის სურვილმა ახალგაზრდა ალათი იმჟამად ახლადდაარსებულ თეკლათის დედათა მონასტერში მიიყვანა. აქ მან საფუძვლიანად შეისწავლა წმინდა წერი-

ლი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი. მალე იგი წინამძღვარმა მორჩილის კაბითაც შემოსა.

თავად თეკლათის დედათა მონასტრის დაარსების ისტორიას უფრანალი „მწყემსი“ 1891 წლის მაისის ნომერში ასე მოგვითხრობს: „იმ ადგილას, სადაც ეს მონასტერია აშენებული, ძველ დროში საგაზაფხულო

სადგომები იყო ხობის მონასტრის განსვენებულ წინამძღვართა. მათ ჰქონდათ აქ პატარა სამლოცველო და საცხოვრებელი სახლი. სამლოცველო იყო ძალიან პატარა. ამ რამდენიმე წლის წინათ ამ ადგილას მარტო სამლოცველო და დარჩა. 1865 წელს ზედა თეკლათის მთავარანგელოზთა ეკლესიის გალავანში დაბინავდა

ან უკვე განსვენებული სალომე თავდგირიძის ასული, რომელსაც თან ახლდა ერთი მონაზონი და ერთი მოსამსახურე. სალომე თავდგირიძის ასულმა აქ ააშენა ქვითკირის შენობა, შეკრიბა მონაზვნები და იწყეს მოღვაწეობა. მონაზვნები ღარიბულად სცხოვრობდნენ, რადგან მათ ნივთიერი დახმარება არავისგან არ ეძლეოდათ. ამ მდგომარეობაში იყვნენ ისინი, სანამ სამეგრელოს ეპარქია არ ეწერა დროებით იმერეთის ეპარქიას. შემდეგ სამეგრელოში მობრძანდა მისი ყოვლადუსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი. მისმა მეუფებამ დაათვალიერა როგორც პირველის, ისე ამ ახალი მონასტრის ადგილები, შეიტყო მონაზვნების ღარიბული მდგომარეობა. მისმა მეუფებამ ურჩია თავდგირიძის ასულს იმ ადგილს გადასვლა, სადაც აგებულია დღეს თეკლათის დედათა მონასტერი. მწყემსმთავარმა გაბრიელმა გაამხნევა მონაზვნები და აღუთქვა მათ შემწეობა. თავდგირიძის ასული, თანახმად ყოვლადსამღვდელო გაბრიელის ლოცვა-კურთხევით, გადავიდა ნაჩვენებ ადგილზე,

ამრავლა მონაზონთა რიცხვი, გაუკეთა მათ ბინა და შემდეგ შეუდგა შემზადებას მონასტრის ასაშენებლად. რამდენიმე წლის შემდეგ თავდგირიძის ასული გადაყვანილ იქნა მღვიმევის დედათა მონასტერში, სადაც გარდაიცვალა კიდევ. ამ დედათა მონასტერში თავდგირიძის ასულის მაგივრად დარჩა გამგებლად და უფროსად ილუმენია ათანასია (სალაყაია), რომელიც გულმოდგინედ შეუდგა საჭირო მასალის შეგროვებას. მან მიმართა სხვადასხვა პირებს და სთხოვა შემწეობა. გააგზავნა ორი მონაზონი გულქან და მაია შეწირულობათა შესაკრებად. ამ დეებმა თავისი მეცადინეობით შეაგროვეს დიდძალი ფული მონასტრისათვის და სხვა მრავალი საჭირო ნივთი. ამავე დროს, სხვა მონაზონიც ცდილობდნენ შეწირულობათა შეკრებას და მათი თავდადებული მეცადინეობის ნაყოფია დღეს ამ მშვენიერ ადგილს აგებული დედათა მონასტერი, აშენდა ეკლესია და საცხოვრებელი სახლები.

მონასტრის ეკლესიის კურთხევის დროს აღმოჩნდნენ მრავალნი პირნი, რომელთაც მიაქციეს ყურადღება მონასტრის ნაკლულევიანებას და, შეძლებისდაგვარად, არ დაიშურეს შეწირულებანი. სხვათა შემწირველთა შორის, დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ შესწირა მონასტერს კანკელის ხატები".

1878 წლის 2 მაისს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) თეკლათის მონასტრის წინამძღვარი მონაზონი სალომე (თავდგირიძე) იმერეთში, მღვიმევის დედათა მონასტრის წინამძღვრად გადაიყვანა და მის მაგივრად სავანის დროებითი მმართველობა მორჩილ ალათიას დაევალა. 1885 წლის 13 სექტემბერს



ილუმენია ათანასია (სალაყაია)

თეკლათის მონასტრის დედათა კრებულმა მორჩილი ალათია წინამძღვრად აირჩია, რაც თავისი ლოცვა-კურთხევით დაადასტურა მეუფე გაბრიელმაც. 1886 წლის 1 აგვისტოს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) იგი მონაზვნად აღკვეცა და სახელად ათანასია უწოდა. 1899 წლის აღდგომას ილუმენიას წოდება მიენიჭა.

ილუმენია ათანასია 1903 წლის 5 აპრილს მოულოდნელად გარდაიცვალა. ქართული ეკლესიისათვის დიდი დანაკლისი იყო მისი უდროოდ გარდაცვალება. გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა ვრცელი ნეკროლოგი, სადაც კარგად არის აღწერილი დედა ათანასიას დამსახურებანი დედა ეკლესიის წინაშე:

„ისედაც შემცირებულ და დაბეჩავებულ სულიერ მოძღვართა კრებულს მრავალ წამებულ საქართველოს ეკლესიისას ამ დღეებში კვლავ გამოაკლდა ერთი სამაგალითო, მტკიცე და მხნე მუშაკი სარწმუნოება-ზნეობის ასპარეზზე.

ოთხშაბათს, 9 აპრილს, თეკლათის დედათა მონასტრის დათა კრებული გლოვითა და ზარით სამუდამოდ გამოეთხოვა თავისს სათაყვანებელ წინამძღვარს, ილუმენია დედა ათანასიას, რომელიც კრებულისა და განსვენებულის ნათესავთა თხოვნის თანახმად, ყოვლადსამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს ნებართვით, დაკრძალულ იქნა მონასტრის ტაძარში.

ჩვენს გაფუქსავატებულ დროში, როდესაც ერის კაცნი კი არა, სამღვდელოების წარმომადგენელნიც კი გულგრილად ეპყრობიან საქართველოს ეკლესიის წარსულის ისტორიას და ანმყო-მომავლის ბედ-იღბალს, საკვირველი არ არის, რომ ბევრმა ქართველმა არც კი იცოდეს თეკლათის დედათა მონასტრის არსებობა ჩვენში. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ თეკლათის მონასტერი შედარებით დიდი ხნის დაარსებული არ არის. თუმცა ახალია ეს მონასტერი, მაინც მის ზღუდეთა შორის ოთხმოცზე მეტი დათა კრებული იფარავს თავს.

წინამძღვარი ამ რიცხვ-მრავალ კრებულისა, ან განსვენებული ილუმენია ათანასია, იყო ასული სენაკის მაზრის სოფელ თეკლათის აზნაურ სალაყაიასი. მამის სიკვდილის შემდეგ ახალგაზრდა ალათი იზრდებოდა ერთს ახლობელ ნათესავის ოჯახში, სადაც შეინახავდა ქართული წერა-კითხვა, თავიდგანვე ეტყო-

ფოტომატიანე



თეკლათის მონასტარი

ბოდა მისწრაფება განდევნილობისადმი და როცა ოცი-ოცდა ხუთი წლისა შესრულდა, კიდეც განშორდა ამ წუთის სოფლის ამოუებას, ჰპოვა-რა თავშესაფარი თეკლათის სოფლის ძველად ყოფილ პატარა სამრევლო ეკლესიაში, რომელიც იმ ხანად უკვე გაუქმებული იყო, როგორც სამრევლო ეკლესია და გადაქცეული იყო განდევნილ დათა სამლოცველო-სავანეთ. ამ სავანეს მაშინ უფროსობდა დედა სალომე (თავდგირიძის ასული). იმ დღიდგან მოკიდებული განსვენებული ილუმენია შეუდგა სულის განმტკიცებას ღვთის ვედრებით და საღმრთო წერილის კითხვით და ამ ხანად იმდენად განსწავლული ქართულ საღმრთო წერილში, რომ ამ მხრივ ცნობილი შეიქმნა სასულიერო მთავრობისაგან, როგორც ერთი საუკეთესოთაგანი.

განა მარტო ამ მხრივ! ცნობილი იყო აგრეთვე როგორც დამაარსებელი და გამამშვენიებელი თეკლათის დედათა მონასტრისა, შემომკრები მრავალ რიცხოვან დათა, საუკეთესო ადმინისტრატორი დედათა მონასტრის მართვა-გამგეობაში და ამასთანავე უანგარო, შორს გამჭვრეტი და უსათნოესი ადამიანი.

საკმარისია მარტო ერთი თვალი გადაავლოს კაცმა ახლა თეკლათის დედათა მონასტერს, რომ დარწმუნდეს, რა დიდის ქუჩისა და ენერგიის პატრონი იყო დედა ათანასია, რომელმაც არა რაისაგან ოცდახუთი წლის განმავლობაში შექმნა მონასტერი, რომლის ქონება დღეს რამდენიმე ათი-ათასი მანეთი ღირს.

სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ტაძარი და სასკოლე შენობა 60 000 მანეთია დამჯდარი. ორ სართულიან ძვირფას ქვის შენობაში მოთავსებულია ორკლასიანი საქალბო სკოლა, სკოლის ეკლესია და მრავალი ოთხი სხვადასხვა დანიშნულებისათვის.

შარშან სარევიზიოდ მოსულმა სკოლას მალე ოთხ-კლასიანად გადაკეთება აღუთქვა და წელს იანვრიდგან სკოლის შესანახავად 2 000 მანეთი გამოუთხოვა სათანადო მთავრობისაგან.

მონასტრის დიდ ტაძარში ყოველ დღე გაისმის სულის დამატკობი, შეწყობილი ქართული გალობა მონასტრის დათა და აი, ყოველივე ეს, შექმნა მარტოდენ დედა ათანასიამ ოც-ოცდახუთი წლის დაუცხრომელი შრომითა და მეცადინეობით.

ასეთი დაულალავი მუშაკი სამშობლო ეკლესიისა, ჯერ კიდევ მხნეობით და სიცოცხლით სავსე, სულ 52 წლის ადამიანი, ვნების კვირაში, 5 აპრილს წუთისოფელს გამოესალმა.

განსვენებულის დაკრძალვის დღეს, 9 აპრილს, მონასტერში მწირველი ბრძანდებოდა ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე კრებულთ და დიდძალი სამღვდელოების თანამსახურებით. წირვას აუარებელი საზოგადოება დაესწრო და, თუ ცუდ ტაროსს ხელი არ შეეშალა, მიცვალებულის ნათესავთა და პატივის მცემელთა რიცხვი ბევრად უფრო მეტი იქნებოდა. წირვის შემდეგ ყოვლადსამღვდელო მიმართა განსვენებულს მოკლე, მაგრამ გრძნობით სავსე სიტყვით. სიტყვა ისე ბუნებრივად და გრძნობით იყო წარმოთქმული, რომ არამც-თუ დამსწრენი, თვით ყოვლადსამღვდელოც კი აატირა. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორმა მღვდელ-მონაზონმა დავითმა (კაჭახიძე). თავის სიტყვაში მამა დავითმა ვრცლად განმარტა ის ღვანლი, რაც განსვენებულ ილუმენიას მიუძღოდა ეკლესიის წინაშე. გრძნობიერი სიტყვები წარმოსთქვეს: მღვდელმა ჭანტურიამ, მასწავლებელმა ვაგუამ, აზნაურმა ანდრონიკე სალაყაიამ, ერთმა მონასტრის დათაგანმა და განსვენებულის დისწულმა მონაფე შავდიაამ. ამ უკანასკნელის სიტყვამ ბევრი ატირა დამსწრეთა შორის“.

მოამზადა
გიორგი მაჩუროშვილმა

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, ვთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინყებოთ ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩუროშვილი

მადლობას ვუსდით ბატონ ბადრი ვადაჭორიას ფოტოების მოწოდებისთვის

ბატონო, გახათს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი, კრწანისის მე-2 ფილიალი, ანგარიში # 360851555 მფო. 220 101 406
მომღები: ნმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ-გვერდი: <http://www.patriarchate.ge>
ელ.ფოსტა: sap.uts@posta.ge
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: თამაზ ვაბისონია, ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი),
მარიამ ვაგუა, ნინო გაგომაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე,
გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე ფინანსური მენეჯერი:
ელასი ჯიბლაძე, გავრცელება: ილია ბოკუჩავა, დიზაინერი: გოგი ავსაჯანიშვილი
დამკავბდონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

დაჯილდოება

21 მაისს, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა საინგილოს სოფ. კახის მღვდელმსახური ბადრი არჩავეძე ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ სასწავლო კომიტეტის თანამშრომელს, ლელა ჭელიძეს გარდაეცვალა მამა — ალექსანდრე ჭელიძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადმესვენებული ალექსანდრეს სული.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ პრესცენტრის ყოფილ თანამშრომელს, ნათია თარაშვილს გარდაეცვალა დედა — იზოლდა და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადმესვენებული იზოლდას სული.

**ნიკო ბაგრატიონის სახელობის
თავადაზნაურთა სკოლა-ლიცეუმი
აცხადებს მოსწავლეთა მიღებას**

თბილისის ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავადაზნაურთა სკოლა-ლიცეუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას.

სკოლა-ლიცეუმი საპატრიარქოსა და განათლების სამინისტროს ორმაგ დაქვემდებარებაშია. სასწავლო წელი სკოლაში ინდიქტიონის დასაწყისში, 14 სექტემბერს, იწყება.

მოსწავლეთა აღზრდის პროცესი სკოლა-ლიცეუმში მართლმადიდებელი ეკლესიის ეროვნული ტრადიციების საფუძველზე წარიმართება.

ზოგად-საგანმანათლებლო პროგრამების გარდა მოსწავლეები გაძლიერებულად ეუფლებიან უცხო ენებს (გერმანული, ინგლისური, რუსული, ბერძნული), რელიგიის ისტორიას, ეკლესიის ისტორიას, კატეხიზმოს, საეკლესიო გალობას, ქართულ ცეკვას, ხელსაქმეს, ხრიდოლს, ჭადრაკს, ცურვას.

სასწავლო პროგრამა 12-წლიან ციკლს მოიცავს. სწავლების მესამე საფეხურიდან გათვალისწინებულია სპეციალიზაციები ჰუმანიტარული, იურიდიული და ეკონომიკური მიმართულებებით.

სკოლა-ლიცეუმში დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეების მონარქისტული სულისკვეთებით აღზრდას.

წარჩინებული მოსწავლეები ჩაირიცხებიან აშშ-ს სასწავლო გაცვლით პროგრამებში.

ცხადდება მიღება მოსამზადებელ განყოფილებაზე ბალის უფროსი ასაკის ბავშვებისათვის.

სკოლა-ლიცეუმთან არსებული უცხო ენების შემსწავლელი სტუდია აცხადებს მიღებას უფროსებისა და ბავშვებისათვის.

თბილისის ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავადაზნაურთა სკოლა-ლიცეუმის მისამართია: ქ. თბილისი, პეკინის 44, სასტუმროს შენობა, III სართ.

ტელ.: 36-12-58; 92-12-52; 64-75-91; 51-40-37.

მობილ.: (899) 42-30-11; (899) 10-34-53; (899) 63 22 02; (899) 18 94 04.

განცხადება

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური

განვითარების ცენტრში (სამების საკათედრო ტაძარი) ყოველდღე 15.00-საათზე, იმართება შემეცნებითი საუბრები. დასწრება თავისუფალია.

ორშაბათი 01.06.09 ნინოზის დღესასწაულთან დაკავშირებით შემეცნებითი საუბარი არ გაიმართება.

სამშაბათი 02.06.09 — ღვთისმეტყველება და ფილოსოფია. საუბარს წარმართავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

ოთხშაბათი 03.06.09 — სოფლის მეურნეობა თემა: „მეფუტკრეობა და მისი სამომავლო პერსპექტივები საქართველოში“.

საუბარს წარმართავს ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ მრჩეველი მეფუტკრეობის დარგში ვატო ლოლობერიძე.

ხუთშაბათი 04.06.09 — მღვდელთმთავრების დღე თემა: „არქიტექტურა როგორც ღვთის დიდება და როგორც ღვთის გმობა“

საუბარს წარმართავს ამა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე).

პარასკევი 05.06.09 — ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა.

თემა: „მშობიარობა და კვების სულიერი მხარე“ საუბარს წარმართავს მამა კონსტანტინე (გიორგაძე)

კვირა 07.06.09 — ფილმის ჩვენება.

დავით გიორგობიანის ფილმი: „მირომდინარე და სისხლმდინარე ხატები“ — ჩვენება და განხილვა.

**უფასო სამედიცინო კონსულტაცია
„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:**

ტრავმატოლოგ-ორთოპედი - 30 მაისს, 12.00-14.00 სთ.;

ანგიოლოგი - 30 მაისს, 14.00-15.00 სთ.;

ენდოკრინოლოგი — 30 მაისს, 15.00-17.00 სთ.;

ნევროპათოლოგი და ნეიროქირურგი (დისკოგენური რადიკულიტი, თავის და ზურგის ტვინის სიმსივნეები და სხვ.) - 31 მაისს, 12.00-14.00 სთ.;

ოტო-რინო-ლარინგოლოგი — 3 ივნისს, 16.00-17.00 სთ.;

კარდიოლოგი — ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 12.00-14.00 სთ.

ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფეციონისტი, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის, მიღების საათებთან დაკავშირებით, დაგვირეკეთ.

ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 99 57 65 31

**თბილისის სასულიერო
აკადემიასთან არსებულ
საეკლესიო გალობისა და ხალხური
სიმღერის უმაღლეს სასწავლებელი
აცხადებს მიღებას**

2009-2010 სასწავლო წლისათვის საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის გუნდის ლობჯინის სპეციალობაზე. სწავლება უფასოა.

სწავლების ფორმა — დღის დასწრებით; ხანგრძლივობა 4 წელი;

სწავლება — ქართულ ენაზე; მისაღები კონტინგენტი — 20 ადგილი.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო განათლების მქონე 30 წლამდე ასაკის ვაჟები.

ფოტომატიკა

დეკანოზი ალექსი სამადალაშვილი 1872-1949



დეკანოზი ალექსი ბესარიონის ძე სამადალაშვილი 1872 წელს თბილისში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება სახლში, მამის მეთვალყურეობის ქვეშ მიიღო. შემდეგ დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი. 1889 წელს დაქორწინდა ლია სიმონის ასულ ევსევაზე. ამავე წელს ელიზავეტოპოლის (ახლანდელი განჯა) წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძრის მედავითნედ დაინიშნა. 1890 წელს დიაკვნად აკურთხეს. 1892 წლის მარტში თბილისის სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში გადმოიყვანეს და მედავითნედ დანიშნეს. რამდენიმე წლის შემდეგ კი დიაკვნის შტატში ჩასვეს. 1913 წლის 28 თებერვალს რომანოვების მეფობის 300 წლისთავთან დაკავშირებით სამახსოვრო მოოქროვილი ჯიბის საათით დააჯილდოვეს. 1915 წლის 15 აპრილს მღვდლად დაასხეს ხელი და ამავე წლის 19 აპრილს საგვერდული უბოძეს.

1915 წლის ზაფხულიდან დროებით მიავლინეს თბილისის წმინდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესიაში, თუმცა, ოფიციალურად, კვლავაც სიონის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურად ითვლებოდა. 1916 წლის 20 იანვრის საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ბრძანების საფუძველზე პეტრე-პავლეს ეკლესიის მეორე მღვდლად დაინიშნა.

1921 წლიდან საქართველოში კომუნისტური ხელისუფლების დამყარების შემდეგ სამღვდელოების მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ბევრმა მოძღვარმა ვერ გაუძლო ტანჯვა-წამებას, დევნა-შევიწროებას, რეპრესიებსა და ცილისწამებებს. მამა ალექსიც მრავალჯერ დადგა განსაცდელის წინაშე, მაგრამ ყველაფერი ღვთის შეწევნით დაძლია.

1924 წელს მღვდელმსახურებაზე უარი განაცხადა თბილისის ავლაბრის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვარმა დეკანოზმა დავით იაშვილმა (შემდგომში მიტროპოლიტი დიმიტრი). საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოს გადაწყვეტილებით, ტაძრის წინამძღვრობა რამდენიმე თვით მამა ალექსიმ ითავა.

მამა ალექსი, ტაძარში მსახურებასთან შეთავსებით, თბილისის არამიანცის სახელობის 1 საავადმყოფოშიც აღასრულებდა საეკლესიო წესებს. იგი ოჯახის პატრონების თანახმად ნათლავდა ბავშვებს, აზიარებდა მომავდავებს და აპატიოსნებდა მიცვალებულებს. 1930 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა ქრისტეფორემ (ციციქიშვილი) ეკლესიაში ერთგული და დამსახურებული მოღვაწეობის გამო დეკანოზის წოდება მიანიჭა.

1937 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს პეტრე-პავლეს ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი ბენიამენ კანდელაკი. ამასთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) ტაძრის წინამძღვრად მამა ალექსი დანიშნა.

დეკანოზი ალექსი 1949 წლის გაზაფხულზე გარდაიცვალა. იგი დასაფლავებულია პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიის სასაფლაოზე, ტაძრის სამხრეთით.

მამა ალექსი იყო წმინდა გრიგოლ ფერაძის ღვიძლი ბიძა. მისი და, მარიამ სამადალაშვილი, გათხოვილი იყო მღვდელ რომანოზ ფერაძეზე, წმინდა გრიგოლის მამაზე.



თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინახოთ ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩუროშვილი

გთხოვთ, გაგზავნოთ საპატრიარქოს მისამართზე: საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი, ტელ/ფაქსი 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: თამაზ გაბისონია, ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გავუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე ფინანსური მენეჯერი: ვლასი ჯიბლაძე, გავრცელება: ილია ბოკუჩავა, დიზაინერი: გოგი ავსაჯანიშვილი დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

თესო მიწები და ნურასდროს გაგვიჩნდება პირველობის სურვილი. მივბაძოთ ნეტარი პავლეს რჩევას: „ძმათ-მოყვარებითა ურთიერთას მონლედ მოსურნე იყვენით; პატივის-ცემასა ურთიერთას უსწრობდით“ (რომ. 12, 10). მუდმივად თავის დამდაბლების მცდელობაში უნდა ვიყოთ და ამით აღვმაღლდებით, როგორც უფალმა იესო ქრისტემ ბრძანა: „რამეთუ ყოველმან, რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს თავი თავისი, ამაღლდეს“ (ლკ. 14, 11). და რა შეიძლება იყოს ამაზე

და თუკი გონივრულად ვიმსჯელებთ, მაშინ არავის მივიჩნევთ ჩვენზე ნაკლებად, არამედ ყველა ადამიანს ღირსეულ ადგილს მივაკუთვნებთ. და თუკი ადამიანი, რომელიც თუნდაც აცნობიერებდეს თავის თავში მრავალ ღირსებას, თავს ყველაზე ცოდვილ ადამიანად არ მიიჩნევს, მაშინ ეს ღირსებები მისთვის არანაირი სარგებელის მომტანი არ იქნება. რამეთუ სიმდაბლე ადამიანისა სწორედ იმაში მუღავნდება, რომ იგი თავს იმდაბლებს, მიუხედავად მრავალი ღირსებისა, რომელიც მას უეჭველად გააჩნია. უფლის სიტყვის თანახმად: „რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“. ვეცადოთ, დავიმდაბლოთ თავი ქცევებშიც და სიტყვებშიც. ნუ ვუმტრობთ მათ, ვინც შეურაცხვეყოფს, თუნდაც მათ მიმართ განსაკუთრებული ამაგი მიგვიძლოდეს. ნუ გავღიზიანდებით უსამართლო წყენით, არამედ მოვთოკოთ ჩვენი რისხვა სიმდაბლითა და სიმშვიდით. ვემსგავსოთ უფალს, რომელიც ბრძანებს: „მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა“ (მთ. 11, 29). ნამდვილად ისე არაფერი ანიჭებს სულს სიმშვიდეს, როგორც სიმდაბლე, ხოლო ეს სათნოება უფრო ძვირფასია, ვიდრე რამე სამკაული, ანდა დიდება და ბრწყინვალეობა. რამეთუ, ვინ შეიძლება იყოს მეტად ნეტარი იმ ადამიანზე, რომელიც თავისუფალია შინაგანი ბრძოლისაგან — საკუთარ ცოდვებთან შერკინებისაგან? ადამიანი უტყვი ცხოველისაგან იმით განსხვავდება, რომ გონება აქვს, რომელსაც ძალუძს მოთოკოს ვნება, ყური ადევნოს თავის სულიერ მდგომარეობას, დაიცვას საკუთარი ღირსება და ცხოველურ მდგომარეობამდე არ დაეცეს.



კარგი, თუკი იმით, რომ ჩვენ სხვას პირველობას დავუთმოთ, უმეტეს პატივს ვიძენთ? თუკი ჩვენ ჩვენზე უკირატესებს ან ჩვენს ტოლებს დავუთმოთ პირველობას, რა არის ამაში განსაკუთრებული? ეს არ არის სიმდაბლე, ეს ჩვენი მოვალეობაა. ჭეშმარიტი სიმდაბლე მაშინ გამოიყვანება, როცა ჩვენ ჩვენზე უმცროსს, ან რამეთი ნაკლებს დავუთმოთ პირველობას.

ამიტომ მოგვიწოდებს წმინდა იოანე ოქროპირი: „ვიყოთ მშვიდნი, დამთმობნი და მდაბალნი. ამით ამ ცხოვრებაში სიმშვიდეს ვპოვებთ, ხოლო იმქვეყნად — სასუფეველს დავიმკვიდრებთ.“ ამისთვის კი წმინდა დავით წინასწარმეტყველის სიტყვებით შევლადადოთ უფალს: „გული წმინდაი დაჰბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული ნრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა“ (ფს. 50, 12).

მარიამ გაგუა

პრონიკა-ინფორმაცია

დაჯილდოება

7 ივნისს, სულთმოფენობის დღესასწაულზე, ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და ილუმენის ნოდება მიანიჭა შემდეგ მღვდელმსახურებს:

წმინდა საბა განწმენდელის სახელობის მამათა მონასტრის მღვდელ-მონაზონ ექვთიმეს (ციხისელს), წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის მღვდელ-მონაზონ ეგნატეს (ჩუხუას), წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის მამათა მონასტრის მღვდელ-მონაზონ გიორგის (მიქაძეს), არმაზის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მამათა მონასტრის მღვდელ-მონაზონ ზოსიმეს (სისვა-



ძეს), ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „მსწრაფლშემსმენელის“ ხატის სახელობის დედათა მონასტრის მღვდელ-მონაზონს ილიას (ბებიას).

8 ივნისს ვაკის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა შემდეგი მღვდელმსახურები:

ვაკის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი დანიელ ლობჯანიძე გამშვენებული ჯვრითა და მიტრით;

გლადის ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი აკაკი ქიქავა — გამშვენებული ჯვრით;

ვაკის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი მიქაელ ნულუკიძე — გამშვენებული ჯვრით;

აეროპორტის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მღვდელ-მონაზონი პახომი ჯანიაშვილი — ოქროს ჯვრით და მიანიჭა ილუმენის წოდება;

და ვაკის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძრის მღვდელმსახური:

მღვდელი თეიმურაზ ბარაბაძე — ოქროს ჯვრით და მიანიჭა დეკანოზის წოდება;

მღვდელი გიორგი დორეული — ოქროს ჯვრით და მიანიჭა დეკანოზის წოდება;

მღვდელი საბა ლევერაშვილი — ოქროს ჯვრით და მიანიჭა დეკანოზის წოდება;

მღვდელი იაკობ სირბილაძე — ოქროს ჯვრით და აყვანილია დეკანოზის წოდება.

24 მაისს, მარტყოფის ღვთაების სახელობის მამათა მონასტერში, ცხუმ-აფხაზეთიუსა და საჩხერე-ჭიატურის მიტროპოლიტმა დანილემ (დათუაშვილმა) დიაკვნად აკურთხა ცოტნე თვარაძე.

დიაკონი ცოტნე ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქოს ტაძარში იმსახურებს.

მორჩილად კურთხევა

4 ივნისს, ღირსი მამა დავით გარეჯელის ხსენების დღეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მორჩილად აკურთხა წმინდა ამბროსი აღმსარებლის მამათა მონასტრის ორი წევრი მამუკა მაისურაძე და ხვიჩა ტორაძე.

7 ივნისს, სულთმოფენობის დღესასწაულზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მორჩილად აკურთხა მახათას მთის ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის მამათა მონასტრის წევრი ავთანდილ ფხაკაძე და მანკოდას მამათა მონასტრის წევრი რევაზ ჯაკაევი.

საპატრიარქოს საგზოპირი სახლში

უკვე 1100 ახალშობილი იშვა!

„საპატრიარქოს უწყენაბის“ წინა ნომერში მკითხველს სასიხარულო ამბავი ვამცნეთ — საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოაკიმესა და ანას სახელობის

სამშობიარო სახლში 2009 წლის მეათასე ახალშობილი დაიბადა. როდესაც ჩვენი გაზეთი დაიბეჭდა და უკვე ტაძრებში ვრცელდებოდა, სამშობიარო სახლის გენერალურმა დირექტორმა, არქიმანდრიტმა ადამმა (ახალაძე) გვახარა, რომ საპატრიარქოს სამშობიარო სახლსი უკვე ათას მეასე ჩვილი დაიბადა!

ღმერთმა ამრავლოს ქართველი ერი, ამინ!

თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებულ საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლეს სასწავლებელი მიღებას აცხადებს

თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებულ საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლეს სასწავლებელი მიღებას აცხადებს

2009-2010 სასწავლო წლისათვის საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის გუნდის ლოტბარის სპეციალობაზე

სწავლების ფორმა — დღის დასწრებული; ხანგრძლივობა 4 წელი;

სწავლება — ქართულ ენაზე; მისაღები კონტინგენტი — 20 ადგილი.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო განათლების მქონე 30 წლამდე ასაკის ვაჭები.

აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

განცხადება რექტორის სახელზე; საშუალო განათლების ატესტატი;

6 ფოტოსურათი ზომით D3/4-ზე; მოძღვრის რეკომენდაცია;

პირადობის მოწმობის დედანი (ასლი); სამხედრო მოწმობის დედანი (ასლი);

გამოცდები ტარდება შემდეგ სპეციალობებში: სიმღერა-გალობა

აბიტურიენტს მოეთხოვება 6 ქართული საგალობლისა და 11 ხალხური სიმღერის ცოდნა ცალ-ცალკე ხმების შესრულებითა და ხმიდან ხმაზე გადასვლით (ამავე გამოცდის ფარგლებში ჩატარდება გასაუბრება ქართული ტრადიციული სამუსიკო კულტურის საკითხებზე). შეფასების კოეფიციენტი 5;

მუსიკის თეორია - წერა (კარნახი), ზეპირი (სოლფეჯიო, ელემენტარული თეორია). შეფასების კოეფიციენტი 3;

ქართული ენა და ლიტერატურა (წერა); შეფასების კოეფიციენტი 1;

საქართველოს ისტორია (ზეპირი); შეფასების კოეფიციენტი 1;

კონსულტაციები გაიმართება 6 ივლისს 10 საათზე;

საბუთები მიიღება 25 მაისიდან 6 ივლისამდე; მისაღები გამოცდები ჩატარდება 8 ივლისიდან; დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება უმაღლესი სასწავლებლის სამდივნოში.

მისამართი: ქ. თბილისი, ვ. ვაბისკირიას (ყოფილი ბალმაშვილის) ქ. # 4 (სამების საკათედრო ტაძრის მთავარ კარიბჭესთან).

ტელ.: 96 15 59; 45 06 19.

ფოტომატიანე

მიტროპოლიტი დიმიტრი (იაშვილი) 1872-1961

მიტროპოლიტი დიმიტრი — ერისკაცობაში დავით ილარიონის ძე იაშვილი 1872 წლის 15 დეკემბერს სიღნაღის მაზრაში, სოფელ საქობაოში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. 1886-90 წლებში თელავის სასულიერო სასწავლებელში, 1890-96 წლებში კი — თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. 1896-98 წლებში სოფელ ჯუგაანის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა. 1898 წლის 19 აპრილს თბილისის სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში გორის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) დიაკვნად აკურთხა, ერთი კვირის შემდეგ კი — მღვდლად დაასხეს ხელი და საქობაოს წმინდა სტეფანე პირველდიაკონის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა.

მღვდლად კურთხევის შემდეგ დავითი კვლავ განაგრძობდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იყო სიღნაღის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი და ეპარქიალური სასწავლებლის საბჭოს თავმჯდომარე. 1901 წლის აღდგომას საგვერდულთ, ხოლო 1902 წლის აღდგომას კი — სკუფიით დაჯილდოვდა. 1905 წლის 6 მაისს კამილავკა უბოძეს. 1909 წელს სამკერდე ოქროს ჯვარი ეწყალობა. 1912 წლის 23 ივნისს თბილისში, ავლაბრის წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს. 1915 წლის 6 მაისს დეკანოზის წოდება მიენიჭა.

ავლაბრის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარში მამა დავითს მრავალი უსიამოვნება გადახდა. ეკლესიაში მეორე მღვდელი რუსული წარმოშობის მოძღვარი იყო და მრევლიც დიდძალი ჰყავდა. ისინი ძლიერ ავიწროებდნენ ქართულ სამრევლოს და მამა დავითსაც ბევრჯერ შეურაცხყოფაც მიაყენეს. 1917 წლის 12 მარტს (ახ. სტ. 25 მარტი) აღსდგა საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია. ამ მოვლენის შემდეგ დაპირისპირებამ უფრო იჩინა თავი, რუსი სამღვდელოება არ ცნობდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას და ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი ძველი პრივილეგიები ჩვენს ეკლესიაში.

საქმე იქამდე მივიდა, რომ გადაყენებული ეგზარქოსის ქორეპისკოპოსმა, ბაქოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (ვახნიანი), 1917 წლის ივნისში სრულიად უკანონოდ, მას ამის უფლება არ ჰქონდა, მამა დავითი გადააყენა ტაძრის წინამძღვრობიდან და ტაძარი რუს მღვდელს ჩააბარა. დილით ეკლესიაში მისული მამა დავითი რუსმა მრევლმა ტაძარში არ შეუშვა. აი, რას წერდა გაზეთი

„საქართველო“ 1917 წლის თავის ერთ-ერთ ნომერში: „კვირას, თიბათვის 18-ს საღამოთი დეკანოზ დავით იაშვილთან მივიდა დეპუტაცია შეიდი კაცისგან და ავლაბრის წმიდა მარინესა და მთავარანგელოზის ქართველ მრევლთა შემართებული კრების დადგენილების თანახმად მსურვალე თანაგრძნობა გამოუცხადა იმ ინციდენტების და უსიამოვნების გამო, რომლებიც მას ამ ბოლო დროს გადახდა თავს. ამ დღეს დილით მთავარანგელოზის ეკლესიაში მწირველი იყო ახლად დანიშნული რუსის მღვდელი. ქართველი მრევლის თხოვნით დეკანოზი დავითიც სამწირველოში შეიმოსა, რომ რუსის მღვდელთან ერთად ეწირნა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ნება არ დართო.



წირვის შემდეგ რამდენიმე ქართველმა რუს მღვდელს კერძო მღვდელმსახურების შესრულება სთხოვა, მაგრამ მან თარჯიმნის საშუალებით განუცხადა ქართულად მსახურობის უცოდინრობის გამო. დიდი უსიამოვნება ჩამოვარდა წირვის დამთავრების შემდეგ ქართველ და რუს მრევლთა შორის იმის შესახებ, ვის უნდა ჩაბარებოდა ეკლესიის გასაღები. მოწვეულ იქმნა ადგილობრივი კომისარი, რომელმაც ორივე მხრის თანხმობით საყდრის გასაღები ნეიტრალურ პირს გადასცა, ვიდრე საყდრის საკითხი გადაწყდებოდა, საყდარი დაკეტილი იქნება“.

ამ დაპირისპირებამ კიდევ რამდენიმე თვე გასტანა და საბოლოოდ მამა დავითის ბრძნული და მტკიცე ქმედებების შედეგად ტაძარი ისევ ქართველებს დარჩათ.

1921 წლიდან კომუნისტური ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეკლესიისა და სასულიერო პირების მდგომარეობა მეტად დამძიმდა. ისინი ყოველი მხრიდან შევიწროებული აღმოჩნდნენ. გამონაკლისი არც დეკანოზი დავითი ყოფილა. 1923 წლის 26 აპრილი იგი წერილს უგზავნის საკათოლიკოსო საბჭოს, სადაც თავის მიძიმე მდგომარეობას მოუთხრობს: „1921 წლიდან მე ვმსახურობ ქალთა პირველ საავადმყოფოში საქმის მწარმოებლის თანამდებობაზე. აქამდე მითმენდნენ ანაფორით სამსახურში სიარულს, მაგრამ ამ მოკლე ხანში, როგორც საავადმყოფოს მთავრობამ, ნამეტნავად კი აღმასკომმა წინადადება მომცა კატეგორიულად: ან ანაფორა გაიხადე, ან დატოვე აქაურობაო. ამავე დროს, კახეთში, სადაც მამულები მაქვს და რომლისაგანაც უმეტესად ვსაზრდობოდი, მიწკომმა ჩამომართვა ყველა მამულ-დედული, როგორც მღვდელს და დიდი ცდილობის შემდეგ დამთანხმდა ზოგიერთი მამუ-

ფოტომატიანე

ლების უკანვე დაბრუნებას, თუ ანაფორას გავიხდინდი და დავანებებდი თავს მღვდლობას. ასე რომ, ყოველიმხრიდან წრე შემომეველო და ორში ერთი უნდა ამერჩია. ამა წლის 19 აპრილს იძულებული გავხდი გამეხადა ანაფორა, რაც ვაცნობე სასულიერო უწყებას, მაგრამ გავიხადე თუ არა ანაფორა, მომთხოვეს რომ მასთან ერთად მიმეტოვებინა ეკლესიაში და მრევლში სამსახური, რაზედაც დავემორჩილე, რადგან სხვა გამოსავალი არ მქონდა. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, მე მღვდლობიდან სამუდამოდ ხელს არ ვიღებ და თუ რაიმე შეღავათი მომეცა ცხოვრებაში, მაგალითად: ერთ-ერთი შვილის სამსახურში ჩაყენება, მე ისევ დაუბრუნდები ჩემს ნაამაგდარ ეკლესიას, რომლის გამოც ამდენი დავიდარაბა და უსიამოვნება ვაღამიტანია“.



თოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) კვლავ ალადგინა მღვდლის ხარისხში და თბილისის წმინდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა. 1952 წლის 14 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III-მ (ფხალაძე) ბერად აღკვეცა და სახელად დიმიტრი უწოდა. მეორე დღეს წინონმდელ ეპისკოპოსად დაასხა ხელი და კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად დანიშნა. 1953 წლიდან მასვე დაევალა ბოდბის ეპარქიის (სიღნაღის, გურჯაანის, წითელ-წყაროს და ლაგოდეხის რაიონების) მართვა-გამგეობა. 1957-58 წლებში ალავერდის ეპარქიასაც განაგებდა. 1958 წელს ეკლესიაში ერთგული და დამსახურებული

მოღვაწეობისთვის მიტროპოლიტის წოდება მიენიჭა. მიტროპოლიტი დიმიტრი 1961 წლის 22 ივლისს გარდაიცვალა. იგი თავისი ანდერძის თანახმად, თბილისის წმინდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესიაში დაიკრძალა.

მოამზადა
გიორგი მაჩურიშვილმა

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინყებინებინო ვინცნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

დოლის პური დამზადებულია ძველი ქართული ტრადიციული მეთოდით, სვიის მცენარეული გამაღვივებლით. იგი არ არის გამდიდრებული ხელოვნური დანამატებით და ვიტამინებით. მასში საერთოდ არ არის საფუარი.

სვია ხელს უწყობს გულ-სისხლ-ძარღვთა და სიმსივნური დაავადებების პრევენციას.

სვიის პური ჩვეულებრივი პურისგან გამოირჩევა სასიამოვნო არომატითა და ოდნავ მომჟავე გემოთი.

დოლის პურის „ცეხვილი“ სახეობა კი შეიცავს უჯრედის, რაც მას უნიკალურ დიეტურ და პროფილაქტიკურ თვისებებს ანიჭებს.

იგეგმება პურის შეტანა ეკლესიებთან ახლომდებარე სასურსათო მაღაზიებში.

დოლის პურის შექმნის მსურველებს შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ: 893-62-63-49



ბათუმი, ბაჯეთს ბაუფრთხილთ მასში ზაბაძილი მასალის ბაზო
გთხოვთ დაეკლანება გადამამდო შემდეგ ანგარიშზე
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში # 360851555 შტო. 220 101 406
მომღებო: ნმ. ანდრია პირველიწოდებულის სახელობის ეკლესია
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებგვერდი: <http://www.patriarchate.ge>
ელ.ფოსტა: sap.atsa@posta.ge
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი),
თამაზ გაბონია, მარიამ ვაგუა, ნინო ვაგომაშვილი, თამარ ასათიანი,
ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე
ფინანსური მენეჯერი: ელასი ჯიბლაძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი;
დამკავალმონებელი: ვალერიან ჯულელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

თვის ქართველები წარმოადგენდნენ, რადგან ეს ჩვენი ძირძველი ტერიტორიაა; ხოლო ავტონომიური ერთეულები აქ მხოლოდ XX ს-ის 20-იან წლებში შეიქმნა, როდესაც კომუნისტებმა დაიპყრეს დამოუკიდებელი საქართველო და ყოველგვარი სამართლებრივი და ისტორიული საფუძვლის გარეშე ჩამოაყალიბეს აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიები; ამასთან, ამ მხარეებში ისეთ იდეოლოგიას წერგავდნენ, რაც ქვეყნიდან აღნიშნული რეგიონების იზოლირებას შეუწყობდა ხელს.

ეს იყო საქართველოს დაშინების და საჭირო შემთხვევაში დაშლის მიზნით ჩადებული ერთგვარი ნაღმები, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს ამოქმედდა.

ამიტომაც მივიჩნევთ, რომ აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის (სამაჩაბლოს) დამოუკიდებლობის ცნობა უნებლიედ ხდება კომუნისტური რეჟიმის მიერ ძალადობრივად და უკანონოდ შექმნილ ავტონომიებზე გაცილებით უარესი მოვლენა, რადგან, ვიმეორებ, ასეთი სუბიექტები ისტორიულად არასოდეს არსებობდა, მაშინაც კი, როდესაც საქართველოში რუსეთის იმპერია 100 წელზე მეტი ხნის განმავლობაში „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკას ახორციელებდა. ფაქტია ისიც, რომ ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ ყველა ქვეყანაში და თუ საერთაშორისო დონეზე მოხდება მათი სეპარატისტული მოთხოვნების ლე-

გიტიმაცია, ბუნებრივია, მსოფლიოში მოხდება დაუსრულებელი დაპირისპირებებისა და ომების პროვოცირება, რაც გაუთვალისწინებელ შედეგებამდე მიიყვანს ყველას.

მოგმართავთ გაეროს ყველა წევრს და პირველ რიგში თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პან გი მუნ და გთხოვთ, გამონახოთ მეთოდები და საშუალებები მშვიდობიანი გზით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის.

მოგმართავთ იმ იმედით, რომ, მართალია, დღეს კაცობრიობის წინაშე მრავალი გლობალური პრობლემაა, რომელიც გადაწყვეტას მოითხოვს, მაგრამ ამ პრობლემებზე მალლა დგას სიმართლე; სიმართლე თუნდაც ისეთი პატარა ქვეყნისა, როგორც საქართველოა.

გვჯერა, გადაიდგმება ისეთი ნაბიჯები, რომელიც მთელ მსოფლიოს აჩვენებს, რომ საერთაშორისო საზოგადოების მომავალი ეფუძნება არა ძალის სამართალს, არამედ სამართლიანობის ძალას და, აქედან გამომდინარე, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს, რადგან მშვიდობა სამართლის გარეშე არ არსებობს.

მაშ, ღმერთი მშვიდობისა და სიმართლისა იყოს ჩვენ შორის, ამინ!

12 ივნისი 2009 წ.

ქრონიკა. ინფორმაცია.

ხელდასხმა

7 ივნისს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკვანს გიორგი ჩიქოვანს.**

მღვდელი გიორგი სიონის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

11 ივნისს წინონმიდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და წინონმიდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძემ) მღვდლად დაასხა ხელი დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის **დიაკვანს გოჩა ჩიტიძეს.**

16 მაისს შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძემ) აკურთხა სოფელ აცანის წმინდა ნინოს სახელობის მამათა მონასტერი. წირვის დროს მეუფე იოსებმა მღვდლად დაასხა ხელი ოზურგეთის სამღვდელმთავრო რეზიდენციის **ბერ-დიაკონ გაბრიელს (კახელაშვილს).**

მღვდელ-მონაზონი გაბრიელი აცანის წმინდა ნინოს სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა.

17 მაისს ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძემ) მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის **დიაკვან თომა გოგოტიშვილს.**

მღვდელი თომა ოზურგეთის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

28 მაისს თამაკონის მაცხოვრის ამალეების სახელობის ეკლესიაში ჭყონდიდელმა მთავარეპისკოპოსმა პეტრემ (ცაავამ) დიაკვნად აკურთხა მარტვილის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის მამათა მონასტრის **ბერი პავლე (ცაავა).**

8 ივნისს მარტვილის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ჭყონდიდელმა მთავარეპისკოპოსმა პეტრემ (ცაავამ) მღვდლად დაასხა ხელი მარტვილის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის **დიაკვანს მოსე ჯანელიძეს.**

მღვდელი მოსე ზედა ხუნნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

7 ივნისს მარტვილის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ჭყონდიდელმა მთავარეპისკოპოსმა პეტრემ (ცაავამ) დიაკვნად აკურთხა სალხინოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტრის **ბერი ანგია (კორსავა).**

დაჯილდოება

7 ივნისს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიაში (საჯარო ბიბლიოთეკასთან) საღამოს ლოცვის შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა ამავე ტაძარში მოღვაწე სასულიერო პირები:

წინამძღვარი, არქიმანდრიტი ანტონი (ნადიბაიძე) —

მეორე გამშვენებული ჯვრით;
დეკანოზი როსტომ ლორთქიფანიძე — მიტრით;
მღვდელი ალექსანდრე მარკოზაშვილი — ოქროს
ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

ტაძრის კურთხევა

8 ივნისს ბორჯომისა და ბაკურიანის მთავარეპისკოპოსმა სერაფიმემ (ჯოჯუამ) აკურთხა ბაკურიანში ყოველადწმინდა სამების სახელობის ახალი ტაძარი.

10 ივნისს ბორჯომისა და ბაკურიანის მთავარეპისკოპოსმა სერაფიმემ (ჯოჯუამ) აკურთხა ციხიჯვრის თეოდორე ტირონის სახელობის ეკლესია.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საპატრიარქოს დაცვის თანამშრომელი, ლეონიდე (მამუკა) ჩხარახია და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ლეონიდე სული.

გასვენება 23 ივნისს ჩხორონყუს რაიონის სოფ. მოილინაში.

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა წმინდა ალექსანდრე ნეველის ტაძრის მამასახლისი, ბორის დიდენკო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ბორისის სული.

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ თანამშრომელს, ნესტან ფარეშიშვილს გარდაეცვალა დედა - ვენერა სხილაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ვენერას სული.

თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებულ საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლეს სასწავლებელი მიღებას აცხადებს

თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებულ საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლეს სასწავლებელი მიღებას აცხადებს

2009-2010 სასწავლო წლისათვის საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის გუნდის ლოტბარის სპეციალობაზე სწავლება — უფასოა

სწავლების ფორმა — დღის დასწრებული; ხანგრძლივობა 4 წელი;

სწავლება — ქართულ ენაზე; მისაღები კონტინგენტი — 20 ადგილი.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო განათლების მქონე 30 წლამდე ასაკის ვაჟები.

აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

განცხადება რექტორის სახელზე; საშუალო განათლების ატესტატი;

6 ფოტოსურათი ზომით D3/4-ზე; მოძღვრის რეკომენდაცია;

პირადობის მონმობის დედანი (ასლი); სამხედრო მონმობის დედანი (ასლი);

გამოცდები ტარდება შემდეგ სპეციალობებში:

სიმღერა-გალობა

აბიტურიენტს მოეთხოვება 6 ქართული საგალობლისა და 11 ხალხური სიმღერის ცოდნა ცალ-ცალკე ხმების შესრულებითა და ხმიდან ხმაზე გადასვლით (ამავე გამოცდის ფარგლებში ჩატარდება გასაუბრება ქართული ტრადიციული სამუსიკო კულტურის საკითხებზე). შეფასების კოეფიციენტი 5;

მუსიკის თეორია - წერა (კარნახი), ზეპირი (სოლფეჯიო, ელემენტარული თეორია). შეფასების კოეფიციენტი 3;

ქართული ენა და ლიტერატურა (წერა); შეფასების კოეფიციენტი 1;

საქართველოს ისტორია (ზეპირი); შეფასების კოეფიციენტი 1;

კონსულტაციები გაიმართება 6 ივლისს 10 საათზე;

საბუთები მიიღება 25 მაისიდან 6 ივლისამდე;

მისაღები გამოცდები ჩატარდება 8 ივლისიდან;

დანვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება უმაღლესი სასწავლებლის სამდივნოში.

მისამართი: ქ. თბილისი, ვ. გაბისკირიას (ყოფილი ბალმაშვიის) ქ. № 4 (სამების საკათედრო ტაძრის მთავარ კარიბჭესთან).

ტელ.: 96 15 59; 45 06 19.

ბანცხადება

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (ყოველწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი) ყოველდღე 15.00-საათზე, იმართება შემეცნებითი საუბრები.

დასწრება თავისუფალია.

ორშაბათი 15.06.09. — ისტორია.

თემა: „ასურელ მამებთან დაკავშირებული ქრონიკოლოგიური საკითხები“.

საუბარს წარმართავს ისტორიის დოქტორი, პროფესორი დავით მერკვილაძე.

სამშაბათი 16.06.09. — ღვთისმეტყველება და ფილოსოფია.

საუბარს წარმართავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

ოთხშაბათი 17.06.09 — კულტურა და ხელოვნება.

თემა: „ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო საგალობლის შემსრულებლობის პრობლემები“.

საუბარს წარმართავს მგალობელი, ეთნომუსიკოლოგი და კონსერვატორიის პედაგოგი თამაზ გაბისონია.

ხუთშაბათი 18.06.09. — მღვდელმთავრების დღე.

თემა: „ადამიანი და სამყარო“.

საუბარს წარმართავს გორისა და სამთავისის მთავარეპისკოპოსი ანდრია (გვაზავა).

პარასკევი 19.06.09 — ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა.

თემა: „ქრისტიანული სიყვარული“.


საუბარს წარმართავს საპატრიარქოს ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის ხელმძღვანელი ნინო კანდელაკი.



ფოტომატიკა

მიტროპოლიტი ვარლამი (მახარაძე) 1873-1943

მიტროპოლიტი ვარლამი — ერისკაცობაში ვარლამ მელიტონის ძე მახარაძე, 1873 წლის 26 მარტს გურიაში, მედავითნის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი. 1889 წელს ჩააბარა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1895 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა. 1895 წლის 9 ოქტომბერს დიდუბის სამრევლო-საეკლესიო სკოლის მეორე მასწავლებლად დაინიშნა. ამავე წლის 3 ნოემბრიდან დიდუბის ყაზანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაადგინეს. 1897 წლის 7 ივნისს დიაკვნად აკურთხეს, მეორე დღეს კი მღვდლად დაასხეს ხელი და ქვემო კავთისხევის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესეს. ამავე წლის 16 სექტემბერს კავთისხევის სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებლად დაინიშნა. 1899 წლის 1 სექტემბერს გურია-სამეგრელოს ეპარქიაში გადაიყვანეს და ქ. ფოთის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსარად დაინიშნა. ამასთანავე, ფოთის ადგილობრივ სასწავლებელში საღვთო სჯულსა და ქართულ ენას ასწავლიდა. 1904 წლის 5 მაისს ერთი თვით აირჩიეს გურია-სამეგრელოს ეპარქიის ხაზინადრად. 1905 წლის 14 თებერვალს გურია-სამეგრელოს ეპარქიის სანთლის ქარხნის თავმჯდომარედ დაინიშნა. 1906 წლიდან ფოთის საკათედრო ტაძრის კანდელაკია. 1907 წლის 6 მაისს კამილაკით დაჯილდოვდა. 1914 წლის 20 ოქტომბრიდან ერევნის საოსტატო სემინარიის და ქალთა მეორე გიმნაზიის საღვთო სჯულის მასწავლებლად გადაიყვანეს. ამავე წლის 16 ნოემბერს ერევნის სასულიერო სემინარიის კარის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1915 წლის 12 მაისიდან ყარსის ციხის 1-ლი სამხედრო ჰოსპიტალის ეკლესიის მოძღვარია. 1916 წლის 7 აპრილს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. ამავე წლის 28 ოქტომბრიდან ერევნის სამხედრო ჰოსპიტლის ეკლესიაში გადაიყვანეს. 1918 წლის 1-ლი ოქტომბრიდან — 1-ლ დეკემბრამდე თბილისის 1-ლ საქალბო გიმნაზიისა და 7 მამა-



კაცების გიმნაზიის საღვთო სჯულის პედაგოგია. 1919 წლის 1-ლ თებერვალს ოზურგეთის წმინდა მარინეს სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურად დაინიშნა და ამავე წლის 12 აპრილს დეკანოზის წოდება მიენიჭა. ამასთანავე, ოზურგეთის ვაჟთა პროგიმნაზიაში მათემატიკას, ხოლო პირველდანიყებით სასწავლებელში ქართული ენას ასწავლის. 1922 წლის 27 აპრილს ოზურგეთის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად დაადგინეს. 1926 წლის 22 იანვარს საკათალიკოსო საბჭომ დეკანოზი ვარლამი მარგველ ეპისკოპოსად გამოირჩია. 1926 წლის 7 მარტს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ (ხელაია) და წინონმიდელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემ (ცინცაძე) ეპისკოპოსად დაასხეს ხელი და მარგვეთის ეპარქიის კათედრაზე დაადგინეს. ახლად ნაკურთხი მღვდელმთავარი სამღვდელმთავრო ღვთისმსახურებაში პრაქტიკას ერთი თვით სიონის საპატრიარქო ტაძარში გადიოდა. მომწყობმა კომისიამ მეუფეს საცხოვრებლად დაბა საჩხერე შეურჩია. ეპისკოპოსი ვარლამი ეპარქიაში 7 აპრილს გაემგზავრა. სადგურში მას სახეიმო დახვედრა მოუწყვეს, აქ იყვნენ: მომწყობი კომისიის წევრები, ადგილობრივი სამღვდელოება და მორწმუნენი. შეხვედრაში მონაწილეობდა ადგილობრივი სომხობაც, მათი მოძღვრის მეთაურობით. სადგურიდან მეუფე ვარლამი საზოგადოებასთან ერთად საჩხერის წმინდა წინოს სახელობის საკათედრო ტაძარში წაბრძანდა, სადაც გადაიხადეს პარაკლისი და წარმოითქვა მისასალმებელი და სამადლობელი სიტყვები. საჩხერის წმინდა წინოს სახელობის საკათედრო ტაძარში პირველი წირვა ეპისკოპოსმა ვარლამმა კვირას, 12 აპრილს შეასრულა. მისმა მეუფებამ პანაშვიდი გადაუხადა საქართველოს დიდებულ მგოსანს აკაკი წერეთელს, ამავე დღეს დიაკვნად აკურთხა მედავითნე სამსონ აბრამიშვილი, რომელიც 40

ფოტომატიანე

წელი მედავითნედ მსახურობდა. მარგვეთის ეპარქიას მეუფე ვარლამი სამი წელი განაგებდა.

1929 წლის 12 თებერვალს ეპისკოპოსი ვარლამი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში გადაიყვანეს. 1930 წლის 25 ოქტომბერს მიტროპოლიტის წოდება მიენიჭა. 1932 წლის 30 აპრილს ბარცყულზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლება მიენიჭა. 1934 წლის აგვისტოდან — 1937 წლის 7 ივლისამდე ეპარქიის მმართველობის გარეშე იყო.

1937 წლის 7 ივლისს მიტროპოლიტი ვარლამი



ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი“ ათონის წმინდა მთა



(მახარაძე) ქუთაის-გაენათის ეპარქიის მმართველად და ქუთაისის მწვანეყვავილას მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. მასვე დაევალა ჭყონდიდის, მარგვეთის, ცაგერისა და ნიკორწმიდის ეპარქიების მართვაც.

1938 წელს ხელისუფლების წარმომადგენლებმა, როგორც მათთვის არასაიმედო პიროვნება, მეუფე დააპატიმრეს და გასამართლების შემდეგ გადასახლება მიუსაჯეს.

მიტროპოლიტი ვარლამი 1943 წელს გადასახლებაში გარდაიცვალა.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინყებებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

დოლის პური დამზადებულია ძველი ქართული ტრადიციული მეთოდით, სვიის მცენარეული გამაღვივებლით. იგი არ არის გამდიდრებული ხელოვნური დანამატებით და ვიტამინებით. მასში საერთოდ არ არის საფუარი.

სვია ხელს უწყობს გულ-სისხლ-ძარღვთა და სიმსივნური დაავადებების პრევენციას.

სვიის პური ჩვეულებრივი პურისგან გამოირჩევა სასიამოვნო არომატითა და ოდნავ მომჟავო გემოთი.

დოლის პურის „ცეხვილი“ სახეობა კი შეიცავს უჯრედისს, რაც მას უნიკალურ დიეტურ და პროფილაქტიკურ თვისებებს ანიჭებს.

იგეგმება პურის შეტანა ეკლესიებთან ახლომდებარე სასურსათო მაღაზიებში.

დოლის პურის შექმნის მსურველებს შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ: 893-62-63-49



გთხოვთ, გაზათს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ დავალიანება ვადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი, კრწანისის მე-2 ფილიალი, ანგარიში # 360851555 მფო. 220 101 406
მომღებო: ნ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
„საპატრიარქოს უწყვეტანის“ ვებ-გვერდი: <http://www.patriarchate.ge>
ელ. ფოსტა: sap.atsa@post.ge
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე

რედაქტორის მოადგილე: ნანა ზოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი),
თამაზ გაბისონია, მარიამ გაგუა, ნინო გავოშაშვილი, თამარ ასათიანი,
ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე
ფინანსური მენეჯერი: ელასი ჯიბლაძე, გაერცელება: ცარო ვარდიშვილი;
დამკავალონებელი: ვალერიან ჯულელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

რებათა აკადემია და მის პრეზიდენს წმინდა სპირიტონ ტრიმიფუნტელის ხატი გადასცა.

დაჯილდოება

21 ივნისს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და დეკანოზის ნოდება მიანიჭა ბოლნისის სამღვდელოების წარმომადგენლებს:

მღვდელ იაკობ კობიაშვილს, მღვდელ გელასი ლაზარიშვილს, მღვდელ პეტრე კვარაცხელიას, მღვდელ არჩილ ქიტუაშვილს, მღვდელ ვასილ ახვლედიანს და მღვდელ დავით მესხს.

ხელდასხმა

11 ივნისს ნინოწმიდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმიდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) მღვდლად დაასხა ხელი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის დიაკვან გოჩა ჩიტაძეს.

11 ივნისს ნინოწმიდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმიდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის მამა დავითის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მამათა მონასტრის ბერი თეოდორე (ურუშაძე).

18 მაისს შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) აკურთხა ბუკისციხის წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის ეკლესია.

ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა მღვდელი ბიქტორ გიორგაძე.

21 ივნისს საჩხერის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში ცხუმ-აფხაზეთისა მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი სავანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის დიაკვან ზურაბ გველესიანს.

მღვდელი ზურაბი საჩხერის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

ბანცხადება

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი) ყოველდღე 15.00-საათზე, იმართება შემეცნებითი საუბრები.

დასწრება თავისუფალია.

ხუთშაბათი 25.06.09. — მღვდელმთავრების დღე. თემა: „ეკლესია და თანამედროვეობა“.

საუბარს წარმართავს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი).

პარასკევი 26.06.09. — ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა.

თემა: „ბავშვის ჩამოყალიბების პირველი ეტაპი ოჯახში“.

საუბარს წარმართავს მამა კონსტანტინე (გიორგაძე). კვირა 28.06.09. — ფილმის ჩვენება.

გიორგი კაკაბაძის ფილმი: „ახალმონაშენი“ — ჩვენება და განხილვა.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საპატრიარქოს დაცვის თანამშრომელი, ლეონიდე (მამუკა) ჩხარჩხალია და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ლეონიდე სული.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ტრავმატოლოგ-ორთოპედი — 27 ივნისს, 12.00-14.00 სთ.;

ანგიოლოგი — 27 ივნისს, 14.00-15.00 სთ.;

ენდოკრინოლოგი — 27 ივნისს, 15.00-17.00 სთ.;

ნევროპათოლოგი, ნეიროქირურგი (დისკოგენური რადიკულიტი, თავის და ზურგის ტვინის სიმსივნეები და სხვ.) — 28 ივნისს, 12.00-14.00 სთ.;

რევმატოლოგი — 29 ივნისს, 16.00-18.00 სთ.;

კარდიოლოგი — ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 12.00-14.00 სთ.

პედიატრის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა კარდიოქირურგის, ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტი, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის, მიღების საათებთან დაკავშირებით, დაგვირეკეთ: 8 99 57 65 31

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის განცხადება

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გინვეთ, მოილოცოთ წმინდა ადგილები:

ყინწვისი-სამწვერისი 27 ივნისი; შაბათი; გასვლა 8 საათზე; ფასი 15 ლ;

ტიმოთესუბანი, სადგერის წმ.გიორგი, მწვანე მონასტერი 28 ივნისი; კვირა; გასვლა 8 სთ; ფასი 16 ლ;

რუისი-ურბნისი-ბრეთი 4 ივლისი; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 15 ლ;

შიო-მღვიმე-მცხეთა 5 ივლისი; კვირა; გასვლა 8სთ; ფასი 13 ლ;

ქუთაისი-რაჭა 4-5 ივლისი; გასვლა შაბათს 7 სთ; ფასი 45 ლ;

ტაო-კლარჯეთი 27 —28 ივნისი; საბუთების მიღება 25 ივნისამდე; ფასი 150 \$; გასვლა 7:00 სთ.

მომლოცველებს მოემსახურება გიდი ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე:

„წმიდა კუთხე“ ბახტრიონის ქ. 8 ჩიტაიას ქ. 39 ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძართან არსებული მაღაზია, რუსთაველის 9

დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მაღაზია, ნერეთლის 44

ავტობუსები გადის სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ: 92 39 78 (11-დან 17 სთ-მდე);

ტელ/ფაქ: 92 39 79

ელ.ფოსტა: pilgrim_church@yahoo.com

(899)33 33 52; (879) 01 08 64;

ფოტომატიანე დეკანოზი იაკინთე გორგაძე 1870-1936

დეკანოზი იაკინთე 1870 წელს ქუთაისის მაზრის სოფელ ბაბში, მღვდელ იოსებ შიოს ძე გორგაძისა და რუსუდან ბურჯანაძის ოჯახში დაიბადა. მღვდელი იოსები სოფელ ბაბის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად მსახურობდა. ბუნებრივია, პატარა იაკინთეც ადრეული ასაკიდანვე დაუახლოვდა ეკლესიას და ღვთისმსახურების მიმართ ინტერესი და მონდომება გამოიჩინა. მამასთან პირველდანიებითი განათლების მიღების შემდეგ, სწავლა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში განაგრძო. 1886 წელს კი თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩააბარა, რომელიც 1892 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა. 1892 წლის 26 იანვარს, ჯვართამაღლების სახელობის კარის ეკლესიაში, წირვის დროს, საქართველოს ეგზარქოსმა პალადიმ (რაევი) სტიქარით შემოსა.

სემინარიის დასრულების შემდეგ იაკინთე დაქორწინდა მარიამ ამბაკოს ასულზე, რომელთანაც სამი შვილი შეეძინა: გრიგოლი, ნინო და ნონა. 1892 წლის 21 ნოემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკვნად აკურთხა, ხოლო ამავე წლის 28 ნოემბერს მღვდლად დაასხა ხელი და ხვევისჯვრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა. 1893 წლის 16 იანვარს მარეღისის მაცხოვრის ამალელების სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს.

მეუფე გაბრიელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ხალხში სწავლა-განათლებისა და ცოდნის განხრებებს. სამღვდლო პირსაც დიდი სიფრთხილით არჩევდა და უმეტესად სემინარიის კურსდამთავრებულს ანიჭებდა დიდ უპირატესობას. ასე მოიქცა მამა იაკინთეს შემთხვევაშიც. როგორც განათლებული, ახალგაზრდა და ენერგიული მოძღვარი, 1895 წელს შორაპნის მაზრის, იმერეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს განყოფილების წევრად აირჩიეს, ხოლო მომდევნო წლიდან ამავე მაზრაში არსებული სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურედ დაინიშნა, სადაც 1898 წლამდე იმსახურა.

1898 წლიდან მამა იაკინთე აღმოსავლეთ საქართველოში გადმოდის საცხოვრებლად და თბილისის სასულიერო სემინარიის სამაგალითო სკოლის მასწავლებლად ინიშნება. 1899 წლის 15 ოქტომბერს კუკიის მესამე სამოქალაქო სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად გადაიყვანეს და ანჩისხატის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად დაინიშნა. 1900 წლის 16 აპრილს თბილისის გუბერნიის ციხეების ეკლესიების მოძღვრად განამწესეს. ამავე წლის 12 მაისს ბორჯომის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს და გორის მაზრის მეათე ოლქის მთავარხუცესად დაადგინეს. 1900



მღვდელი იოსები და მისი მეუღლე
რუსუდან ბურჯანაძე

წლის 20 მაისს სკუფიით დააჯილდოვეს, ხოლო 1904 წლის აღდგომას — კამილაკვა უბოძეს.

ბორჯომში დანიშნული მამა იაკინთე განაგრძობს აქტიურ მოღვაწეობს სასწავლო დარგში. გარდა საღვთო სჯულის სწავლებისა, იგი ინიშნება ბორჯომის სახელოსნო სასწავლებლის სამზრუნველოს წევრად, სადაც 1918 წლამდე იმსახურა. 1909-1919 წლებში იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილების გამგეობის წევრი და სამკითხველოს გამგეობის თავჯდომარე. 1910 წლის 15 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი უბოძეს. 1915 წლის 6 მაისს წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. 1916 წლის 6 აგვისტოს ბორჯომის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარში საქართველოს ეგზარქოსმა პლატონმა (როფდენსტეინსკი) ეკლესიაში ერთგული სამსახურისთვის მამა იაკინთეს დეკანოზის წოდება მიანიჭა, ხოლო მამამისი, მღვდელი იოსები, კამილაკვით დააჯილდოვა.

1919 წელს ბორჯომში გაიხსნა უმაღლესი პირველდანიებითი სასწავლებელი, რომელშიც მამა

ფოტომატიკა

იაკინთე დროებით გამგედ და მასწავლებლად დაინიშნა.

მამა იაკინთე მონაწილეობდა 1920 წლის 27 ივნისს გამართულ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მეორე საეკლესიო კრებაში, როგორც ანყურის ეპარქიის დელეგატი.

საქართველოში კომუნისტური რეჟიმის ძალადობით დამყარების შემდეგ ეკლესიის მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ხელისუფლებამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა სამღვდლოებს და ყველანაირად შეაფინროვა. დაიხურა ეკლესიები და მოძღვრებს აეკრძალათ სკოლებში მასწავლებლობა. 1922-23 წლებში ბორჯომში დაიკვება ეკლესია და მამა იაკინთეც სამსახურის გარეშე დარჩა. ყოველმხრივ შეფინროებული, იძულებული გახდა, ანაფორა გაეხადა და ერში გაეგრძელებინა მოღვაწეობა. აი, რას წერს იგი 1925 წლის 12 მაისს გორის სამაზრო განათლების მუშაკთა კავშირს: „1923 წელში მე ჩემი ნებით თავი დავანებე მღვდლობას და შევედი მასწავლებლად ბორჯომის ქართულ მთლიან სკოლაში, სადაც დღესაც ვმსახურებ. ამავე დროს ვმსახურებ ქართული ენის მასწავლებლად და საქმის მწარმოებლად ბორჯომის საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებელში.

მე მიმიძღვის პედაგოგიურ ასპარეზზე და სა-



დაკანოზი იაკინთე მუშაობდა ერთად მოსწავლო ნაწილში მუშაობა და სამსახური 28 წლის განმავლობაში. მაქვს სურვილი და ღონეც შემწევს განვაგრძო სამსახური და რადგანაც საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქცია ყურადღება პედაგოგიურ ასპარეზზე დიდი ხნის ნამსახურებ და ნამოღვაწარ მუშაკებს სახალხო განათლების საქმეში და აჯილდოებს მათ, ვინც კიდევ მაინც განაგრძობს მუშაობს ამ დარგში, ყოველთვიურად 10 მანეთით, ამისთვის ვიმედოვნებ, რომ მე არ ვიქნები დატოვებული უყურადღებოდ და დამენიშნება გადანყვეტილი პენსია საერო წესით.

ნასული 1924 წლის 15 დეკემბრიდან ამა წლის 15 თებერვლამდე მე ვასრულებდი ბორჯომის პროფ-ტექნიკური საღამოს კურსების გამგის თანამდებობას და ვმასწავლებლობდი, ხოლო 15 თებერვლიდან საღამოობით ვწარმოებდი მეცადინეობას წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლაში“.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები მამა იაკინთემ ბორჯომში, მშობლიურ სახლში გაატარა. იგი 1936 წლის 24 ივნისს გარდაიცვალა. დასაფლავებულია ბორჯომში, საერო სასაფლაოზე.

მომზადა
გიორგი მაჩურიშვილმა



ბორჯომის სამრევლო სკოლის მოსწავლეებთან 1914 წ.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინყებინებინო ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუმბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

ბთხოვთ, გაზაბთ გაუფრთხილეთ მასში ღვაჭილი მასალის გაპო
ვთხოვთ დაგვიანება ვადაინადოთ შემდეგ ანგარიშზე
სახალხო ბანკი. კრწანისის შვ-2 ფილიალი. ანგარიში # 360851555 მფო. 220 101 406
მომღები: ნი. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ-გვერდი: <http://www.patriarchate.ge>
ელ-ფოსტა: rap.arts@post.ge
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი),
თამაზ გაბისონია, მარიამ გაგუა, ნინო გაგომაშვილი, თამარ ასათიანი,
ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე
ფინანსური მენეჯერი: ელასი ჯიბლაძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი;
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ბის ცენტრში შედგა ზემოხსენებული წიგნის პრე-ზენტაცია.

დაჯილდოება

21 ივნისს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და დეკანოზის წოდება მიანიჭა ბოლნისის სამღვდლოების წარმომადგენლებს:

მღვდელ იაკობ კობიაშვილს, მღვდელ გელასი ლაზარიშვილს, მღვდელ პეტრე კვარაცხელიას, მღვდელ არჩილ ქიტუაშვილს, მღვდელ ვასილ ახვლედიანს და მღვდელ დავით მესხს.

5 ივლისს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და დეკანოზის წოდება მიანიჭა მღვდელ დავით ქვლივიძესა და მღვდელ გიორგი ბურდენს.

13 ივლისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და დეკანოზის წოდება მიანიჭა მღვდელ ალექსანდრე ქასრაშვილს.

საპატრიარქოს დედათა მონასტერი

11 ივლისს საპატრიარქოში საზეიმოდ გაიხსნა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ახლადშენებული დედათა მონასტერი, რომლის ილუმენიად დაინიშნა მონაზონი ნინო (გრიგოლაძე).

ახლი მონასტერი სამსართულიანია, სადაც 30-მდე მონაზონი მოღვაწეობს. აქ ყველაფერი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, პირადი ზედამხედველობითა და მზრუნველობით მოეწყო.

ასევე უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის კურთხევით, ყოველ სენაკს თავისი მფარველი წმინდანის სახელი მიენიჭა, რომელიც იქ მოსაგრე მონაზვნის მფარველი და შემწე გახდება. ყველა სენაკის კარებს, იქვე, კედელზე, კოხტა ჩარჩოში ჩასმული, მფარველი წმინდანის ხატი და ტროპარია ამკობს.



უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯერის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

- რევმატოლოგი — 23 ივლისს, 16.00-18.00 სთ.;
 - ფთიზიატრი, პულმონოლოგი — 25 ივლისს, 13.00-14.00 სთ.;
 - ანგიოლოგი — 25 ივლისს, 14.00-15.00 სთ.;
 - ენდოკრინოლოგი — 25 ივლისს, 15.00-17.00 სთ.;
 - ოტო-რინო-ლარინგოლოგი - 29 ივლისს, 16.30-18.00 სთ.
 - ანგიოლოგი — 1 აგვისტოს, 13.00-14.00 სთ.;
 - ოფთალმოლოგი — 1 აგვისტოს, 14.00-16.00 სთ.
- ნევროპათოლოგის, ბავშვთა დიაბეტოლოგის, ნეფროლოგისა და უროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით, დაგვირეკეთ.**
- კარდიოლოგი — ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა ინფორმაციისთვის დარეკეთ: 98 90 12; 8 99 57 65 31**



საქართველოს საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გინვევთ, მოილოცოთ წმინდა ადგილები:


- ზედაზენი-მცხეთა** 25 ივლისი; შაბათი; გასვლა 8სთ; ფასი 13 ლ;
- სამთავისი, ატენის სიონი, უფლისციხე** 26 ივლისი; კვირა; გასვლა 8სთ; ფასი 16 ლ;
- ალავერდი- იყალთო- შუამთა** 1 აგვისტო; შაბათი; გასვლა 8სთ; ფასი 16 ლ;
- შო-მღვიმე-მცხეთა** 2 აგვისტო; კვირა; გასვლა 8სთ; ფასი 13 ლ;
- ტიმოთესუბანი, სადგერის წმ.გიორგი, მწვანე მონასტერი** 8 აგვისტო; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 16 ლ;
- ბოდბე-ხირსა** 9 აგვისტო; კვირა; გასვლა 8 სთ; ფასი 14 ლ;
- სტეფანწმინდა** (გერგეთის სამება, დარიალის ხეობა); 7-9 აგვისტო; გასვლა 7 სთ; ფასი 50 ლ;
- ტაო-კლარჯეთი-კაბადოკია** 29 ივლისი — 5 აგვისტო; საბუთების მიღება 25 ივლისსამდე; ფასი 500-520\$ გასვლა 7:00 სთ.
- ტაო-კლარჯეთი** 7-9 აგვისტო ; საბუთების მიღება 5 აგვისტომდე; ფასი 150 \$; გასვლა 7 სთ.

- ისრაელი, წმიდა მიწა** ფერისცვალების დღესასწაულისათვის 14-21 აგვისტო; საბუთების მიღება 24 ივლისსამდე; ფასი 1500-1600\$;
- მომლოცველებს მოემსახურება გიდი** ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე: „წმიდა კუთხე“ ბახტრიონის ქ. 8 ჩიტაიას ქ. 39 ; ლესელიძის ქ.30
- ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძართან არსებული მალაზია**, რუსთაველის 9
- დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მალაზია**, ნურეთლის 44
- ავტობუსები გადის სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან
- ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ: 92 39 78 (11-დან 17 სთ-მდე); ტელ/ფაქ: 92 39 79
- ელ.ფოსტა: pilgrim_church@yahoo.com
- (899)33 33 52; (879) 01 08 64;

ფოტომატიკა

მღვდელი ლავრენტი ცქიტიშვილი

მღვდელი ლავრენტი ნიკოლოზის ძე ცქიტიშვილი იმერეთში ცნობილი და განთქმული მოძღვარი იყო. იგი 1879 წელს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) მღვდლად აკურთხა და დილიკაურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა, სადაც 1900 წლამდე იმსახურა. შემდეგ იგი სხვა ეკლესიებშიც მოღვაწეობდა, კერძოდ: 1900-1902 წლებში თბილწყაროს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, 1902-06 წლებში გოგნის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესიაში, 1906-1907 წლებში სპეთის მაცხოვრის ამალეების სახელობის ეკლესიაში. 1909 წელს კი სკანდის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინეს. 1913 წლის 15 მაისს ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის სამკერდე ოქროს ჯვრით დააჯილდოვეს. მღვდელი ლავრენტი 1915 წლის 20 აგვისტოს გარდაიცვალა. იგი 23 აგვისტოს, დილით, 8 საათზე ქუთაისის საკათედრო ტაძარში მიასვენეს, საიდანაც წირვის შემდეგ თავის მშობლიურ სოფელ საქარაში, საგვარეულო სასაფლაოზე მიაბარეს მიწას. აი, რას წერდა მისი გარდაცვალების შესახებ გაზეთ „სამშობლოში“ ვინმე მ. ფარცხნალელი: „ოც აგვისტოს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მღვდელი ლავრენტი ცქიტიშვილი. მამა ლავრენტი, ჩვენი ძველი მღვდლების, ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო. მას, როგორც ყველა ჩვენ საუკეთესო ძველ მღვდლებს, ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჭდარი ქრისტეს მოძღვრება, იყო საღმრთო წერილის ზედმიწევნით მცოდნე და მშვენიერი მწიგნობარი ქართულ ენაზე. მისი სასოებითი წირვა-ლოცვა ურწმუნოსაც კი აუტოკებდა გულს. იშვიათი



შემთხვევა იყო მის ცხოვრებაში, წირვა-ლოცვა ისე გაეთავებინა, რომ ხალხისათვის შესაფერი სულიერი საზრდო არ მიეცა. ბუნებით იყო ფიცხი კაცი, მაგრამ უზომო გულკეთილი, ადამიანის მოყვარული და პატივისმცემელი. თავის სამწყოსაგან მოითხოვდა ქრისტიანულ სიყვარულს ურთიერთშორის და ქართველურ პურადობას. ძუნობა თავისივე ეზარებოდა და სხვისიც, ამ სოფლად ბევრი დავიდარაბის გადამტანი იყო. უკანასკნელ ჟამს, ძვირფასი მეუღლის და ორი მოსწრებული შვილის დაკარგვამ, ამასთანავე თავის საკუთარი ბედის უკულმა დატრიალებამ, სასწრაფო ვითარებაში ჩააგდო. თავის ხანგრძლივი სამსახურისათვის, სასულიერო მთავრობისაგან შესაფერად იყო დაჯილდოვებული. იშვიათი არის ასეთი მღვდელი ჩვენში. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი“.

ღვთისწიერმა მოძღვარმა თავისი შვილებიც ღვთის სამსახურში ჩააყენა. უფროსი ვაჟი, დეკანოზი იოანე, ასევე ცნობილი სასულიერო პირი გახლდათ (იხ. მასზე „საპატრიარქოს უწყებანი“ №13. 2009წ.). თავისი ერთადერთი ქალიშვილი პელაგია იმერეთში ცნობილი დეკანოზის დავით ლამბაშიძის ვაჟს (ჟურნალ „მწყემსის“ რედაქტორი, იხ. მასზე „საპატრიარქოს უწყებანი“ №13. 2009წ.), მღვდელ ქსენეფონტეს მიათხოვა. ასევე ცნობილი სასულიერო მოღვაწეა მისი შემდეგი შვილი პლატონი. მის შესახებ ჩვენი გაზეთის მორიგ ნომერში გვექნება საუბარი.

მომზადა
გიორგი მაჩურიშვილმა

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინახოთ ვინაა ვინაა ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

ბიზნოსი, გაზეთი, გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
კომპოტ დავალიანება გადაიხადეთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი, კრწანლის მე-2 ფილიალი, ანგარიში # 360851555 მფო. 220 101 406
შომღებო: ნმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
„საპატრიარქოს უწყებანი“ ვებ-გვერდი: <http://www.patriarchate.ge>
ელ.ფოსტა: sap.utsva@post.ge
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი),
თამაზ გაბისონია, მარიამ გაგუა, ნინო ვაგოშაშვილი, თამარ ასათიანი,
ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე
ფინანსური მენეჯერი: ელასი ჯიბლაძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი;
დამკავალონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

დეკანოზი პლატონ ცქიტიშვილი
1875-1960

დეკანოზი პლატონ ლავრენტის ძე ცქიტიშვილი 1875 წელს ქუთაისის გუბერნიაში, სოფელ საქარაში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. მამამისი, მღვდელი ლავრენტი ნიკოლოზის ძე ცქიტიშვილი იმერეთში ცნობილი და განთქმული მოძღვარი იყო (იხ. „საპატრიარქოს უწყებანი“, №22). ოჯახში, მამის მეთვალყურეობის ქვეშ მიღებული პირველდანიეობითი განათლების შემდეგ, 1890 წელს პატარა პლატონი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, რომლის დასრულებისთანავე სწავლა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო და სასწავლებელი 1900 წელს მეორე ხარისხის დიპლომით დაამთავრა. იმავე წელს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში ინსპექტორის თანაშემწედ დაინიშნა. 1902 წელს ქუთაისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლად გადაიყვანეს. 1904 წელს ქუთაისის სასულიერო სემინარიის დახურვის შემდეგ, ობრაზცოვის სკოლის მასწავლებელია. 1905 წლის 6 თებერვალს საქართველოს ეგზარქოსმა ალექსიმ (ოპოცკი) დიაკვნად აკურთხა, ხოლო ერთი კვირის შემდეგ მღვდლად დაასხა ხელი და თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლად და კარის ეკლესიის მღვდელმსახურად დაინიშნა. 1907-11 წლებში ხარკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. 1911 წლის შემოდგომაზე საქართველოში დაბრუნდა. 1912 წლის 18 მარტს იმერეთის ეპარქიაში თუზის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1913 წლის 19 ნოემბერს ქუთაისის ქალთა კაუჩხევსკის გიმნაზიაში საღვთო სჯულის მასწავლებლად და ქუთაისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურად განამწესეს. 1917-21 წლებში ქუთაისის ათწლიან საერო სკოლაში ასწავლის. 1918 წელს დეკანოზის

წოდება მიენიჭა. 1921 წელს ქუთათელმა მიტროპოლიტმა ნაზარმა (ლეჟავა) ქუთაისის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის კანდელაკად დაადგინა.

მამა პლატონ ცქიტიშვილთან დაკავშირებულია საქართველოს ეკლესიის ისტორიის ერთი მეთად მტკიცებული საკითხი. 1921 წლის თებერვლის დღეებში, როდესაც წითელი არმია თბილისის უტყვედა, საკათოლიკოსო საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც სიონისა და სვეტიცხოვლის განძეულობა უნდა გაეტანათ და შეენახათ ქუთაისის სახელმწიფო ხაზინაში ან ბანკში. განძეულობა მოათავსეს ოთხ დიდ ყუთში, რომლის ქალაქიდან გატანა კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს (ოქროპირიძე) ლოცვა-კურთხევით დაევალა სვეტიცხოვლის ტაძრის არქიმანდრიტ პავლეს (ჯაფარიძე). ქუთაისში ჩატანილი განძეულობა ჯერ საკათედრო ტაძარში მიიტანეს, სადაც რამდენიმე დღეში კათოლიკოსიც ჩავიდა. აქ გადაწყდა, რომ ყველაფერი ბაგრატიის ტაძრის ძირში მდებარე ქუთათელი მიტროპოლიტის ნაზარის (ლეჟავა) სამღვდელმთავრო სახლის აივნის ქვეშ დაემაღათ, ზედ კი ქვის ფილაქანი დაეფარებინათ. განძის ადგილმდებარეობა იცოდა მხოლოდ პატრიარქმა ლეონიდემ, მიტროპოლიტმა ნაზარმა, არქიმანდრიტმა პავლემ და დეკანოზმა პლატონმა.

1921 წლის მარტში, როდესაც ქუთაისიც წითელმა არმიამ დაიკავა და ქალაქში დამყარდა კომუნისტური რეჟიმი, ჩეკისტებმა განძი მაინც აღმოაჩინეს. სწორედ მამა პლატონს ბრალდებოდა ამ საიდუმლოს გაცემა. როგორც შემდგომში გაირკვა, მას დაკითხვაზე მოტყუებით ათქმევინეს განძის ადგილმდებარეობა. იგი ამ შემთხვევას ძალიან განიცდიდა და მთელი ცხოვრების მანძილზე უზომოდ ნუხდა ამ ამბის გამო. შემდგომში უკვე, როდესაც იგი ეკლესიას დაუბრუნდა, კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ ამ შემთხვევის გამო მას სასჯელიც დაადო და რამოდენიმე წელი მედავითნედ ამსახურებდა.

1921 წლის 1-5 აგვისტოს მონაწილეობდა გელათში გამართულ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მესამე საეკლესიო კრებაზე. 1923 წლის მიწურულს შეწყვიტა მღვდელმსახურება და ქუთაისის აგრონომიულ ტექნიკუმში ინსპექტორად დაიწყო მუშაობა. 1925-27 წლებში მესტიაში, სურამში და ქუთაისში სახალხო გამომძიებელია. 1927-30 წლებში ბარისახოს ოთხკლასიანი სკოლის, ხოლო 1931-35 წლებში თბილისის რკინიგზის რეანლიანი სკოლის მასწავლებელია. 1935-41 და 1945-47 წლებში ფინანსთა სამინისტროში ბუღალტრის თანამდებობაზეა. 1941-45 წლებში წყნეთის ათწლიან სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად მუშაობს.


1947 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს (ცინცაძე) მდივნად დაინიშნა და სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში მედავითნედ დაად-



დეკანოზი პლატონ ცქიტიშვილი

გინეს. 1953 წლის 22 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III-მ (ფხალაძე) აღადგინა სასულიერო ხარისხში და ნათელულის წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. დეკანოზი პლატონი 1960 წლის 7 აპრილს სიონის სა-პატრიარქო ტაძარში სახარების კითხვის დროს გარდაიცვალა.

შემორჩენილია მამა პლატონის ერთი ქადაგება, რომელიც მან 1916 წლის 14 იანვარს, წინობის დღესასწაულზე, ყვირილას ეკლესიაში წარმოსთქვა: „ამ საშინელი ქარიშხალის დროს, რომლის გამო მსოფლიო დრტივინავს. ამ უმაგალითო ომის დროს, როდესაც ასე შეუბრალებლად და დაუზოგავად ისპობა მილიონობით სიცოცხლე; ამ ჩვენ დროს როდესაც გააფთრებული ადამიანი მხოლოდ იმას ფიქრობს, თუ როგორი უსასტიკესი იარაღი იხმაროს, რათა რაც შეიძლება მეტი სისხლი დაღვაროს თავის მსგავსი ადამიანისა; ამ სასტიკ დროს, როდესაც თოფზარბაზნების გრიალში და ხიშტიხმალ-ხანჯალის ტრიალში გაკაჟებული გული ადამიანისა ჰქმნის სისხლის ნიტელ ნიაღვრებს, რომლითაც რწყავს და ღვლავს ბრძოლის მთებს და მინდვრებს; იმ დროს, როდესაც შინ მყოფთ მარტოლა



მღვდელი პლატონ ცმიტიშვილი

ის დარჩენიან, რომ გულის კანკალით გასცქერიან ბრძოლის მხარეს და წამიდან წამს მოელიან ამბავს, რას მოუტანს იგი მისი ღვიძლი შვილის შესახებ, რომელიც დიდი ხანია გაისტუმრა დაუზოგავი მტრის შესატევად, ან მოუტანს იგი ამბავს საყვარელი ძმის შესახებ, რომლის ამბავი წელიწადია და მეტი არ გაუგია, რას მოუტანს იგი მისი ძვირფასი ქმრის შესახებ, რომლის ამბავი აგერ ორი წელიწადია არავითარი არ იცის; იმ დროს, როდესაც მუშა ხელი ისე შემცირდა, რომ არსებობისთვის საშვალეების შოვნა თითქმის შეუძლებელი შეიქმნა და არა გაგონილი და არა ნახული სიძვირე უათკეცებს ადამიანს გაჭირვებულ სიცოცხლეს; იმ დროს როდესაც მაინც ეხლა ნახა დრო ზოგიერთმა ადამიანმა მოხერხებულად და ადვილად გაყვლიფოს თვისი მოყვასი და მით ჯიბე უღირსად გაისტელოს; აი, ამ დროს, ვიმეორებ ძვირფასო მსმენელნო, ვისარგებლო იმ შემთხვევით, რომლის ძალით თქვენ ყველანი დღეს აქ შეკრებილხართ და თქვენი ყურადღება კადნიერად გადავიტანო შორს, ძლიერ შორს, იმ ნეტარ ხანაში, საიდანაც ქართველი ხალხი ხელახლა იშვა ძლიერებისა და დიდებისათვის. ნება მიბოძეთ თქვენი ყურადღება გარს შემოვარტყა იმ ნეტარ ხსენებულ ქალწულს, რომელმან მრავალი საუკუნეების წინედ უკვდავების სხივი მოფინა ქართველ ერს და მით ჰყო იგი დღემდის მართლაც უკვდავი. სმენა მიბოძეთ გაგაგონოთ, ანუ უკეთ ვსთქვათ, მოგაგონოთ მოკლე ცნობა ამ ნეტარ ადამიანის ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე, რასაც დიადი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ქართველი ერის ცხოვრებაში და ის დიდება, რომლითაც საუკუნეების განმავლობაში საქართველოს ისტორიის ფურცლები დამშვენებულია, ეს დი-

დება, ვიმეორებ, წარმოშობილია დღიდან ფეხის შემოდგმისა საქართველოს მიწაზე წმიდა ქალწულისა წინოსი. ასული ღვთის მოყვარული მშობლებისა ზაბულონისა და სუსანასი. წინო ადრე დაობლდა. დედამ ნაუყვანა იგი თავის ძმას, მაშინდელ იერუსალიმის პატრიარქს. ბიძამ იგი მიაბარა ერთ შემოსილ ქალს, რომელთანაც წინომ შეისწავლა ქრისტეს მოძღვრება და გაეცნო კვართის ისტორიას, ძლიერ სურდა ენახა ის ქვეყანა, სადაც კვართი უფლისა განისვენებდა. რომისკენ მოგზაურობის დროს გაეცნო მონასტერში მშვენიერ რიფსიმეს, რომელმაც თავი დააღწია მეფე დიოსკორეს მხეცურ სურვილისა გამო დედა წინოსთან ერთად შეაფარა თავი სომხეთის ქვეყანას. აქ მეფე ტრიდატმა ნახა მშვენიერი რიფსიმა და აღმზრდელი მისი გაიანე, წინო კი გადარჩა და გამოეშურა საქართველოსკენ. მაღალი მთების შორიდან ხილვამ უსასოებაში ჩააგდო წინო, მაგრამ მას ძილის დროს მოეკლინა გასამხნეველად ღვთისმშობელი და გადასცა მას ჯვარი ვაზისა. გამხნევებული წინო მოვიდა მცხეთას და დაეწრო ქართველების მაშინდელი კერპების დღესასწაულს. ძლიერ დაალონა იგი ამ სანახობამ. მისი ლოცვავედრებით კერპები იმ დღესვე შეიმუსრენ ბუნევის საშინელის მოვლენილი ძალით. შემდეგ წინო გაეცნო მეფის მებაღის

ოჯახს, თვით დედოფალი ნანა განკურნა სნეულებისაგან და როგორც სხვას ბევრს, ისე მასაც უქადაგა ქრისტეს სარწმუნოება. მაშინდელი მეფე მირიანი ერთი უბედურის შემთხვევის შემდეგ მუხლმოდრეკით შესთხოვდა წინოს გაეცნო მისთვის ქრისტეს მოძღვრება და წინოს რჩევით მოინათლა და მონათლა სამეფო ოჯახი, დიდებულნი, ამაღა და მთელი ხალხი. აქედან წინო გადავიდა კახეთში, სადაც ბევრი გააქრისტიანა და დაქანცული მოღვაწეობითა მიიცვალა 14 იანვარს, სოფელ ბობბეში, სადაც ასაფლავია და რომლის საფლავზე დღეს ქალთა მონასტერია აგებულა.

როგორც სანთელი ბნელ ოთახში, სხივოსანმა წინომ ქრისტეს მოძღვრებით გაბრწყინებულმა შემოაშუქა საქართველოს წყვდიადში და გაუნათა შიგ მჯდომარე ქართველებს, მისცა მათ ახალი მცნება ქრისტესი: „**გიყვარდეს მოყვასი შენი ვითარცა თავი შენი**“ და დააყენა იგი განახლების გზაზე. ეს მცნება შეისისხლბოცა ქართველმა და მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორია დაამშვენა ამ მცნების ასრულებით. სიყვარული მოყვასისადმი ამხნევებდა ქართველ ერს და მჭიდროდ აერთებდა მას მტრის წინააღმდეგ. იგი ყოველთვის უძლეველი იყო და მას ვერავინ ვერ სჩაგრავდა. წინოს მოტანილი ქრისტეს მოძღვრება — სიყვარული მოყვასისადმი აკეთილშობილებდა როგორც ერს, ისე იმ კერძო პირებს, ვისაც ნილხდომილი ჰქონდა ერის სათავეში ყოფნა. მათი ცხოვრება და მოღვაწეობა ცხადად გვიჩვენებს ამას. ავილოთ შორის დროიდან მეფე დიმიტრი, ერისათვის თავდადებული. თვით თამარი, გლახაკთ მოწყალე და ერის ბედნიერებისათვის დაუღალავი მოღვაწე და საქართველოსთ-

ფოტომატიანე

ვის ოქროს დროის შემქმნელი. დავით აღმაშენებელი, ქრისტეს მოძღვრებაში ღრმად გამსჭვალული და საქართველოს ხელახლა ამყვავებელი. ერეკლე მეფე ქრისტეს სარწმუნოებისა და მამულისათვის შეუპოვარი მეომარი, რომელმაც საქართველოს გამორული სახელი გაუთქვა ბევრ სხვა სახელმწიფოებში. ესენი და ბევრი კიდევ სხვა იყვნენ დიდება ერისა, ქება მათი ქება იყო ერისა და ეს ყოველივე მათი იყო, რომ ქრისტეს სარწმუნოებამ, ნინოსაგან გადმოცემულმა და სიყვარულმა ბუნება მათი გააკეთილშობილა და მით ისინი დიდებული იყვნენ. სიყვარულის მცნებამ რამდენი მკლავმაგარი გმირებით, გიორგი სააკაძეებით და ენამახვილი დიმიტრი ყიფიანებით აავსო და ადიდა ჩვენი ქვეყანა! სიყვარულის მცნებამ, რამდენ ჩვენს მგოსანს აუფლერა და უფლერებს სიმებს და შექმნა მათში ჩვენვე სადიდებლად მიუბაძავი შოთა რუსთაველი, რომლისთვისაც, როგორც ქრისტესთვის, თანასწორია ქალი და კაცი, ძუ და ხვადი. შექმა ილია, შექმნა აკაკი, მუდამ ხალხის გულში სიყვარულის მომღერალი. სიყვარულის მცნებამ და საერთოდ ნინოსაგან შემოტანილ ქრისტეს მოძღვრებამ რამდენი წმინდა და ღვანლითშემოსილი მღვდელმთავრებით და ღირსი მამებით დაამშვენა საქართველოს საეკლესიო მატთანე, რამდენი თავისი ერის სიყვარულით გაუფლენილი და მათი ქომაგნი მღვდელმთავრები გაბრიელები, ქუთათელი და გენათელი დაგვიბადა ქართველ ერს ნინოს ნაქადაგებმა სარწმუნოებამ, რამდენი ერისთვის წამებულნი მოძღვრებით და შეუპოვარი მებრძოლნი სიმართლის მტრებთან დავით ღამბაშიძეები გადაეცენ ისტორიას, როგორც სიყვარულის მოციქულნი და მჩაგვრელების მამხილებელნი. ავიღოთ დღევანდელი მაგალითი. ასი ათასობით რომ ქართველი ახალგაზრდა სტოვეებს ოჯახს და ეტევება გამშაგებულ მტერს, ნუთუ ესეც შედეგი არ არის მოყვასისადმი სიყვარულის მცნების შესისხლხორცებისა! აი, რა მოუტანა ქართველ ერს ქრისტეს მოძღვრებამ, აი, რა დიდება არგუნა საქართველოს წმინდა ნინომ თავისი ფეხის შემოდგმით და ქადაგებით ჩვენში. მაღლიერი ერი დღემდის გულმხურვალედ უნოდებს მას მოციქულთა სწორს და ღირსეულად სთვლის მას ქართველთა განმანათლებლად.

მაგრამ კერძოდ ჩემს აღტაცებას საზღვარი არა აქვს იმ ამბის გამო, რომლითაც მე დამარწმუნეს და კიდევაც დღეს ჩემი თვალთ ვხედავ და მონამეც ვარ იმ დიადი შემთხვევისა ყვირილის ცხოვრებაში, რომელთაც აქაურ ვაჭართა წრეს, წერა-კითხვის განყოფილებას და სხვა კეთილი პირების მეთაურობით განუზრახავს წმინ-

ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი“

„ღალიის მონასტერში“ (კვიპროსი)

გიორგი კაპანაძე



და აზრი და წმინდა ნინოს დღესასწაულის დღე დაუსახავს ეროვნულ დღესასწაულად, დღეთ მრავალწიერ სიმპატიურ დანესებულების და საქველმოქმედო საქმეების დასაწყისად.

დიალ, სასიამოვნოა ასეთი მოვლენა საზოგადოდ და კერძოდ ჩემთვის ძლიერ სასიხარულოა ვაჭართა წოდების დღევანდელი დასაწყისი ჩემს სამშობლო ყვირილში. სჩანს, თქვენშიდაც არ გაქმრალა ნაპერწკალი იმ სიყვარულისა და სათნოებისა, რომელიც წმინდა ნინოს დაუთესია ამ ჩვიდმეტი საუკუნის წინად ჩვენში. სჩანს, თქვენც გინდათ განახორციელოთ თქვენს ცხოვრებაში მცნება ძმათა სიყვარულისა და საშუალოდ ამისთვის ამოგირჩევით გაერთიანება და მჭიდროდ შეკავშირება. გეტყობათ, შეგიგნიათ დევიზი, რომელიც ამბობს: „**ძალა ერთობაშიაო**“ და გინდათ თქვენს ცხოვრებაში ეს დაიდვათ უმთავრეს მიზნად და წინდად ნაყოფიერ მუშაობისა მოყვასის სასრგებლოდ.

გილოცავთ წრფელის გულით დასაწყისს, დიახაც, შემოკრებით ნინოს გარშემო, მსგავსად იაკობის შვილებისა, რომელნიც შემოეხვივნენ მამას ლოცვა-კურთხევის მისაღებად, რათა ეცხოვრათ ბედნიერად. თქვენც ნინოს გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულმა დაიჭირეთ დროშა. გულში ნინოს უმანკო სახელი და მისი მცნება ძმათა სიყვარულისა, ხელში ნინოს სასწაული ჯვარი ვახისა, გაუძეხით ერთი მეორეს ძმურად ჭირსა და ლხინში, ნუ ჩამორჩებით საერთო საქმეს, წინსვლა დაისახეთ უმთავრეს მიზნად და სულიერი და ზნეობრივი წარმატებისთვის საშუალებას ნუ დაზოგავთ“.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინწყებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩუროშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში ღვაჭილი მასალების გამო

ვთხოვთ დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
საბანკო ბანკი კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406
მომღებო: ნმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
„საპატრიარქოს უწყებანის“ ენბ. გვერდი: <http://www.patriarchate.ge>
ელ. ფოსტა: sap.atsor@post.ge
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი),
თამაზ გაბისონია, მარიამ ვაგუა, ნინო ვაგოშაშვილი, თამარ ასათიანი,
ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩუროშვილი, ია ზაზარაძე, სერგო კერესელიძე
ფინანსური მენეჯერი: ვლასი ჯიბლაძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი;
დამკავშირებელი: ვალერიან ჯულელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.



(მიოლაშვილი), არქიმანდრიტი დავითი (ჭინჭარაული), პატრიარქის მდივან-რეფერენტი შორენა თეთრუაშვილი, პატრიარქის პირადი ექიმი ცისანა შარტავა და მონაზვნები.

19 ივლისს კათოლიკოს-პატრიარქი მიუნხენს ეწვია, სადაც შეხვდა

ქართულ დიასპორას. მიუნხენის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ქართულ ტაძარში, რომლის წინამძღვარიც გახლავთ მღვდელი თამაზ ლომიძე, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სავედრებელი პარაკლისი აღავლინა. პარაკლისზე წარმოთქმული ქადაგება შეგიძლიათ იხილოთ წინამდებარე გაზეთის მე-2 გვერდზე.

დაჯილდოება

2 აგვისტოს, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დეკანოზის წოდება მიანიჭა და ოქროს ჯვრით დააჯილდოვა ურბნისის ეპარქიის მოძღვარი, მღვდელი ილია გოგოლაძე.

1 აგვისტოს ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტმა საბამ (გიგიბერიაშვილი) ხონის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარში მიტრით დააჯილდოვა დეკანოზი იოანე გედენიძე; მონაზონი იოანა (თორდია) — დააჯილდოვა ოქროს ჯვრით და მიანიჭა ილუმენიას წოდება.

1 აგვისტოს ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტმა საბამ (გიგიბერიაშვილი) სოფელ ლანარის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში დააჯილდოვა ხონისა და სამტრედიის ეპარქიის შემდეგი მღვდელმსახურნი:

- მიტრით — დეკანოზი იოანე კობრეიძე;
- გამშვენებული ჯვრებით:
- დეკანოზი რომანოზ ნინუა, დეკანოზი იაკონ ლეკვეიშვილი, დეკანოზი დიმიტრი კუხალაშვილი.
- ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და დეკანოზის წოდება მიანიჭა:

მღვდელ აკაკი ყვანიას, მღვდელ დავით სანებლიძეს, მღვდელ ზაქარია მესხს, მღვდელ დამიანე ადამიას.

2 აგვისტოს, ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტმა საბამ (გიგიბერიაშვილი) სოფელ გორმალალას წმინდა ილია თეზბიტელის სახელობის ტაძარში მიტრით დააჯილდოვა ამავე ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი დავით თოლორაია.

ილიაოგის დღესასწაული

2 აგვისტოს, ილიაოგის დღესასწაულზე, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში საზეიმო წირვის დასრულების შემდეგ, საპატრიარქოსთან არსე-

ბულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში შედგა ხალხური შემოქმედების ოსტატთა გამოფენა. გამოფენა, რომლის ორგანიზატორები იყვნენ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი და საპატრიარქოს ხალხური რენვის განყოფილება, — კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს ანგელოზის დღეს მიეძღვნა. გამოფენა საზეიმოდ გახსნა სრულიად საქართველოს-კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

გამოფენაზე ნაკეთობები წარმოადგინეს: სენაკის კულტურულმა ცენტრმა, ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიამ, ყაზბეგის ხელოვნების სახლმა, არქიმანდრიტ იოანეს (თავაძის) ხელმძღვანელობით (მათ ძირითადად თექის ნაკეთობები წარმოადგინეს), რუის-ურბნისის ეპარქიამ, თბილისის ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ლავრის ხელსაქმის სკოლამ, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიამ, ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიამ, ბევრეთის დედათა მონასტერმა, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიამ, თბილისის ქართული ტექსტილის ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობს, ხელოვნებათმცოდნე ნინო ყიფშიძე, გლდანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის სახელოსნოებმა, მღვდელ გიორგი სამსონიძის ხელმძღვანელობით, საქველმოქმედო ასოციაცია „ლაზარეს“ ფონდთან არსებულმა სახელობითმა სკოლამ, ივანე კოკიას ხელმძღვანელობით, ბოლნისის წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სასულიერო გიმნაზიამ, ნეკრესმა, რუსთავისა და მარნეულის ეპარქიამ, ბოდბის დედათა მონასტერმა, ხეზე კვეთა წარმოადგინა ზურაბ მისრაშვილმა დუშეთიდან.

გამოფენა მრავალფეროვანი და საინტერესო გამოდგა, რომელმაც მრავალი დამთვალიერებლის მონონება დაიმსახურა.

იმავე საღამოს საპატრიარქო რეზიდენციაში მოეწყო კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ანგელოზის დღისადმი მიძღვნილი მიღება და კონცერტი.

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის განცხადება

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გინვევთ მოილოცოთ წმინდა ადგილები: ტიმოთესუბანი, სადგერის წმ.გიორგი, მწვანე მონასტერი 8 აგვისტო; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 16 ლ; ბოდბე-ხირსა 9 აგვისტო; კვირა; გასვლა 8 სთ; ფასი 14 ლ;

სტეფანწმინდა (გერგეთის სამება, დარიალის ხეობა); 8-9 აგვისტო; გასვლა 7 სთ; ფასი 50 ლ;

ზედაზენი-მცხეთა (უფლის ცხოველსმყოფელი ჯვრის პატიოსან ძელთა შემოყვანება) 14 აგვისტო; პარასკევი; გასვლა 8სთ; ფასი 14 ლ;

ბეთანია-მანგლისი 15 აგვისტო; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 15 ლ;

ბოლნისი-წულრულაშენი, დმანისის ნაქალაქარი, მარაბდა (ხსენება მონამეთა ცხრათა ძმათა ხერხეულიძეთა) 16

რეგისტრაცია უფასოა. საიტი შექმნილია 2004 წელს. ამჟამად საიტზე 30 ათასზე მეტი ფოტოსურათია. არსებობს საიტის ვერსიები 8 უცხო ენაზე.

საინტერესო საიტია <http://www.ormyliacenter.gr>, იგი ელადას საპატრიარქოს კუთვნილებაა; ინტერნეტ-სივრცეში 2005 წელს გაჩნდა და 9 უცხოურ ენაზე თარგმნილი ვერსია გააჩნია. საიტზე მოთხრობილია ორმილიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის მონასტრის სამედიცინო ცენტრის შესახებ, სადაც ხორციელდება საგანმანათლებლო, სამაცნიერო და სამედიცინო მოღვაწეობა. საიტზე იხილავთ ცენტრის პროექტებს, ამოცანებს, მიზნებს, კავსირებსა და სიახლეებს.

მდიდარი სასულიერო ლიტერატურისა და წმინდანთა ცხოვრების ბიბლიოთეკა განთავსებულია საიტზე — <http://www.pigizois.net/>. საიტი 11-ენოვანია.

ბულგარურენოვან საიტებს შორის, რომელთა რიცხვიც ასს აღემატება, შეიძლება აღვნიშნოთ ისეთი საინტერესო და სასარგებლო ვებ-გვერდები როგორცაა, მაგალითად, <http://www.pravoslavieto.com/>, სადაც განთავსებულია მდიდარი ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომელ-

საც დართული აქვს ასევე ლოცვანი, სტატიები და ინტერვიუები; ამ გვერდზე შეგიძლიათ გაეცნოთ საკლესიო ახალ ამბებს. საიტი სამენოვანია — ბულგარულის გარდა, გააჩნია ინგლისური და რუსული ვერსიებიც. ინტერნეტ-სივრცეში დადებულია 2002 წლის მაისიდან. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისიონერული ორიენტაციის ელექტრონული გვერდი — 'მართლმადიდებლობა და ისლამი' — <http://www.pravoslavie-islam.ru>, სადაც მკითხველს შეუძლია გაეცნოს წმინდა მამების გამონათქვამებს ისლამზე, ისლამის ისტორიის ამსახველ მასალებს, ასევე თანამედროვე მართლმადიდებელი ავტორების წერილებსა და მე-XIX საუკუნის მკვლევარების სტატიებს ამ თემაზე. საიტზე ასევე შეგიძლიათ იხილოთ სხვა კონფესიათა მისიონერების ნაშრომებს ისლამის თემატიკაზე და ქრისტეს სჯულზე მოქცეული ყოფილი მუსლიმების მონათხრობს. საიტი სამენოვანია — გააჩნია ბულგარული, ინგლისური და რუსული ვერსიები; ინტერნეტ-სივრცეში დამატებულია 2001 წლის მარტიდან.

(ბაბრქელვა იძნება)

მარიამ ვაგუა

თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის დედათა მონასტერი

ავლაბარი თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბანია. ისტორიული წყაროების მიხედვით, მისი ძველი სახელწოდებაა „ისანი“. არქეოლოგიური მასალებიდან ჩანს, რომ ეს ადგილი ძვ. წ. I ათასწლეულიდან ყოფილა დასახლებული. XI—XII სს. „ისანში“ საქართველოს მეფეთა სასახლეები, ტაძრები, ბალები და სავანეები იყო მოწყობილი. XIII ს-ის დასასრულისთვის „ისანს“ ეწოდა „მეტეხი“, სახელწოდება „ავლაბარი“, ჩანს, მოგვიანებით, XIV ს-ში დამკვიდრდა.

ძველი ისანი ჩვენს თვალწინ მეტეხის ტაძრით იშლება, „მეტეხის გორაზე“, ისინი უძველეს ზღუდეზე აღმართული დარეჯან დედოფლის სასახლე განსაკუთრებულ მხატვრულ არქიტექტურულ და ისტორიულ ღირებულებას ანიჭებს თბილისის ამ ძველ უბანს, საიდანაც მოჩანს ქალაქის ლამაზი ხედი.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ 1776 წელს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის მეუღლეს დარეჯან დედოფალს, ავლაბრის ტერიტორიაზე ძველი ციხის ნანგრევებზე სასახლე და მეფისა და დედოფლის მფარველი წმინდანების, წმიდა ერეკლესა და წმიდა დარიას სახელზე კარის ეკლესია აუგია. დარეჯან დედოფლის თაოსნობით აშენებული ეკლესია და სასახლე, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებთან ერთად, არქიტექტურულ კომპლექსს წარმოადგენს, რომელიც ქვის გალავნით არის შემოზღუდული. დარეჯან დედოფლის სასახლე სამეფო საზაფხულო რეზიდენცია იყო, მას სხვაგვარად „თბილისის საჩინო“ ერქვა.

1795 წელს ალა-მამადა-ხანის მიერ თბილისის აოხრებისას სასახლე და ტაძარი ძლიერ დაზიანდა. ამ დიდი უბედურების შემდეგ სასახლე და ტაძარი, თავის მიმდებარე ნაგებობებითურთ, როგორც პლატონ იოსელიანი გვამცნობს, სახელდახელოდ აღადგინეს.

ერეკლე მეფის გარდაცვალების შემდეგ (1798 წელი) დარეჯან დედოფალმა სამშობლოში ყოფნის უკანასკნელი წლები აქ გაატარა. რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, დედოფალი 1803 წელს პეტერბურგში გადაასახლეს. 1807 წელს უცხოობაში მიაბარა სული უფალს სამშობლოს მონატრებით დატანჯულმა დედოფალმა. იგი ალექსანდრე ნეველის ლავრის, ხარების ტაძარში დაკრძალეს. აქვე ჰპოვეს სამუდამო განსასვენებელი ჟამთა სიავისგან სამშობლოს მოწყვეტილმა ბატონიშვილებმაც.

1811 წელს რუსეთის მთავრობამ და სინოდმა უკანონოდ გააუქმეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II (მეფე ერეკლეს ძე) რუსეთში გადაასახლეს. საქართველომ დაკარგა მეფეც და მამამთავარიც. საქართველოს ეკლესიას ეგზარქოსის მემკვიდრით რუსეთის სინოდი ხელმძღვანელობდა. ეკლესია-მონასტრებს ჩამოერთვა მამულები, ქართული ენისა და ტრადიციების არცოდნამ გადაულახავი ბარიერი წარმოქმნა ქართველ მართლმადიდებელთა და რუსი ეროვნების ეკლესიის მსახურთა შორის, მოიშალა საეკლესიო კათედრები, ქართული წირვა-ლოცვა, მრავალხმიანი ქართული საგალობლები რუსულით შეიცვალა. სულ რამდენიმე წელიწადში საქართველოს ეკლესიამ დაკარგა ის, რასაც საუკუნეების მანძილზე რუდუნებით ქმნიდა.

არქიმანდრიტ ტარასის (ალექსი-მესხიშვილი) ცნობით, მონასტრის ადგილები სადედოფლო იყო და ხაზინას ეკუთვნოდა. 1815 წელს სამოქალაქო მთავრობამ გაუცვალა სასულიერო მთავრობას ეს ტერიტორია ხარების დიდ ეკლესიაში. რომელიც საქართველოში ყოფნის დროს, 1812-16 წლებში თავის რეზიდენციად ჰქონდა მთავარეპისკოპოს დოსითეოსს (ფიცხელაური).

1819 წელს საქართველოს ეგზარქოსმა თეოფილაქტემ (რუსანოვი) წმინდა სინოდისაგან ითხოვა ლოცვა-კურთხევა თბილისში. მამათა მონასტრის გახსნასთან დაკავშირებით, როგორც ეს რუსეთის სხვა ქალაქებში იყო მიღებული. ამის გამო დარეჯან დედოფლის ყოფილ რეზიდენციაში ჩამოყალიბდა მამათა მონასტერი, რომლის პირველ წინამძღვრად დაადგინეს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი, ქვათახევისა და შიო მღვიმის მონასტრების წინამძღვარი, არქიმანდრიტი ათანასე (პეტრიაშვილი).

ეგზარქოსს თეოფილაქტეს გარდაცვალების შემდეგ, 1822 წლის 29 ოქტომბერს, საქართველოს ახალმა ეგზარქოსმა იონამ (ვასილევსკი) ტაძარი მაცხოვრის ფერისცვალების სახელზე აკურთხა და შიო-მღვიმის მონასტრიდან გადმოიყვანა ორი მღვდელ-მონაზონი: იოანე (იოსელიანი, შემდგომში გურიის ეპისკოპოსი) და გერმანე (მახარაშვილი), ერთი დიაკონი, და ორი ბერი: დიონისე (კიკნაძე, შემდგომში არქიმანდრიტი) და ბერი გრიგოლი.

1821 წლის მაისში მამა ათანასე რუსეთში გაემგზავრა. მის შემდეგ ფერისცვალების მონასტრის წინამძღვრები იყვნენ:

არქიმანდრიტი ირინეოსი (კლუჩარევი)	1821-1824
არქიმანდრიტი ევგენი	1824-1832
არქიმანდრიტი სერგი (ორლოვი)	1832-1840
არქიმანდრიტი ფლაბიანე (ოსტროუმოვი)	1840-1851
არქიმანდრიტი ისრაელი (ლუკინი)	1851-1858
არქიმანდრიტი ფოტი (შირევსკი)	1858-1860
არქიმანდრიტი ვიქტორინი (ლუბიმოვი)	1860-1868
არქიმანდრიტი იოსები (ჩეპიგოვსკი)	1869-1875
არქიმანდრიტი კესარიოსი (ჩეკურიშვილი)	1876-1902
ეპისკოპოსი დიმიტრი (აბაშიძე)	1902-1903
ეპისკოპოსი ექვთიმე (ელიაშვილი)	1903-1906
ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე)	1907-1909
არქიმანდრიტი დოსითეოსი (ბერძნიშვილი)	1909-1910
ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე)	1910-1917
არქიმანდრიტი დიმიტრი (ყარყარაშვილი)	1922-1928
მიტროპოლიტი მელქისედეკი (ფხალაძე)	1928-1934

დარიის მონასტერი სამშობლოს მძიმე ხვედრით შენუხებულ ქართველ დიდებულთა ერთ-ერთი თავშესაფარი ადგილი იყო. ამ პერიოდში აქ მოღვაწეობდა 1832 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილე მღვდელ-მონაზონი ტარასი (ალექსი-მესხიშვილი), მღვდელ-მონაზონი პორფირი (ოქროპირ ბატონიშვილის მოძღვარი, იგი 1830 წელს, შეთქმულების გამომჟღავნებამდე გარდაიცვალა ქოლერით), მღვდელ-მონაზონი ფილადელფოსი (კიკნაძე). შეთქმულთა მიერ აქ დაინერა საქართველოს მმართველობის მოკლე პროექტი.

როგორც ცნობილია, 1832 წლის შეთქმულება მარცხით დამთავრდა. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ მღვდელ-მონაზონი ტარასი (ალექსი-მესხიშვილი) და მღვდელ-მონაზონი ფილადელფოსი (კიკნაძე) — „აქტი გონიურის“ ავტორი, რომელიც საპატიმროში გარდაიცვალა (დაკრძალულია მონასტრის ეზოში). მამა ტარასი დატოვეს თბილისში, პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ. შეთქმულების სხვა მონაწილენი მთავრობამ შორეულ რუსეთში გადაასახლა, სადაც ბევრმა მათგანმა იქ სამუდამო განსახლება დაიწყო.

ფერისცვალების მამათა მონასტერში მოღვაწეობდა მრავალი გამოჩენილი ქართველი სასულიერო პირი, რომელნიც ამ უმძიმეს პერიოდში ღირსეულად ემსახურებოდნენ საქართველოს ეკლესიას. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ: ალავერდელი ეპისკოპოსი ექვთიმე (ელიაშვილი), არქიმანდრიტი კესარიოსი (ჩეკურიშვილი), არქიმანდრიტი დიონისე (კიკნაძე), ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი (გიორგაძე), დეკანოზი ისააკ ჩეკურიშვილი, არქიმანდრიტი დიმიტრი (ყარყარაშვილი), წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და სხვანი. ცნობილია, რომ აქ აღიკვეცა ბერად წმინდა ალექსანდრე (ოქროპირიძე).

მონასტერში დაცული იყო მრავალი სინამდვილე. მღვდელი მიხეილ ხელაშვილი ალგვიწერს მონასტრის ქონებას და მათ შორის ასახელებს ხის პინაკის ნაწილს, „რომელსა ზედა გარდამოცემისამებრ იესო ქრისტემ აღასრულა საიდუმლო სერობა. პინაკი ესე, როგორც იტყვიან, გარდამოტანილ არს იერუსალიმითგან კონსტანტინოპოლში, ხოლო იქითგან გარდამოტანილ არს საქართველოში“. დროთა განმავლობაში ეს სინამდევები სხვადასხვა მიზეზით მონასტრიდან გაიტანეს.

XX საუკუნის დასაწყისში მონასტრის საძმოს უმძიმეს პირობებში უხდებოდა ცხოვრება. კათოლიკოს ლეონიდესთან გაგზავნილ მოხსენებაში წინამძღვარი ისააკი ამასთან დაკავშირებით დიდ გულისტკივილს გამოთქვამს: „შუაგულ ქალაქში, ჩვენს მაცდურ ხანაში, როცა ცხოვრება იქამდე დაცემულია, რომ მხოლოდ კუჭხელა ფიქრობს ადამიანი, და ბერებს კი, რომელთაც აქ სარბიელი არა აქვთ, რომ გამოიჩინონ შნო და უნარი და არც პირობები უწყობთ ხელს, არ არის საკმაო მიწა, რომ დაამუშაონ, არა აქვთ ბაღები, რომ თავიანთი ოფლი შიგ ჩაღვარონ და თავიანთის ამაგით გაჭირვებულებსაც დაეხმარონ“... დეკანოზი ისააკი აღწერს მონასტერში შექმნილ მდგომარეობას და ითხოვს, რომ მონასტრის „ბერებს მიეცეთ სათანადო ადგილი და საშუალება თავიანთი დიდი მოვალეობის აღსრულებისა, სადაც მათთვის გამზადებულია ფრიადი სამკალი“.

ამ დროისთვის, როგორც ერთ-ერთ დოკუმენტშია აღნიშნული, მონასტერს აქვს „ქალაქ თბილისში ქვითკირით შემოზღუდული 1162 საყენი მიწა, რომელზედაც სხვადასხვა დროს აშენებულია ექვსი შენობა“. გარკვეული დროის მერე მონასტრის მიმდებარე ტერიტორიები საგრძნობლად შემცირდა. მის კუთვნილ მიწებზე დასახლდა სომხური მოსახლეობა. მონასტერს ჩამოართვეს სათიბები და მის მფლობელობაში მყოფი სხვადასხვა ნაგებობა. როგორც ჩანს, ამ მძიმე მდგომარეობამ სამონასტრო ცხოვრებაზეც იმოქმედა და მიწედა. 1920 წელს კი მონასტერი გადაკეთდა სამრევლო ეკლესიად, ხოლო აქ მოღვაწე ბერები სხვადასხვა მონასტრებში გადავიდნენ. 1922 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წმინდა ამბროსის ლოცვა-კურთხევით მონასტრული ცხოვრება აქ კვლავ აღდგა.

ძალიან მალე, საქართველოს კვლავ დაუდგა მძიმე უამი: კომუნისტური რეჟიმის პერიოდში ფერისცვალების მონასტერი დაიხურა. ეკლესიას სანყოფანად იყენებდნენ, იქ მუზეუმიც იყო, შემდგომში „ერთი მსახიობის თეატრი“ დაარსდა და 90-იან წლებამდე თეატრალური წარმოდგენები იმართებოდა.

1990 წლიდან ეკლესია საპატრიარქოს გამგებლობაში გადავიდა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

უნშიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაარსდა დედათა მონასტერი. ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები, მისი შემოგარენი ვათავისუფლდა მინაშენებისგან. სამწუხაროდ, სამონასტრო კომპლექსის პირვანდელ დაგეგმარებას ჩვენამდე არ მოუღწევია, სასახლისა და კარის ეკლესიის არსებობა იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ სასახლე მხოლოდ „საჩინოს“ ერთი სათავსით არ იყო წარმოდგენილი. ცხადია, ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა და დაინგრა.

დარეჯან დედოფლის სასახლე „მეტეხის გორაზედ“, გვიანი შუასაუკუნეებრივი ხანის, მაღალი მხატვრული ღირებულების ძეგლია. სასახლე ძველი სახით არქიტექტურული მორთულობის თვალსაზრისით ეხმიანება ამავე პერიოდის თუ უფრო ადრინდელ ქართულ სასახლეებს. იგი შიგნით ირანულ ყაიდაზე იყო მორთული.



ეკლესიას, ისევე როგორც სასახლეს, ქართული და ისლამური არქიტექტურული მორთულობის სინთეზი ახასიათებს, იგი გვიანი შუასაუკუნეების თბილისის ისტორიული ძეგლების ანალოგიურია. ფერისცვალების ტაძარი ბაზილიკური სტილის ნაგებობაა. ტაძრის ფრესკები არ არის ქართული, ისინი ნაწილობრივ დაზიანებულია, შემორჩენილია ძველი და ახალი ალთქმის ცალკეული გამოსახულებები. მხატვრული გადაწყვეტით რენესანსის პერიოდის რეალისტური სტილისკენა მიდრეკილი. საკურთხეველი ახლიდან მოიხატა ტაძრის მღვდელმსახურის, დეკანოზ იოსებ ვანიძის მიერ. ტაძარი გადახურულია კრამიტით, დასავლეთის მხრიდან მიშენებული აქვს სამრეკლო.

მონასტრის წინამძღვარია ილუმენია მარიამი (მიქელაძე). მონასტერში მოღვაწე დედათა ძირითადი საქმიანობაა: მთარგმნელობითი საქმიანობა, ხელსაქმე, სამონასტრო ბაღების მოვლა-პატრონობა. 2002 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით მონასტრის დაქვემდებარებაში მყოფი წმინდა ნინოს სახელობის მონაწილების სახლი გაიხსნა. მონასტრის ერთ-ერთ ტერასაზე აშენდა წმინდა ალექსანდრე ოქროპირიძის სახელობის ტაძარი.

1910 წლის მონაცემებით თბილისის ფერისცვალების სახელობის მამათა მონასტერში დასაფლავებული იყვნენ:

დოსითეოსი, მთავარეპისკოპოსი თელავისა და ოსეთის სასულიერო კომისიის ხელმძღვანელი, გვარად აზნაური ფიცხელაური, პლატონ იოსელიანის ცნობით გარდაიცვალა 1829 წელს (შეცდომაა, მეუფე დოსითეოსი გარდაიცვალა 1830 წლის 19 ნოემბერს). გადმოცემით, დასაფლავებულია ტაძრის სტოაში.

ნიკიფორე, გორის ეპისკოპოსი და საქართველოს ეგზარქოსის ქორეპისკოპოსი, თავადი ჯორჯაძე, დაბადებიდან 76 წლის, გარდაიცვალა 1851 წლის 6 დეკემბერს, დასაფლავებულია სამხრეთ კარებთან. საფლავის ქვა გააკეთებინა თავადმა მიხეილ გორონცოვმა.

არქიმანდრიტი ევგენი, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი და ფერისცვალების მონასტრის წინამძღვარი, გარდაიცვალა 1832 წელს.

არქიმანდრიტი კესარია, საქართველო იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი და ფერისცვალების მონასტრის წინამძღვარი, გვარად ჩეკურიშვილი, დაიბადა 1829 წლის 1 დეკემბერს, გარდაიცვალა 1901 წლის 11 დეკემბერს.

გვარდიის ოფიცერი თავადი იოსებ გრიგოლის ძე წერეთელი (+ 1833 წლის 3 ივლისი.)

1864 წლით დათარიღებული ერთი ქვის ქვეშ არიან დასაფლავებულნი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილის ზაგრატის ძის ალექსანდრეს შვილები: ეკატერინე, მარიამი და სოფიო.

ეზოში:

არქიმანდრიტი ამფილოქე, საქართველო იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი და ეგზარქოსების სახლის ეკონომოსი, აზნაური ლუგოვინოვიჩი. რუსი მწერლის ივანე ტურგენევის ნათესავი, მოძღვარი დიდი თავადისა და ყუბანის სასულიერო მისიისა, გარდაიცვალა 1905 წლის ივლისში.

არქიმანდრიტი მაკარი (მატათაშვილი), საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი და გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის წინამძღვარი, დაიბადა 1822 წელს, გარდაიცვალა 1892 წელს.

არქიმანდრიტი ევსევი, ხირსის წმინდა სტეფანეს სახელობის მონასტრის წინამძღვარი, გვარად ცაბაძე, დაიბადა 1839 წელს, გარდაიცვალა 1898 წლის 11 სექტემბერს.

არქიმანდრიტი დიონისე, ფერისცვალების მონასტრის წევრი, გვარად კიკნაძე, გარდაიცვალა 1871 წლის 12 დეკემბერს. ილუმენი პაისი, ეგზარქოსების სახლის ეკონომოსი, შობიდან 57 წლის, გარდაიცვალა 1893 წლის 14 ოქტომბერს — **დასაფლავებულია ტაძრის სამხრეთით.**

ილუმენი ვედეონი, მოსკოვის გუბრენიის აზნაური, ითვლებოდა ეგზარქოსების სახლის საძმომში, შობიდან 92 წლის, გარდაიცვალა 1901 წლის 1 იანვარს.

მღვდელ-მონაზონი სერგი, პეტრებურგის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი, დაიბადა 1810 წლის 7 სექტემბერს, გარდაიცვალა 1848 წლის 19 აპრილს.

მღვდელ-მონაზონი თეოდოსი (ლაზარეშვილი), ფერისცვალების მონასტრის ხაზინადარი, შობიდან 58 წლის, გარდაიცვალა 1892 წლის 19 ოქტომბერს.

მღვდელ-მონაზონი გაბრიელი (ბელქანია), ფერისცვალების მონასტრის ხაზინადარი, შობიდან 50 წლის, გარდაიცვალა 1908 წლის 13 აპრილს.

მღვდელ-მონაზონი ელისე, ეგზარქოსების სახლის წევრი, შობიდან 70 წლის, გარდაიცვალა 1897 წლის 17 აპრილს.

მღვდელ-მონაზონი თეოდოსი, ეგზარქოსების სახლის ეკონომოსი, შობიდან 53 წლის, გარდაიცვალა 1888 წლის 3 იანვარს — **ესენი დასაფლავებულნი არიან მონასტრის გალავანთან.**

მღვდელ-მონაზონი შიო (აზნაური წერეთელი), ფერისცვა-

ფოტომატიანე

ლების მონასტრის წევრი; ქვის გარეშე, გარდაიცვალა 1888 წელს.

მღვდელ-მონაზონი თეოდოსი (თავადი ნულუკიძე), ფერისცვალების მონასტრის წევრი, ქვის გარეშე.

მღვდელ-მონაზონი ფილოთეოსი (გრიგორიევი, თბილისის მამა დავითის ტაძრის ყოფილი წინამძღვარი მღვდელი თომა),

მღვდელ-მონაზონი ფილადელფოსი (კიკნაძე), 1832 წლის შეთქმულების აქტიური წევრი, გარდაიცვალა პატიმრობაში 1833 წლის 2 სექტემბერს.

მღვდელ-მონაზონი გაიოზი (ბერიძე), ფერისცვალების მონასტრის წევრი — ეს ხუთი მღვდელმონაზონი დასაფლავებული ტაძრის სამხრეთით და სიძველის და მოუვლულობის გამო საფლავის ქვებზე წარწერები ცუდად იკითხება, მათშესახებ იცინა მონასტრის უხუცესმა წევრებმა.

ბერ-დიაკონი იოანე (ხოშტარია), სამეგრელოს აზნაურთაგანი, შობიდან 55 წლის, გარდაიცვალა 1855 წლის 17 აპრილს — დასაფლავებულია ტაძრის მარჯვნივ.

მღვდელი დავით ნიკოლაევი, შობიდან 48 წლის, გარდაიცვალა 1855 წლის 4 აგვისტოს.

მღვდელი ალექსი ეფრემის ძე ალექსიევი, შობიდან 36 წლის, გარდაიცვალა 1853 წლის 20 სექტემბერს — ეს ორი დასაფლავებულია ტაძრის მარჯვნივ, გალავანთან.

მღვდელი მიხეილ ბერიძე, თბილისის მეტეხის ციხის ეკლესიის მღვდელი, სვეტიცხოვლის კანდელაკის შვილი, შობიდან 44 წლის, გარდაიცვალა 1864 წელს (შეცდომაა, გარდაიცვალა 1865 წლის 18 იანვარს გ. მ.) — დასაფლავებულია ტაძრის სამხრეთით ახლოს.

მორჩილი იოსებ ბახტაძე, ფერისცვალების მონასტრის სამოსის წევრი — დასაფლავებულია ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით.

ანასტასია გრიგოლის ასული ჩოლოყაშვილი, მეუღლე ზაქარია დავითის ძე ბარათაშვილისა (დაიბადა 1820 წლის 15 აგვისტოს, გარდაიცვალა 1879 წლის 25 თებერვალს) — დასაფლავებულია ტაძართან ახლოს.

თავადი გიორგი ზაქარიას ძე ბარათაშვილი (დაიბადა 1846 წლის 10 აპრილი, გარდაიცვალა 1877 წლის 26 მარტს)

თავადი იოანე ზაქარიას ძე ბარათაშვილი (დაიბადა 1841 წლის 12 აპრილი, გარდაიცვალა 1871 წლის 16 იანვარი)

თავადის ასული ბარბარე ბარათაშვილი, 74 წლის, + 1874 წლის 11 მაისი — ეს სამი პიროვნება დასაფლავებულია ტაძრის ახლოს, სამხრეთით.

პოლკოვნიკი ანტონ ნიკოლოზის ძე ილიუშენკო 58 წლის, 1883 წელი — დასაფლავებულია ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით.



პირველი სურათის აღწერა: მარცხნიდან - უცნობი ბერი, მღვდელ-მონაზონი კირილე (ცინცაძე), არქიმანდრიტი კოსტარონი (ჩაქურიშვილი), სოლომონ ჩიტაძე, უცნობი ბერი, ბერი ანტონი (მეიფარიანი). ფეხზე დგანან მონასტრის მორჩილები.

„დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი“ მიხეილ მაქსიმეს ძე ილიუშენკო, 52 წლის, + 1847 წელი

თავადი ოთარ ქობულაშვილი, კავალერი და „კოლეჯის სოვეტნიკი“, 57 წლის, + 1835 წლის 3 თებერვალი

თავადის, მაიორ მამუკა ჯამბაკურ-ორბელიანის ასული ნინო, 10 წლის, + 1837 წლის 10 იანვარი

თავადის, მაიორ მამუკა ჯამბაკურ-ორბელიანის ძე მიხეილი, 4 წლის, + 1837 წლის 16 იანვარი

თავადი გიორგი იოანეს ძე ჯამბაკურ-ორბელიანი, 6 წლის, + 1856 წლის 18 ნოემბერი

გორის ეპისკოპოსის გერონტი პაპიტაშვილის ძე — ევსტათი, 21 წლის, + 1859 წლის 17 ნოემბერი — ეს ექვსი დასაფლავებულია ტაძრის აღმოსავლეთით შორიახლოს.

ერთი ქვის ქვეშ არიან დასაფლავებულნი — მამა კ. მ. ა. გ. სემენოვი და ასული „ნადვორნი სოვეტნიკისა“ მ. გ. სნასეკი-ავტონომოვისა. პირველი გარდაიცვალა 1824 წლის 21 მაისს, მეორე 1847 წლის 26 აპრილს, 32 წლის. მათ საფლავზე ეხლაც იკითხება ლექსი.

ხორეშან გიორგის ასული სარაჯიშვილი-ფორაქიშვილისა 90 წლის, + 1861 წლის 7 მაისი.

ბეჟან ფორაქიშვილი (ხორეშანის მეუღლე) დავით ქიტესას ძე ბიბილური + 1865 წლის 28 თებერვალი.

ქიტესა აბრაამის ძე ბიბილური + 1864 წლის 1 დეკემბერი.

— ბოლო ხუთი საფლავი მდებარეობს ტაძრის მარჯვნივ.

მოამზადა მონაზონმა ანუსია ქობალიამ

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინახოთ ვინაა ვინაა ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩუროშვილი

გთხოვთ, გაზუთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამოცხადებას და დაელოდეთ შემდეგ ანგარიშს. სახალხო ბანკი, კრწანთის მე-2 ფილიალი, ანგარიში № 360851555 მფ. 220 101 406 მიმღება: ნ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია „საპატრიარქოს უწყებანი“ ვებ-გვერდი: <http://www.patriarchate.ge> ელ.ფოსტა: sap.ats@post.ge მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ ვაგუა, ნინო ვაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე ფინანსური მენეჯერი: ელასი ჯიბლაძე, გარეკვლევა: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

**წმიდა ტბელი აბუსერიძე (XIII)
30 აგვისტო**

წმიდა ტბელი აბუსერიძე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIII ს-ში და თავისი წარმომავლობის შესაბამისად შესანიშნავი განათლება მიიღო. მან როგორც ჰიმნოგრაფმა, პროზაიკოსმა, ასტრონომმა, საეკლესიო მუსიკათმცოდნემ და საერთოდ ღრმა მეცნიერული აზროვნებით გარჩეულმა მწიგნობარმა წარუშლელი კვალი დატოვა ქართული კულტურის ისტორიაში.



როგორც წმიდანის ნაწერებიდან ჩანს, მან ზემო აჭარაში სოფელ ხიხანში ააშენა წმიდა გიორგის ეკლესია. ვარაუდობენ, რომ წმიდა ტბელი იქ მოღვაწეობდა, როგორც სასულიერო პირი და იქ შექმნა მისი თხზულებების უმეტესი ნაწილი. წმიდა ტბელს ჰყოლია შვიდი შვილი და როგორც თავის საგვარეულო მატრიანეში წერს, თუ კიდევ გაუჩნდებოდა შვილი მათი სახელებიც უნდა შეეტანათ მატრიანეში.

წმიდა ტბელს ინტენსიური კულტურული ურთიერთობა ჰქონდა გელათის აკადემიასთან, ვარაუდობენ, რომ მან იქ მიიღო ისეთი მრავალმხრივი განათლება, რომელიც მას საშუალებას აძლევდა ერთმანეთისაგან განსხვავებულ ჟანრებში ეთქვა თავისი ბრძნული და წმიდა სიტყვა.

წმიდა ტბელის ჰიმნოგრაფიულ კრებულში „გალო-

ბანი წმიდისა იოანე ნათლისმცემლისანი, წმიდისა იოანე მახარებლისა და წმიდისა იოანე ოქროპირისანი“ - კარგად ჩანს ავტორის, როგორც უდიდესი ღვთისმეტყველი მწერლისა და წმიდანის სახე. გალობის ღრმა საღვთისმეტყველო აზრები, მეტაფორები, მოვლენების სიმბოლური და მისტიკური გააზრება „ცნობა ხილულთა“ და „უხილავთა მეცნიერჰყოფა“ წმიდა ტბელს წარმოაჩენს, როგორც მსოფლიო დონის მეცნიერსა და ღვთისმეტყველს.

წმიდა ტბელი დაინტერესებული ყოფილა წელთაღრიცხვის პრობლემებით და შეუდგენია „ქრონიკონი სრული საუნწყებელითა და განგებითა“, რომელშიც ასტრონომიისა და ისტორიის ცოდნასთან ერთად გადმოცემულია კალენდრის კოსმიური გააზრება და ქრისტიანული ესქატოლოგია.

ცნობილია წმიდა ტბელ აბუსერიძის ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულება „ახალნი სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისანი“, რომელიც მნიშვნელოვანია მისი ისტორიული ღირებულებითაც, იგი გვანვდის ცნობებს ფეოდალური ეპოქის საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი საგვარეულოს აბუსერიძეთა მოღვაწეობის და მათი კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობის შესახებ.

გარდა ლიტერატურული და მეცნიერული მოღვაწეობისა, წმიდა ტბელი ცნობილია, როგორც წმიდა და ღმერთშემოსილი მამა, ხოლო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიერ წმიდა ტბელის კანონიზაციით სამუდამოდ დაკანონდა მისი, როგორც წმიდა მამის პატივისცემა.

ქრონიკა. ინფორმაცია.

ეკეპან დაკარგულს

ოჯახი ეძებს დაკარგულ 48 წლის ნინო-ვიოლეტა გულბანს, რომელიც, ზოგიერთი მონაცემებით, შესაძლოა რომელიმე მონასტერში იმყოფებოდეს.

გთხოვთ, დააკვირდეთ ფოტოს და თუკი რამე ინფორმაცია გაგაჩნიათ აღნიშნულ პიროვნებაზე შეატყობინოთ ოჯახს.

ტელ.: 65-47-83; 893-36-63-12.

ნინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისთვის.



ხელდასხმა

9 აგვისტოს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძემ) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის წმინდა გიორგის სახელობის (ძმათა სასაფლაოზე) ეკლესიის დიაკვნს გიორგი მელექსიშვილს.

მღვდელი გიორგი თბილისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

9 აგვისტოს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძემ) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო

აკადემიის III კურსის სტუდენტი იაკობ მახნიაშვილი.

დიაკონი იაკობი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში იმსახურებს.

დაჯილდოება

9 აგვისტოს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ბევრეთის წმინდა თეკლას სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვრად დაადგინა და ოქროს ჯვრითა და ილუმინიას ნოდებით დააჯილდოვა — მონაზონი თეკლა (კუჭუხიძე).

9 აგვისტოს წმინდა პანტელეიმონის სახელობის ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმინდა პანტელეიმონ მკურნალის დღესასწაულთან დაკავშირებით დააჯილდოვა შემდეგი სასულიერო პირები: მიტრიო — თბილისის წმინდა პანტელეიმონ მკურნა-



ლის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი ჩაჩავა; გამწვევებული ჯვრით — ამავე ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი დავით ხიმშიაშვილი და არგვეთისა და უბისის ეპარქიის მღვდელმსახური, დეკანოზი ფილიპე აბაშიძე.

სამძიმარი

საპატრიარქოს ჯანდაცვის დეპარტამენტი მწუხარებით იუწყება, რომ ექიმებს გელა და გია მუხაშაერიებს გარდაცვალებათ მუდღე და დედა - ნელი სხირტლაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გთხოვთ, ღოცებში მოიხსენიოთ ახლად შესვენებული ნელის სული.

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის განცხადება

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გინვეთ მოილოცოთ წმინდა ადგილები:

გურჯაანის ყოვლადწმინდა-ნეკრესი-გრემი — 22 აგვისტო; შაბათი; გასვლა 8 საათზე; ფასი 19 ლ;

ბეთანია-მანგლისი 22 აგვისტო; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 15 ლ

გარეჯი 23 აგვისტო; კვირა; გასვლა 8სთ; ფასი 14 ლ; უბისა-ტაბაკინი 23 აგვისტო; კვირა; გასვლა 8 სთ; ფასი 18 ლ;

ვარძია (ვარძია, ზარზმა, ქულევი, საფარა;) 27-28 აგვისტო; გასვლა ხუთშაბათს 7 სთ; ფასი 52 ლ;

სტეფანწმინდა (გერგეთის სამება) 28 აგვისტო; პარასკევი; გასვლა 7 სთ; ფასი 17 ლ;

მარტყოფი (ხსენება ანტონ მარტოფელისა) 29 მარტი; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 13 ლ;

ალავერდი-იყალთო შუაშათა 30 აგვისტო; კვირა; გასვლა 8 საათზე; ფასი 19 ლ;

ტაო-კლარჯეთი-კაბადოკია 29 აგვისტო — 5 სექტემბერი; საბუთების მიღება 27 აგვისტომდე; ფასი 500-520\$ გასვლა 7:00 სთ.

სვანეთი (მესტია, კალა, ლენჯერი, ლატალი, იფარი, უშგუ-

ლი, ჩათინის მთის მასივი, ბეჩო) 20 — 24 აგვისტო; საბუთების მიღება 10 აგვისტომდე; ფასი 300 ლ; გასვლა 19 აგვისტოს 23 სთ;

მომლოცველებს მოემსახურება გიდი.

ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე: "წმიდა კოთხე" ბახტრიონის ქ. 8, ჩიტაიას ქ. 39 ; ლესელიძის ქ.30;

ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძართან არსებული მალაზია, რუსთაველის 9;

დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მალაზია, ნერეთლის 44;

ავტობუსები გადის სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან.

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ: 92 39 78 (11-დან 17 სთ-მდე); ტელ/ფაქ: 92 39 79

ელ-ფოსტა: pilgrim_church@yahoo.com

(899)33 33 52; (879) 01 08 64;

თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებული დეკორატიული მებაღეობის და ეკოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს სტუდენტების მიღებას 2009-2010 სასწავლო წლისათვის

ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები 30 წლამდე. სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია; სწავლა უფასოა.

მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

1. ბოტანიკა (ზეპირი); 2. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა); 3. უცხო ენა (წერა); 4. ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები (ზეპირი).

საბუთები მიიღება 2009 წ. 27 აგვისტომდე. გამოცდები ჩატარდება 31 აგვისტოდან-10 სექტემბრამდე.

დანვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას.

მისამართი: ქ. თბილისი, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი ელიას მთაზე. ტელ. 74 55 02; 877 44 00 78

მიძინება — უბრალოდ „ძილი“

ტრადიციულად, ქრისტიანი წმინდანების ხსენების დღე მათი აღსრულების დღეს წესდება. მათ შორის განსაკუთრებულია ქალწულ მარიამის ამქვეყნიდან გასვლა, რომელიც ქრისტიანში ორგვარ სულიერ განცდას იწვევს: ამ დღესასწაულზე ადამიანური მწუხარება შერწყმულია იმ სიხარულის მომგვრელ რწმენასთან, რომ სიკვდილი არ არის უბრალოდ გაქრობა ან არმყოფობა. ამასვე მოწმობს ძველი ქართული სიტყვა — „მიძინება“ — რაც ღვთისმშობლის აღსრულებას უკავშირდება და, ჩვეულებრივ, „ძილს“ ნიშნავს, რასაც გაღვიძება და დიდება მოჰყვება (კათოლიკური ეკლესია ღვთისმშობლის მიძინებას დღესასწაულს უწოდებს „ასსუმპციო“-ს, რაც ღვთისმშობლის ზეციურ დიდებაში შესვლას ნიშნავს).

ქალწულ მარიამის მიწიერი ცხოვრების შესახებ ძალიან ცოტაა ცნობილი: კანონიკური სახარება მის შესახებ საუბრობს მხოლოდ თავის ძესთან - მაცხოვართან კავშირში. ცნობილია, რომ ჯვარცმისას უფალმა თავის საყვარელ მოწაფეს იოანეს სთხოვა, ეზრუნა ღვთისმშობელზე. დაბოლოს, „მოციქულთა საქმენი“ აცხადებს, რომ ღვთისმშობელი მოციქულ-

თა შორის ებრაელთა „ერგასის“ დღესასწაულზე იმყოფებოდა (ქრისტიანობაში ამ დღეს წმინდა სამების დღესასწაულია დადგენილი).

ღვთისმშობლის უკანასკნელი დღეების შესახებ მოთხრობილია მხოლოდ აპოკრიფულ წყაროებში, რომელიც ბიბლიაში არ შედის და დოგმატური ავტორიტეტი არ გააჩნია.

ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, ღვთისმშობელი მოციქულებთან ერთად მონანილებოდა „მიწების“ განანილებაში, სადაც ისინი ქრისტიანობის საქადაგებლად უნდა გამგზავრებულიყვნენ. მას წილად ხვდა ივერია და რადგან უკვე მოახლოებული იყო მისი აღსასრული, საქართველოში ანდრია პირველწოდებული წარმოიგზავნა (მაგრამ ჩვენს ქვეყანას დედა ღვთისა საიდუმლოდ დაუკავშირდა ათონის ივერიის ღვთისმშობლის ხატის მეშვეობით). შემდეგ ანგელოზმა მას ათონზე ნაბრძანებისკენ მიუთითა. ღვთისმშობლის ფეხის დადგმის შემდეგ ეს წარმართული კერპებით სავსე ადგილი — წმინდა მთა გახდა, შეიქმნა მართლმადიდებლური ბერმონაზვნობის ცენტრი და ღვთისმშობლის თაყვანისცემის განსაკუთრე-

თველოს ყველა ეკლესიაში შესრულდა ამ ომში დაღუპულ მამულიშვილთა სულის მოსახსენებელი პანაშვიდი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ პანაშვიდი სამების საპატრიარქო ტაძარში აღავლენა.

ცხადდება მიღება

ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმში საპატრიარქოსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაშია.

სკოლა-ლიცეუმში სასწავლო წელი იწყება ინდიქტიონის (საეკლესიო ახალი წელი) დაწყებისას — 14 სექტემბერს (ახ. სტ.) და მთავრდება 14 ივნისს.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარდა, ლიცეანტები გაძლიერებულად ეუფლებიან უცხო ენებს (ინგლისური, რუსული, გერმანული), რელიგიის ისტორიას, კატეხიზმოს, გალობას, ხატვას, ოქრომკედს, ჭადრაკს, ქართულ ცეკვას. პროგრამა მოიცავს 12-წლიან ციკლს. სწავლების მესამე საფეხურიდან გათვალისწინებულია სპეციალიზაცია ჰუმანიტარული, იურიდიულ-ეკონომიკური მიმართულებით.

სკოლა-ლიცეუმთან მუშაობს მუსიკალური და სამხატვრო სტუდიები, ლიცეანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ სხვადასხვა საგნობრივ წრეებში.

ლიცეუმის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ლიცეანტების მრავალმხრივ განვითარებას, ნიჭის გამოვლენას მეცნიერებაში, სპორტში, ხელოვნებაში, ბეჭდავს საუკეთესო ნაშრომებს, აწყობს გამოფენებს, კონცერტებს, ლიცეანტები წარმატებებს აღწევენ რესპუბლიკურ კონფერენციებსა და ოლიმპიადებში. ცხადდება მიღება მოსამზადებელ განყოფილებაზე ბალის უფროსი ასაკის ბავშვებისათვის.

ტელ.: 36-12-58; 92-12-52; 64-75-91; 51-40-37;
899-42-30-11; 899-10-34-53; 899 63 22 02;

ქართველ მგალობელთა წარმატება საგუნდო მუსიკის მსოფლიო ფესტივალზე

12-29 ივლისს წმინდა დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძრის მგალობელთა გუნდი — ბადრი ჯიმშელიშვილის, პაპუნა ღვაბერიძის, ვარლამ ქუტიძისა და მალხაზ მახარაშვილის შემადგენლობით, მინვეული იყო აშშ-ში, მონტანას შტატში, საგუნდო მუსიკის მსოფლიო ფესტივალზე. გუნდი წარმატებით გამოვიდა ფესტივალზე და შემდეგ კონცერტები ჩაატარა ნიუ-იორკში.

ქართველმა მგალობლებმა დაათვალიერეს ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ-მუზეუმი, მოილოცეს იქ დაცული ქართული სინმინდეები, კერძოდ, ჯუმათის მონასტრიდან გატანილი მინანქრის 9 მედალიონი, რომელიც ოდესღაც ჯუმათის წმინდა გაბრიელ მთავარანგელოზის ცნობილ ხატს ამკობდა. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ XIX საუკუნეში ჯუმათის მონასტრის გაძარცვის შემდეგ, მინანქრის მედალიონები მოხვდა ზენიგოროდსკის კერძო კოლექციაში, რომლისგანაც ისინი კოლექციონერმა მორგანმა შეიძინა და 1917 წელს, თავისი გარდაცვლილი ვაჟის სახელზე, ნიუ-იორკის მიტროპოლიტენ-მუზეუმს შესწირა.

ეს ერთეული შემთხვევა არ გახლავთ, ქართული სინმინდეები, სამწუხაროდ, მსოფლიოს მრავალ საცავსა თუ მუზეუმშია გაბნეული.

ტაძრის კურთხევა

29 აგვისტოს ბოლნელმა ეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე) თბილისში, ნაძალადევის უბანში მდებარე წმინდა აბუსერ ტბელის სახელობის ეკლესია აკურთხა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ტაძრის წინამძღვრად დეკანოზი მირიან სამხარაძე დაინიშნა.

ხელდასხმა

16 აგვისტოს წინონმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და წინონმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული აკაკი კუპრაშვილი.

დიაკონი აკაკი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

28 აგვისტოს რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში ცურტავის ეპისკოპოსმა იოანემ (გამრეკელი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის IV კურსის სტუდენტი გიორგი გელუტაშვილი.

დიაკონი გიორგი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.



28 აგვისტოს საჩხერის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში ცხუმ-აფხაზეთის, ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული ლევან კაციტაძე.

დიაკონი ლევანი სავანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

დაჯილდოება

28 აგვისტოს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით დააჯილდოვა შემდეგი სასულიერო პირები: **მიტრით** — სანზონის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი ბესარიონ ბულაშვილი. **არქიმანდრიტის ნოდებით** — ათენის უნივერსიტეტთან არსებული საღვთისმეტყველო სასწავლებლის სტუდენტი, ილუმენი აბიბოსი (ტარიადისი);

ბორჯომის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, ილუმენი ანდრია (ტარიადისი). **ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით** — სიონის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახურნი: მღვდელი ტიმოთე ნიკლაური, მღვდელი თავმას ესიტაშვილი და მღვდელი იოანე ბარკალაია.

30 აგვისტოს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა შემდეგი სასულიერო პირები: **ოქროს ჯვრით და დეკანოზის წოდებით** — რესპუბლიკურ საავადმყოფოში მდებარე წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი დავით შენგელია; ყოვლადწმიდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახური, მღვდელი გივი გივიშვილი; სიონის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახურნი: მღვდელი დავით ლასურაშვილი და მღვდელი შალვა კეკელია.

ბერად აღკვეცა

18 აგვისტოს მახათის მთის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის მამათა მონასტერში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ამავე მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა საბამ (კუჭავა) ბერად აღკვეცა: კრწანისის წმინდა საბა განწმედილის სახელობის მამათა მონასტრის მორჩილი რევაზ ნოზაძე — სახელად ენოდა ანტონი, თბილისის ზღვის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „მსწრაფლშემსმენელი“ ხატის სახელობის მამათა მონასტრის მორჩილი ედიშერ ნულაძე — სახელად ენოდა ონოფრე და მახათის მთის მამათა მონასტრის მორჩილი მამუკა მაისურაძე — სახელად ენოდა იონა.

27 აგვისტოს ზედაზენის წმინდა იოანე ზედაზნელის სახელობის მამათა მონასტერში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ამავე მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა გაბრიელმა (ოტიაშვილი) ბერად აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილები: არკადი შეროზია — სახელად უნოდა ალექსი, ფარნაოზ სვიმონიშვილი — სახელად უნოდა ნაზარი და ალექსანდრე დანელია — სახელად უნოდა იოანე.

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი

ყინწისი-სამწვერისი 5 სექტემბერი; შაბათი; გასვლა 8 საათზე; ფასი 15 ლ; გარეჯი 6 სექტემბერი; კვირა; გასვლა 8სთ; ფასი 14 ლ; თავკვეთულა 10 სექტემბერი; ხუთშაბათი; გასვლა 22 სთ; ფასი 22 ლ ; სამთავისი, ატენის სიონი, უფლისციხე 12 სექტემბერი; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 15 ლ; რუისი-ურბნისი-ბრეთი 13 სექტემბერი; კვირა; გასვლა 8 სთ; ფასი 15 ლ; ტაო-კლარჯეთი 25-27 სექტემბერი; საბუთების მიღება 23 სექტემბერამდე; ფასი 150 \$ გასვლა 7:00 სთ. მომლოცველებს მოემსახურება გიდი. ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე: **“წმიდა კუთხე”** ბახტრიონის ქ. 8; ჩიტაიას ქ. 39 ; ლესელიძის ქ.30; ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძართან არსებული მაღაზია, რუსთაველის 9; დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მაღაზია, წერეთლის 44 ავტობუსები გადის სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან; ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ: 92 39 78 (11-დან 17 სთ-მდე); ტელ/ფაქ: 92 39 79 ელ.ფოსტა: pilgrim_church@yahoo.com (899)33 33 52; (879) 01 08 64;

შეცდომის გასწორება

სამწუხაროდ, ჩვენი ვაზეთის წინა, 25 ნომერში შეცდომით ხახულის ღვთისმშობლის (ახალი) ხატი წარმოდგენილი იყო როგორც აწყურის ღვთისმშობლის ხატი, ამის გამო მკითხველს ბოდიშს ვუხდით.

უსწოთის ქრონიკა

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ახალი თავმჯდომარე ახალგაზრდა

ნორვეგიელი ლუთერანი ოლავე ფიუკსე ტვეიტი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ახალ თავმჯდომარედ აირჩიეს. კენჭისყრა უენევაში, საბჭოს ცენტრალური კომიტეტის დახურულ სხდომაზე გაიმართა. თავმჯდომარის პოსტზე მეორე პრეტენდენტი იყო კორეის ღვთისმეტყველების უნივერსიტეტისა და სემინარიის პროფესორი, საბჭოს წამდელი ნევი სონ-ვონ-პარკი.



„დარწმუნებული ვარ, რომ უფალმა მომიწოდა ამ თანამდებობაზე. ვგრძნობ, რომ ჩვენ ერთად ბევრის გაკეთება მოგვინევს“, — ბრძანა არჩევის შემდეგ ო. ტვეიტმა და დაამატა, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მუშაობაში უმთავრესია სულიერი ერთობის შენარჩუნება. თავის მხრივ, ის ყველაფერს იღონებს, რომ ეკლესიები ერთად ემსახურებოდნენ მშვიდობას.

ო. ტვეიტი 2002 წლიდან ეკლესიათა საბჭოს ნორვეგიის გენერალური მდივანი იყო საერთაშორისო და ქრისტიანთაშორის ურთიერთობებში.

ამერიკელი ახალგაზრდების დიდი ნაწილი კათოლიკური ტრადიციების ერთგული

ამერიკის კათოლიკე მოძღვრებსა და ბერმონაზვნებში ჩატარებული უკანასკნელი გამოკვლევებით, დღეს ხანშიშესულ და თეთრკანიან კათოლიკეებს ახალი თაობა ცვლის, რომელთა წამომადგენლებიც სხვადასხვა რასას, ეროვნებასა და კულტურას მიეკუთვნებიან. ისინი გაცილებით ერთგულნი არიან ლოცვისა და ძველი ტრადიციებისა, — წერს „ნიუ-იორკ თაიმსი“.

აშშ-ს მცხოვრებ კათოლიკე ბერმონაზონთა 91% და მოძღვართა 75% უკვე 60 წელს აღწევს, დანარჩენ ღვთისმსახურთა უმრავლესობა 50 წლისაც არაა. ბევრი მათგანი ეკლესიური 1960-იან წლებში, ვატიკანის II კრების შემდეგ გახდა. იმ დროს კათოლიკური ეკლესიისა და მრავალი კათოლიკური ორდენის მოდერნიზება

ფოტომატიკა

„მენღრელთა, აფხაზთა, სვანთა, თაკვერთა და ჭყონდიდის“ მიტროპოლიტი დავითი (წარეთელი) 1781-1853

მიტროპოლიტი დავითი — ერისკაცობაში დავით ზურაბის ძე წერეთელი 1781 წელს საჩხერეში, თავადის ოჯახში დაიბადა. მამამისი, გენერალ-მაიორი ზურაბ წერეთელი იმერეთის მეფის სახლთუხუცესი იყო. დედა, თამარ დადიანი, სამეგრელოს მთავრის ასული გახლდათ. XII-XIII საუკუნეში გადაწერილ ოთხთავზე არის ასეთი წარწერა — „ჩყვ-სა წელსა, თებერვლის კვ-სა, დღესა პარასკევსა ალიონზე მიიცვალა დედაჩემი, თამარ დადიანის ასული, დამიშრტა ნათელი სიცოცხლისა ჩემისა. მოვაკლდი გარდამეტებულსა დედაშვილურსა სიყვარულსა მისსა, ვეღარ ვიხილავ კეკლუცსა და შვენიერსა პირსა მისსა, აღარ მიაღერებებს ჩვეულებისაებრ დედაი ჩემი, დავვალ ხელითა ჩემითა ჯრუჭს მონასტერსა შინა მარჯვენით მხარეს მამისა ჩემისა, მეუღლისა თვისისა ზურაბ წერეთლისა თანა და ძისა მისისა ნიკოლოსის თანა და წარვიდენ ესენი განსასვენებელსა კეთილსა და სანეტაროსა, მაგრამ მე დავრჩი ობლათ და მოვაკლდი შობილურსა სიყვარულსა მათსა, თვით ძუძუთი დედისა ჩემისათა ვარ გაზდილი მათი მოცილებული საწყალი დავით მიტროპოლიტი.“

ოჯახში პირველდანიყებითი განათლების მიღების შემდეგ, 13 წლის ასაკში, დავითი აღსაზრდელად მიაბარეს გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტერში, გენათელ მიტროპოლიტ ექვთიმეს (შერვაშიძე). 1796 წლის 22 აპრილს (მეორე ვერსიით, 22 თებერვალს) მიტროპოლიტმა ექვთიმემ იგი ბერად აღკვეცა და სახელად ისევ დავითი უწოდა. 1798 წლის 23 აპრილს დიაკვნად აკურთხა და ამავე წლის 8 ოქტომბერს არქიდიაკონის ნოდება მიანიჭა. 1803 წლის 29 მარტს მღვდლად დაასხა ხელი. 1803 წლის 23 დეკემბერს გარდაიცვალა ჯრუჭის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი სვიმონი (ქავთარაძე) და მის ადგილზე ქუთათელმა მიტროპოლიტმა დოსითეოსმა (წერეთელი) მამა დავითი დანიშნა, რომელსაც 1804 წლის 4 იანვარს (მეორე ვერსიით 14 სექტემბერს), არქიმანდრიტის ნოდება მიენიჭა. 1805 წლის 24 აპრილს იმერეთის მეფის სოლომონ II-ის რეკომენდაციითა და თხოვნით, მიტროპოლიტებმა — ქუთათელმა დოსითეოსმა (წერეთელი), გენათელმა ექვთიმემ (შერვაშიძე) და მთავარეპისკოპოსებმა — ნიკონშიდელმა სოფრონმა (წულუკიძე) და ხონელმა ანტონმა (ჩიჯავაძე) ეპისკოპოსად დაასხეს ხელი, მიტროპოლიტის ნოდება მიენიჭა და ხონონშიდის ეპარქიის მმართველად დაინიშნა. ხონონშიდის ეპარქია მდებარეობდა აჭარაში და რადგანაც 1780 წლიდან ხონონშიდა თურქებს ეჭირათ, ამიტომ იგი ჯრუჭის მონასტრის წინამძღვრად დატოვეს და ნომინალურად იწოდებოდა ამ ეპარქიის მმართველად.

მიტროპოლიტმა დავითმა ბევრი იღვანა ჯრუჭის მონასტრის საკეთილდღეოდ და გასამშვენებლად. მთავარი ტაძრის ერთ-ერთ კედელზე არსებული წარწერა ამის შესანიშნავი დასტური იყო: „მონასტერი ქალაქ ვყავ“. მის სიცოცხლეში აურაცხელი სიმდიდრე და ქონება გააჩნდა მონასტერს, 500-ზე მეტი გლეხი, ყმა და მამული, ნისქვილები, რომლებიც, სამწუხაროდ, შემდეგ წლებში განადგურდა და დაიკარგა.

მეუფე დავითის ლოცვა-კურთხევით, დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის I ნახევარში გადაინერა და განადგურებას გადაურჩა მრავალი საეკლესიო და ისტორიული ნიგნი, რომელთა უმეტესობა მან ჯრუჭის მონასტერს შესწირა. 1919 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა მონასტერში არსებული ნიგნები და ძვირფასი ხელნაწერები თბილისში გადმოიტანა და დღეს ისინი საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არის დაცული. ნიგნებზე არსებობს მინაწერები, რომლებიდანაც დასტურდება მეუფე დავითის ღვანლი ამ საქმეში. აი, ერთ-ერთი ასეთი მინაწერი: რომანოზ მესვეტის წერილი მიტროპოლიტ დავითს — „თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, იმერთა სახლთუხუცესის ღენერალ და კავალერისა ზურაბ წერეთლისა ძეო და სრულიად მენღრელიისა სამთავროისა მწყემსმთავარო, მენღრელთა, აფხაზთა, სვანთა და თაკვერთა, ჭყონდიდის მიტროპოლიტო დავით, მოწყალეო ხელმწიფევ! ვინათგან უუმეტესად ყოველთა შორის პატიოსანთა ნივთთა მოპოვნებად სურს სამღთოსა მას სულსა, თქვენსა სამღთოისა წერილისა, ამისთვისცა მეცა ვიგულსმოდგინე სხვათა ნივთთა გარეშე მყოფმან და

„ნიგნი ცოდნას აძლევს კაცს მხოლოდ, ჭკუა კი თან შობილი საუნჯეა და თუ ადამიანს ეს სიკეთე არ ახლავს, ცოდნა ამაოდ ჩაუვლის!“
მიტროპოლიტი დავითი

უპოვარმან, ვითარცა მოციქული ბრძანებს: ოქრო და ვერცხლი არა მაქუს და შემდგომი მისი. და ან შემოგნირავთ, წმიდაო მეუფეო, მცირესა ამას ნაშრომსა ხელისა ჩემისასა სამღთოსა მას და დიდებულსა ნიგნსა ცხოვრებასა წმიდისა კლემენტოს რომთა პაპისა, თუ ვითარ სახედ დაემონაფა წმიდასა მოციქულსა მაცხოვრისასა პეტრეს, და წამებაცა მისი, რომელიცა წერილ არს ამას შინა და შეინირე, მეუფეო, მსგავსად მეუფისა ზეცისა შეწირულ იქმნა ქვრივისა მის მწულილი უფროს მდიდართასა. წმიდისა მეუფებისა თქვენისა უქუეშევრდომილესად თაყუანისმცემელი მონა თქუენი გლახაკი მონაზონი, მარტვირიისა ეკლესიისა სვეტსა შინა მარტომყოფი ცოდვილი რომანოსს. წელთა 1839-სა, აპრილს, 29-სა“. (ანდერძი) „აღინერა ხელითა ცოდვილისა ბერისა მარტვირიის მონასტრის სვეტსა შინა მარტომყოფისა რომანოზისათა, რისათვის ვითხოვ ყოველთა მიერ შენდობით ხსენებასა სულისა ჩემისასა. წელთა ქრისტესით ათას რვაას ოცდათორმეტსა, აპ-

რილსა კვ-სა“.

1829 წლის 23 ივნისს მეუფე დავითი სამეგრელოს ეპისკოპოსად დაინიშნა. 1834 წლის 9 ივნისს ავადმყოფობის გამო გადადგა ეპარქიის მართვისაგან და კვლავ ჯრუჭის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. იმერეთის ეპარქიის მმართველის, მთავარეპისკოპოს სოფრონის (წულუკიძე) გარდაცვალების შემდეგ (გარდაიცვალა 1842 წლის 2 იანვარს), 1843 წლის 7 აგვისტოს იმერელი თავადებისა და სასულიერო პირების თხოვნით, იმერეთის ეპარქიის კათედრა დაიკავა, რომელსაც სიკვდილამდე მართავდა. მიტროპოლიტი დავითი 1853 წლის 14 თებერვალს გარდაიცვალა. იგი დიდი პატივით დაკრძალეს მის მიერ აღდგენილ ჯრუჭის მონასტერში.

შემორჩენილია ფრიად საინტერესო მოგონება მეუფე დავითის შესახებ, რომელიც 1915 წელს გაზეთ „სამშობლოში“ დაიბეჭდა ასეთი სათაურით: „დავით მიტროპოლიტი და დიდ წვერიანი“:

„დავით მიტროპოლიტს გონიერისა და მიმხდურ მსვდელმთავრის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი იმერეთის ეპარქიაში.

ძლიერ იშვიათად შესცდებოდა თავის საქმეში: რაც უნდა ტიპიკონის მცოდნე და მნივობარი სამღვდელოდ გამზადებული პირი ყოფილიყო, არასოდეს არ აკურთხებდა, თუ არ დარწმუნდებოდა, რომ სამღვდელო კანდიდატი ჭკუით სალი და ხასიათით მტკიცე კაცი არ იყო.

„წიგნი ცოდნას აძლევს კაცს მხოლოდ, ჭკუა კი თან შობილი საუნჯეაო და, თუ ადამიანს ეს სიკეთე არ ახლავს, ცოდნა ამაოდ ჩაუვლისო“, — ბრძანებდა ხოლმე ხშირად მისი მეუფება.

მიტროპოლიტის სახლის კაც — წერეთლებს — ერთი აზატი გლეხის ოჯახი მეტად მიჩნეული ჰყავდათ. სულითა და გულით უყვარდათ და ცდილობდნენ, რომ ერთი ამ ოჯახის შვილი მიტროპოლიტს მღვდლად ეკურთხებინა.

ეს აზატი გლეხი გვარად გუდაძე იყო.

ამ ოჯახში იზრდებოდა ერთი შესახედავი და მოყვანილი ახალგაზრდა.

წერეთლები დარწმუნებული იყვნენ, მათი მოგვარე და ნათესავი მიტროპოლიტი ასე უბრალო თხოვნაზე უარს არ ეტყობათ.

ახალგაზრდა გუდაძე ოცდაათი წლის შეიქნა, ტიპიკონი და საღვთო წერილი ჯრუჭის მონასტერში შეისწავლა და ამ ორ საქმეში ბადალიც არა ჰყავდა.

ახლა შეიქნა შუამდგომლობა.

მიდის წერეთელი წერეთელზე სავედრებლად, მაგრამ მღვდელმთავარი ყველას უარით ისტუმრებს და უარის მიზეზს კი არავის ეუბნება.

გუდაძის ბედით დაინტერესებულმა წერეთლებმა სხვა ხერხს მიმართეს.

მღვდელმთავრის მზარეული დაასაქმეს. გაგვიგე, მისი მეუფება ასეთს მომზადებულ დიაკონს კურთხევის უარს რატომ ეუბნებაო.

მზარეულმა ბატონს მშვენიერი სადილი მოუშადა, რომ ნასადილევს, როცა მღვდელმთავარი „კაი გუნებაზე“ იქნებოდა, გუდაძის უბედურობის ამბავი გამოეკითხა.

ნასადილევს მისი მეუფება აივანზე გამობრძანდა და თვალის წარმტაც რიონის ხეობას და აჭარა-ახალციხის მთებს გასცქეროდა.

მზარეული ბალკონის მოაჯირს აეტუზა და მღვდელმთავარს ვედრების თვალი მიაპყრო. რალაცის თქმა რომ

დააპირა, მიტროპოლიტმა დაასწრო: „რისთვის გასჯილხარ, საჩინო ჩემო?“

— მეუფეო, მე ღვთისგან დასჯილმა კაცმა დამსაჯა.

— ხუმრობის გუნებაზე ხარ, მგონი, ჩემო საჩინო, როგორც გეტყობა ლაპარაკში.

— თქვენო მეუფებავ, ღვთის მაგიერ კაცთან ხუმრობას მე რა მსჯის?!

— კი, მარა დღეს კარგი სადილი გაგიკეთებია და ეგება თავი მოგწონს.

ახლა საჩინო დარწმუნდა, რომ მისი მეუფება მართლა კარგს გუნებაზეა, და რასაცა სთხოვს უთუოდ შეიწყნარებს.



— არა, მეუფეო, თქვენი მონა საჩინო და თავის მონონება ვის გაუგონია, მაგრამ ერთი რამ უნდა გთხოვო, თუ არ გამირისხდები.

— სთქვი, საჩინო ჩემო, მხოლოდ ყოველთვის დღევანდელივით მოსაწონი სადილი გაგიკეთებ კი.

— ღმერთმა თქვენი წყალობა ნუ მომაკლოს და სადილს თუ არ გავაკეთებ, აბა, რალასი მაქნისი ვიქნები?

— აბა, სთქვი, რალას ულოდინებ?

— თქვენს მონყალებას, მეუფეო, და მოგახსენებთ: „ე თქვენი დიდი ოჯახების ნამსახური და მათგანვე გააზატებული გუდაძის შვილი რომ ასე დაიარება, ნუთუ, მეუფეო, იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ოდესმე მღვდლობას ეღირსება?“

— ოდესმე, არ ვიცი და ჩემს მიტროპოლიტობაში იგი მღვდლად კურთხევას ვერ მოესწრება.

— რატომ, მეუფეო, იმას თქვენი იმედი უფრო ჰქონდა.

— არა, ჩემო საჩინო, იმის კურთხევის უარი შენზე უფრო ერთგულსა და პატივცემულ კაცებს უთხარი.

— ბატონო, რა დააშავა ამდენი?

— ის, რომ გრძელი წვერი აქვს.

— მეუფეო, ხუმრობა ღმერთმა ნუ მოგიშალოს, მაგრამ წვერი ხომ მღვდლის მაშვენებელი სამკაულია: მე მთლად იმიტომ ვიმედობდი, რომ თანამდებობის შესაფერი ჩინებული წვერი გულბოყვსა და მკერდს უშვენებდა საბრალო გუდაძეს.

— არა, ჩემო საჩინო, მე იმისი შუამდგომელი ყველა შემოვიცალე და შენ კი ნამდვილი მიზეზიც უნდა გითხრა: ყოველი დიდწვერა კაცი მოსულელოა და მოსულელო კაცი ღვთის მსახურებისათვის და თანამდებობისათვის არ ვარგა.

ფოტომატიანი

— მეუფეო, თქვენსავით ვის ეცოდინება, როგორი უნდა იყოს სამღვდელო პირი... მხოლოდ ნება მიბოძე, რომ მისი უკურთხეობის მიზეზი გადავსცე საწყალ გუდაძეს, რათა თავის შესაფერ გზას ენიოს.

— კი, საჩინო ჩემო, მოური-დებლათ უთხარი, ეგებ მისმა გა-მონწერთნილმა შუამდგომლებმა შემდეგ მაინც მომასვენონ.

მეორე დღეს წვერა გუდაძე მზარეულთან მოიჭრა ამბის გასა-გებათ.

საჩინომ კარგი ამბავი ვერ და-ახვედრა გუდაძე დიაკონს:

„ბატონმა ბრძანა, გუდაძეს ვერ ვაკურთხებ, რადგანაც გრძე-ლი წვერი აქვს: ყოველი გრძელ-წვერა კაცი მოსულელო და ბრიყვი არისო“.

გუდაძეს ელდა ეცა და მაშინვე შინისკენ გაიჭრა, სახლის აივანში ცოლი მოიკითხა. სადღაც ბოსტან-ში გადასულიყო სუნელისათვის.

დაძახილზე ცოლი ბოსტნიდან საბიჯალაზე საჩქაროთ გადმოხტა, ეგონა, მიტროპო-ლიტის აღნება იშოვა ჩემმა სამღვდელოთ გამზადე-ბულმარო.



გუდაძემ მეუღლეს მიაძახა, ან-თებული თავლის სანთელი ჩქარა მომანოდო.

ცოლს კიდე უფრო დიდი იმედი მიეცა, უთუოდ საჩინოს თხოვნამ გასჭრაო და ანთებული ჩირალდა-ნი მეუღლეს მოურბენია.

გუდაძემ ეს ვებერთელა გა-ფოფხილი წვერი მარცხენა ხელში ხელაურივით მობლუჯა და მარჯ-ვენათი სანთლის ალი შეუნთო.

მოედვა ალი გუდაძის სამკა-ულს. წვერიდან ალი ხელსაც სწვდა, მწვავ სიმწარეს ველარ გო-უძლო, წვერს ხელი გაუშვა, ახლა აღმა წვერის ძირამდიც მიანია და ცოლს რომ დროზე ჭკუა არ ეხმა-რა და ჩაფით ნყალი არ მიეშვა სამ-ღვდელო მეუღლისათვის, გუდა-ძეს წვერის დამოკლებასთან ერ-თად თავპირიც დაეხრუკებოდა.

საჩინომ რომ ეს ამბავი ყოვ-ლადსამღვდელოს დიდი შებრაღე-ბით მოახსენა, მისმა მეუფებამ ასე ბრძანა: „ხომ ვითხარი, საჩინო ჩე-მო, რომ ყოველი გრძელწვერა კაცი მოსულელო და ბრიყვია-მეთქი.

ნეტა თუ მართალია მიტროპოლიტის აზრი?“

დოლის პური დამზადებულია ძველი ქართული ტრადიციული მეთოდით, სვიის მცენარეული გამაღ-ვივებლით. იგი არ არის გამდიდრებული ხელოვნური დანამატებით და ვიტამინებით. მასში საერთოდ არ არის საფუარი.

სვია ხელს უწყობს გულ-სისხლ-ძარღვთა და სიმ-სივნური დაავადებების პრევენციას.

სვიის პური ჩვეულებრივი პურისგან გამოირჩევა სასიამოვნო არომატითა და ოდნავ მომყავო გემოთი.

დოლის პურის „ცხევილი“ სახეობა კი შეიცავს უჯ-რედისს, რაც მას უნიკალურ დიეტურ და პროფილაქ-ტიკურ თვისებებს ანიჭებს.

იგეგმება პურის შეტანა ეკლესიებთან ახლომდება-რე სასურსათო მაღაზიებში.

დოლის პურის შექმნის მსურველებს შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ: 893-62-63-49



თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინახოთ ვინაა ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩუროშვილი

ბთხოვთ, გაზამთ გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალები გამო-ვხოვთ დაეკლიანება ვადიხადით შემდეგ ანგარიშზე: სახალხო ბანკი, კრწანისის მე-2 ფილიალი, ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406. მიმღები: გ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია „საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ-გვერდი: <http://www.patriarchate.ge> ელ-ფოსტა: sap.uts@post.ge მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ ვაგუა, ნინო ვაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე ფინანსური მენეჯერი: ვლასი ჯიბლაძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

**ეპარქიული კონგრესის
ნარმომადგენლები საპატრიარქოში**

14 სექტემბერს საქართველოს საპატრიარქოში მოსოფლიო ებრაული კონგრესის ნარმომადგენლებს უმასპინძლა. ებრაული დიასპორის წევრები და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს შეხვდნენ. დელეგაცია საქართველოში ლესელიძის ქუჩაზე მდებარე ძველი სინაგოგის გახსნასთან დაკავშირებით ჩამოვიდა. სინაგოგა, რომელიც თბილისში მეცხრამეტე საუკუნეში აშენდა, მძიმე ავარიულ მდგომარეობაში იყო და მისი რეაბილიტაცია სულ ახლახან დასრულდა. სინაგოგის რესტავრაცია 2 წელზე მეტია მიმდინარეობს და 15 სექტემბერს იგი საზეიმოდ გაიხსნა.

პატრიარქთან შეხვედრაზე ებრაელთა მთავარმა რაბინმა საქართველოში, არიელ ლევიმმა განაცხადა, რომ ეს სინაგოგა ქართულ-ებრაული ურთიერთობის გაღრმავებაში უდიდეს წვლილს შეიტანს. კონგრესის პრეზიდენტიმა ალექსანდრე მაშკევიჩმა ილია II-ს მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა და მეგობრობის სიმბოლოდ, იურუსალიმის ღვთაებრივი ხელის ქანდაკება გადასცა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ქართველ ებრაელთა დელეგაციას შეხვედრის ბოლოს საპატრიარქოს მარანი დაათვალიერებინა და საჩუქრად გადასცა წიგნი - „მზიანი ღამე“.

ტაძრის კურთხევა

8 სექტემბერს გარდაბნის რაიონის სოფელ ვახტანგისში წმინდა ნიკოლოზის სახელობის ახალაშენებული ტაძარი აკურთხა ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტიმა თეოდორემ (ჭუაძე). იმავე დღეს ტაძარს ეწვია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და ალაგლინა სავედრებელი პარაკლისი.

ტაძარში იმსახურებს მღვდელ-მონაზონი ნეოფიტე (უროტაძე).

სამძივარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ 7 სექტემბერს გარდაიცვალა ბოდბის ეპარქიის მღვდელმსახური, წნორის წმინდა ილია მართლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი დავით გრიგალაშვილი და სამძივარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული დეკანოზი დავითი.



დაჯილდოება

8 სექტემბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა შემდეგი სასულიერო პირები:

მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელთა:

ოქროს ჯვრითა და ილუმენის ნოდებით — ნაქულ-

ბაქების წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, მღვდელ-მონაზონი იოანე (გვაჯაია);

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის ნოდებით — დიღმის წმინდა ილია მართლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი ლუკა სუპატაშვილი;

დედოფლისწყაროსა და შერეთის ეპარქიის სამღვდელთა:

გამშვენებული ჯვრით — დედოფლისწყაროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო თაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძე;

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის ნოდებით — ზემო მარხაანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი გიორგი ჯინაშვილი; არბოშიკის წმინდა მონამეთა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი ლევან იაკობიშვილი.

13 სექტემბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის სამღვდელთა:

არქიმანდრიტის ნოდებით — ფხელშას წმინდა გიორგისა და ყანოზის წმინდა გაბრიელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძრების წინამძღვარი, ილუმენი იოანე (სილაგაძე) და სტეფანწმინდის წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, ილუმენი ნიკოლოზი (ლლონტი);

ოქროს ჯვრითა და ილუმენის ნოდებით — კობის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მღვდელ-მონაზონი პეტრე (კაკუბავა).

ხელდასხვა

8 სექტემბერს რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში ცურტავის ეპისკოპოსმა იოანემ (გამრეკელი) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის დიაკონს — გიორგი კიკვაძეს.

მღვდელი გიორგი რესპუბლიკურ საავადმყოფოს წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

**გრიგოლ ხანძთელის სახელობის
მართლმადიდებლური საშუალო
სკოლა აცხადებს მიღებას**

გრიგოლ ხანძთელის სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 2009-2010 სასწავლო წლისათვის I-VI კლასებში. კლასში ირიცხება არაუმეტეს 16 მოსწავლისა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებთან ერთად შეისწავლება საღმრთო სჯული, ხელოვნების ისტორია, ეთიკა, ესთეტიკა, უცხო ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული). ენები ისწავლება ეტაპობრივად და გაძლიერებულად. ახალი სასწავლო მეთოდების გამოყენებით გათვალისწინებულია ზოგადი უნარ-ჩვევებისა და კომპიუტერული პროგრამების სწავლება.

ბავშვები სურვილის მიხედვით შეისწავლიან გალობას, ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს, ხალხურ საკრ-

ფოტომატიანე

დეკანოზი ივლიანე აბესაძე

1861-1931

დეკანოზი ივლიანე ალფეზის ძე აბესაძე 1861 წელს იმერეთში, მედავითნის ოჯახში დაიბადა. ოჯახში პირველდანწყებითი განათლების მიღების შემდეგ პატარა ივლიანე მამამ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა, რომელიც 1880 წელს დაამთავრა. 1880-86 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. სემინარიის დასრულების შემდეგ ახალგაზრდა ივლიანე დაოჯახდა. მის მეუღლეს ერქვა მარიამი და მათ შვიდი შვილი შეეძინათ: პოლიევქტოსი, ნუცა, ქეთევანი, ნიკოლოზი, გიგლა, ბიჭიკო და შოთა.



1886 წელს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) ჯერ დიაკვნად, შემდეგ კი მღვდლად დაასხა ხელი და ზოვრეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა. 1887 წელს შორაპნის მაზრის, ჩხარის ოლქის მთავარხუცესად დაადგინეს. 1889 წელს საგვერდულით დააჯილდოვეს. 1892 წლის ივნისში სკუფია უბოძეს, 1896 წლის 6 მაისს კი კამილაკვა. 1898 წელს ქუთაისში, საფიჩხიის მაცხოვრის ამალეების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს. 1900 წლის 15 მაისს — სამკერდე ოქროს ჯვრით, ხოლო 1901 წლის 3 თებერვალს წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. 1906 წლის აღდგომას დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1910 წლის 6 მაისს წმინდა ანას II ხარისხის, ხოლო 1916 წლის 15 მაისს წმინდა ვლადიმერის IV ხარისხის ორდენი უბოძეს. 1917-18 წლებში მამა ივლიანე ქ. ქუთაისის ეკლესიების მთავარხუცესი გახდა.

დეკანოზი ივლიანე, როგორც იმერეთის ეპარქიის დელეგატი, აქტიურად მონაწილეობდა 1917 წლის სექტემბერში გამართულ I, 1920 წლის მაისში გამართულ II და 1927 წლის ივნისში გამართულ IV საეკლესიო კრებებში.

კომუნისტური რეჟიმის უმძიმეს პერიოდში, როდესაც მრავალმა სასულიერო პირმა ანაფორა გაიხადა და ეკლესიაში მსახურება მიატოვა, მამა ივლიანე კვლავ ძველებური შემართებითა და უფლის სიყვარულით განაგრძობდა მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, ანუ გეშებდა საფიჩხიის მაცხოვრის ამალეების სახელობის ტაძრის მრევლს და ერთგულად ემსახურებოდა დედაეკლესიას. XX საუკუნის 20-იან წლებში ღვაწლმოსილი დეკანოზი ენქერიტა და მიტრით დააჯილდოვდა.

დეკანოზი ივლიანე 1931 წლის 27 დეკემბერს გარდაიცვალა. 31 დეკემბერს იგი დიდი პატივით დაასაფლავეს საფიჩხიის სასაფლაოზე.

შემორჩენილია მამა ივლიანეს წარმოთქმული რამდენიმე ქადაგება, რომელიც იმჟამად გამოშვალ ქართულ პრესაში ქვეყნდებოდა. ერთ-ერთი ასეთი ქადაგება წარმოსთქვა მან 1915 წლის 2 აგვისტოს, კვირას, ვაჟა-ფშაველას დაკრძალვის დღეს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში აღსრულებულ პანაშვიდზე:

ჩემო თავო, ბედი არ გინერია! ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია! ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია, რადგან სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!

„ბატონებო! აი, ეს სიტყვები საუკუნოდ დაუვინყარისა უკვდავი მგოსნის აკაკისა, რომლებშიაც მან გამოხატა არა მარტო თვისი პირადი უბედობა და მწარე ცხოვრება, არა თუ ბედისაგან განწირული და მუდამ გაუხარელი მხოლოდ რომელიმე ქართველის აუტანელი ცხოვრება, არამედ მთელი საქართველოს სვე. და მართლაც რომ საქართველოს ბედი არ უნერია, მის ჩანგს ძალიან იშვიათად თუ ეშხით უჟღერია და გულს ტკბილად უძგერია. ამის დამამტკიცებელი საბუთი არის არა თუ მთელი ცხოვრება ქართველი ერისა მას შემდეგ, რაც კაცის ენამ პირველად წარმოსთქვა სიტყვა „ქართველი“ და კაცობრიობის საზოგადო ისტორიის კაბადონზე აღინიშნა მხარე „საქართველო“, არამედ თითოეული წელი ჩვენი უიღბლო ცხოვრებისა. ამიტომაც ეწოდება მას „მრავალწამებული საქართველო“.

თუ გნებავთ შორ-წარსულ წლებს ნუ მოვიხსენებთ, მოვიგონოთ ახლო წარსული 1907 წელი, როდესაც აბობოქრებული ცხოვრების დროს შვილი მშობელს ველარ სცნობდა და აღზრდილი აღმზრდელს. დროთა უკულმართმა ტრიალმა უღმერთოდ, ვერაგულად გამოგეტაცა ხელიდან ქართველი ერის მედგარი დარაჯი, სამშობლ დიადი მოამაგე დიდი ილია. ანდა, მოვიხსენიოთ ის წელი, როდესაც უღმობელმა სიკვდილმა ხელიდან უდროოდ გამოგეტაცა საქართველოს ცხოვრების სწორუპოვარი სისწორით ამწონ-დამწონი ბრძენი არჩილ ჯორჯაძე. ის გამოცდილებასა და ცხოვრების მეცნიერულ დაკვირვებაზე აფუძნებდა საქართველოს განახლების, აყვავებისა და გონებრივად განვითარების გეგმას, მაგრამ არ დასცალდა ჩვენი უბედობის გამო და ცივ საფლავში ჩაიტანა თვისი ფიქრები. მისი გეგმა შეუვსებელი და განუხორციელებელი დარჩა. ყურადღება მივაქციოთ მხოლოდ ამ დაწყებულ და ისტორიაში გაუმეორებელ მდგომარე 1915 წელს, რო-



დესაც მთელი კაცობრიობის საყოველთაო ომის საშინე-
ლი ჭეჭა-ქუხილის დროს, ურიცხვი ყუმბარა მეხზე უძლი-
ერესად სპობენ ადამიანთა სოცოცხლეს და ანადგურებს
კაცობრიობის ჭკუა-გონებისა და ძალ-ღონის საუკუნოე-
ბით შექმნილ სიმდიდრეს, როდესაც ლამის ცა და ქვეყანა
ერთმანეთს შეასკდეს და ქვეყნიერების უკანასკნელ კა-
ტასტროფას დალუპვა-განადგურება მოყვეს, ხელიდან
გამოგვეცალა ჭკუის დამრიგებელი, გულში საღმრთო

ცეცხლის აღმთები, ტკბილად მატირებელი,
მწარედ მაცინებელი და ყოველ შემთხვევაში
იმედის მომცემი დიდი მგოსანი აკაკი. ამავე
წელს უწყალო სიკვდილმა დაგვაობლა და ენა
მუცელში ჩაგვიგდო სახელმწიფო სათათბი-
როს წევრის ვარლამ გელოვანის უდროოდ
დაკარგვამ. იმან ახალგაზრდა სოცოცხლე
მოყვასისათვის განწირა და ამნაირად აღას-
რულა ქრისტეს მცნება, რომელიც ამბობს:
„უფროისი ამისსა სიყუარული არავის
აქუს, რაითა სული თვისი დადვას მეგობარ-
თვისთათვის“ (იოანე 15. 13). იმ დროს გა-

სოუთქმელი მწუხარებისა თუ სხვა გაუგებარი
მიზეზებისა გამო მთლად ვერ ვიგრძენით მისი
დაკარგვის სიმწვავე-სიმძიმე. მისი წარმო-
მადგენლობა, მისი ძლიერი სიტყვა დაგვჭირ-
და ამა წლის 19 იელისს. ამ შესანიშნავ ისტო-
რიულ დღეს მთელი კაცობრიობის თვალ-ყუ-
რი და გონება-აზროვნება თავრიდის სასახ-
ლისკენ იყო მიქცეული. ყოველი ერის შეგნე-
ბული და რჩეული შვილი, რომელსაც კი ანბანი
მოეპოება და ერთი გაზეთი მაინც გამოუდის, ხელმოშა-
დებული იყო, უნდოდა ელექტრონის სისწრაფით გადმოე-
ტანა თავის გაზეთის ფურცლებზე და თავისიანებისათვის
ეცნობებია, თუ რას იტყოდნენ ამ სასახლეში დიდებული
და უუვრცელესი რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა სახალ-
ხო წარმომადგენლები, მაგრამ ამ დროს აღარ გვყავდა
ვარლაამი და მაშინ უუმწვავესად ვიგრძენით მისი დაკარ-
გვის სიმძიმე.

უბედობის ამ დღეებში კიდევ დამწვარზე დულარე დაგ-
ასხა, დათუთქულზე ღვიერო დაგვაყარა, ასე უნუგეშოდ
აგვატირა მთის არწივის, ვაჟა-ფშაველას უდროოდ და-
კარგვით.

განა ამას უბედობა არ ქვია? განა საქართველოს ბედი
უნერია? ცხადია, არა. ვაჟა ფშაველა იყო ფშავეთის სო-
ფელ ჩარგლის მცხოვრები, მღვდელ პავლე რაზიკაშვი-
ლის შვილი, სახელად ერქვა ლუკა. სწავლა საშუალო სას-
წავლებელში (საოსტატო სემინარიამში) მიიღო. უმაღლეს
სასწავლებელშიდაც დაყო რამოდენიმე წელიწადი, მაგ-
რამ დიპლომით აღჭურვილი არ იყო, თუმცა ბევრ დიპლო-
მიანზე მეტი სარგებლობა მოუტანა სამშობლოს. ერთ
ხანს მსახურებდა თავის სოფლის სკოლაში, მასწავლებ-
ლად, მაგრამ იმ მიზნით კი არა, რომ შემდეგ დანიანურე-
ბას მიიღებდა და დიდ ჯამაგირიან ადგილზე გადაიყვან-
დნენ, არამედ მხოლოდ იმ მიზნით, რომ სწავლა-განათლე-
ბის სხივი შეეტანა დაბალ ხალხში. შემდეგ კი მეურნეობა
აირჩია, რომ ხალხში ეს დარგიც გაეუმჯობესებია და თა-
ვის მოძმეთა ჭირ-ვარამი გაეზიარებია, შეემსუბუქებია.
ამიტომაც თავის სოფელს იშვიათად შორდებოდა. ვაჟა
იყო ერთი უნიჭიერეს მწერალ-მგოსანთაგანი. მან სავსე-
ბით გაგვაცნო მთიელების აზრი და გრძობა და მთელი
მთიულეთი სრული თავისი შემადგენლობით: ცხოველე-
ბით, ფრინველებით, მცენარ-ბალახეულობით, მთა-გორე-

ბით და მინა-წყლით. მისი ენა მომხიბლავია, მისი გონება
გამჭრიახია, მისი აზროვნება სიმბოლურია. ნათქვამია:
„ღმერთი რომ კაცს გაუნყრება, პირველად ჭკუა-გონე-
ბას წაართმევსო და თუ კაცის დაჯილდოება უნდა, ბუ-
ნების ენას ასწავლისო“. სწორეთ ეგეთი ნიჭით იყო და-
ჯილდოებული ან განსვენებული ვაჟა-ფშაველა. მან გვაშ-
ცნო ბუნების მრავალი საიდუმლოება; ვინც მის ნაწერებს
საფუძვლიანად გაეცნობა, ის იგრძნობს მისი ნიჭის ბუმ-



საპარტიველოს სამოციქულო ეპლესიის | საეპლესიო კრება.
მისამა რიბი, მარცხნიდან მისამა — დეკანოზი ივლიანა აბასაძე

ბერაზობას, მისი შემოქმედების სიდიადეს. ვაჟამ შეაყვ-
რა მთა — ბარს და ბარი — მთას. სულით ძლიერი და გამ-
ბედავი ვაჟა, ნამდვილი განსახიერება, განხორციელება
იყო ფოლად-გულიანი და მედგარი მთიელისა. ვაჟას პოე-
ზია მთის ამაყი და შეუპოვარი არწივია. ის ამაყად და გა-
ბედულად გასცქერის ზღვასაებრ აბობოქრებულ ცხოვ-
რებას, გულს არ იტეხს, სასოება-იმედს არ კარგავს. თვი-
სი ეროვნების იდეალებს გაბედულად და თავგამოდებით
ემსახურება. სამშობლოს აყვავებას და გამშენიერებას
შეტრფის და გულახდილად გაიძახის: „სამშობლოს არ-
ვის წავართმევ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება, თორემ
ისეთ დღეს დავაყრით მკვდარსაც კი გაეცინებაო“.

შუა ხნის კაცი იყო (54 წლის). უდროვოა მისი სიკვდი-
ლი, მაგრამ რა ვქნათ! ესეც ჩვენი უბედობის შედეგია.
ტყვილად კი არ სთქვა სულმანათმა შოთამ: „ვაჰ, სოფელი
რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა-ო!“

ვინუგეშოთ ეხლა მით, რომ ზემოაღნიშნულმა დიდე-
ბულმა პირებმა აღზარდეს ახალი თაობა. იმედი გვაქვს,
რომ ამ ახალ თაობაში აღმოჩნდებიან, გამოზრუნდებიან
მრავალი ახალი რუსთაველები, ილიები, არჩილები, აკაკე-
ბი, ვაჟა-ფშაველები და სხვა მრავალი გმირები.

ხალხური ბრძნული ანდაზა ამბობს: „ისა სჯობს მამუ-
ლისათვის, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“ და ჩვენც,
ვიმედობთ, გვრწამს, რომ ახალი თაობა ყოველ სიკეთეში
წინ გაუსწრებს ძველსა და ამით პროგრესის წინ სვლის,
გაუმჯობესების გზაზე დააყენებს აღსაზრდელ მომავალ
თაობას. თუ ოდესმე საქართველოს ჩანგს ეშხით უყლერია
და გულს ტკბილად უძგერია, ეს მხოლოდ მაშინ, როდესაც
სიმები შეთანხმებული ყოფილა, კილო შეხმატკბილებული
ჰქონია და სიმებიც სუსტები არ ყოფილან, რომ მძლავრ-
თითების ზედ გათამაშებით არ დაწყვეტილიყვნენ, არა-
მედ მწყობრი გარმონია გამოეცათ. ამიტომ აუცილებელი

საჭიროება არის, რომ ამ საზოგადო ჩანგის მორთვა-მონყობას ერთგულად შეუდგეთ, სიმები შევახმატკბილოთ, შემადგენლობა გავამაგროთ-გავასპეტაკოთ.

შენ კი ძვირფასო ეროვნული მუშაკო, ვაჟავ, განისვენე იქ, სადაც შენი საყვარელი საქართველოს თავდადებულნი მამულიშვილები განისვენებენ. ვინც სამშობლოს არ ივინყებს, მას არც სამშობლო დაივინყებს. გრწამდეს, რომ ჩვენში შენი კეთილი ხსოვნა

დაუვინყარი იქნება. ვისაც შემთხვევამ ნება არ მოგვცა, შენს ჩვენთვის ძვირფას ნეშტს დღეს დიდუბის სასაფლაომდის მივყოლოდით, სულით მაინც შენი ცხედრის გარშემო. დაფუსფუსებთ. ამნაირად მონინებით მუხლს მოვიყრით და შორიდან (ქუთაისიდან), გონებით ვვამბორებით შენ გაციებულ გვამს. საუკუნოთ იყოს ხსენება შენი, სახელოვანო მამულიშვილო!"

ფოტომატიანე



ფოტო მოძიებულია ქალბატონ კლარა რამიშვილის მიერ, რომელიც საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში მუშაობს კონსულტანტად. ეს გახლავთ ერთ-ერთი საზოგადოებისათვის უცნობი სურათი, რომელიც აღმოჩნდა ბატონ ვახტანგ (კუკუჩია) ხეცურიანის ოჯახში. 1949 წელს, მაშინ, როცა ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმი მძინვარებდა, ღმრთის წყალობით საქართველოს სსრ-ის ცენტრალური არქივის თანამშრომლებმა მოილოცეს ბეთანიის მონასტერი. ბეთანიელი ბერები, მამა იოანე (მაისურაძე) და მამა გიორგი (დიდ სქემაში იოანე, მხეიძე), რომლებიც საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა, განსაკუთრებული სიბოთით და სიყვარულით გაუმასპინძლდნენ სტუმრად მისულ ექსკურსანტებს, რაც ნარუშულელ შთაბეჭდილებად და მოგონებად დარჩა მომლოცველთა მეხსიერებაში.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინყებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზათს გაუფრთხილდეთ მასში დაგეგმილი მასალების გამოვსოვთ დეკლარაცია გადახადეთ შემდეგ ანგარიშზე:
სახელბო ბანკი, კრწანისის მე-2 ფილიალი, ანგარიში # 360851555 მფო. 220 101 406
მომღებო წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
საპატრიარქოს უწყებანის ვებ-გვერდი: <http://www.patriarchate.ge>
ელ.ფოსტა: sap.ots@post.ge
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე ფინანსური მენეჯერი: ელასი ჯიბლაძე, გაერცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ქართული „ღოლის პური“

დამზადებულია ქართული ხორბლით და სვიით

შეიძინეთ მხოლოდ ასეთი შეფუთვით (ლოგოთი)



ქანსახლი კუჩი: დავინყებული გვერდ და სურნელი



ხარისხის კონტროლისა და ფალსიფიკაციის თავიდან აცილების მიზნით მოქმედებს

ცხელი ხაზი: 877-78-33-01



შეიძინა.

25 სექტემბერს ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრი, საქართველოს პრეზიდენტთან ერთად, ამერიკაში მცხოვრებ ქართველებს „კაუფმანის ცენტრში“ შეხვდა, სადაც უცხო ქვეყნებში მოღვაწე ქართველმა მუსიკოსებმა საქველმოქმედო კონცერტი გამართეს. შემოსული თანხა ნიუ-იორკში ქართული ეკლესიის მშენებლობას მოხმარდება.

პატრიარქმა მუხრანბატონთა საგვარეულო ეკლესია მოილოცა

26 სექტემბერს, წმინდა დიდმონაშე კახეთის დედოფლის ქეთევანის ხსენების დღეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II მუხრანს ეწვია, სადაც მუხრანბატონთა საგვარეულო ეკლესია მოილოცა. უწმინდესი და უნეტარესი ილია II ასევე მიბრძანდა სოფელ მუხრანში მაცხოვრის აღდგომის სახელობის კარის ეკლესიაში, სადაც წმინდა დედოფალმა კახეთის მეფის ალექსანდრეს უფროს ვაჟზე, დავითზე იქორწინა. კათოლიკოს-პატრიარქმა ტაძარი ლიტანიობით მოილოცა, წმინდანისადმი სავედრებელი პარაკლისი აღავლინა და მრევლს დღესასწაული მიულოცა. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ბრძანა: „წმინდა დედოფალი ქეთევანი არის მნათობი სრულიად საქართველოსი; ის არის მაგალითი ურყევი რწმენისა და მაგალითი სამშობლოს სიყვარულისა! დღეს ჩვენ ვადიდებთ და თაყვანს ვცემთ მის ღვანლს, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის გასწია“.

ამ დღეს მუხრანს ბაგრატიონები სტუმრობდნენ. კათოლიკოს-პატრიარქმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მათ ღვთისმსაურებაზე დასწრებას მიანიჭა, რადგან ეს სოფელი ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტოს სათავადოა.

იმავე დღეს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მუხრანში ნიკოლოზ ბაგრატიონის სახელობის თავადაზნაურთა სკოლა-ლიცეუმის ბავშვები დალოცა.

ხელდასხმა

11 სექტემბერს წინონშიდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და წინონშიდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა ალექსანდრე აბიაშვილი.

დიაკონი ალექსანდრე თბილისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

20 სექტემბერს გორის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში გორისა და სამთავისის მთავარეპისკოპოსმა ანდრეამ (გვაზავა) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის V კურსის სტუდენტი ლევან გოგია.

დიაკონი ლევანი ყოვლადწმიდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

21 სექტემბერს ბარაკონის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში ნიკორწმიდელმა მიტროპოლიტმა ელისემ (ჯოხაძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის ლექტორი გოჩა გუგუშვილი და სახელად გიორგი უწოდა.

27 სექტემბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის ბერ-დიაკონ ვახტანგს (ლიპარტელიანი).

დაჯილდოება

20 სექტემბერს სენაკის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სენაკისა და ჩხორონყუს ეპისკოპოს შიოს (მუჯირი) მიანიჭა მთავარეპისკოპოსის ნოდება.

აქვე დააჯილდოვა სენაკისა და ჩხორონყუს ეპარქიის სამღვდლოებაც: **ოქროს ჯვრითა და დეკანოზის ნოდებით** — სენაკის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი იოსებ ესაკია, ჩხორონყუს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი ალექსანდრე თოლორდავა, ძველი სენაკის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი იოანე კუპრეიშვილი და ნოქალაქევის წმინდა ორმოცი სებასტიელის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი პავლე ესებუა.

21 სექტემბერს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდლოება: **გამშვენებული ჯვრით** — დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, დეკანოზი ვახტანგ სტეფნაძე, თბილისის სასულიერო აკადემიის დეკანი და თემქის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი მიქაელ გალდავა, თბილისის სასულიერო სემინარიის დეკანი, ჩიტაძის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, დეკანოზი გელასი ნატროშვილი; **ოქროს ჯვრითა და დეკანოზის ნოდებით** — სიონის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახური, მღვდელი გიორგი სანამაშვილი.

26 სექტემბერს მუხრანის მაცხოვრის აღდგომის სახელობის ეკლესიაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წილკნისა და დუშეთის მთავარეპისკოპოს ზოსიმეს (შიოშვილი) მიტროპოლიტის წოდება მიანიჭა.

აქვე დააჯილდოვა წილკნისა და დუშეთის ეპარქიის სამღვდელოებაც: **ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით** — მუხრანის მაცხოვრის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი გიორგი ბეკურიშვილი და ფასანაურის წმინდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი ზაქარია მგელაშვილი.

27 სექტემბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ **ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით** დააჯილდოვა თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, მღვდელი მიქაელ გვარამაძე.

ეკეპან დაპარბულს

ოჯახი ეძებს 21 წლის ია ოსარაულს, რომელიც ზოგიერთი მონაცემებით, შესაძლოა რომელიმე მონასტერში იმყოფებოდეს.

გთხოვთ, დააკვირდეთ ამ ფოტოს. თუკი ვინმეს გაქვთ რამე ინფორმაცია აღნიშნულ პიროვნებაზე, შეატყობინეთ ოჯახს შემდეგ ტელეფონზე: 79-28-29; 855 57-56-71.

წინსაწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისთვის.



ოჯახი ეძებს 52 წლის ოთარ ბუჩუკურს.

გთხოვთ, დააკვირდეთ ამ ფოტოს. თუკი ვინმეს გაქვთ რამე ინფორმაცია აღნიშნულ პიროვნებაზე, შეატყობინეთ ოჯახს შემდეგ ტელეფონზე: 66-26-14; 858 37 70 47 (გიორგი), 897 18 95 95 (ლელა), 898 48 49 08 (ნოდარი).

წინსაწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისთვის.

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის განცხადება

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გიწვევთ წმინდა ადგილების მოსალოცად: რუსი-ურბნისი-ბრეთი 3 ოქტომბერი; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 16 ლ;

შიო-მღვიმე-მცხეთა 4 ოქტომბერი; კვირა; გასვლა 8სთ; ფასი 14 ლ;

ღვთაება-მარტყოფი 10 ოქტომბერი; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 14 ლ;

ტიმოთესუბანი, სადგერის წმ.გიორგი, მწვანე მონასტერი 11 ოქტომბერი; კვირა; გასვლა 8 სთ; ფასი 18 ლ; ვარძია (ვარძია, ზარზმა, ჭულევი, საფარა;) 10-11 ოქტომბერი; გასვლა შაბათს 7 სთ; ფასი 68 ლ; ტაო-კლარჯეთი (ხსენება გრიგოლ ხანძთელისა-18.10) 16-20 ოქტომბერი; საბუთების მიღება 14 ოქტომბრამდე; ფასი 220 \$ გასვლა 7:00 სთ.

ტაო-კლარჯეთი (ხსენება გრიგოლ ხანძთელისა-18.10) 17-19 ოქტომბერი; საბუთების მიღება 15 ოქტომბრამდე; ფასი 150 \$ გასვლა 7:00 სთ.

კაბადოკია-ტაო-კლარჯეთი 14-20 ოქტომბერი; საბუთების მიღება 12 ოქტომბრამდე; ფასი 520 \$. გასვლა 7:00 სთ.

იტალია (ნიკოლოზობის დღესასწაულისათვის) 15-24 დეკემბერი;

ფასი 1600-1700 ; საბუთების მიღება 16 ნოემბრამდე;

ისრაელი წმიდა მინა-ეგვიპტე მაცხოვრის შობის დღესასწაულისათვის 1-8

იანვარი; საბუთების მიღება 10 დეკემბრამდე; ფასი 1500-1600\$

მომლოცველებს მოემსახურება გიდი ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე:

„წმიდა კუთხე“ ბახტრიონის ქ. 8 ჩიტაიას ქ. 39 ; ლესელიძის ქ.30

ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძართან არსებული მალაზია, რუსთაველის 9

დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მალაზია, ნერეთლის 44

ავტობუსები გადის სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ: 92 39 78 (11-დან 17 სთ-მდე); ტელ/ფაქ: 92 39 79

ელ.ფოსტა: pilgrim_church@yahoo.com (899)33 33 52; (879) 01 08 64;

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ფთიზიატრი, პულმონოლოგი — 3 ოქტომბერს, 12.00-13.00 სთ.;

ტრავმატოლოგ-ორთოპედი — 3 ოქტომბერს, 13.00-14.00 სთ.;

ანგიოლოგი — 3 ოქტომბერს, 14.00-15.00 სთ.;

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 5 ოქტომბერს, 12.00-14.00 სთ.;

რევმატოლოგი — 6 ოქტომბერს, 16.00-18.00 სთ.;

ოტო-რინო-ლარინგოლოგი — 7 ოქტომბერს, 16.00-17.00 სთ.

კარდიოლოგი ყოველდღე 12.00-14.00 სთ., შაბათ-კვირის გარდა.

პედიატრის, უროლოგის, ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფეციონისტი, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის, მიღების საათებთან დაკავშირებით, დაგვირეკეთ.

ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 99 57 65 31

ფოტომატიანე

ქრისტე აღსდგა! ვითარცა აქამომდე არ მოკლებულნი, მისს მსასოებელნი, ღირსი მამის მონაწილეობისა, ნურც შენ მოგაკლოს თვისი მფარველობა და გაჩვენოს შენი მერმინდელი დღე უფრო ბრწყინვალე და მშვენიერი — ღირსი მამა შიოს სავანის ბერ-მონაზონი კ. პ. ეფრემი". 1960 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემმა გიორგი დადიანი აღადგინა მღვდელ-მონაზვნის ხარისხში და შიო-მღვიმის ლავრა ჩააბარა. 1964 წელს მონასტერში მყოფი მამა გიორგი სასტიკად ნაწამები და მოკლული იპოვეს თავის კელიაში. მისი ცხედარი სამთავროს წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის ეზოში დაკრძალეს.



შიომღვიმის მონასტრის საძმო XX ს-ის 10-იანი წლები. ცენტრში სხადან: სპემღვდელმონაზონი ბაბრიაელი და მღვდელ-მონაზონი ბაბრიაელი (ქიტიაშვილი). ქვემო რიგში მარჯვნივ მორჩილი ივანე სუსნიშვილი (შემდგომში არქიმანდრიტი ისა)

შიომღვიმის მონასტრის ხელახალი ამოქმედება კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ 80-იან წლებში და მისი თანამედროვე მდგომარეობა

XX საუკუნის 70-იან წლებში შიომღვიმის მონასტერში ჩატარდა სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოები. წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიაში აღდგა საყრდენი კედლები, მოიხსნა გვიანდელი შელესილობა, კანკელი გადაეცა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს, გაკეთდა ღვარსაშუები, აღდგა სატრაპეზო და გალავანი.

მონასტრის ხელახალ ამოქმედებაზე ზრუნვას 1978 წლიდანვე შეუდგა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II. მისი ლოცვა-კურთხევით მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი სტუდენტებთან ერთად ხშირად ადიოდა მიტოვებულ მონასტერში. ასუფთავედნენ, ღირსი მამის საფლავზე პარაკლისებს იხდიდნენ და ყურადღებას აქცევდნენ იქაურობას. მხოლოდ 1987 წელს მოხერხდა აქ ბერების გაგზავნა და მონასტრის კვლავ დაფუძნება. მისი პირველი წინამძღვარი იყო არქიმანდრიტი იოანე (შეყლაშვილი), რომელიც 1991 წელს არქიმანდრიტმა გიორგიმ (ბარიშვილი) შეცვალა. 1997 წლის მაისიდან მონასტრის წინამძღვარია არქიმანდრიტი მიქაელი (გაბრიჭიძე).

შიომღვიმის მონასტრის წინამძღვრებისა და მმართველების სია სხვადანსხვა წლებში

არქიმანდრიტი ევაგრე	1170 (იხ. ამ წ.)
არქიმანდრიტი დიმიტრი	1247-50 (იხ. ამ წ.)
არქიმანდრიტი ფარემუზ	1612 (იხ. ამ წ.)
არქიმანდრიტი მელქისედეკი (ყანჩაელი)	1630-58 (იხ. ამ წ.)
არქიმანდრიტი იოსები (ყანჩაელი)	1660-82 (იხ. ამ წ.)
არქიმანდრიტი გერვასი (მაჭავარიანი)	1787-1799
არქიმანდრიტი დომენტი (დავითაშვილი-ბაგრატიონი)	1802-1804
არქიმანდრიტი დოსითეოსი (ფიცხელაური)	1806-1810
არქიმანდრიტი ნიკოლოზი	1810-1814
არქიმანდრიტი ათანასე (პეტრიაშვილი)	1815-1822
ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე)	1887-1907
ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე)	1907-1911
არქიმანდრიტი პიროსი (ოქროპირიძე)	1911-1915
მიტროპოლიტი ლეონიდე (ოქროპირიძე)	1915-1921
მღვდელ-მონაზონი ათანასე (ზაქარიაშვილი)	1921-1923
ილუმენი ეფრემი (სიდამონიძე)	1923-1925
არქიმანდრიტი ისე (სუხიშვილი)	1925-1950
მღვდელ-მონაზონი დავითი (ჩიტიშვილი)	1950-1960
მღვდელ-მონაზონი გიორგი (დადიანი)	1960-1964

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინყებებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურაშვილი

გთხოვთ, გაზათს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ დავალინება ვადიხადო შემდეგ ანგარიშზე:
სახელბო ბანკი, კრწანისის მე-2 ფილიალი, ანგარიში # 360851555 მფო, 220 101 406
მომღები ნმ, ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
„საპატრიარქოს უწყებების“ ებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ-ფოსტა: patriarchatepress@yahoo.com
მისამართი: ვრცელე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი, ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი),
მარიამ გაგუა, ნინო ვაგოშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე,
გიორგი მაჩურაშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე ფინანსური მენეჯერი:
ულასი ჯიბლაძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი;
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიკა

დეკანოზი სპირიდონ ლეკვეიშვილი 1868-1922

დეკანოზი სპირიდონ გიორგის ძე ლეკვეიშვილი 1868 წელს ქუთაისის გუბერნიაში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. პატარა სპირიდონმა პირველდაწყებითი განათლება ოჯახში, მამის მეთვალყურეობის ქვეშ მიიღო. 1883-87 წლებში ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. 1887-1893 წლებში განათლებას იღებდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა. სემინარიის დამთავრების შემდეგ იმერეთში დაბრუნდა და მასწავლებლობას მიჰყო ხელი. აქვე დაოჯახდა ნატალია მათეს ასულზე, მათ შვიდი შვილი გაზარდეს: კუკური, ირაკლი, ვასილი, ოლა, თამარი, ბარბალე და ნონა. 1895 წლის 24 მარტს გარდაიცვალა სანავარდოს (სამტრედია) მაცხოვრის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი გიორგი ლეკვეიშვილი, სპირიდონის მამა და იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) სპირიდონს მოუწოდა, სასულიერო პირი გამხდარიყო. 1895 წლის მაისში მეუფე გაბრიელმა ჯერ დიაკვნად აკურთხა იგი, ხოლო ერთ კვირაში მღვდლად დაასხა ხელი და ქვედა მესხეთის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. 1897 წელს საგვერდულით დააჯილდოვა. 1898 წელს იმერეთის ეპისკოპოსმა ბესარიონმა (დადიანი) მამა სპირიდონი, როგორც განათლებული მოძღვარი და სემინარიის კურსდამთავრებული, ქალაქ ქუთაისში გადაიყვანა და სასულიერო სასწავლებელში პედაგოგად დააქაურა კარის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა. 1902 წლის 6 მაისს სკუფიით დააჯილდოვეს. 1906 წელს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) ქუთაისის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა. 1910 წლის 15 მაისს კამილაკა, ხოლო 1915 წლის აღდგომას სამკერდე ოქროს ჯვარი უბოძეს. 1917 წლის 12 მარტს, როდესაც საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია აღდგა, იმერეთის ეპარქია დროებით მმართველი მღვდელმთავრის გარეშე დარჩა. ეპარქიაში შეიქმნა დროებითი სასულიერო მმართველობა, რომლის ერთ-ერთი წევრი მამა სპირიდონიც გახლდათ. იგი, როგორც იმერეთის ეპარქიის დელეგატი, მონაწილეობდა 1917 წლის 11-17 სექტემბერს გამართულ პირველ და 1920 წლის 27 ივნისს გამართულ მეორე საეკლესიო კრებებში.

1918 წლის აღდგომას ეკლესიაში ერთგული და ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო დეკანოზის წოდება მიენიჭა. დეკანოზი სპირიდონი 1922 წლის 25 დეკემბერს გარდაიცვალა. დასაფლავებულია ქალაქ ქუთაისის ერთ-ერთ სასაფლაოზე.

შემორჩენილია მამა სპირიდონის რამდენიმე ქადაგება, რომელიც ქვეყნდებოდა იმჟამად გამომავალ ქართულ პრესაში. ერთ-ერთი ასეთი ქადაგება მან

წარმოთქვა 1915 წლის 21 ივნისს, ქუთაისის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარში, ისტორიკოს დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძის პანაშვიდზე: «ყველამ უწყით, რომ დღეს დედამიწის ზურგზე არსებობს აუარებელი სხვადასხვა ერი. ზოგმა მათგანმა თავის ისტორიულ მსვლელობაში მიაღწია უმაღლეს ეროვნულ განვითარებას და შექმნა პოლიტიკურად, ეკონომიურად და გონებრივად მძლავრი ორგანიზაცია, რომლის ჩრდილშიც თავს იფარავს არა ერთი და ორი პატარა ეროვნება, რომლისათვისაც ისტორიულ ბედის ტრიალს ურგუნებია მწარე ხვედრი სხვისი მაჩანჩალობისა. ევროპის XIX-XX საუკუნის ისტორია არის მძლავრი ეროვნული განვითარების ისტორია. საფრანგეთის დიდი რევოლუცია საფუძვლად დაედვა ეროვნული იდეის აღორძინებას და სრულ ჩამოყალიბებას. დღევანდელი საერთაშორისო ომი, გარდა სხვა ღრმა მიზეზებისა, წარმოშობილია აგრეთვე ეროვნული ანტაგონიზმის ნიადაგზე. აქ მკაფიოდ მოსჩანს, თუ როგორ ეჯიბრება ერთი ერი მეორეს ტექნიკურ და ორგანიზაციულ განვითარებაში და ლამობს დაიმკვიდროს კაცობრიობის ისტორიაში რჩეული, მონინავე და პირველი ერის სახელი. თანამედროვე მეცნიერება თავის ქურაში აწრთობს და ადნობს ყველას და წინ უყენებს საბედისწერო დილემას: მიცნობ და მიმიღებ, — აგამაღლებ და გაცოცხლებ, არა და — მოგსპობ, გაგანადგურებო. ეს გარემოება თავის-თავად მოითხოვს ყოველი არსებული პატარა ერისაგან შეგნებას და შესაფერი ანგარიშების განწევას, თორემ ბიოლოგიური კანონი, რომ სუსტი მსხვერპლი ხდება ძლიერისა და მისგან ისპობა და ინთქება, ჯერ კიდევ ძალაშია. ზნეობრივ განვითარებას ჯერ კიდევ არ მიუღწევია ჩვენს შორის იმ სიმაღლემდე, რომ დათრგუნოს და ადგილი აღარ ექნეს აღნიშნულ ბიოლოგიურ დებულებას. ეს დრო შორეული მომავლის საქმეა და მოითხოვს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ურთიერთობის სრულ გარდაქმნას. ამ თვალსაზრისით ქართველობა უნდა აფასებდეს თავის ახლო წარსულის ნამოქმედარს. აქ მეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ იშვიათად რომელიმე პატარა ერს ქონდეს ისეთი მდიდარი და სხივოსანი წარსული, როგორც ქართველებსა გვაქვს; რომ ცარიელ სიტყვებათ არ მოგვეჩვენოს ნათქვამი, ერთ ნამს მოვიგონოთ ჩვენი მდიდარი ძველი მწერლობა, შეუდარებელი და განსაცვიფრებელი ხუროთმოძღვრება, ქანდაკება, მხატვრობა, გალობა და ის ელასტიური ენა, რომლის სიმდიდრე და საარაკო ფერადოვნებას — სიმშვენიერესაც არა ერთი უცხოელი დაუტყვევებია და აღუტაცებია.

მაგრამ უბედურება ის იყო და არის, რომ ჩვენს დიდ წარსულს მცნობელი და შემგნებელი არ აღმოუჩნდა: მეთვრამეტე საუკუნის ქართველთა მემკვიდრეობა

ფოტომატიანე

დროებით გაპარტახებული და მოუვლელი დარჩა. ახალმა პოლიტიკურმა ცვლილებამ მეცხრამეტე საუკუნის რუბიკონზე, ასე ვსთქვათ, ჩაყლაპა ეროვნული თავმოყვარეობა და არსებობა ქართველთა. ახალი ცხოვრებით და ფორმა-აზრებით თვალ-აჭრელე-ბულნი ჩვენი ახლობლნი წინაპარნი — მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის შვილნი — არა თუ არაფერ ფასს სდებდენ თავისი ერის დიდებულ წარსულს, პირიქით — სპობდენ, ყიდდენ, ანგრევდენ და ანიავებდენ ფასდაუდებელ საგანძურებს, თითქო ეშინოდათ მათი უტყვი არსებობისა, რომელიც სინდისის მხილებას უფრო წარმოადგენდა უბირსა და უღირს შვილთათვის. და აი, ეს დრო გაგრძელდა XIX საუკუნის 80-იან წლებამდის, როდესაც ჩვენ საისტორიო ასპარეზზე ამოანათა თანამედროვე სამეცნიერო მეთოდებით შეიარაღებულმა, სახელოვანმა ისტორიკოს-არქეოლოგმა დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძემ, რომელმაც ალაპარაკა წარსულიდან გადმოცემული — ქვები, კლდეები, ნანგრევები, ტაძრები და სიგელ-გუჯრები. ამ დღიდან იწყება ახალი ხანა ჩვენი არსებობისა, ამ დღიდან მზე თანდათან ათბობს ჩვენს გაყინულ მშობლიურ ძვლებს, ამ დღიდან ქართველნი თვითცნობის და თვითგამორკვევის გზაზე შედგენ, ამ დღიდან, მტერნიც და მოყვარენიც გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს მიჯაჭვული ამირანის გამოფხიზლებას. გზა გაკაფულია და ქართველნიც, თუმცა მძიმედ, შეუდგენ ამ მეცნიერული მემკვიდრეობის განაღდებას. დღეს ჩვენ სამშობლოში ორი საისტორიო-ეთნოგრაფიული საზოგადოება არსებობს: ერთი — თბილისში, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია ჩვენი წარსულის გასხივოსნებას და შემონახვას, და მეორე — ქუთაისში, რომელიც თუმცა ახლად დაარსებულია, მაგრამ ენერ-

გიულად და თავისი მცირე ძალ-ღონის შესაფერისად მუშაობს. არა ერთი და ორი მცოდნე ისტორიისა იღვინის დღეს ჩვენი საერო ისტორიის ასპარეზზე და ამ მაღლიანი მუშაობის ნამდვილი სათავე დიმიტრი ბაქრაძის ნამოღვაწეა. და აი, წელს შესრულდა 25 წელიწადი მისი გარდაცვალების დღიდან და ადგილობრივმა საისტორიო-ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამ გადასწყვიტა აღნიშნოს ამ სახელოვანი შვილის გარდაცვალების 25 წლისთავი და პანაშვიდის შემდეგ თეატრში ნაკითხული იქნება ბატონ ილია ივანეს ძე ფერაძის მიერ შესაფერი რეფერატი, რაზედაც ყველას ეძლევა ნება უფასოდ დაეხროს, რათა დაწვრილებით გაცნოს განსვენებული მოამაგის ღვანლსა და პიროვნებას. წინასწარ-კი შევავედროთ უფალს გარდაცვალებულის სული და ვითხოვოთ მისგან — ნუ მოგვაკლებს თავის უხვს წყალობას და გაგვიმრავლოს ისეთი მოჭირნახულენი და მამულის მოყვარული მოამაგენი, როგორც იყო ნეტარხსენებული ისტორიკოსი დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე. საუკუნო იყოს ხსენება მისი მისგან დავალებულ ქართველთა შორის".

ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი“

ტაო-კლარჯეთი

პარხალი



თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინყებებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზათს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
 გთხოვთ დავაღიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
 სახალხო ბანკი, კრწანისის მე-2 ფილიალი, ანგარიში # 360851555 მფო. 220 101 406
 მიმღები 58, ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
 „საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ-გვერდი: <http://www.patriarchate.ge>
 ელ-ფოსტა: patriarchatepress@yahoo.com
 მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
 რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩაია
 სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი),
 მარიამ გაგუა, ნინო ვაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე,
 გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე ფინანსური მენეჯერი:
 ელასი ჯიბლაძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი;
 დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ბოლოოდ წარმოჩნდეს ორივე მხარის განსაკუთრებული როლი. დარეგულირება, რომელიც ყოველმხრივ გააუქმებს ეკლესიის დამოკიდებულებას სახელმწიფოზე და საზოგადოებრივ როლს, ამასთან ერთად — სახელმწიფოსაც გაათავისუფლებს იმ პრაქტიკისაგან, რომელიც უცხოა ევროპული კონსტიტუციური კულტურისათვის," - ნათქვამია დოკუმენტში.

ათონი მთის გარეგანი კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის დიალოგს არ მიესალმებიან

ათონელი ბერები ოფიციალური განცხადებით გამოვიდნენ კვიპროსზე კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის შერეული კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით.

მთანმინდის წმინდა კინოტმა განსაკუთრებული შეშფოთება გამოთქვა სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი საღვთისმეტყველო საკითხების გამო. კინოტმა თავისი აზრი საგანგებო განცხადებაში ჩამოაყალიბა, რომელიც 3 პუნქტისგან შედგება:

1. საუკუნეების განმავლობაში წმინდა მთა, იესო ქრისტეს მადლით, მუდამ რჩებოდა ერთგული წმინდა მართლმადიდებელი რწმენისა, რომელიც უფლის მოციქულებმა უანდერძეს ეკლესიას, ხოლო ჩვენმა ღმერთშემოსილმა მამებმა წმინდა მსოფლიო საეკლესიო კრებებით საუკუნეების განმავლობაში განამტკიცეს და უცვლელად ატარეს.

ეს გარდამოცემა ხელუხლებლად ინახებოდა ჩვენი წინამორბედი ათონელი მამების მიერაც.

2. როცა შევიტყვეთ, რომ კვიპროსზე იმართებოდა საერთაშორისო შერეული შეხვედრა მართლმადიდებელ და რომაულ-კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს შორის საღვთისმეტყველო დიალოგთან დაკავშირებით და აპირებდნენ, მასზე განეხილათ „რომის ეპისკოპატის როლი ეკლესიის ერთობაში (პირველ ათასწლეულში)“, — ჩვენი წმინდა კინოტი (მართალია, არ იცოდა ამ დიალოგის სრული შინაარსი) ძალიან შეშფოთდა, რადგანაც პაპის პირველობა ადრე განიხილებოდა ერეტიკული დოგმატიებისა და მისი საერო თვისების (ვატიკანის სახელმწიფო) უარყოფის კონტექსტში. ერთადერთი დასაშვები პირობა პირველობის თაობაზე საკითხის წამოსაწევად არის ის, რომ შეხვედრისას განიხილონ რომაელ-კათოლიკეთა დაბრუნება მართლმადიდებლურ რწმენაში და არა დოგმატთა „მრავალსახეობაში ერთობა“.

3. „მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს ერთადერთ და ერთიან, მსოფლიო და სამოციქულო ეკლესიას“, — განაცხადა მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოსმაც 2008 წლის 21 აგვისტოს, მთანმინდაზე სტუმრობის დროს. სწორედ ამის გვნამს და იმ რწმენის ერთგულნი ვართ, რაც წმინდა მამებმა იქადაგეს.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

არქიმანდრიტი გაბრიელი (აბაშიძე)

არქიმანდრიტი გაბრიელი — ერისკაცობაში გიორგი სამსონის ძე აბაშიძე იმერეთში 1868 წელს, აზნაურის ოჯახში დაიბადა. ოჯახში პირველდანიყებითი განათლების მიღების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად ყაზანის სასულიერო აკადემიაში ჩააბარა, სადაც მისიონერული კურსები დაამთავრა. შემდეგ იყო სანკ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის თავისუფალი მსმენელი. მონაზვნად შედგომის სურვილმა ახალგაზრდა გიორგი საბერძნეთში, ათონის წმინდა მთაზე წაიყვანა და ქართველთა წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სავანეში მივიდა. წლების განმავლობაში აქ მოღვაწე სულიერ მამებთან მოსაგრეობამ მას მონაზვნური ცხოვრების საკმაოდ კარგი გამოცდილება შესძინა. აი, რას წერს მის შესახებ დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი თავის წიგნში — „მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმინდა ათონის მთაზედ“: „მონაზონი გაბრიელი (აბაშიძე), ჯერ წლოვანობით ახალგაზრდა, გარნა განვითარებული და მცოდნე ბერძნულის ენისა“.

1899 წელს შემოდგომაზე გორის ეპისკოპოს ლეონიდეს (ოქროპირიძე) ლოცვა-კურთხევით, ათონის წმიდა

მთიდან რამდენიმე ქართველი ჩამოვიდა საქართველოში ბერმონაზვნობის განმტკიცების მიზნით და დავითგარეჯის უდაბნოში დამკვიდრდა. მათ შორის იყო მორჩილი გიორგიც. 1899 წლის 15 დეკემბერს დავითგარეჯის მონასტერში მეუფე ლეონიდემ იგი ბერად აღკვეცა და სახელად გაბრიელი უწოდა. ამავე წლის 17 დეკემბერს დიაკვნად აკურთხა. 1901 წლის 2 აგვისტოს დავითგარეჯის მონასტრის ხაზინადრად დაინიშნა. ამავე წლის 12 აგვისტოს მღვდლად დაასხეს ხელი. 1902 წლის 23 იანვარს დავითგარეჯის მონასტრის წინამძღვრის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დაადგინეს. 1903 წლის 17 იანვარს თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მონასტერში გადაიყვანეს. 1904 წლის 21 ივლისს საგვერდულით დააჯილდოვეს. 1909 წლის 13 ივლისს ქვათახევის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტრის საძმოში ჩაირიცხა. 1909 წლის 20 სექტემბრიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში არსებულ წმინდა ანდრია მოციქულის სახელობის ეკლესიაში დადგინდა. ამავე წლის 1 დეკემბერს, კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი

საზოგადოების საბჭოს მიერ, ბათუმის ოლქის მისიონერად და ხულოს ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1910 წლის 22 თებერვალს, როგორც ბათუმის ოლქის დეპუტატი, მონაწილეობდა გურია-სამეგრელოს ეპარქიის საეკლესიო ყრილობაზე. 1912 წლის 13 თებერვალს თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მონასტერში განამწესეს, სადაც მედავითნეობისა და გალობის მასწავლებლობაც დაეწავლა. ამავე წლის 5 ივლისს, წმინდა სინოდის დადგენილებით, ჯრუჭის წმინდა გიორგის სახელობის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა და 15 ივლისს არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა.

1913 წლის სექტემბერში, მამა გაბრიელის თაოსნობით, მონასტერში გაიხსნა ერთკლასიანი სასწავლებელი. აი, რას წერს ამის შესახებ გაზეთ „სახალხო ფურცელში“ ამავე მონასტრის მორჩილი, მედავითნე ფარნაოზ ზაბახიძე: „ჯრუჭის მონასტერში გაიხსნა ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა. ოც სექტემბერს ამ სკოლაში სწავლა დაიწყო. ორმოცამდე ადის მოსწავლეთა რიცხვი. ეს პირველი წელიწადია და მომავლისთვის მოსალოდნელია ერთი სამად მეტი იყოს, რადგანაც ეტყობა სწავლის მსურველი ბევრია. სკოლა ყველას ჰლოვება და ბავშვებს შეუძლიათ თავის სახლიდან არონ. ამის მოლოდინში ამ მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ მამა გაბრიელს აზრად აქვს მომავალი წლიდან ორ კლასიანად გადააკეთოს. ამ მონასტერშივე მამა არქიმანდრიტმა დაარსა ორი წლის სამედავითნეო კურსი, რომელიც იმერეთის ეპარქიაში არ არსებობდა. ჯერჯერობით მოსწავლე შევიდამდის არის და თანდათან მთხოვნელთა რიცხვი უფრო მატულობს, რადგან მონასტერში სწავლა უფასო იქნება მაშინ, როდესაც ქუთაისში სამედავითნეოდ მომზადებისათვის ორას-სამასი მანეთი არ ჰყოფნის. მამა არქიმანდრიტ გაბრიელსა ჰსურს შეიძინოს რამოდენიმე მიწის სამუშაო მანქანები, რომელიც პირველად სამონასტრო ადგილში იმუშავენ და თუ გამოდგა, ადგილის მიხედვით, მცხოვრებლებსაც შეუძლიათ ისარგებლონ ამ მანქანებით. ჯრუჭის მონასტერი მთავრობის მიერ პირველ ხარისხოვანად არის მიწერილი და, მართლაც, ეს მონასტერი ყველა ქართულ მონასტრებს აღემატება სიმდიდრით, როგორც ეკლესიური ძვირფასი სამკაულით, ისე სხვა უძრავი ქონებით, რადგან ამ მონასტრის ქონება ხაზინაზე არ გადასულა და ისევ მონასტერს აქვს შენარჩუნებული. თუ ყოველთვის ისეთი ხალხის გულშემატკივარი წინამძღვარი ეყოლება ამ მონასტერს, როგორც არის მამა გაბრიელი, ბევრი რამე შეუძლიან გააკეთოს მონასტრისა და ხალხის სასარგებლოდ“.



არქიმანდრიტი გაბრიელი (აბაშიძე)

საბერძნეთში, ათონის წმინდა მთაზე გაზრდილმა მამა გაბრიელმა, წინამძღვრად დანიშვნისთანავე მონასტერში მკაცრი წესრიგი დაამყარა და ტიბიკონიც საკმაოდ დაუძძიმა იქ მოღვაწე ბერებს. ამასთან დაკავშირებით, 1912 წლის დეკემბერში მონასტრის კრებულის ზოგიერთმა წევრმა და გლეხების ერთმა ნაწილმა საჩივარი შეიტანა მის სახელზე. აი, რას წერდა ანონიმი ავტორი ჟურნალ „მინაური საქმეებში“ — „შობა-ახალ წლის შუა რიცხვებში ქუთაისის რკინის გზის სადგურზე შევხვდი ოთხს თუ ხუთს ბერს. მე გასაკვირვლათ დამირჩა ამდენი ბერის ერთად მოგზაურობა და ისიც სუსველა მოხუცებულების მისთანა ცუდ ამინდში, როგორც იყო იმ დღეებში. მე მისალმების შემდეგ ვკითხე, თუ რომელი მონასტრიდან ბრძანდებით-თქო. ჯრუჭის მონასტრიდან გახლავართო, ნაღ-

ლიანად მომიგეს. მერე გამოვკითხე მათი მგზავრობის მიზეზი. ბოლოს ერთმა დაიწყო: „ჩვენ, ბატონო, გახლავართ ჯრუჭის მონასტრიდან. ჩვენ მონასტერში სულ შეიდი მღვდელ-მონაზონი ვართ, წეს-წყობილებაც ჩვენს მონასტერში იმნაირივეა, როგორც სხვა იმერეთის მონასტრებში. დღემდის ავით იყო, თუ კარგად, ვცხოვრობდით ჩვენს მონასტერში და ღვთის ვედრებაში ვატარებდით ჩვენს დღეს, მაგრამ ეს ექვსი თვეა, ჩვენი ცხოვრება აღარ ღირს და ყველა სიკვდილს ვნატრობთ. ამ ექვსი თვის წინეთ ჩვენ გამოგვიგზავნეს ახალი არქიმანდრიტი აბაშიძე. მოსვლისთანავე მამა არქიმანდრიტმა დაგვიწუნა წირვა-ლოცვა. თქვენ წირვა-ლოცვა არ გცოდნიათ და ახლა უნდა ისწავლოთო. რაღა დროს ჩვენი სწავლა არის ახლა, ბატონო, კაცები მოვხუცებულვართ და ჩვენი წირვა-ლოცვა კაცს არ დაუწუნია. ხშირათ ბრძანდებოდნენ ხოლმე ჩვენს მონასტერში ეპისკოპოსები — გაბრიელი, ლეონიდე და ბესარიონი-თქო. მაგრამ არ მიიკარა ჩვენი სიტყვები. მერე აგვიტყდა, როგორ თუ მოხუცებულებს შტატი დაგიკავებიათო. თქვენ ადგილზე ყმანვილები უნდა მოვიყვანო და ჯამაგირიც და შემოსავალიც ჩემს ნებაზე უნდა იყოსო. დღეიდან არავითარ შემოსავალს არ ელოდოთ და არც ჯამაგირსო. ჩვენ ამაზე არ დავყაბულდით, ის გაბრაზდა და ნიკოლოზობას, ექვს დეკემბერს, წირვის შემდეგ, სახალხოთ გამოგვიცხადა, დღეიდან ეკლესია დაკეტილი იქნებაო და აი, ხალხოვო, მიმართა ხალხს: ეკლესია სავსეა ყოველიფრით და თუ რამე დაიკარგა, ბერებს იქით გზა არ მაქსო. ეკლესია კი დღეიდან დაკეტილი იქნებაო. თითო ძროხა თუ ვისმე გაგვაჩნდა, აღარ გაგვაშვებია და ყოლების ნება აღარ მოგვცა. ერთ დღეს დაიჭირა და სოფლის პომოშნიკის ხელით

ინგილო ბავშვები სტუმრად საპატრიარქოში

29 ოქტომბერს საპატრიარქო რეზიდენციაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მიიღო და დალოცა ინგილო ბავშვები. საინგილოდან ბავშვები პედაგოგებთან ერთად თბილისის მერიის პროექტის ფარგლებში ჩამოვიდნენ. საპატრიარქოში ბავშვები მერიის წარმომადგენლებმა მოიყვანეს.



კათოლიკოს-პატრიარქმა ბავშვებს საჩუქრად გადასცა 1000 დოლარი და ძვირფასი ნივთები; ბოლოს მათთან ერთად სამახსოვრო ფოტოები გადაიღო.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II აზერბაიჯანში მიემგზავრება

4 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, თანმხლებ პირებთან ერთად ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანს ეწვევა, სადაც ბაქოში მონაწილეობას მიიღებს კავკასიის მუსლიმთა მმართველი ორგანოს მეთაურის, შეიხ-ულ-სლამ ალაჰშუკურ ფაშაზადეს 60 წლისთავის იუბილესა და მისი მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში.

ბატონი ალაჰშუკურ ფაშაზადე გახლავთ პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. 1986 წლიდან არის იორდანის სამეფო აკადემიის ნამდვილი წევრი. 1992 წლიდან აირჩიეს კავკასიის მუსლიმ ხალხთა უმაღლესი რელიგიური საბჭოს თავმჯდომარედ.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის მუსლიმთა მმართველი ორგანო, რომელსაც ბატონი პაშაზადე ხელმძღვანელობს, 1943 წელს სტალინის მიერ არის დაფუძნებული და იმხანად მას ეწოდებოდა — „ამიერკავკასიის მუსლიმთა სულიერი მმართველობა“.

გვარაგის დალოცვა

1 ნოემბერს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში წირვაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დალოცა აბაშიძეების, ხერგიანების, ჩანადირების, ჩივაძეების, ცხვედაძეებისა და ხვიჩიების გვარები.

იმავე დღეს კათოლიკოს-პატრიარქმა დალოცა 42-ე საჯარო სკოლა და სკოლა-ლიცეუმი „კაი ყმა“.

დაჯილდოება

25 ოქტომბერს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში წირვაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და ილუმენის წოდება მიანიჭა მღვდელ-მონაზონ ვახტანგს (ლიპარტელიანს).

1 ნოემბერს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში წირვაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მცხეთის ანტიოქიის დედათა მონასტრის წინამძღვრად დანიშნა და ოქროს ჯვრით დააჯილდოვა მონაზონი ბარბარე (კაპანაძე).

ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად—აზნაურთა სკოლა—ლიცეუმი აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას

თქვენ შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ ახალი, წარმატებული საქართველოს მშენებლობაში, ჩვენ კი მოგცემთ მაღალი ხარისხის განათლებასა და პერსპექტივას, გქონდეთ სტაბილური მომავალი და ღირსეული ადგილი დაიმკვიდროთ წარმატებულ ადამიანთა შორის, — მობრძანდით ჩვენთან, რადგან ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად—აზნაურთა სკოლა—ლიცეუმი გთავაზობთ:

საუკეთესო, მართლმადიდებლური სკოლის ტრადიციებზე ორიენტირებულ მშვიდ გარემოს; გაცვლით პროგრამებს პოლონეთთან, იაპონიასთან, აშშ—სთან;

მაღალკვალიფიციური პედაგოგების გულითად დამოკიდებულებას...

ლიცეუმში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარდა, ლიცეანტები გაძლიერებულად ეუფლებიან: უცხო ენებს (ინგლისური, გერმანული, რუსული, ბერძნული, (შესაძლოა — იაპონური, ფრანგული) რელიგიის ისტორიას, კატეხიზმოს, გალობას, ხუცურს, ეკლესიის ისტორიას, ოქრომკედს, ქართულ ცეკვას, ზრიდოლს, ჭადრაკს, მუშაობს მუსიკალური სტუდია...

სასწავლო პროგრამა მოიცავს 12-წლიან ციკლს (აქვე ფუნქციონირებს მოსამზადებელი განყოფილება 4—5 წლიანთათვის). სწავლების მესამე საფეხურიდან (მე—11, მე—12 კლასები) გათვალისწინებულია სპეციალიზაცია ჰუმანიტარული, იურიდიულ—ეკონომიკური მიმართულებით. ლიცეუმის ყველა კურსდამთავრებული წარმატებით აბარებს ეროვნულ გამოცდებს.

და რაც მთავარია, სკოლა—ლიცეუმი საპატრიარქოსა და განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაშია: ლიცეუმს დირექტორთან, ქ—ნა ბაგრატიონ — მუხრანელთან ერთად პატრონაჟს უწევს მიხეილ ტვერელის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ალექსანდრე (ჩახვაშვილი). მოსწავლეთა სწავლა—აღზრდის ურთულესი პროცესი წარიმართება მართლმადიდებელი ეკლესიის, ეროვნული ტრადიციების, ღირსების, ზნეობის, ცოდნის განვითარება—გაღრმავების საფუძველზე.

ჩვენთან უთუოდ შეძლებთ თქვენი ნიჭის გამოვლენას და საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზაციას.

დაგვირეკეთ, გელით!

გერმანიაში მორწმუნეანი მონივრულ ასაკში ხდება

გერმანიაში გამოქვეყნდა კვლევის შედეგები თემაზე — „როგორ ხდებიან უფროსები მორწმუნეები?“ კვლევით მასალად ხუთასზე მეტი ადამიანის მტიცებულება გამოიყენეს. აღმოჩნდა, რომ რწმენასთან დაახლოება მუდამ შეიძლება, რელიგიური განათლების არქონის შემთხვევაშიც და ეკლესიასთან დაშორების შემდეგაც. გამოკითხულთა უმეტესობა უფალს ორმოცი წლის ასაკში დაუახლოვდა; მიზეზები განსხვავებულია, მათ შორის არის — ცხოვრების არსის ძიება, ნაცნობ ქრისტიანთა მიბაძვა, ინტერესი და სულიერი განსაცდელი.

გამოკვლევის ინიციატორები სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციები იყვნენ, რომელთაც სურდათ უკეთ შეესწავლათ ადამიანისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულება.

მსოფლიო საპატრიარქოში მაკედონიის ავტოკეფალიის საკითხი განიხილეს

კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ბართლომეოსმა განაცხადა, რომ მაკედონიის ეკლესიის მართლმადიდებლურ სამყაროში აღიარება საერთოეკლესიური საკითხია, — იუწყება მაკედონიის პრესა. მაკედონიის პრეზიდენტ გიორგი ივანოვთან შეხვედრის დროს პატრიარქმა ბრძანა, რომ ეს თემა ადგილობრივმა მართლმადიდებლურ ეკლესიათა მეთაურებმა უნდა გადაწყვიტონ. მაკედონიის პრეზიდენტმა თურქეთში მსოფლიო პატრიარქთან სტუმრობის შემდეგ აღნიშნა, რომ უნეტარესმა ბართლომემ გამოთქვა სურვილი, მიეღო ინფორმაცია იმ ყველაფერზე, რაც მაკედონიაში ხდება. ამასთან, მან იცის ამ საკითხის თანამედროვე მდგომარეობა და განაცხადა, რომ როცა საბოლოოდ ეს პრობლემა მოგვარდება, სურს ეწვიოს მაკედონიას.

მოამზადა თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე ეპისკოპოსი ბესარიონი (დადიანი) 1832-1900

ეპისკოპოსი ბესარიონი — 1832 წელს სამეგრელოში, თავადის ოჯახში დაიბადა. იგი იყო შვილიშვილი სამეგრელოს მთავრის მანუჩარისა, გრიგოლ დადიანის ძმისა. სიყრმიდანვე იზრდებოდა მარტვილის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტერთან არსებულ სასულიერო სასწავლებელში, სადაც საფუძვლიანი აღზრდა-განათლება მიიღო. საბერო მორჩილება ჯრუჭის წმიდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში გაიარა. 1849 წლის 6 აგვისტოს იმერეთის მიტროპოლიტმა დავითმა (წერეთელი) ბერად აღკვეცა და სახელად ბესარიონი უწოდა. ამავე წელს დიაკვნად აკურთხა. 1857 წლის 16 ნოემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა გერმანემ (გოგოლაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი. 1859 წლის 20 დეკემბერს არქიმანდრიტის წოდება მიანიჭეს. 1860 წლის 20 მარტს ჯრუჭის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. 1865 წლის 7 დეკემბრიდან გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად გადაიყვანეს. 1869 წელს წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. 1871 წლიდან საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად



არქიმანდრიტი
ბესარიონი (დადიანი)

აირჩიეს. 1873 წელს წმინდა ანას II ხარისხის ორდენი ეწყალობა. 1874 წლის დეკემბერში სამეგრელოს ეპარქიის მღვდელმთავრად გამოირჩიეს. 1875 წლის 12 იანვარს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში საქართველოს ეგზარქოსმა ევსევიმ (ილინსკი), გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) და იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) ეპისკოპოსად დაასხეს ხელი და იმერეთის ეპარქიაში შემავალ სამეგრელოს ეპარქიის ქორეპისკოპოსად დანიშნეს. 1886 წლის 1 მარტს ალავერდის ახლად ამოქმედებული ეპარქიის მმართველად გადაიყვანეს, რომელსაც 1898 წლის 6 ივნისამდე განაგებდა. ამასთანავე, დაინიშნა შუამთისა და ალავერდის მამათა მონასტრების წინამძღვრად. შუამთის მონასტერი მისი მეცადინეობით ჩატარდა სარესტავარციო სამუშაოები, გარემონტდადა კეთილმოეწყო ბერების საცხოვრებელი სახლი. 1887 წლის 5 აპრილს წმინდა ანას I ხარისხის ორდენი უბოძეს. 1895 წელს ეპისკოპოს ის (ქიქოძე) ავადმყოფობის გამო, წმინდა სინოდმა დროებით დანიშნა იმერეთის ეპარქიის მმართველად. 1896 წლის იანვარში, მეუფე გაბრიელის გარდაცვალების შემდეგ, იგი დატოვეს ორივე ეპარქიის მმართველად. 1898

ნლიდან მხოლოდ იმერეთის ეპარქიის მმართველია.

მღვდელმთავრობის უკანასკნელ წლებში მეუფე ხშირდა ავადმყოფობდა. 1900 წლის მაისის თვეში მან ექიმების რჩევით გამოითხოვა სასულიერო მთავრობისაგან ორი თვით სამსახურიდან დასვენება. უწმინდესმა სინოდმა შეიწყნარა მისი თხოვნა და პირველ ივლისამდე მისცა ორი თვის შვებულება. ივლისის თვეში გაემგზავრა უწერაში, სადა დანაც კვლავ მძიმე მდგომარეობით დაბრუნდა. ავადმყოფის ჯანმრთელობა დღითიდღე უარესდებოდა და ბოლოს ექიმებმა იმედი გადაიწურეს. პირველ აგვისტოს მეუფე ეზიარა და აქედან მოყოლებული, თითქმის უგრძობლად იყო ლოგინში. სამ აგვისტოს, ნაშუაღმევს პირველის ნახევარზე ზარების სამგლოჯიარო ხმამ ყველას აუნყა ყოვლადსამღვდელო ბესარიონის გარდაცვალება.

9 აგვისტოს, დილის 9 საათზე, ყოვლადსამღვდელოს სასახლეს უამრავი ხალხი მოაწყდა. ქუთაისის ყველა ეკლესიაზე დაირეკა სამგლოჯიარო ზარები. მთელი ქალაქის და მახლობელი სოფლების სამღვდელოება შეიკრიბა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ეკლესიაში. აქ შეიმოსნენ და აქედან გაემგზავრნენ მღვდელმთავრის სასახლეში. მობრძანდნენ ეპისკოპოსი ალექსანდრე და ლეონიდე. გადაიხადეს მცირე პანაშვიდი. შემდეგ სამღვდელოება გაემართა საკათედრო ტაძრისაკენ. კუბოს მიასვენებდნენ არქიმანდრიტნი — ქუთაისის სემინარიის რექტორი ბენიამენი (ბარნუკოვი), სერაპიონი (ახვლედიანი), ბესარიონი (ახვლედიანი), სიმონი (აფაქიძე), ნიკიფორე (კანდელაკი) და დეკანოზი გაბრიელ აგარეიშვილი. როგორც კი მიასვენეს ტაძარში, დაიწყო წირვა. მწირველნი ბრძანდებოდნენ მეუფე ალექსანდრე და მეუფე ლეონიდე, ზემოხსენებული არქიმანდრიტები, დეკანოზები — გაბრიელ აგარეიშვილი და რაჟდენ გიგაური. წირვის დასრულების შემდეგ აღესრულა წესის აგება. ვინაიდან ამ დღეს ვერ მოასწრეს საფლავის გაჭრა საკათედრო ტაძარში, ყოვლადსამღვდელოს გვამი ტაძარში მესამე დღეს დაკრძალეს.

შემორჩენილია ეპისკოპოს ბესარიონის სიტყვა, წარმოთქმული 1893 წლის 4 აპრილს, ყვარლის ტაძრის კურთხევის დღეს: „სული ჩემი აღივსების ნეტარებითა და გული მითქვამს სიამოვნებასა, ვხედავ რა მშვენიერის ხელოვნებით აღნაგებდა ეკლესიასა და გადამეტებულის თავდადებით მის ღირსეულად შემკულებასა. რა არის ესა, თუ არა შესრულება მაცხოვრის სიტყვისა, რომელიც ამბობს: „უკეთუ გაქვნდეს სარწმუნოება, ვითარცა მარცვალი მდოგვისა, არქვითმცა მთასა ამას, აღიფხვარ და დაენერგე ზღვასა შინა, ისმინოს თქვენი“ (ლუკ. 17, 6). როგორ შესძლო კაცმან ერთეულსა თვისსა სიცოცხლესა ეგოდენი ნაყოფის გამოღება, თუ არა სარწმუნოებითა თავისითა? მარადის ყოფილან და იქმნებიან დიდნი საქმენი ნაყოფად რწმუნებისა! იქონიეთ რწმუნება ჭეშმარიტი და შეიქმნებით მომ-



ბელატიის მონასტრის საქმომ XIX საუკუნის 60-იან წლებში. ცენტრში არქიმანდრიტი ბესარიონი (დადიანი)

ქმენი გასაოცართა საქმეთა! ვინ არს, რომელ არ განსცვიფრდეს მშვენებითა ამა სახლისა ღვთისათა?

მოვედით, საყვარელნო დანო და ძმანო ჩემნო, დასტკბით სულიერითა სიამოვნებითა, რამეთუ ნაშენი ესე არს ღირსეული სამყოფელი სამებისა და ერთარსებისა ღვთისა! მოვედით და მიიღეთ მღვდელმთავრისაგან წრფელი და გულითადი მოლოცვა ეკლესიისა ამის დამთავრების გამო. მოვედით, გულით განწმენდილნი და გონებით ამაღლებულნი, რამეთუ ამიერიტგან ადგილი ესე არის სახლი ღვთისა, რომელსა შინა შეიძლება მხოლოდ ღვთისადმი ამაღლებულის გონებით განწმენდილის გულით ლოცვა. „სახლსა ჩემსა სახლ სამლოცველო ეწოდოს“ (მათ. 21, 13.), ამბობს უფალი ჩვენი იესო ქრისტე. გახსოვდეთ, რომ ლოცვა საერთო, ლოცვა ბევრთაგან ღვთისადმი მიმართული, ძლიერია უფლისა წინაშე: „უკეთუ ორნი თქვენგანნი შეითქვენეს, რომელიცა ითხოვონ, ეყოს მათ მამისა ჩემისაგან ზეცათასა, რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი, გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა“ (მათე 18. 19. 20). გახსოვდეთ, გულსა შინა თქვენსა მტკიცედ ჩაინერგეთ, რომელ ერთადერთი ადგილია ეკლესია, რომელსა შინაც შეძრწუნებულნი მიიღებენ შვებასა, შენუხებულნი ნუგეშსა და შემდრკალნი ჭეშმარიტსა მსვლელობასა. ამიერიდგან, გაიგონოთ თუ არა ზარის ხმა, მოაშურეთ ეკლესიასა საერთო ლოცვისათვის. გახსოვდეთ, რომელ ვინც იმ დროს, რომელიც დანიშნულია საერთო ლოცვისათვის გაატარებს ლაზღანდარობაში, გაატარებს უდროოდ სმასა და ჭამაში, იგი მოქმედია სამისა მომაკვდინებელისა ცოდვისა: პირველად, იგი არის უარის მყოფელი უკვდავისა სულისა თვისისა, რადგან არა ზრუნავს მისთვის;

ფოტომატიკა

მეორედ, იგი არის მაგალითითა თვისითა წამბილ-წავი უმანკოსი და ნორჩისა თაობისა, ამისთანებზე ამბობს მაცხოვარი: „რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირედთაგანი, უმჯობესია მისთვის შეიბას წელზე წისქვილის ქვა და ჩავარდეს ზღვაში“ (მარკ. 9, 42); და მესამედ — იგი არის მტერი თვითოეულისა მეზობლისა თვისისა და ყოველთა მოძმეთა თვისთა, რადგან საერთო ლოცვას არ უერთებს თვისსა ლოცვასა. ამაზე ამბობს მაცხოვარი: „ღვარძლნი იგი არიან ძენი უკეთურისანი“ (მათ. 13. 33). ამისთანა კაცი დიდად და ფრიად დიდად აღმატება თვისითა მოქმედებითა მას, რომელიც საზოგადო საქმის შესრულებაში არა თუ შველის თვისითა ღონისძიებითა, არამედ უშლის. რას იტყოდით, ქრისტეს მიერ დანო და ძმანო, იმ კაცზედ, რომელიც საზოგადოდ სასარგებლო საქმის შესრულებას ხალხს უშლის, თუნდა მაგალითით თვისითა? რაიცა გულსა შინა თქვენსა განიზრახოთ მისთანა კაცზედ სათქმელად, იმავე აღმატებით სთქვას თვითვეულმა თქვენგანმა თავსა თვისსა ზედა მაშინ, როდესაც საერთო ლოცვას უმიზეზოდ მოაკლდება. დროის უქონლობისა გამო ვერ ვიტყვი, რამდენად დიდი გავლენა აქვს საერთო ლოცვაზე სიარულს ჩვენის სულის ამაღლებაზედ, გულის განწმენდაზედ და ხასიათის შემუშავებაზედ. ვიტყვი მხოლოდ, რომ თქვენში გონებით განვითარებულნი თუ ამ საქმეში მაგალითად აიღებენ ინგლისელთა და მიჰბაძავენ მათ, მაშინ დანარჩენნი განვითარებულთა მაგალითით საკმაოდ ისარგებლებენ.

მოვედით, პატიოსანნო მსმენელნო, ჩემთან ერთად ნიკოლოზ ზურაბის ძის დიდხანს, სიმრთელით და ბედნიერებით სიცოცხლისათვის ვილოცოთ. შევსთხოვოთ ღმერთსა, განამრავლოს მისთანანი ჩვენში. მივმართოთ მას და ვუთხრათ: აჰა, ესე რა შენთანა არს ნათლისმცემელი იოანე, რომელმან დაიმკვიდრა აღნაგებსა შენსა. უფალმან დაგიცვას და დაგიფაროს ყოვლისაგან ბოროტისა. გაკურთხოს ღმერთმა, რომელმან შექმნა ცა და ქვეყანა. მადლმან და სასნაულმან ნათლისმცემელისამან, ვედრებამან ამა სამღვდელოსა კრებულისამან და ლოცვამან ესე ოდენთა ქალთა და კაცთა, აქა მდგომარეთა, მოგცეს ძალნი ძლი-



ეპისკოპოსი ზესარიონი (დადიანი)

ერი, რომ უფრო ღრმად დასტოვო ნაკვალევი შენი და კეთილთა მაგალითითა, „ვითარცა ელვა რა გამობრწყინდის მზისა აღმოსავალით და სჩანან ვიდრე დასავალამდე“ (მათ. 24, 27), განუბრწყინებდე მოძმეთა შენთა გზასა. აკურთხოს უფალმან ყოველნი, რომელნი საქმითა, გინა სიტყვითა შემწენი იყვენენ შენნი ამ წმიდა საქმეში. გარდმოავლინოს უფალმან ანგელოზი ძლიერი, ანგელოზი მცველი და წინამძღოლი თქვენთვის, რომელთა მიიღეთ შრომა და მონანილეობა ეკლესიისა ამის აღშენებაში. გვასმინოს ჩვენც ძლევა-შემოსილება კეთილთა საქმეთა მარადის და თქვენ, ყოველნო აქა მდგომარენო, „კვერთხი ძლიერებისა გამოგივლინოთ უფალმან სიონითა“ (ფსალ. 109, 2) ამიერიდგან და უკუნისამდე, ამინ“.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

ბოსვით, გააქვით გაუფრთხილად მასში ღვაჭილი მასალისი გამო

გთხოვთ დავაღიანებთ გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი, კრწანისის მე-2 ფილიალი, ანგარიში # 360851555 მფო. 220 101 406
მიმღები: ნ. პეტრია პირველნოდების სახელობის ეკლესია
„საპატრიარქოს უწყისების“ ვებ-გვერდი: <http://www.patriarchate.ge>
ელ-ფოსტა: patriarchatepress@yahoo.com
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა

სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე ფინანსური მენეჯერი: ელასი ჯიბლაძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ხელდასხვა

8 ნოემბერს ქ. რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში, ცურტავის ეპისკოპოსმა იოანემ (გამრეკელმა) მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ ირაკლი დუმბაძეს.



მღვდელი ირაკლი თბილისის წმინდა ასი ათას ქართველ მოწამეთა სახელობის ტაძარში (დიდ დილომში) იმსახურებს.

სამძივარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ 3 ნოემბერს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თბილისის წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძრის (სასაფლაოზე) მოძღვარი, მღვდელ-მონაზონი ანტონი (ავალიანი) და სამძიმარს უცხადებს მის მრევლსა და ახლობლებს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული მღვდელ-მონაზონი ანტონის სული.

ზედგენიძეთა შიკრება

საპატრიარქო რეზიდენციაში

12 ნოემბერს, დღის 12 საათზე, ზედგენიძეთა სახელოვანი გვარის წარმომადგენლები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს შეხვდებიან.

13.00 სთ. ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში მღვდელმსახურები ახლად შერაცხილ წმინდა მოწამე იოთამ ზედგენიძის სახელზე სავედრებელ პარაკლისს აღავლენენ.

ნიკო ბაგრატიონის სახელობის

თავად—აზნაურთა

სკოლა—ლიცეუმი აგრძელებს მიღებას

ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად—აზნაურთა სკოლა—ლიცეუმი გთავაზობთ:

საუკეთესო, მართლმადიდებლური სკოლის ტრადიციებზე ორიენტირებულ მშვიდ გარემოს;

გაცვლით პროგრამებს პოლონეთთან, იაპონიასთან, აშშ—სთან;

მაღალკვალიფიციური პედაგოგების გულითად დამოკიდებულებას...

ლიცეუმში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარდა, ლიცეანტები გაძლიერებულად ეუფლებიან: უცხო ენებს (ინგლისური, გერმანული, რუსული, ბერძნული, (შესაძლოა — იაპონური, ფრანგული) რელიგიის ისტორიას, კატეხიზმოს, გალობას, ხუცურს, ეკლესიის ისტორიას, ოქრომკედს, ქართულ ცეკვას, ხრიდოლს, ქადრაკს, მუშაობს მუსიკალური სტუდია...

სასწავლო პროგრამა მოიცავს 12 წლიან

ციკლს. (აქვე ფუნქციონირებს მოსამზადებელი განყოფილება 4—5 წლიანათვის) სწავლების მესამე საფეხურიდან (მე—11, მე—12 კლასები) გათვალისწინებულია სპეციალიზაცია ჰუმანიტარული, იურიდიული—ეკონომიკური მიმართულებით.

სკოლა—ლიცეუმი საპატრიარქოსა და განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაშია: ლიცეუმს დირექტორთან, ქ—ნ ია ბაგრატიონ მუხრანელთან ერთად პატრონაჟს უწევს მიხეილ ტვერელის სახელობის ტაძრის წინამძღვარი მამა ალექსანდრე (ჩახვაშვილი).

თბილისის ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად—აზნაურთა სკოლა—ლიცეუმის მისამართია: ქ. თბილისი, პეკინის 44, სასტუმროს შენობა, III სართ.

ტელ.: 36-12-58; 92-12-52; 64-75-91; 51-40-37; 899-42-30-11; 899-10-34-53; 899 63 22 02.

საპატრიარქოს რელიგიური

ტურიზმის დეპარტამენტის

განცხადება

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გინვევთ მოილოცოთ წმინდა ადგილები:

ზარზმა-ჭულევი (ხსენება წმ. სერაპიონ ზარზმელისა) 11 ნოემბერი; გასვლა შაბათს 7 სთ; ფასი 30 ლ; სამთავისი, ატენის სიონი, უფლისციხე 14 ნოემბერი; შაბათი; გასვლა 8სთ; ფასი 17 ლ;

რუისი-ურბნისი-ბრეთი 15 ნოემბერი; კვირა; გასვლა 8 სთ; ფასი 16 ლ;

ტიმოთესუბანი, სადგერის წმ.გიორგი, მწვანე მონასტერი 21 ნოემბერი; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 19 ლ;

გარეჯი 22 ნოემბერი; კვირა; გასვლა 8სთ; ფასი 15 ლ;

უბისა-ტაბაკინი (ხსენება დიდმოწამისა გიორგისა) 23 ნოემბერი; ორშაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 19 ლ;

შავნაბადა (ხსენება დიდმოწამისა გიორგისა) 23 ნოემბერი; ორშაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 14 ლ;

სარკის წმ გიორგი (ხსენება დიდმოწამისა გიორგისა) 23 ნოემბერი; ორშაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 16 ლ;

ტაო-კლარჯეთი 13-15 ნოემბერი; საბუთების მიღება 11 ნოემბრამდე; ფასი 150 \$ გასვლა 7:00 სთ.

იტალია (ნიკოლოზობის დღესასწაულისათვის) 15-24 დეკემბერი; ფასი 1600-1700€; საბუთების მიღება 16 ნოემბრამდე;

ისრაელი წმიდა მიწა-ეგვიპტე მაცხოვრის შობის დღესასწაულისათვის 1-8 იანვარი; საბუთების მიღება 10 დეკემბრამდე; ფასი 1500-1600\$

მომლოცველებს მოემსახურება გიდი.

ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე:

„წმიდა კუთხე“ ბახტიონის ქ. 8

ჩიტაიას ქ. 39 ; ლესელიძის ქ.30

ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძართან არსებული მაღაზია, რუსთაველის 9 დიდუბის ლეთისმშობლის

ფოტომატიკა

მიტროპოლიტი დავითი (კაჭახიძე) 1872-1935

მიტროპოლიტი დავითი — ერისკაცობაში ექვთიმე ოქროპირის ძე კაჭახიძე 1872 წლის 15 ოქტომბერს, ქუთაისის გუბერნიაში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება პატარა ექვთიმემ მამის მეთვალყურეობით მიიღო. 1883-1889 წლებში სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, რომლის დასრულების შემდეგ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა. შემდგომში იპოლიტე ვართაგავა მის შესახებ წერდა: „იგი ბავშობიდანვე განმარტოვებული იყო, სემინარიაში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ეკლესიურ, რელიგიურ საკითხებზე. ყველა ამხანაგი დარწმუნებული იყო, რომ ის ანაფორას ჩაიცვამდა. სემინარიაში მასწავლებლები მას ავალებდნენ ქადაგების დაწერას თბილისის ეკლესიებში წარმოსათქმელად...“

1895 წელს, როგორც წარჩინებულ მოსწავლეს, რეკომენდაცია მიეცა ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლა გაეგრძელებინა. 1897 წლის 25 ოქტომბერს მესამე კურსის სტუდენტი, აკადემიის რექტორმა, ჩებოკსარის ეპისკოპოსმა ანტონმა (ხრაპოვიცი) ბერად აღკვეცა და სახელად დავითი უწოდა. ქართულმა სამღვდელოებამ და საზოგადოებამ დიდი სიხარული განიცადა კიდევ ერთი ახალგაზრდა, ნასწავლი ბერის შემატებით. ამ მოვლენის შესახებ, ცნობილი იმერელი დეკანოზი დავით ლამბაშიძე თავის ჟურნალ „მწყემსში“ გახარებული წერდა: „ვინც ჩვენს ეხლანდელი დროის სამღვდელოების და საზოგადოების სასულიერო წოდების მდგომარეობას თვალს გადაავლებს, ვინც კარგად ჩაუკვირდება ჩვენი ეხლანდელი დროის ვითარებას და საზოგადო ასპარეზზე მუშაკთა შემცირებას, რასაკვირველია, გული მწუხარებით აევსება და იმედს დაკარგავს ჩვენს მომავალზე. ყოველის მხრით გაისმის მწუხარება და ჩივილი, რომ აღარა გვყავს ნასწავლი პირები შავ სამღვდელოებაში, აღარავინ აცხადებს სურვილს ბერად წასვლისას ნასწავლთაგანებო! ჩვენი მონასტრები, რომელთა წყალობით ჭეშმარიტი ქრისტიანობრივი სარწმუნოება და ზნეობა მთელ მხარეს ეფინებოდა და ხალხის გულში მაგრად ფესვს იდგამდა, დღეს თითქმის ცარიელდებიან. იმ მონასტრებში, სადაც წინათ ღვთის გალობა-ღალადების ხმა ყოველ მსმენელს გულს უტკობდა და ამაო ამ ქვეყნიერობის მწუხარებას უქარვებდა, იქ დღეს ერთადერთი მედავითნის გალობის ხმა ისმის მარტო და ისიც, ღმერთმან უწყის, რა კილოსია! ამაების შემხედვარეს, რასაკვირველია, გული გინუხს და სასონარკვეთილებას ეძლევი. მაგრამ ეს უკანასკნელი დრო რალაცა ნაღმა მობრუნდა ჩვენთვის. ჩვენ დაუვიწყარ მწყემსმთავართა მაგალითის ნაბაძა რამდენიმე პირმა და გამოვიდნენ ქრისტეს ყანაში სამსახურებლად, როგორც მაგალითებარქიმანდრიტი ლეონიდე, ილუმენი კირიონი და მღვდელ-მონაზონი დიმიტრი. ეხლა ჩვენ, მივიღეთ ფრიად სასიხარულო ამბავი ყაზანის სასულიერო აკა-



მღვდელ-მონაზონი დავითი (კაჭახიძე), 1904 წელი


დემიიდან. ამ აკადემიის სტუდენტი ექვთიმე ოქროპირის ძე კაჭახიძე უკვე აღკვეცილა ბერად. ჩვენს გამოცემაში დაბეჭდილი მისი სტატიებიდან კარგად იცნობენ ჩვენი მკითხველები ექვთიმე კაჭახიძეს: თუ ვინ არის იგი, რა მიმართულების და რა ღრმა ზნეობის პატრონია. თუ როდესმე იყო საჭირო ჩვენთვის ჭეშმარიტი ქრისტიანობრივი ზნეობით და მტკიცე სარწმუნოებით აღჭურვილი კაცი, სწორედ ეხლა არის საჭირო. ჭეშმარიტად ამისთანა კაცების შექმნა ეხლანდელ დროში ჩვენი სასულიერო წოდებისათვის ფრიად შესანიშნავი და სასიხარულოა. ღმერთო, მოხედე საქართველოს ერს და შთაუნერგე შენი მსახურება უმჯობეს მის შვილებს და ნუ მოიძულე ღვთისმშობლის წილხდომილს ივერიას!”

1897 წლის 21 ნოემბერს მეუფე ანტონმა (ხრაპოვიცი) მამა დავითს დიაკვნად დაასხა ხელი. იმ პერიოდში ყაზანის სასულიერო აკადემიაში მრავლად სწავლობდნენ სხვა ქართველი სტუდენტებიც, რომელთა შორის იყვნენ: მღვდელი ბესარიონ ხელაია (შემდგომში კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი), მიხეილ ფხალაძე (შემდ-

გომში კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკი), იპოლიტე ვართაგავა, სერგი გორგაძე და სხვანი. მამა ბესარიონი და მამა დავითი დიდი ნუგეში იყვნენ იქაური სტუდენტობისათვის. ისინი დიდი ძალისხმევით ახერხებდნენ სტუდენტებში ეროვნული სულისკვეთება შეენარჩუნებინათ. ამის გამოძახილი იყო ყაზანის სასულიერო აკადემიის კარის ეკლესიაში მათ მიერ პერიოდულად ჩატარებული ქართული წირვა-ლოცვები. აი, რას წერდა ამის შესახებ გაზეთი „ივერია“ 1898 წელს: „14 იანვარს, ნინოზა დღეს, ყაზანის სასულიერო აკადემიის ეკლესიაში ქართულად იქნა გარდახდილი წირვა. სწორა I კურსის სტუდენტმა, მღვდელმა ბესარიონ ხელაიამ მე-III კურსის ბერ-დიაკონის დავითის (ერობაში ექვთიმე კაჭახიძე) თანამსახურებით. წირვაზედ გალობდნენ თბილისის სემინარიის მოსწავლედ წამყოფი ქართველი და რუსი სტუდენტები და რამდენიმე საგალობელი ქართულის კილოთი იგალობეს. ამ ამბისა გამო იქაური რუსული გაზეთი „საეკლესიო უწყებანი“ აღნიშნავს განსხვავებასა და ღირსებას ქართულად წაკითხულის სახარებისას, სამოციქულოსას და ნათქვამ ასამაღლებლებისას და კვერექსებისას. წირვას დაესწრნენ ზოგიერთი პროფესორები, აუარებელი სტუდენტობა და მათი ყოვლადუსამღვდელოესობა, აკადემიის რექტორი“.

1898 წლის 8 მაისს ბერ-დიაკონი დავითი მღვდლად აკურთხეს. 1899 წელს სასულიერო აკადემია მან ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხით დაამთავრა, დაიცვა დიპლომი პატრისტიკაში და სამშობლოსა და დედაეკლესიის სამსახურს მონყურებულმა მაშინვე საქართველოს მოაშურა. 1899 წლის 26 აგვისტოს ახალგაზრდა მღვდელ-მონაზონი კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორად დაინიშნა. 1900 წლის 10 ნოემბერს თელავის სასულიერო სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად გაამწესეს. 1902 წლის 10 მარტს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანამემხედ გადაიყვანეს. ამავე წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. 1903 წლის 20 ოქტომბერს რუსეთში, პერმის ეპარქიაში, სოლოკამენის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად გადაიყვანეს. 1905 წლის 14 მაისს ვიტებსკის სასულიერო სემინარიის რექტორად დაინიშნა და არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა. 1906 წლის 25 აგვისტოს ნოვოჩერკასის რაიონში, დონის სასულიერო სემინარიის რექტორად განამწესეს.

1907 წლის შემოდგომაზე რუსეთის წმინდა სინოდმა არქიმანდრიტი დავითი ალავერდის ეპარქიის მღვდელმთავრად გამოიწვია. ამავე წლის 4 ნოემბერს აღესრულა მისი ეპისკოპოსად ხელდასხმა. კურთხევის წესი შეასრულეს: საქართველოს ეგზარქოსმა, მთავარეპისკოპოსმა ნიკონმა (სოფისკი), იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე), გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილი), გორის ეპისკოპოსმა პეტრემ (კონჭოშვილი) და ბაქოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (ვახნიანი). კვერთხის გადაცემის შემდეგ ახლადნაკურთხმა მღვდელმთავარმა წარმოსთქვა გრძნობით აღსავსე სიტყვა, გთავაზობთ ამონარიდს ამ ქადაგებიდან: „რა მნიშვნელოვანი ეპიზოდია ჩემი ცხოვრებისა! რაოდენ დიდ საქმეს უნდა მივყო ხელი! რაოდენ ძნელ და საპასუხისმგებლო მსახურებას უნდა შევეუდგე! მე



მარცხნიდან სხედან: მღვდელ-მონაზონი ნაზარი (ლუქაშა), არქიმანდრიტი დავითი (კაჭახიძე) და არქიმანდრიტი ვიტალი.
1906 წლის საქმიანობა, პოჩაევის ლავრა

უნდა ვმწყსო ცხოვარნი, ვიხსნა ადამიანები, ანუ განვწმინდო და განვანათლო სულელები კაცთა, ვაზიარო ისინი საღმრთო ცხოვრებას; მივანიჭო მათ ჭეშმარიტი, უცვალებელი, მარადიული ბედნიერება! ვარ განა გამოსადეგი ამ მაღალი მსახურებისათვის?! მაქვს განა ამისათვის საკმარისი ძალები?! შემოძლია განა, მაგალითი ვიყო სხვათათვის?! გაიგებს კი ყველა, რას უნდა ვგრძნობდე, რაჟამს მოციქულებისა და სხვა მღვდელმთავრების წარმოდგენისას ვფიქრობ ჩემს წინაშე წარმომართულ ესოდენ მაღალ მსახურებაზე?! აღარას ვიტყვი ჩემს უძლურებებზე, ისინი ცნობილია ყველასათვის, ვისაც კი მოუწია საქმე ჰქონოდა ჩემთან. მაგრამ მე მწამს, რომ ქვეყნად ყოველი აღესრულება ღმრთის ნებით და ვიმედოვნებ, რომ იგი კეთილად წარმმართავს მე - სამომავლო მსახურებაში და არ დაუშვებს წარწყმედას ჩემსას. მე ვადგები მოციქულთა გზას მტკიცე სასოებით ღმრთის წყალობისა. და უმეტესად გთხოვთ თქვენ, მწყემსმთავარნო, მწყემსნო და ღმრთისმოყვარე ერისკაცნო, ილოცეთ ჩემთვის წინაშე ღმრთისა, რათა მომცეს მან ძალა და სიმტკიცე მაღალი და საძნელო მსახურების აღსასრულებლად“.

1912 წლის 17 აპრილს ყველასათვის მოულოდნელად ეპისკოპოსი დავითი ჩრდილოეთ კავკასიაში, პიატიგორსკის ეპარქიის მმართველად გადაიყვანეს. ამის მიზეზად სახელდებოდა მისი დაპირისპირება საქართველოს ეგზარქოს ინოკენტისთან (ბელიაევი). ეგზარქოსი შეეცადა გურია-სამეგრელოსა და იმერეთის ეპისკოპოსების უფლებების მინიმუმამდე შემცირებას, მაგრამ მეუფე დავითი წინ აღუდგა ამ განზრახვას. ამით განრისხებულმა ინოკენტიმ წმინდა სინოდს მისი

ფოტომატიკა

საქართველოდან გაძევება მოსთხოვა, რაც მალევე სისრულეში მოიყვანეს. ძვირფას მღვდელმთავართან განშორება ძლიერ განიცადა მაშინდელმა ქართულმა ინტელიგენციამ და საზოგადოებამ. მეუფე დავითის ძმის შთამომავლებთან, ოჯახში შემორჩენილია წერილი, რომელიც საგანგებოდ მის გადაყვანასთან დაკავშირებით დაინერა: „ძვირფასო მწყემსთმთავარო! თქვენი მეუფების მოულოდნელი წასვლა, საქართველოს მრავალჭირნახულ ეკლესიის სამწყსოს მიტოვება და სხვა ადგილას სამოღვაწეოდ გადასვლა მწარე საგონებელში აგდებს საქართველოს ერს. მით უფრო სამწუხაროა ეს გარემოება, რომ თქვენი მწყემსთმთავრული მოღვაწეობა ჯერ კიდევ დიდად ესაჭიროებოდა საზოგადოებას და თქვენც, სულით და გულით მასთან დაკავშირებული, არ მოინადინებდით მის მიტოვებას, რომ რომელსამე მძიმე საქმეს არ აეჭულებინეთ...“

ივერიის ეკლესია შეჩვეულია დროთა ბრუნვის ცვალებადობას. იგი დამშვენებულია მრავალ წარჩინებულ მღვდელმთავართა მოღვაწეობით, რომელთაც ჩვენი საქართველოსადმი მონამეობრივი ღვაწლიც კი მიუძღვის. ისინი მუდმივ მზად იყვნენ ყველაფერი აეტანათ, ოღონდ კი წმინდად დარჩენილიყვნენ თავის რწმენასთან და საქვეყნო მოღვაწეობასთან. ეს იყო შორეულ წარსულში, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ეხლა არის საიშვიათო ამგვარი მოვლენა: ჯერ საზოგადოებას თქვენი წინამოადგილე მღვდელმთავრის ხვედრი არც კი გამოუგლოვია და ეხლა ასე მალე თქვენც იძულებული ბრძანდებით, დასტოვოთ სამშობლო ქვეყანა... მაგრამ, სადაც უნდა ნაბრძანდეთ, თან წარიღებთ მრავალ თქვენ პატივისმცემელთა გრძნობას, და თან გაგჰყვებათ ის სიყვარული, რომლითაც თქვენდამი არის გამსჭვალული ქართველი საზოგადოება! იგი არ შესწყვეტს თქვენთან სულიერ კავშირს, რაც უნდა შორეული იყოს თქვენი ადგილ-სამყოფელი, - იგი მუდამ თქვენი იქნება, - მას მანძილი და მოშორება ვერ გაანელებს! სადაც უნდა შეგხვდეთ წასვლა, აზრი და მისწრაფება თქვენი მაინც ყოველთვის პატარა ივერიისკენ გამოინაგარდებს და ეს იმედი, თქვენის წასვლით დაობლებულთ, ნუგეშის მომცემად მოგვევლინება...

ივერიის მფარველმა ღვთისმშობელმა გინინამძღვროთ ყოველს საქმეში, ძვირფასო მწყემსთმთავარო,



პაისკოპოსი დავითი (კაჭახიძე), 1916 წელი

მოგვცეთ მხნეობა და ძალა ჩვეულებრივის სიმედგარით მწყემსთმთავრობისა, გუნდმა, საქართველოს ეკლესიისათვის თავდადებულ მწყემსთმთავართა, მოგივლინოთ სულიერი სიძლიერე და გულწრფელმა გრძნობამ თქვენი მეუფების პატივისმცემელ შვილთა შეგიმსუბუქოსთ მძიმე ხვედრი, იმ წმინდა ჯვრის სასიქადულოდ და ღირსეულად სატარებლად, რომელიც თქვენს მეუფებას ცხოვრების მრწამსად და დიდად მიზნად დაუსახავს.

1912 წლის ნოემბერი".
წერილს თან ახლავს უამრავი ხელმოწერა, მათ შორის: აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ივანე ჯავახიშვილის, თედო ჟორდანიასი, დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის და სხვათა.

გარკანაზა მოთავსებული ასი ათასი მოწამის ხატი ეკუთვნის ხატანარ შოთა ციციკას

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩუროშვილი

გთხოვთ, გაზათს გაუფრთხილდით მასში დაგაქმნილი მასალაის გაში
გთხოვთ, დაეალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
საქსტო ბანკი, კონანისის მე-2 ფილიალი, ანგარიში # 360851555 მფო.
220 181 406 მიმღებია: ნი. ანდროა პირველნოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.com
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი),
მარიამ ვაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე,
გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე ფინანსური მენეჯერი:
ელასი ჯიბლაძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი;
დამკავადონებელი: ვალერიან ჯულელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ნების სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, მღვდელი ერმოლოს ჭელიძე;

ოქროს ჯვრით და ილუმენიას ნოდებით — აჭის წმინდა გიორგის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, მონაზონი ალექსანდრა (ჩაჩიბაია), ჯიხეთის ყოვლადწმინდა სამების სახელობის დედათა მონასტრის კეთილმონესე, მონაზონი ირინე (სულაკაძე), ასკანის მთავარანგელოზთა სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, მონაზონი მარიამი (ფოჩხუა).

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბორჯომს ეწვია

18 ნოემბერს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბორჯომს ეწვევა, სადაც წმინდა გიორგი მთაწმინდელის გარდაცვალებიდან 1000 წლისთავის აღსანიშნავად მის მშობლიურ სოფელ ტაძრისში საზეიმოდ გახსნის წმინდანის სახელობის ახალ ტაძარს.

ხელდასხვა

15 ნოემბერს ყოვლადწმინდა საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სამღვდლო დიაკვნად დაასხა ხელი თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულს იაკობ ასათიანს.

დიაკონი იაკობი თბილისის წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

1 ნოემბერს წინონმიდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და წინონმიდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) მღვდლად დაასხა ხელი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის ბერ-დიაკონ ილიას (ფაჩულია).

მღვდელ-მონაზონი ილია თბილისში, სანზონის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

1 ნოემბერს დედოფლისწყაროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში დედოფლისწყაროსა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) დიაკვნად აკურთხა და პაატა ხუმარაშვილი და სახელად პეტრე უწოდა.

დიაკონი პეტრე დედოფლისწყაროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

1 ნოემბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი მამა დავითის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესიასთან არსებულ მამათა მონასტრის ბერ-დიაკონს იოანეს (ხელაია).

8 ნოემბერს ახალციხის წმინდა მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიისა და საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საეკლესიო სამართლის პედაგოგი, ალექსი ქუჭუაშვილი.

დიაკონი ალექსი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

8 ნოემბერს წინონმიდის წმინდა ნინოს სახელობის

საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და წინონმიდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა გელა ჩადუნაშვილი.

დიაკონი გელა თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

15 ნოემბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული იაკობ ასათიანი.

დიაკონი იაკობი თბილისის წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

დაჯილდოება

15 ნოემბერს ყოვლადწმინდა საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და ილუმენის ნოდება მიანიჭა მღვდელ-მონაზონ მატათას (ტყემალაძეს).

სამკიბარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ თბილისის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზ მაქსიმე ჭანტურას გარდაეცვალა მამა — კარლო-ნიკოლოზ ჭანტურია და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შევენებული კარლო-ნიკოლოზის სული.

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის განცხადება

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გინვეთ მოილოცოთ წმინდა ადგილები: ისრაელი წმიდა მინა-ეგვიპტე მაცხოვრის შობის დღესასწაულისათვის 1-8 იანვარი; საბუთების მიღება 10 დეკემბრამდე; ფასი 1500-1600\$

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ: 92 39 78 (11-დან 17 სთ-მდე); ტელ/ფაქ: 92 39 79 ელ.ფოსტა: pi-ligrim_church@yahoo.com (899)33 33 52; (879) 01 08 64;

ახალგაზრდობის სულიერი

და ინტელექტუალური

განვითარების ცენტრის განცხადება

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (სამების საკათედრო ტაძარი) ყოველდღე 15.00—საათზე იმართება შემეცნებითი საუბრები. დასწრება თავისუფალია.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (სამების საკათედრო ტაძარი) ყოველდღე 15.00—საათზე იმართება შემეცნებითი საუბრები. დასწრება თავისუფალია.

23.11.09. — კულტურა და ხელოვნება

გიორგობის დღესასწაულის გამო, შემეცნებითი საუბარი არ გაიმართება.

24.11.09. — ღვთისმეტყველება და ფილოსოფია

მღვდელმთავრების დღე.

გავიდა წლები და ბერძნები შეუდგნენ ტაძრის აღდგენას. ეს იყო გასული საუკუნის 80-იანი წლები. შეკეთდა გუმბათი, დაიხურა შენობა. სამსუხაროდ მეტი არაფერი მოხერხდა, რადგან სიდუხჭირეს ბერძენთა ელადაში, მათ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება დაერთო. ახალშენში ბერძენთა მხოლოდ ოცამდე ოჯახი დარჩა, ისიც ძირითადად მოხუცები. მაგრამ ტაძარი მაინც აღსდგა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ახალშენელებს. განსაკუთრებით ბატონებს ასლან თავდგირიძესა და გურამ დუმბაძეს. 1994 წლის 24 აპრილს ხალხი შეიკრიბა ეზოში. აქ იყვნენ როგორც ბერძნები ისე ქართველები. ქუდზე კაცი გამოვიდა საშვილიშვილო საქმის საკეთებლად. დასუფთავდა და დალაგდა ეზო-შემოგარენი, მოეწყო მდინარეზე ჩასასვლელი გზა, ამოიზიდა ქვები, განახლდა და გამაგრდა გუმბათის ჩუქურთმები, ჩაისვა სამრეკლოები, აშენდა ქვის კანდელი, შიდა განათება, დაიკიდა საკათედრო ტაძრიდან შემონირული ჭალი. ძირითად

თად დამფინანსებლებთან ერთად ასზე მეტმა ადამიანმა შესწირა თანხა ამ საშვილიშვილო საქმეს. აქედან წასულმა ბერძნებმა საბერძნეთში შეაგროვეს და გამოგზავნეს ფული, ხატები და სხვა. ცალკე აღნიშვნის ღირსია მამა დავითის (შიოლაშვილის) ან ეპისკოპოს დიმიტრის თავდადება, რომელმაც 1997 წლის 19 აგვისტოს ფერისცვალებას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი—ახალშენის ფერისცვალების სახელობის ეკლესიაში საზეიმო ლიტურგია აღასრულა, მრავალრიცხოვან სამღვდლოებასთან, მგალობლებთან და მრევლთან ერთად.

განახლებული ფერისცვალების ეკლესია აკურთხა და დალოცა უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ილია II-მ მინდა სინოდის ნებრებთან ერთად.

ოთარ გოგოლიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ფოტომატიანე

მიტროპოლიტი დავითი (კაჭახიძე) 1872-1935

ჩრდილო კავკასიაში გადაყვანილი მეუფე დავითი დიდ ნუგეშად მოეწვინა სამშობლოს მოწყვეტილ თანამემამულეებს, განსაკუთრებით კი ალაგირელ ქართველობას. 1912 წლის დეკემბრის თვეში იგი პირველად ეწვია ქ. ალაგირს. აი, რას წერდა ამის შესახებ გაზეთი „იმერეთი“ თავის ერთ-ერთ ნომერში: „ეს პირველი მაგალითია, რომ ალაგირს სწვევოდეს ქართველი მღვდელმთავარი. აქაური ქართველი საზოგადოება აღტაცებით დაუხვდა ძვირფას სტუმარს. როცა გაიგეს ეპისკოპოსი დავითი მობრძანდებო, დარგ-კოხში მიაგებეს თავისი წარმომადგენლები. გარდა ამისა ალაგირიდან რამდენიმე ვერსის მანძილზე დაახვედრეს ცხენოსანთა რაზმი დროით, რომელზედაც მისალმების ზენარწერა იყო.“

ყოვლადსამღვდლო დავითმა ქართული სკოლის დარბაზში ილოცა მწუხრი და ცისკარი ქართულ ენაზე. აქაური ქართველობა ქართულ წირვა-ლოცვას დანატრებულა. ეკლესიაში ქართულად მხოლოდ „უფალო შეგვიწყალებს“ თუ გაიგონებენ, თორემ სხვაფრივ მღვდელმოქმედება და წირვა-ლოცვა ყოველთვის სლავურ ენაზე სრულდება. რომ შეიტყვეს, სალამოს ლოცვა ქართულ ენაზე იქნებო, იმდენი ხალხი მოზღვავედა, რომ სკოლის ფართო დარბაზში ტევა არ იყო და გარეთ იდგნენ მლოცველნი. ყოვლადსამღვდლო დავითმა გრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა, თვითინ გული აუჩუყდა და მსმენელთაგანაც მრავალი ააცრემლა. აქა-იქ ქვითინიც კი გაისმა. „წივითიერი კეთილდღეობა თქვენ აღარ გაკავშირებთ თქვენს სამშობლოსთან - ბრძანა სხვათა შო-



ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე) 1913 წლის ნოემბერი

რის მღვდელმთავარმა — მაგრამ თქვენი მოვალეობაა აქ, ამ უცხო მხარეს უფრო გაუფრთხილდეთ ქართველის სახელს. ერიდეთ ადამიანის ღირსების დამამცირებელს ქცევას, რომ ამით სახელი არ გაუტეხოთ მთლად საქართველოს. თქვენის ყოფა-ქცევით არავის მისცეთ საბაზი ქართველობაზე ცუდი აზრი შეიდეგინოსო”.

ყოვლადსამღვდელომ ადგილობრივ ეკლესიაშიც სწირა. წირვა შესრულებულ იქნა სამ ენაზე: რუსულ-ქართულ-ოსურად. წირვის შემდეგ ქართული სკოლის დარბაზში შეიკრიბა ქართველი საზოგადოება და ძვირფასი სტუმრის პატივსაცემად საზოგადო ნადიმი ჯაიმართა.

ყოვლადსამღვდელომ ადგილობრივი სკოლებიც დაათვალიერა და მონაფეები გამოსცადა. ინახულა ქართველთა მოსახლეობა და გაეცნო მათს ნივთიერ მდგომარეობას. ხალხი აღტაცებული დარჩა ჩვენი თანამემამულე მღვდელმთავრის მობრძანებით”.

1913 წლის 6 მაისს მეუფე დავითი წმინდა ვლადიმირის III ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. 1914 წლის 14 თებერვალს კი ვინიცკის ეპისკოპოსად გადაიყვანეს.

1917 წლის 25 მარტს სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში ჩატარებული წირვის შემდეგ აღსდგა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია. რუსეთში გადასახლებულ ქართველ სასულიერო პირებს საშუალება მიეცათ დაბრუნებოდნენ მშობლიურ ქვეყანას და ეკლესიას. მეუფე დავითი საქართველოში 1917 წლის სექტემბრის ბოლოს დაბრუნდა და საკათოლიკოსო საბჭოს გადამწყვეტილებით, ამავე წლის 1 ოქტომბერს ურბნისის ეპარქიის მმართველად დაინიშნა.

ახლად დანიშნულ მღვდელმთავარს თითქმის ნულიდან მოუხდა ყველაფრის დაწყება. ეპარქიაში ჩასულ ეპისკოპოს დავითს გორში არც რეზიდენცია დახვდა და არც კანცელარიის დასაბინავებელი ადგილი. ამასთან დაკავშირებით, მან რამდენჯერმე მიმართა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას დახმარებისათვის. ერთ-ერთი ასეთი მიმართვა თბილისში 1919 წლის 8 თებერვალს გააგზავნა: „ურბნისის ეპისკოპოს და მის კანცელარიას დღევანდლამდის არ მოუპოვება ბინა ქალაქ გორში. ეკლესიები ამ ეპარქიისა ვერ გაიღებენ ვერავითარ ხარჯს ამ საკითხისათვის და არც მოქალაქეთა შორის არის შესაძლებელი ამ თანხის მოგროვება. ამის გამო ურბნისის საეპარქიო საბჭომ 1919 წლის 5 თებერვალს გამოიტანა შემდეგი განჩინება. ეთხოვოს საკათოლიკოსო საბჭოს, რათა მან იშუამდგომლოს განათლების მინისტრის წინაშე, რომ გორში ყოფილი სასულიერო სასწავლებლის შენობაში, რომელიც შეადგენს ურბნისის ეპარქიის კუთვნილებას, გამგის ბინა ამ სასწავლებლისა დაეთმოს ეპისკოპოსს და მის კანცელარიას, წინააღმდეგ შემთხვევაში ხსენებული სასწავლებლის ხელმძღვანელობამ აძლი-



ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე) და დეკანოზი ზაქარია ლუკაშვილი. 1916 წელი

ოს ურბნისის საეპარქიო საბჭოს ბინის დასაქირავებლად არა ნაკლებ 3. 000 მანეთისა წელიწადში. გთხოვთ, ეს საქმე დაგვიჩქაროთ”.

1919 წელს მეუფე დავითი საკათოლიკოსო საბჭოს წევრად აირჩიეს. 1920 წლის ივლისში თავისი თხოვნით ურბნისის ეპარქიის მმართველობისაგან გათავისუფლდა. 1921 წლის 23 ნოემბერს ბათუმ-შემოქმედისა და ჭყონდისის ეპარქიის მართვა-გამგეობა დაევალა, ხოლო 1922 წლის 29 აპრილიდან მხოლოდ ჭყონდიდელი ეპისკოპოსია. ჭყონდიდის ეპარქიის მმართველობის ჟამს ეპისკოპოსი დავითი ეპარქიის სამღვდელოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად ადგილობრივმა ხელისუფლებამ რამდენიმე დღით დააპატიმრა. 1924 წლის 9 მარტს საკათოლიკოსო საბჭომ იგი დროებით ალავერდის ეპარქიაში განამწყვდინა.

1924 წლის 1 ნოემბერს მეუფე დავითი ქუთაის-გაენათის ეპარქიის მღვდელმთავრად დაადგინეს. თუ რა მძიმე მდგომარეობა დახვდა მას ეპარქიაში, კარგად ჩანს 1926 წლის 19 თებერვლით დათარიღებულ წერილში: „პატივისცემით მოვახსენებ საკათოლიკოსო საბჭოს, თუ რა მდგომარეობა იყო 1925 წელს იმერეთის ეპარქიაში. ვიტყვი მოკლედ, როგორი

იყო საეკლესიო ცხოვრება ეპარქიაში - ვგოდებ და ვიგლოვ მე! ანარქია... ქაოსი... მოსალოდნელი იყო, რომ ეკლესიის გახსნის შემდეგ მორწმუნეებს მოენატრებოდათ ეკლესიაში სიარული და სამღვდლოებას მეტი პატივისცემით მოეპყრობოდნენ. გარნა სინამდვილემ იმედები გაგვიცრუა. სამღვდლოება ერთხმად აცხადებს, ხალხი ეკლესიაში არ დაიარება და მღვდლის შენახვაზე არ ზრუნავსო. მეც თვითონ მონემ ვარ იმისა, თუ როგორი გულგრილია ხალხი ღვთისმსახურებისადმი.

რადგან ხალხი ეკლესიაში იშვიათად და ნაკლებად დაიარება, საეკლესიო სანთელი არ იყიდება, ეკლესიაში შემოსავალმა იკლო. საეკლესიო ნივთები არ მოიპოვება. ეკლესიები მეტად ღარიბულად არიან მოწყობილი. ეკლესიური მიმართულება ძალიან მისუსტებულია რაჭაში, ქვემო იმერეთში, ხონის, სამტრედიის, ჯიხაშიის რაიონებში. ლეჩხუმმა მოახდინა შედარებით კარგი შთაბეჭდილება. რადგანაც ბევრმა მღვდელმა მიატოვა საეკლესიო სამსახური, საჭირო შეიქმნა ახლების კურთხევა. ყველგან არ ხერხდება შეერთება სამრევლოებისა.

მთაგორიანი სოფლები ერთმანეთს დაშორებულია და მოსახლეობა გაფანტული ცხოვრობს. როცა რომელიმე მღვდელს ვეტყოდი, მინდა ეკლესიები მოვიწახულო-მეთქი, სიხარულს გამოხატავდნენ, მაგრამ როცა უკვე მოვემზადებოდი სამოგზაუროდ, სხვა საქმეს გამოიძებნიდა. მე მაინც მოვიწახულე ლეჩხუმში, შორაპანის და არგვეთის ოლქის 11 ეკლესია. როგორც მთავარსუცესთა შემოტანილი სიებიდან ჩანს, 1925 წელს მოქმედი იყო: ქუთაისის ოლქში - 177, შორაპანის ოლქში - 130, რაჭაში - 18, ლეჩხუმში - 41, სვანეთში - 16. საეპარქიო მდგომარეობა მთელი წლის განმავლობაში ძალიან მოდუნებული იყო. მონასტრები გაუქმებულია, გარდა მათხოჯის დედათა მონასტრისა. აქ ეკლესია ჯერ არ გაუხსნიათ. ღვთისმსახურება სრულდება დიდოთახში. მონასტერში ძალიან ღარიბად ცხოვრობენ. მღვიმევის მონასტრის ტაძარი გახსნილია, როგორც სამრევლო ეკლესია. მონამეთის ეკლესიის დაბრუნება უმაღლესი მთავრობის მიერ ნებადართულია, მხოლოდ ჯერ სისრულეში არაა მოყვანილი. შიშობენ, მონასტერი არ იქნეს აღდგენილი. მე მივეცი წერილი, რომ სასულიერო მთავრობა არ შეეცდებოდა მონასტრის აღდგენას. გელათის შესახებ



სხედან მარცხნიდან: სვატიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის არქიმანდრიტი კავლა (ჯაფარიძე), ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი იონანე (მარღვიპილი), კათოლიკოს-პატრიარქი აფხაზის (ხალაია), ყვინდელი ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე), ურბნელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე (ციციშვილი).

დგანან: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გაბრიელ ჩაჩანიძე (შაფერაშვილი ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი გაბრიელი), სიონის საპატრიარქო ტაძრის მთავარღიაკონი სიმონ (სიკო) მონასელიძე, სიონის საპატრიარქო ტაძრის ღიაკონი ნიკოლოზ გოლდაშვილი, თბილისის წმინდა ესთათის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი ლაზარე ნათიძე, კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი, მღვდელ-მონაზონი ეფრემი (სიღამონიძე).

ფოტო გადაღებულია 1922 წლის 14 ოქტომბერს სვატიცხოველის ტაძრის ეზოში

ამბობენ: შეიძლება დაგვიბრუნონ წმინდა გიორგის ტაძარი, როგორც სამრევლო ეკლესია. ესეც კარგი იქნება. მღვდელმონაზვნები მსახურობენ სოფლებში, როგორც მღვდლები. მიტროპოლიტის ბინაში და საეპარქიო კანცელარიის სახლში მოთავსებულია ბავშთა თავშესაფარი. არც საეპარქიო სანთლის ქარხანაა და არც საწყობი. ეკლესიები ყიდულობენ სანთელს კერძო პირთაგან. ნებადართულია, საეპარქიო კანცელარიის არქივი 5 წლის საქმეები და საეკლესიო წიგნები წავიღოთ უკან. კომისიას მღვდელთაგან დავავალე ამ საქმის შესრულება“.

მეუფე დავითი 1926 წლის 9 ნოემბერს საკათოლიკოსო საბჭოს დადგენილებით აწყურის ეპარქიაში დაინიშნა და დროებით დაევალა ურბნისის ეპარქიის მართვა-გამგეობა. 1926 წლის 24 დეკემბერს ქუთაისში მომხდარმა საეკლესიო კრებამ იგი ქუთაის-გაენათის ეპარქიის მმართველად დატოვა და მიტროპოლიტის ნოდება მიანიჭა. 1927 წლის 21-27 ივნისს ჩატარებულ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის IV კრებაზე მიტროპოლიტი დავითი გამოცხადდა კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ. 1930 წლის 8 ივლისს ბათუმ-შემოქმედის ეპარქიაში დაინიშნა. 1932 წლის 13 აპრილს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტ-

რატიმ (კინცაძე) სკუფიაზე ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა.

1934 წელს ხელისუფლებამ დახურა ბათუმ-შემოქმედის ეპარქია და მისი მღვდელმთავარი, მიტროპოლიტი დავითი აიძულა ეპარქია დაეტოვებინა. იგი საცხოვრებლად გადავიდა ქუთაისში, სადაც ცხოვრების უკანასკნელი დღეები გაატარა. 1935 წლის 19 მარტს ქუთაისში მყოფი მეუფე დავითი მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. მეუფის ცხედარი, 23 მარტს ქუთაისის ნმინდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის საკათედრო ტაძრის სამხრეთ კარიბჭესთან დიდი პატივით დაასაფლავეს.

მეუფე დავითი სისტემატიურად თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ ჟურნალებსა და გაზეთებში. გამოცემული აქვს რამდენიმე წიგნი, მათ შორის ქადაგებათა I ტომი. გამოსაცემად მზადაა და

2010 წლის იანვარში გამოიცემა მისი ქადაგებანის II ტომიც.

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე მიტროპოლიტ დავითის შესახებ წერდა: „ეპისკოპოსი დავითი სადაც კი სწავლობდა, ყველგან სამაგალითო მონაფე გახლდათ, სათნო თვისების, დინჯი ხასიათის, სამაგალითოდ კაცთმოყვარე, ამასთანავე სწორი და მართალი ყველა ამხანაგის წინაშე. სიმართლე და ჭეშმარიტება მის გულსა და სულს აღმასივით ეწყობოდა, იგი ერთი სამაგალითო მისაბაძი გახლდათ. დავითს პატარაობის დროსვე ეტყობოდა დიდი მამულიშვილობა, ეს საოცრება იყო იმ დროის კოსმოპოლიტიკურ ხანაში, ვინაიდან მაშინ ქართველთ მამულიშვილობა უმეცრად მრავალთაგან ადვილად უარყოფილი გახლდა, იმ დროის სემინარიის მონაფეთაგან“.

სახელებამ გულთბილი დახვედრა მოუწყვეს.

დღესვე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სტიფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოს ეგუდიელს მთავარეპისკოპოსის ნოდება მიანიჭა.

გიორგოვისადმი მიძღვნილი გამოფენა

საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში გიორგოვის დღესასწაულისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიმართა.

გამოფენაზე ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა გალერიის აღსაზრდელებმა 219 ავტორის 235 ნამუშევარი წარმოადგინეს. გუაშით, პასტელითა და გრაფიკით შესრულებული იყო სახარებისეული ეპიზოდები, პეიზაჟები და სიუჟეტები წმინდა გიორგის ცხოვრებიდან.

ნამუშევრების ავტორებს (4-დან 17 წლამდე მოზარდებს) ორგანიზატორებმა სამახსოვრო დიპლომები გადასცეს.

შეცდომის გასწორება

სამწუხაროდ გაზეთ „საპატრიარქო უწყებანის“ წინა ნომერში რუბრიკა „ქრონიკაში“ გაიპარა უზუსტობა. ასკანის მთავარანგელოზთა სახელობის დედათა მონასტრის ნაცვლად უნდა ყოფილიყო — **ერკეთის მთავარანგელოზთა სახელობის დედათა მონასტერი**. აღნიშნული შეცდომის გამო შენდობას ვითხოვთ ერკეთის მონასტრის წინამძღვრისაგან, ილუმენია მარიამისგან და დედათა კრებულისაგან.

17 ნოემბერს ჩოხატაურის წმინდა იოაკიმ და ანას სახელობის ეკლესიაში უნმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და ილუმენიას ნოდება მიანიჭა: **ერკეთის მთავარანგელოზთა სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარს, მონაზონ მარიამს (ფოჩხუა)**, ჯიხეთის ყოვლადწმიდა სამების სახელობის დედათა მონასტრის კეთილმონესეს, **მონაზონ ირინეს (სულაკაძე)** და აჭის წმინდა გიორგის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარს, **მონაზონ ალექსანდრას (ჩაჩიბაია)**.

ტაძრის კურთხევა

23 ნოემბერს გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (ლეჟავამ) და ნინოწმინდისა და საგარეჯოს ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძემ) აკურთხეს თბილისის ძველ უბანში აღდგენილი წმინდა 40 სებასტიელ მონაშეთა სახელობის ახალი ტაძარი.

იმავე დღეს, 40 სებასტიელი მონაშეთის სახელობის ტაძარში გიორგოვის დღესასწაულის საზეიმო წირვა აღავლინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

ტაძრის წინამძღვარდ დაინიშნა ილუმენი ლუკა (თანდილაშვილი), რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, სვეტიცხოვლიდან გადმოყვანეს. მომავალში, აქ მონასტრის დაარსება იგეგმება.

გვარევის დალოცვა

23 ნოემბერს, გიორგოვის დღესასწაულზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დალოცა: დოლიძე-

ბის, რუხაძეების, კუმელაშვილების, ნოზაძეების, ჯინჭარაძეების, ბენიძეების, გოგიძეებისა და მარდალეიშვილების გვარები.

სკოლავის დალოცვა

23 ნოემბერს, გიორგოვის დღესასწაულზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დალოცა: 21-ე, 173-ე, 190-ე საჯარო სკოლები, სკოლა-ლიცეუმი „სვეტი ნათლისა“, სკოლა-ლიცეუმი „ფესვები“, ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“.

დაჯილდოება

23 ნოემბერს, გიორგოვის დღესასწაულზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ შემდეგი სასულიერო პირები დააჯილდოვა:

დეკანოზი ტარიელ ჟღენტი — მიტრით;

დეკანოზი მიქაელ თევზაძე — გამშვენებული ჯვრით;

დეკანოზი თეიმურაზ თათარაშვილი — გამშვენებული ჯვრით.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საპატრიარქოს სტამბის თანამშრომელი **დავით შოშიაშვილი** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული **დავითის** სული.

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გინვევთ მოილოცოთ წმინდა ადგილები:

შიო-მღვიმე-მცხეთა 28 ნოემბერი; შაბათი; გასვლა 8სთ; ფასი 14 ლ;

ღვთაება-მარტყოფი 29 ნოემბერი; კვირა; გასვლა 8 სთ; ფასი 14 ლ;

წილკანი-მუხრანი-ძალისი (ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება) 4 დეკემბერი; პარასკევი; გასვლა 8 საათზე; ფასი 14 ლარი;

სამთავისი, ატენის სიონი, უფლისციხე 5 დეკემბერი; შაბათი; გასვლა 8სთ; ფასი 17 ლ;

ზედაზენი-მცხეთა 6 დეკემბერი; კვირა; გასვლა 8სთ; ფასი 14 ლ;

ისრაელი წმიდა მიწა-ეგვიპტე მაცხოვრის შობის დღესასწაულისათვის 1-8 იანვარი; საბუთების მიღება 10 დეკემბრამდე; ფასი 1500-1600\$

მომლოცველებს მოემსახურება გიდი.

ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე:

„წმიდა კუთხე“ ბახტრიონის ქ. 8

ჩიტაიას ქ. 39 ; ლესელიძის ქ.30

ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძართან არსებული მაღაზია, რუსთაველის 9 დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მაღაზია, წერეთლის 44 ავტობუსები გადის სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ: 92 39 78

ქმებს, თქვენი წმინდა ეკლესიის მღვდელმსახურებს, სამონაზნო დასსა და მორწმუნეებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით, წმინდა სინოდის, ჩვენი მღვდელმსახურების, ბერმონაზონთა და ქართველი ერის სახელით გისამძიმრებთ ტკივილითა და მწუხარებით. აღვავლენთ ლოცვებს ყოვლადმოწყალე ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო

ქრისტესადმი, რათა მიიღოს სული განსვენებული პირველიერარქისა, პავლე პატრიარქისა და განუსვენოს მას. მარად იყოს მისი ხსენება!

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
17.11.2009

ქ რ ო ნ ი ა . ი ნ ფ ო რ მ ა მ ი ა .

**საქართველოს საპატრიარქოს
განცხადება**

ბოლო დროს საზოგადოებაში გავრცელდა ინფორმაცია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ავადმყოფობის შესახებ, თითქოს იგი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, გადაყვანილია ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში.

საპატრიარქოს პრესცენტრი აცხადებს, რომ აღნიშნული ინფორმაცია ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და სიმართლეს არ შეესაბამება.

**საპატრიარქოს იურიდიული
სამსახურის განცხადება**

ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს ნოემბრის თვეში (გიორგობის დღესასწაულისთვის) შეწყალებულ პატიმართა უმრავლესობა საპატრიარქოს მიერ იყო წარდგენილი, რაც რეალობას არ შეესაბამება.

შეწყალების პროცედურების განხორციელებამდე ხელისუფლების მხრიდან გვაცნობეს, რომ საპატრიარქოს სიებიდან გაათავისუფლებდნენ ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე მხოლოდ 50 პატიმარს და აქედან გამომდინარე, მოთხოვნაც შესაბამისად ამდენ პიროვნებაზე უნდა გაგვეკეთებინა.

50-ის ნაცვლად საპატრიარქომ 152 პატიმრის სია გაუგზავნა იუსტიციის სამინისტროს. აქედან 29 პატიმარი გაათავისუფლეს, 9-ს სასჯელი გაუნახვევრეს, ხოლო ერთი წელი ჩამოაკლეს 4 პატიმარს.

ასე რომ, გაათავისუფლებაც და შელავათებიც შეეხო მხოლოდ 42 ადამიანს.

რა პრინციპით შეირჩა ეს პიროვნებანი, ჩვენთვის უცნობია. შევნიშნავთ იმასაც, რომ, სამწუხაროდ, გაათავისუფლებულ პატიმართა რაოდენობა თანდათან მცირდება.

28 ნოემბერი, 2009 წელი

ხელდასხმა

29 ოქტომბერს რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში ცურტავის ეპისკოპოსმა იოანემ (გამრეკელმა) მღვდლად დაასხა ხელი ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძრის დიაკონს ლევან ჯანაშიას.

მღვდელი ლევანი თბილისის ამალლების სახელობის ტაძარში იმსახურებს.



ტაძრის კურთხევა

23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსმა სტიფანემ (კალაიჯიშვილმა) ქვემო სვანეთის სოფ. შკედის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძარი აკურთხა.

პატრიარქის სტუმრობა გურიაში

როგორც „საპატრიარქოს უწყებანის“ წინა ნომერში გაუნწყეთ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II 16 ნოემბერს შემოქმედის ეპარქიას სტუმრობდა.

შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის პირველი საკათედრო ტაძარი აკურთხა. ახლად ნაკურთხი ეკლესია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა დალოცა და ტაძრის გარშემო ლიტანიით პარაკლისი აღასრულა. საზეიმო ღვთისმსახურებაში საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის წევრები მონაწილეობდნენ.

ლიტურგიის დასასრულს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სრულიად საქართველო და დამსწრე საზოგადოება უფალს შეავედრა:

შემოქმედელი მიტროპოლიტი იოსების ძალისხმევით წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის ტაძრის მშენებლობა 1998 წელს დაიწყო, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო, მშენებლობა რამდენიმე წლით შეჩერდა. 2005 წლიდან სამშენებლო სამუშაოები კვლავ განახლდა და სალოცავს დასრულებული სახე მიეცა.

ეკლესია ჯვარგუმბათოვანია და ადგილობრივი მასალით, ეკლარის ქვით არის მოპირკეთებული.

უწმინდესი და უნეტარესი პირველად ოზურგეთის რაიონს ეწვია და ოზურგეთის ცენტრში მდებარე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი მოილოცა, სადაც მას მრევლი და სასულიერო პირები დახვდნენ.

საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელმა ტაძარი მოილოცა და შეკრებილი მრევლი დალოცა.


ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრიდან უწმინდესი და უნეტარესი ილია II ოზურგეთის საპატრიარქო რეზიდენციაში მიბრძანდა და წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში დაცული სინმინდეები მოილოცა.

პატრიარქის სტუმრობა ბორჯომისა და ბაპურიანის ეპარქიაში

17 ნოემბერს, გვიან საღამოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბორჯომისა და ბაპურიანის ეპარქიაში გაემგზავრა. გზად თერჯოლის წმინდა გიორგის სახელობის მონასტერი და მისი სტაჟ-

მონასტრის სასაფლაოზე ერგო. დღეს იმ ადგილას რუსეთის პატრიარქის რეზიდენციაა აგებული, ამიტომაც მისი საფლავი გამქრალა.

„საქართველოს სამოთხის“ შესავლის ბოლოს საბინინი ასე მოგეშართავს: „რაიცა ძალ მედვა სასულიერო სასარგებლოდ, სულ აქ მოვიხსენე. და შენცა გევედრები პატიოსანო მკითხველო და მსმენელო, თუ გონებით, თუ წერილით რაიმე იცოდე მეტი ამისა, ღონის ძიებით და გულს მოდგილებით შეასრულე და მიუმატე, რათა არა წაირყუნას წმ. ანა ჩუენი... ვინაიდგან მრავალნი არიან ჩუენთაგანნი და უცხოთესლნი, რომელთა ჰნებათ ჩუენის მშუენიერისა და ლუვთივ საყუარელისა ენისა მოსპობა... გთხოვ დიდის მოწინებით... მომიტევეო შეცთომილებათათვის, რომელნიცა იპოებიან წიგნსა ამას შინა და თუ გენებოს ლოცუა ჰყავ ჩემთვის...“



ეს სიტყვები, ვფიქრობ, დღესაც მწვავედ გვესმის, რადგან დღესაც „მრავალნი არიან ჩუენთაგანნი და უცხოთესლნი, რომელთა ჰნებათ ჩუენის მშუენიერისა და ლუვთივ საყუარელისა ენისა მოსპობა“, ამიტომ, ლოცვა ვყოთ მიხაილ (გობრონ) საბინინისთვის და შევთხოვოთ ღმერთს კვლავ მრავლად მოგვმადლოს მისი დარი მოღვაწენი...

უხსოვთის ქრონიკა

გვამი სხვათაგან გამოერჩიათ, მიცვალებულის სუდარას აკრავდნენ აბრას. ასე მოიქცნენ ქრისტეს შემთხვევაშიც, მიუხედავად იმისა, რომ მისი სხეული მაშინვე გადასცეს ახლობლებს, — ამტკიცებს ფრალე. მისი თქმით, აღდგენილ ფირფიტაზე შემონახული სამენოვანი წარწერა მიუთითებს, რომ მაშინდელი რომის კოლონია მრავალენოვანი იყო.

ტურინის სუდარას მრავალი საუკუნეა პატივს მიაგებენ. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ იგი შუა საუკუნეების ტილოა, სხვები ნამდვილად მაცხოვრის სუდარად მიიჩნევენ. ფორმალურად კათოლიკური ეკლესია არ აღიარებს მას, მაგრამ არც უარყოფს. ტურინის საკათედრო ტაძარში დაცულ სინმინდეს რამდენიმე წელიწადში ერთხელ გამოაბრძანებენ.

რაც შეეხება ბარბარა ფრალეს, მას ეკუთვნის რამდენიმე ისტორიული აღმორჩენა. 2003 წელს ბიზანტიის აქრივებში მან მიაკვლია ე.წ. ქინონის პერგამენტს — ტამპლიერების რაინდების სასამართლო ჩანაწერს, რომელიც ადრე დაკარგულად ითვლებოდა. მანვე აღმოაჩინა იმის მტკიცებულება, რომ სუდარა ტამპლიერთა ორდენის წევრებთანც ინახებოდა. ამ რაინდთა ერთ-ერთი საიდუმლო რიტუალი კი იყო „გრძელი ქსოვლის თაყვანისცემა, რომელზეც მამაკაცის ფიგურა იყო გამოსახული“.

ფოტომატიანე

**მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილი
1840-1905**

მღვდელი დიმიტრი იოსების ძე ჯანაშვილი 1840 წელს საინგილოში, სოფელ კახში დაიბადა. მის პატარაობაში საინგილოში ჯერ ისევ სულთნობა იყო. სულთნებისაგან ცოტაოდენი შეღავათი მხოლოდ დიდ, ძლიერ და შეძლებულ გვარეულებებს ჰქონდათ და ისიც გამორჩენისათვის: წელიწადში ერთი-ორჯერ ეწვეოდნენ ხოლმე მთელი სახლობითა და ამალით, ჭამდნენ, სვამდნენ, მთვრალობდნენ და ძღვენ-საჩუქრებით ბრუნდებოდნენ ელისუს. შეძლებულ ოჯახთაგანი იყო აგრეთვე ბაირამ-ალი (სოლომონ) ჯანაშვილის სახლობაც. ერთხელ სულთანი დიდ მტარვალობას უპირებდა ინგილოებს. ბაირამ-ალი და სხვა წარჩინებული ინგილოები გამოეცხადნენ მრისხანე სულთანს და მოახსენეს: „თუ შეება არ მოგვეცა შენგან, ჩვენ ავიყრებით დედაბუდიანად, გადავალთ ალაზანზე და შევუერთდებით ჩვენ მოძმე ქართველებს“. თურმე სულთანი მოლბა და საინგილოს დაპირებული პატიჟი (სასჯელი) ააცილა.

1850 წელს პატარა დიმიტრი ბიძამისმა გიორგიმ თბი-

ლისში ჩამოიყვანა და მონათლა. შემდეგ იგი ათიოდე სხვა ინგილო ყმანვილებთან ერთად ქიზიყში, დედოფლისწყაროს სამხედრო სასწავლებელში ჩაიყვანეს, საიდანაც მალე თბილისის სასულიერო სემინარიაში გადაიყვანეს. სწავლაში ძალიან ნიჭიერი იყო, ისე — გულადი, გამბედავი, დაურიდებელი, სიმართლის მოყვარე. ამგვარმა თვისებებმა ერთხელ ლამის დალუპა იგი. მაშინდელ სემინარიაში ბევრი უწესობა და უსამართლობა სუფევდა და ეს უწესობა-უსამართლობა გახდა მიზეზი იმისა, რომ მოსწავლე ჯანაშვილმა თავი გამოიღო და გალახა სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი ვიკტორინი (ლუბიმოვი), რომელსაც რალაც უმსგავსობა ეთქვა. სასწავლებლიდან მხოლოდ იმიტომ არ გარიცხეს, რომ წარჩინებული ქართველები მიემშველნენ, როგორც საინგილოს ერთადერთ წარმომადგენელს. გულკეთილი რექტორიც აღარ გამოეკიდა ამ საქმეს და დიდსულოვნად აპატია.

სემინარიის კურსი დიმიტრიმ 1865 წელს დაასრულა და რუსეთში, აკადემიაში აპირებდა სწავლის გაგრძე-

ლებას, თუმცა უსახსრობისა და კიდევ იმის გამო, რომ თბილისის მონინავე საზოგადოებამ მას საინგილოში სამღვდლო მსახურებისაკენ მოუწოდა, სამშობლოში დარჩა სამოღვაწეოდ. მალე მან ცოლად შეირთო ერთი ქიზიყელი მეოჯახე ქალი ელენე და მღვდლად ეკურთხა საინგილოს სოფელ ყორაღანს.

ახალგაზრდა მღვდელმა დიდი შემართებით დაიწყო საეკლესიო მსახურება. სამკალი კი მრავალი იყო. იმ პერიოდში საინგილოში დიდი მღვდლმწიფეობა სუფევდა: გამაჰმადიანებული ქართველები ნელ-ნელა ქრისტიანდებოდნენ და ეს გარემოება დიდად ანუხებდა შაქისა და საინგილოს თათრებს, მეტადრე მოლებს. ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ქრისტიანობის გავრცელებისათვის როგორმე ხელი შეეშალათ და თვით გაქრისტიანებულნიც კი ისევ მაჰმადის სჯულზე გადაეყვანათ. მაგრამ მამა დიმიტრი მტკიცედ და შეუწყველად იდგა ქრისტეს ეკლესიის სადარაჯოზე. იგი უშიშრად ქადაგებდა, რომ მაჰმადიანი ინგილოები ქართველები იყვნენ. მაჰმადიანთ, მოლების რჩევით, ისლა დარჩენოდით ეს ქართველობისა და ქრისტიანობის უშიშარი და მოუსვენარი მქადაგებელი როგორმე თავიდან მოშორებინათ! ამ განზრახვით, ერთ-ერთ დღესანაულზე ერთმა მაჰმადიანმა ინგილომ მამა დიმიტრის ძღვენი მიართვა. აღმოჩნდა, რომ „ჰალვაში“ (თაფლში მოხარშული დანაყილი ბრინჯის სქელი ფაფა) ნვრილად დაჭრილი ტყვია ერია. მოძღვარი შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს.



ერთ ღამეს მამა დიმიტრის თანასოფლელმა კაცმა შეატყობინა, რომ მახლობელ ტყეში რომ მინდორია, იქ შეყრილან ყორაღნელი და სხვა სოფლელი მაჰმადიანი ქართველები და სჯა-ბაასი აქვთ, თუ როგორ შეუშალონ ხელი ქრისტიანობის გავრცელებასო. მოძღვარი, როგორც „ფიცხი და აღტაცებული კაცი“, მაშინვე მიიჭრა იმ ტყეში, სადაც შეთქმულება ჰქონდათ. ღამე მთვარიანი იყო. ხალხი საშინლად შეკრთა. დიდ ხანს იყვნენ ხმაჩანყვეტილნი. ბოლოს სიჩუმე თვითონ მამა დიმიტრის დაარღვია, რომელიც ქუდმოხდილი, უშიშრად იდგა: „მე კვლავ გეუბნებით, რომ თქვენ ქართველები ხართ, ჩემი ძმები. ძველადვე ჩვენი რჯული ქრისტიანული იყო. თქვენს საქციელს დაუკვირდით. ვერას გახდებით და ღმერთსაცა და მთავრობასაც გააჯავრებთ. როგორც ძმა, გირჩევთ, დაიშაღნითო“. ამ დროს ერთმა ფანატიკოსმა მაჰმადიანმა, „ამ უშიშარის ლაპარაკით გაშმაგებულმა“, უეცრად მამაოს ჯოხი დაარტყა, ხუცესი არც კი შეიძრა, მხოლოდ ესლა სთქვა ყავარჯნებზედ დაყრდნობილმან: „დამკარ, ბრალი ჩემი იყოს, მაგრამ იცოდეთ, რომ ქართველები ხართ და ქართველად დარჩებით!“ რამდენიმე მაჰმადიანმა ნამოინია... ამ დროს სოფლის მამასახლისი და სხვა ქრისტიანები მოვიდნენ... ხალხი დაიშალა...

ამ ამბავმა მთავრობის ყურამდევ მიაღწია. იმ ყრილობის რამდენიმე მოთავე ციმბირში გააგზავნეს... შემორჩენილია მამა დიმიტრის საკმაოდ ვრცელი ქადაგება, რომელიც 1867 წელს ჟურნალ „საქართველოს სასულიერო მახარებელში“ დაიბეჭდა. ეს სიტყვები მან საინგილოში, ახლადმოქცეული ინგილოებისათვის წარმოსთქვა, გთავაზობთ ამონარიდებს ამ ქადაგებიდან: „გამჩენ ღმერთს ყოველი ფერი ქვეყანაზედ ისე გაურბეგებია, რომ თითქმის არა საგნებს და არსებას არ შეუძლიან მოუვლელათ, თვალ-ყურის მიუგდებლათ არსებობდეს, იზრდებოდეს და იყოს უპატრონო. ყველას მოვლა უნდა, ყველას თავისი პატრონი ჰყავს და ყველა პატრონს ეძებს. ერთი შეხედვით ფრინველებსაო, ბრძანებს ქრისტიან ღმერთი სახარებაში: „არა სთესვენ, არცა შეიკრებენ საუნჯესა და მამა თქვენი ზეცისა ზრდის მათ“. მეორე ალაგს სახარებისასა კიდევ სწერია: „ღმერთი შეამკობს მინდვრის ბალახებს მშვენიერის ყვავილებითა“. სჩანს, ძმანო და მეგობარნო, რომ ყოველი საგანი და არსება უპატრონო არ ყოფილა და განგებისაგან დამყარებულ შეუცვლელ კანონს მისდევს. უამისოთ ქვეყანაზედ რიგიანობა არ არის, არა არსება რიგიანად არ იზრდება — მახინჯდება. აი, მაგალითებრ: ესლა რომ თქვენ თქვენს საქონელს არ მოუაროთ, მაშინ, უეჭველია, რომ ერთს მტერი ან ქურდი მოიპარავს, მეორეს მგელი ან ნადირი მოიტაცებს, მესამე გზას აცდება და ისე დაიკარგება, და ამგუარათ აღსრულდება ის ქართული ანდაზა: რომ უპატრონო ხაზინას ეშმაკი დაეპატრონებაო“. გარდა ამისა: თქვენ ვაზები რომ არ გასხლათ, სარები არ შეუდგათ, როგორ გონებთ, ვენახს რა დაემართება? ვაზები გაუსხლელობისა გამო მეტად შეიბურვიან, და მაშინ იმათ ის ძალა აღარ ექმნებათ, როგორიც მათ ქონდათ მაშინ, როდესაც იმათზედ ორი თუ სამი რქის მეტი არ ება. რათა? ამისთვის, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ის დაიჩაგრება, დაიკოდვის და უკანასკნელ უნაყოფოდ გახმება. ეს, რასაკვირველია, თქვენ გრწამს, ამისთვის, რომ თქვენ თვითონ იცით საკუთარის გამოცდილებით; ამასთანავე, ჰხედავთ ცხოვრებაში, რომ თვითონ თქვენი შვილებიც დედ-მამის მიუხედნელათ, მოუვლელათ, რიგიანად არ იზრდებიან. როგორათაც ყოველი არსება ქვეყანაზედ მოითხოვს ზრუნვას და პატრონობას, აგრეთვე კაციცა. მართალია, კაცი თავისუფალი არსება არის, მაგრამ არც იმასა ჰსურს უპატრონოდ იყოს. ისიც ეძიებს პატრონს და მოვლას. უთუოდ იმასაც უნდა ჰყავდეს პატრონი და მომვლელი, ჭკუაზედ და კეთილს გზაზედ დამყენებელი და დამრიგებელი. თქვე დალოცვილებო! ყველანი ერთი ჭკუისანი ხომ არ იქმნებიან. რამდენიც ქვეყანაზედ კაცია, იმდენი ჭკუაა. მთა და

ბარი ვის გაუსწორებია; მჯობს — მჯობ-
ნი არ დაეღუვაო, ნათქვამია. მაგრამ
ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენ, ინგილოები,
აქამდე უპატრონოდ ვიყავით: დამრიგე-
ბელი და კეთილს გზაზედ დამყენებელი
არავინა გყვანდა. აი, რაც ჩვენ საქარ-
თვლოს ეს ჩვენი საყვარელი ქვეყანა
ალექსანდრეს, კახეთის მეფეს წაართვა
სპარსეთის მეფემ, შახ-აბასმა, მას აქეთ,
ჩვენი ქვეყნის რუსების ხელში ჩავარდ-
ნამდე, ყველანი ჩვენ გვცემდნენ და
გვჩაგვრიდნენ — ვინ იყო პატრონი და
დამმლელი? ამისა გამო ბევრი შავი დღე
გამოიარა ჩვენმა მამა-პაპამა. ჩვენ სწო-
რეთ ისე დაგვემართა, როგორაც ბრძანა
იესო ქრისტემა: „მოველა მწყემსი და გა-
ბნივნენ ცხოვარნი“. ეს სწორეთ ჩვენ,
ინგილოებს დაგვემართა! ბევრია ეხლა
ჩვენ ინგილოთაგანი ამ ქარის ქვეყანაში
გადასახლებული სხვადასხვა სოფლებ-
ში, სადაც განსაკუთრებით მაჰმადიანე-
ბი ცხოვრობენ და იქ დაუვიწყებიათ მამა-პაპის
ენაც და ქრისტიანობრივი სარწმუნოებაცა. ამის მი-
ზეზი, რასაკვირველია, სულ უპატონობაა. უეჭვე-
ლია, რომ ამით პატრონი ჰყოლოდათ, მაჰმადიანე-
ბის მფლობელობის დროს, ასე არ დაემართებოდათ.

მაგრამ აქამდე გვეპატიობოდა, რომ პირით მუ-
სურმანები ვიყავით, გულით კი ისევ ქრისტიანები,
ახლა კი არა. ნულარ ვმალავთ ჩვენს ვინაობას და
ქრისტიანობას მაჰმადიანებთან, გავახაროთ ჩვენი
დახოცილნი მამაპაპანი საფლავში და გამოვაცხა-
დოთ ჩვენი ქართველობა და ქრისტიანობა, რათა შე-
იტყოს ქვეყანამ, რომ ჩვენ, ინგილოებმა, სამაგალი-
თო საქმე მოვახდინეთ. სამასი წელიწადი მაჰმადია-
ნების ხელში ვიყავით და ჩვენი სარწმუნოება, ხალ-
ხოება და ენა არ დავკარგეთ. ქართულად ერთი ანდა-
ზა არის ნათქვამი: „ნუ იქ ავსა და ნურც ავისა გემი-
ნიანო“. შევაფურთხოთ ეშმაკსა და გამოუცხადოთ
ჩვენ მთავრობას, რომ ჩვენ, ყველანი, მამაპაპითაც
ქრისტიანები ვყოფილვართ და კიდევაც ვართ. საღ-
მრთო წერილში სწერია: რომ ხარიც კი იცნობს თა-
ვის პატრონის ბოსელსაო, და კაცმა როგორ არ უნ-




სოფ. ალიგაბლოს წმინდა ნინოს სახელობის ტაძარი

და იცოდესო. ჰსჯობს ვიცნათ ჩვენი სარწმუნოება:
მოვინათლნეთ ყველანი და ვიყვნეთ მტკიცედ ჩვენს
სარწმუნოებაზედ. მარტო ამით შეგვიძლიან მაჰმა-
დიანების ჯავრი ამოვიყაროთ და მტრობა უყოთ. რა
რიგად? ისე, რომ იმათ აქამდე გვანვალეს, დატან-
ჯეს ჩვენი მამაპაპა და ეხლა იმას ცდილობენ, რომ
ყველანი მაჰმადიანები გავხდეთ, მერე იმ დროს,
როდესაც ყველგან ქრისტიანობა მრავლდება. ამ
შემთხვევაში, რასაკვირველია, რომ ჩვენ იმათ წინა-
აღმდეგ უნდა მოვექცეთ, მოვინათლნეთ და ამითი
მოვეკლათ ეშმაკი და მისი ორგანონი. ეს კი იმათ
ძლიერ უწყინებათ. სახარებაში სწერია, რომ როდე-
საც ქვეყანაზედ ერთი ცოდვილი მოიქცევაო, ცაში
ანგელოზებს უხარიანთო. გარდა ამისა, აი, კიდევ
რას ბრძანებს იესო ქრისტე: „უკეთუ ვისმე უყვარდე
მე სიტყვანი ჩემნი დაიმარხნეს, და მამამანცა ჩემ-
მან შეიყვაროს იგი, და მოვიდეთ მისსა, და მისთანა
დავადგრეთ“. ხედავთ, რასა ბრძანებს ქრისტე ღმერ-
თი. რომ ვინც მოინათლებაო, ქრისტიანი გახდებაო,
იმის სახლში მე და მამაჩემი ფარულად მოვალთო
და სახლის პატრონს ვაკურთხებთო. ახ, რა დიდი
ბედნიერება იქმნება იმ კაცისათვის, ვის სახლშიაც
მოვა ღმერთი!

აგრე ჩემო ძმებო და მეგობარნო! შეისმინეთ ნაამ-
ბობი, რომ რა არის უნაყოფოთ არ დარჩეს, და ხმა
ჩემი არ მიემსგავოს ხმასა უდაბნოისასა, რომ რა
არის თქვენზედ არ ასრულდეს ქრისტე ღმერთის
სიტყვები, რომელნიც არიან შემდეგნი: „ნუ გადაუყ-
რით ღორებს წინ მარგალიტსა“.

1867 წლის 19 თებერვალს მამა დიმიტრის გარდაეც-
ვალა მეუღლე, რაც დიდი დანაკლისი იყო მისთვის.

1870 წელს დაობლებული მოძღვარი ქ. ზაქათალაში
გადიყვანეს, სადაც საღვთო სჯულის მასწავლებლო-
ბაც შეითავსა. ქრისტიანობის გასაფრცვლებლად ხერ-
ხილა იყო საჭირო და მამა დიმიტრიმ გადაწყვიტა —
მაჰმადიანობის წინააღმდეგი სწავლა, მისიონერობა
ზედმიწვევით შეესწავლა. იგი აპირებდა აკადემიაში



ქურუმის წმინდა გიორგი

ფოტომატიანე

ქუროსის წმინდა გიორგი



შესვლას, მაგრამ ამ დროს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) მიიწვია ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში რუსული ენის მასწავლებლად. ნეტარხსენებული ეპისკოპოს გაბრიელის სურვილს წინ არ აღუდგა და ქუთაისში გადავიდა, მაგრამ მისიონერობის სურვილი გულიდან არ შორდებოდა. 1878 წელს მეუფე გაბრიელის ლოცვა-კურთხევით, მამა დიმიტრიმ მოსკოვის სასულიერო აკადემიაში ჩააბარა, რომელიც 1882 წელს წარჩინებით დაასრულა. ამავე წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა და თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელში დაიწყო მუშაობა.

1886 წელს მამა დიმიტრის კვლავ მისიონერად აგზავნიან საინგილოში, სოფელ კაკში. გამოცდილი მოძღვარი ჩასვლისთანავე ძველებური შემართებით შეუდგა ქრისტიანობის ქადაგებას. იმავე, 1886 წლის აგვისტოში, გაზეთი „ივერია“ წერს: „სოფელ კაკიდან გვატყობინებენ, რომ 20 ივლისს მღვდელ-მისიონერ დიმიტრი ჯანაშვილს მოუნათლავს ერთი მაჰმადიანი ინგილო, ხალილ პოპიაშვილი, რომლისთვისაც სვიმეონი დაურქმევია. ნათლობა ყოფილა ეკლესიაში და დიდძალი ხალხი შეყრილა თავის ახალის მოძმის გაქრისტიანების სანახავად. მონათვლის შემდეგ ეკლესიიდან რომ გამოვიდა მონათლული, მრავალნი მიეხვივნენ და ჰკოცნიდნენ სიხარულითა“.

კაკიდან მამა დიმიტრი გადაიყვანეს ჯერ სოფელ ვართაშენში, შემდეგ ალიბეგლოში და ბოლოს ქიზიყში, სოფელ ბოდბისხევში, სადაც 1905 წლის 6 ოქტომბერს გარდაიცვალა.

აი, რას წერდა გაზეთი „ივერია“ 1899 წელს მამა დიმიტრი ჯანაშვილის შესახებ: „იგი მხნეა, ფრიად მკვირცხლი, გამბედავად მთქმელი, მჭერმეტყველი მქადაგებელი, საქართველოს ისტორიის ზედმინვენით მცოდნე. უმაღლესი განათლება მან მიიღო მოსკოვის სასულიერო აკადემიაში მაშინ, როდესაც უკვე ჭალარა შერეოდა. ჩვენს მწერლობაში

იგი მოღვაწეობს 1864 წლიდან. მისი მკვირცხლის კალმის ნაწარმოები იბეჭდებოდა „ცისკარში“, „მნათობში“, „სასულიერო მახარებელში“, რომელიც დეკანოზ გიორგი ხელაძის რედაქტორობით გამოდიოდა, „ივერიაში“, „დროებაში“ და სხვაგან. მისი პოლემიკური წერილები ისტორიული და ღვთისმეტყველური თხზულებანი თვისის თავისებურობით მიიზიდავდნენ მკითხველს და უღვიძებდნენ მას კეთილშობილურ მისწრაფებას“.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ მამა დიმიტრი კარგად ფლობდა რუსულ ენასაც. მის ნაშრომთაგან თვალსაჩინოა: „ქართველი ქალის ისტორია“, „ამბროსი ნეკრესელის ქადაგებანი“, „პერეთის აღწერა“ და სხვა. მისი დევიზი იყო: „ქართველობას ქართული, დანარჩენ თესლ-მოდგმას — ყველას თავიანთი; ნუ შემეცილები, არც გეცილები“. ამის გამო იგი ყველას ერთნაირად უყვარდა და ამიტომაც, უკვე მკვდარი, დიდის ამბით მიასვენეს ქ. კაკში, ერთად დაიტირეს ქართველებმა, ლეკებმა, თათრებმა, სომხებმა. დამარხეს კრძალვით და მის საფლავს დააფრქვიეს თბილი და ტკბილი ცრემლები. მისი მახვილი სიტყვები და გამონათქვამები კი ანდაზად დარჩება სამშვილთაშვილოდ.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინახოთ ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გარეკანზე მოთავსებული ხატი ეპუთენის ხატმწარ ლაშა კინწურაშვილს

ამბოვით, ზაზაბთს გაუფრთხილდით მასში მავაჰდინი მასაღბანს გაჰყოფით, დაელოდებთ ვადამდომო მემდეგ ანგარიშზე: სახელბო ბანკო კონანისის მე-2 ფლიდა, ანგარიში # 360851555 მფო, 220 101 406 მისწვბა: 68. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ ფოსტა: patriarchatepress@yahoo.com
ბიზანშრობი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი, ტელ/ფაქსი:98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩაია
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შოლაშვილი), მარიამ გუგუა, ნინო ვაკოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე ფინანსური მენეჯერი: ელასი ჯღბლაძე, გაერცელბა: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

უხსოვთი ქრონიკა

უცხადა. დეკლარაციის ავტორებმა გაილაშქრეს აბორტის ლეგალიზაციის, ევთანაზიისა და ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ.

მანიფესტის ავტორები არიან პროფესორი რობერტ ჯორჯი პრინსტონის უნივერსიტეტიდან, პროფესორი ტიმოთი ჯორჯი სემფორდის უნივერსიტეტიდან და ჩაკ კოლსონი, ვირჯინიის ქრისტიანული მსოფლმხედველობის ცენტრის ხელმძღვანელი. დეკლარაციას ხელი 125-მა ადამიანმა მოაწერა, მათ შორის სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლებმა: მართლმადიდებლებმა, კათოლიკეებმა (მათ შორის ეპისკოპოსებმა და კარდინალებმა), ევანგელისტებმა.

ხელმოწერებმა კატეგორიულად განაცხადეს, რომ არ დაემორჩილებიან ხელისუფლების „არავითარ მითითებას, თუ იგი აბორტში, ემბრიოლოგიურ გამოკვლევებში, სუიციდში, ევთანაზიის აღიარებასა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ ნებისმიერი სახის ქმედებაში თანამონაწილეობას მოითხოვს“.

„ჩვენ ასევე არ დავემორჩილებით, — აცხადებენ ისინი, — არავითარ კანონს, თუ იგი გვაიძულებს ვალიაროთ სხვადასხვაგვარი უზნეო თანაცხოვრების სტილი, რომელიც ისეთი ჭეშმარიტების აღიარებაში გვიშლის ხელს, როგორცაა სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართება, ოჯახი და ქორწინება“.

მომზადა თამარ ასათიანმა

უსწრაფებ... იმაზე დიდი ბოროტება კი რა უნდა იყოს, როდესაც საკუთარ მოდგმას, საკუთარ შვილს უსპობ სიცოცხლეს... სახარება გვეუბნება, რომ უნდა გვიყვარდეს არა მხოლოდ მოყვასი, არამედ მტერიც. ჩვენ კი, ხშირ შემთხვევებში, არამც თუ ქრისტიანულ სიყვარულსა და იდეალებზე, არამედ ჩვეულებრივ ადამიანურ ფასეულობებზე გვაქვს საბრძოლველი. მსგავსი მსგავსს მიიზიდავს... ამის ნათელი მაგალითი დღევანდელი სამყაროა, დამძიმებული ცხოვრებით და გართულებული ურთიერთობებით.

ჩვენს ერს ძალიან მძიმე შეცდომები აქვს დაშვებული... გავიხსენოთ თუნდაც კომუნისტური რეჟიმის პერიოდი... გვინდა, რომ ყველაფერი არსებულ რეჟიმს გადავებრალოთ და გვავიწყდება, რომ სწორედ ჩვენი წინაპრები იყვნენ ეკლესია-მონასტრების დამანგრეველნი, სასულიერო პირთა მომწყვეტნი, ერთმანეთის შურის მძიებელნი და დამასმენელნი... მადლობა ღმერთს, რომ დღეს საქართველოში კვლავ შენდება ეკლესია-მონასტრები, მომრავლდა სამღვდლოება... ზოგადად, ერიც მოექცა. დღეს ვერც ერთ ეკლესია-მონასტერს ვერ ნახავთ ცარიელს. ერი სარწმუნოებრივად იზრდება, ეს კი მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქისა და ქართველი სამღვდლოების დამსახურებაა. კათოლიკოს-პატრიარქს ხალხში უდიდესი ნდობა და პატივისცემა გააჩნია. ჩვენ ვიცით, რომ ბოლო წლებში შობადობამ მკვეთრად იმატა. რაც უცილობლად არის დაკავშირებული უწმინდესისა და უნეტარესის მოწოდებებთან - ერის გამრავლებასთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ უწმინდესი იქნება არა მხოლოდ ეთნოსურად ქართველ ადამიანთა შვილების (მესამე ან მეტი შვილის) ნათლია, არამედ - ყველა იმ ადამიანისა, ვინც საქართველოში ცხოვრობს, მართლმადიდებლური ეკლესიის წევრია და სურს იყოლოს სამი ან მეტი შვილი. მადლობა უფალს და მის უწმინდესობას ამ ყველაფრისათვის.

დროა გულწრფელად მოვინანიოთ ჩვენი ცოდვები, ქრისტიანული სულისკვეთებით ვიცხოვროთ და უფლის მცნებათა აღსრულება ცხოვრების წესად ვაქციოთ. მხოლოდ მაშინ ექნება ჩვენს ერს ღვთის შეწევნა და წყალობა.

ესაუბრა
ია ხაზარაძე

ფოტომატიანე

დეკანოზი იოსებ წერეთელი 1864-1951


დეკანოზი იოსებ ნიკოლოზის ძე წერეთელი 1864 წლის 10 აპრილს, ქიათურის რაიონის სოფელ ცხრუკვეთში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება სახლში, მამის მეთვალყურეობის ქვეშ მიიღო. შემდეგ დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. XIX საუკუნის 80-იან წლებში დაქორწინდა ოლღა პავლეს ასულზე. 1891 წელს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკვნად და მღვდლად დაასხა ხელი და ქუთაისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურად განამწესა. 1892 წელს საგვერდული უბოძა. 1893 წელს სკინდორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა და შორაპნის მაზრის, სვერის ოლქის მთავარხუცესად დაადგინა. 1900 წლის აღდგომას სკუფიით დაჯილდოვდა. 1907 წლის 6 მაისს

კამილაკა ეწყალობა. 1911 წლის 15 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი უბოძეს. 1914 წლის 10 ოქტომბერს, მამისი, მღვდელი ნიკოლოზ წერეთელი ავადმყოფობის გამო პენსიაზე გავიდა და ამავე წლის ოქტომბერში იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილი) მამა იოსები ცხრუკვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანა. 1915 წლის აღდგომას წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

დეკანოზი იოსები აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის I, II, III და IV საეკლესიო კრებებში, როგორც იმერეთის ეპარქიის დელეგატი. 1918 წელს დეკანოზის წოდება მიენიჭა.

საქართველოში კომუნისტური ხელისუფლების

დამყარების შემდეგ ეკლესიას და სამღვდელოებას მძიმე დღეები დაუდგა. 1917-26 წლებში, ვინაიდან არგვეთის ეპარქიას საკუთარი მღვდელმთავარი არ ჰყავდა, დროებით ქუთაის-გაენათის ეპარქიას ექვემდებარებოდა. 1926 წლის მარტში კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ (ხელია) მღვდელმთავართა თანამწირველობით ეპისკოპოსად აკურთხა დეკანოზი ვარლამ მახარაძე, რომელიც არგვეთის ეპარქიის მმართველად დაინიშნა. მეუფე ვარლამი ერთი თვის შემდეგ ჩაბრძანდა თავის ეპარქიაში, სადაც მას დიდი სიხარულით შეხვდა ადგილობრივი სამღვდელოება და მორწმუნე საზოგადოება. 1926 წლის 25 აპრილს, ბზობას, მეუფე ვარლამი მიიწვიეს სოფელ კობოულის (ძღვევის) წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის კურთხევაზე. მისი მეუფება წინა დღესაც მივიდა ლოცვაზე და თვითონ ჩაატრა ლოცვა პურის კურთხევითა და ზეთის ცხებით, რაც ერთობ იშვიათია სოფლის ეკლესიისათვის. ხალხი მრავლად დაესწრო ლოცვას. ლოცვის დასრულებისას მეუფემ წარმოთქვა სიტყვა, რომლის დროსაც დამსწრე საზოგადოებას სთხოვა, მეორე დღესაც მოსულიყვნენ ეკლესიაში, ენახათ ეკლესიის განახლების წესი და მოესმინათ მღვდელმთავრის არვა. მეორე დღეს მისი მეუფება წირვაზე ადგილობრივი დეკანოზის იოსებ წერეთლის თანხლებით მივიდა. ეკლესიის საკმაოდ ფართო ეზო სავსე იყო ხალხით. ეზოს შესასვლელი კარებიდან — ტაძრის კარებამდე ორ-ორ რიგად იყვნენ ჩამწკრივებული ბავშვები, ბზის ტოტებით ხელში, რომლებიც მის მეუფებას მოახლოებისთანავე თავს უხრიდნენ და ფეხქვეშ ცოცხალ ტოტებს უფენდნენ. ეკლესიაში წირვას უამრავი ხალხი დაესწრო, ლიტანიობის შემდეგ მეუფემ იქადაგა. ყველა გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს მღვდელმთავრის სიტყვებს და ქმედებებს. ამ დღეს მისი მეუფებაც და საზოგადოებაც ნათლად დარწმუნდნენ, რომ მიუხედავად საშინელი რეპრესიებისა და ანტისარწმუნოებრივი მოძრაობისა, ქრისტიანობას ისე ღრმად აქვს ფესვები გადგმული ქართველი ერის გულში, რომ მისი მოსპობა და აღმოფხვრა არც ისე ადვილია, როგორც ეს სარწმუნოების მტრებს ჰგონიათ. დამსწრე საზოგადოება დიდად კმაყოფილი დარჩა წირვა-ლოცვისა და წარმოთქმული სიტყვებით.



იოსებიც ტაძრის გარეშე დარჩა, ამას დაერთო 1934 წლის 24 მარტს საყვარელი მეუღლის — ოლღას გარდაცვალება, რამაც მხცოვანი მოძღვარის გული დაამძიმა, თუმცა ტაძრის დაკეტვასა და ცხოვრების თანამგზავრის დაკარგვას არ შეუშინებია დეკანოზი იოსები და შემდგომ წლებშიც აქტიურად განაგრძობდა საეკლესიო მოღვაწეობას, ნათლავდა ბავშვებს, აპატიოსნებდა მიცვალებულებს და ანუგეშებდა ჯერ კიდევ შემორჩენილ მრევლს. ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ სვიმეონის (ჭელიძე) ლოცვა-კურთხევით, მას სვერისა და ცხრუკვეთის სამრევლოების მოვლა-პატრონობა დაევალა.

1946 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე) ლოცვა-კურთხევით არგვეთის ეპარქიაში გაიხსნა მღვიმევის მაცხოვრის სახელობის ეკლესია (ყოფილი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის დედათა მონასტერი) და დეკანოზი იოსები ამ ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. იგი ცხოვრობდა ამავე მონასტრის ერთ-ერთ სენაკში.

დეკანოზი იოსები 1951 წლის 10 დეკემბერს გარდაიცვალა (საფლავზე დეკანოზ იოსების გარდაცვალების თარიღად მითითებულია 1953 წლის 4 დეკემბერი, რაც შეცდომაა — გ. მაჩუროშვილი). დასაფლავებულია თბილისში, კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის სასაფლაოზე, მეუღლის გვერდით. წესი აუგეს შეასრულეს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) და ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა ეფრემმა (სიდამონიძე), მრავალრიცხოვან სამღვდლოებასთან ერთად.

დეკანოზი იოსები აქტიურად თანამშრომლობდა იმ პერიოდში იმერეთში გამოძავალ საეკლესიო ჟურნალებში - „მწყემსსა“ და „შინაურ საქმეებში“. იყო მრავალი საინტერესო სტატიის ავტორი და მქადაგებელი. გთავაზობთ მამა იოსების წარმოთქმულ ერთ-ერთ ქადაგებას, რომელიც მან ცნობილი პოეტის, აკაკი წერეთლის საჩხერიდან გამოსვენების დროს წარმოთქვა:

„საქართველოს დიდებავ და სიქადულო, სულმნათო ადამიანო, აკაკი!

შენი ღვანლი და ამაგი, შენი უკვდავი ლიტერატურული ქმნილებანი და დაულალავი, შეუპოვარი მოღვაწეობა ეკლით მოფენილ საზოგადო სარბიელზე — ჩვენმა პრესამ უკვე აღნიშნა. შენს რუსთაველისებურს, მთის ნაკადულივით მოჩუხჩუხე, ჩანჩქერივით მჩქეფარე, ბულბულის გალობისაებრ ხმატკბილ ცელქ-ცქრიალა ლექსებს ქებითი ქება უკვე მიუძღვნეს. შენ რომ ქართველთა ეროვნულ შეგნებას საძირკველი ჩაუყარე, ხალხს თავისუფლება შე-

1929 წელს მეუფე ვარლამი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში გადაიყვანეს და ეპარქია კვლავ დაქვრივდა. სამღვდლოება დიდი შემართებით აგრძელებდა ქადაგებას და მოღვაწეობას ხალხში, მაგრამ ხელისუფლებამ XX საუკუნის 30-იან წლებში ნელ-ნელა დახურა არგვეთის ეპარქიის თითქმის ყველა ეკლესია. მამა

ფოტომატიანე

აყვარე და თითოეულ ჩვენგანის გულში ჩაგრულისადმი სიყვარული აღზარდე, ესეც ხომ აღნიშნულია. ვიტყვი მხოლოდ, რომ შენი პოეზიის საგანი შენი მრავალტანჯული სამშობლო იყო. „თავს ვადგავარ მისი ჭირისუფალი და გულსა მწვავს მწუხარების მე ალიო“, — ამბობ შენ აღმოცენებით.

დიალ! შენ მხოლოდ სამშობლოს უგალობდი და უმღერდი, თავს ლეჩაქახდილს და ფეხშიშველს და მუდამ მის მხსნელ ტარიელს ეძებდი და შენი ანდერძი — სამშობლოსათვის თავდადებასა და საზოგადო საქმისათვის თავგანწირულ მუშაობასა და მოქმედებას გვაველებს.

მაგრამ მე ამას, აი, რა უნდა დავუმატო კიდევ: ის სულიერი შემოქმედებითი ნიჭი და ძალა, რომელიც შენ უხვად გქონდა მიმადლებული, მოგანიჭა ამ მშვენიერმა პატარა კუთხემ, ამ არემარემ, რომელსაც პატარა კახეთს უწოდებენ. შენ თავგადასავალში აღიარე, ბედნიერი მხოლოდ ბავშობის დროს ვიყავიო. მაშ, შენი სიცოცხლის უბედნიერესი დრო გაგიტარებია აი, ამ სავანეში, რომელმაც ძუძუ განოვა, სხვიტორში, რომელმაც ბუნების წარმტაცი მშვენიერება შეგაყვარა და მთლად ამ პატარა სანერეთლოში, რომელიც ისე გიყვარდა, რომ შემდეგ, როდესაც კი ნამუშევარს, დაღლილს, დაქანცულს სულის დამშვიდება მოგსურდებოდა, აქ მოაშურებდი, აქ შეიკრებდი ძალას და განიკურნებდი ხოლმე.

დიალ! ეს არემარე რომ გიყვარდა, ამიტომ ინახულე ახლაც სიკვდილის ყამის წინაც და საუკუნოდ იქ განისვენე, სადაც სიცოცხლის დროსაც მოიპოვებდი ხოლმე მოსვენებას.

ამ კუთხემ გშობა და განოვა ძუძუ და ამ კუთხემვე განგისვენა საუკუნოდ, რადგან როგორც შენ ის გიყვარდა, მასაც ისე უყვარდი.

დღეს კი შენი დაობლებული დასასვენებელი წალკოტი თვალცრემლიანი საუკუნოდ გეთხოვება. სწუხს, რომ შენი ნეშტი ვერ მიიბარა, ვერ ჩაიხუტა გულში და აი, ეს მოზღვავებული ხალხი უზომო მწუხარებას შეუპყრია, თავს დაგტირის და გგლოვობს თავის საყვარელ მგოსანსა და დიდებულ მამულიშვილს, მაგრამ ნუგეშად ის დაგვრჩენია, რომ ჩვენი აკაკი მთელი ერის სადიდებელი შეიქნა და მისი განსასვენებელი ადგილი, სა-



ცხუკვეთის სახლი. მარცხნიდან: დეკანოზი იოსები, მისი მეუღლე ოლღა, ალექსანდრე, მიხეილი. ფეხზე დგას ელენე

ქართველოს გული, იმავე დროს ჩვენი პატარა კუთხის გულიც არის.

და სამშობლოს არ უარყვია სურვილი დიდებული მგოსნისა, რომელმაც დაიბარა:

„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს, ზე კალთა დამაფარეო და რომ მოვკვდები, გახსოვდეს, ანდერძი დავიბარეო.

დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ: შენს მიწას მიმბარეო, ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშაბლო მხარეო!“

სამშობლოც ასრულებს შენს ნებას: შენს წმინდა ნეშტს მთანმინდა მიიბარებს, ის წმიდა ადგილი, რომელიც ასე გიყვარდა, საქართველოს მეორე დიდი მოამაგის — სულმნათი ილიას გვერდით.

მუხლს ვიდრეკ შენი ცხედრის წინაშე და ერთად ჩემი საბლალოჩინო ოლქის სამღვდელოებისა მხურვალედ შევსთხოვ უზენაესს, რომ კვალად მოვლენოდეს ჩვენს, შენგნით დაობლებულ ქვეყანას, შენებრ სახელოვანი მამულიშვილი.

საუკუნოდ ხსენება შენს დიდებულს სახელს, დიდებულ მგოსანო!“

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინყებინებინო ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუმბიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

ბარეკანზე მოთავსებული ხატი ეკუთვნის ხატმწერ ლაშა კინწურაშვილს

გთხოვთ, გაზაქოს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამოცხოვრებას და დაელოდებოდეთ დადასტურებულ შემდეგ ანგარიშზე: სახალხო ბანკი, კრწანისის მე-2 ფილიალი, ანგარიში # 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: მ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ელ-ფოსტა: patriarchatepress@yahoo.com მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო ვაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე ფინანსური მენეჯერი: ელასი ჯიბლაძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკავალრებელი: ვალერიან ჯულელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

უნდა დააწყოს რაიმე გეგმები. ნუ მისცემ ნებას ბოროტს, ცდომილებაში შეგიყვანოს. ქრისტიანი ისე უნდა მოიქცეს, როგორც იქცეოდა უფალი: „რომელმან თქუას მის თანა ყოფაი, თანა-აც, რაითა ვითარცა იგი თავადი ვიდოდა, ეგრეცა მისი სლვაი“ (1 იოან. 2, 6), რომელიც არ ეძიებდა საკუთარ ნებას, როგორც თავადვე ამბობს: „...არა ვეძიებ ნებასა ჩემსა, არამედ ნებასა მომავლინებელისა ჩემისა მამისასა“ (იოან. 5, 30), — იშვა ბაგაში, ორმოცი დღე იმარხულა, ღამეებს ლოცვაში ათენებდა, ბოროტ სულელებს სდევნიდა, სნეულებს ჰკურნავდა, არსად ჰქონდა „ადგილი, სადაც თავი მიედრიკა“, დაბოლოს, — დაუშვა, რომ ენერწყვათ, გაეშოლტათ და ჯვარს ეცვათ!

იფიქრე იმაზე, თუ რაოდენ შორს ხარ ამგვარი შედეგისაგან. მუდმივად ჰკითხე საკუთარ თავს: თუნდაც ერთი ღამე თუ გიფხიზლია ლოცვით, თუნდაც ერთი დღე-ღამე თუ გიმარხულია სულიერად, თუნდაც ერთი ბოროტი სული თუ განგიდევნია? შეუნიხააღმდეგებლად დანებებულხარ თუ არა შეურაცხყოფასა და დარტყმას? ჯვარს აცვი

თუ არა შენში ხორცი? უწინარეს ყოვლისა, ხომ არ ეძიებდი საკუთარ ნებას? ეს კითხვები მარად უნდა გვახსოვდეს, თუ გვსურს, ვიყოთ ქრისტესნი; რადგან „...ქრისტესთა მათ ხორცნი თვისნი ჯუარს-აცუნეს ვნებითურთ და გულის თქუმით“ (გალ. 5, 24).

რას ნიშნავს: უარყავ თავი შენი? ეს ნიშნავს იმას, რომ განწმენდილი გულით შეუდექი უფალს. ვინც მართლაც უარყოფს საკუთარ თავს, არ უჩნდება კითხვა — ბედნიერია თუ არა, ან დამშვიდება თუ არა. ეს აზრი თავისთავად უჩინარდება, რადგან უფალთან ერთობა ავსებს ყველა სულიერ თუ თუნდაც ხორციელ მოთხოვნას, წმენდს ვნებათაგან და ბედნიერებასა და სიხარულს ანიჭებს. თუკი მართლაც უარყოფ საკუთარ თავს და დაუთმობ უფალს, — ამით უკვე აკეთებ არჩევანს და სამუდამოდ უარს ამბობ ალასრულო საკუთარი ნება, რადგან უფალთან ერთობა ტკბილია — უფალი მშვიდ არს და მდაბალ გულითა.

**ტიტ კოლიანდერის ნაშრომების მიხედვით
მოამზადა მარიამ გაგუამ**

ქრონიკა. ინფორმაცია.

არქეოლოგებმა წმინდა იოსებ ალავერდელის სამარხი აღმოაჩინეს

ალავერდის სამონასტრო კომპლექსში არქეოლოგიური სამუშაოების მიმდინარეობისას სენსაციური აღმოჩენა მოხდა — არქეოლოგებმა წმინდა ღირსი მამის იოსებ ალავერდელის საფლავს მიაგნეს, რომელიც არა ალავერ-

ის ტაძარში, არამედ ტაძრის კედელში განისვენებს. კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს განცხადებით, ალავერდის წმინდა გიორგის ტაძრის ჩრდილოეთ მკლავში ნაპოვნია ასურელი მამის საფლავი და სამეფო სასახლის ნაშთები. აღმოჩენა VI საუკუნით თარიღდება. ისტორიული წყაროების მიხედვით, დღემდე ცნობილი იყო, რომ ალავერდის სავანის დამაარსებელი წმინდა იოსებ ალავერდელი საკურთხევლის მარჯვენა მხარეს განისვენებდა, თუმცა ეს საფლავი მხოლოდ სიმბოლური აღმოჩნდა. XV საუკუნეში წმინდანის ნეშტი საგანგებოდ გადაიძალა, რადგან შემოსევების დროს უსჯულო მტრის შეურაცყოფისაგან დაეცვათ. აღმოჩენილი სამარხის კედლები სხვადასხვა ფერის ქვებით არის მოპირკეთებული და ჩუქურთმებით შემკული.



დაჯილდოება

22 ნოემბერს ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, საღამოს ლოცვის შემდეგ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმინდა გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით დააჯილდოვა მცხეთათბილისის ეპარქიის სამღვდელოება:

მიტრით — ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, დეკანოზი ალექსი ადამაშვილი, დიღმის ყოველთა ქართველთა წმინდანთა სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი დავით შაქარაშვილი;

გამშვენებული ჯვრით — თემქის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, დეკანოზი გიორგი კობაიძე.

ხელდასხვა

6 დეკემბერს ბოლნისის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ბოლნისის ეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძემ) მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის დიაკონს, თბილისის სასულიერო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტს, მიქაელ ღურგლიშვილს.



მამა მიქაელი ამავე ეპარქიის სოფელ ქვეშის ახლად აღდგენილ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ახლად აღდგენილ ტაძარში იმსახურებს.

ფოტომატიკა

დეკანოზი გრიგოლ კიკნაძე 1867-1944

დეკანოზი გრიგოლ ნიკოლოზის ძე კიკნაძე 1867 წელს, აზნაურის ოჯახში დაიბადა. 1884-90 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. 1890 წელს დიდუბის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიასთან არსებული სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებლად დაინიშნა. 1892 წლის 14 ოქტომბერს ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს და ამავე წლის 21 ოქტომბერს დიაკვნად აკურთხეს; მამა გრიგოლი აქაც სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებლად მუშაობდა. 1897 წელს მღვდლად დაასხეს ხელი და დაბა მიხაილოვკის წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1898 წლის 4 სექტემბერს ეგზარქოსმა ფლაბიანემ განახლებული ტაძარი აკურთხა და მამა გრიგოლი საგვერდულით დააჯილდოვა. 1903 წლის აღდგომას სკუფია უბოძეს. 1906 წელს თბილისში, ჩუღურეთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. პარალელურად, თბილისის სანთლის ქარხნის საქმის მწარმოებლად დაინიშნა. 1908 წლის 6 მაისს კამილაკა ეწყალობა. 1910 წლის 14 მაისს ყაზახის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში განამწესეს. 1912 წლის 10 ოქტომბერს ელიზავეტოპოლის გუბერნიის II ოლქის მთავარეპისკოპოსის თანაშემწედ დაადგინეს. 1915 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დააჯილდოვეს. 1918 წელს ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად დაინიშნა და დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1922 წელს ზენოლის შედეგად ანაფორა გაიხადა და სამოქალაქო სამსახური დაიწყო.

პროფესორ ნანა სიხარულიძის ოჯახში ინახება მეტად საინტერესო ძველებური ფოტოალბომი (ქ-ნი ნანას ბებია გახლდათ ანა მატათიას ასული მირიანაშვილი), რომელშიც დაცულია ალ. როინაშვილისა და დ. ერმაკოვის გადაღებული ფოტოპორტრეტები; ბევრ მათგანს აქვს წარწერა და ჩვენთვის ცნობილი ხდება მასზე გამოსახულ პიროვნებათა ნაწილის ვინაობა.

ანა მირიანაშვილის მეუღლე, ქ-ნი ნანას პაპა, გრიგოლ (გიგო) ნიკოლოზის-ძე კიკნაძე, 1922 წლამ-



დე აგრძელებდა სასულიერო მოღვაწეობას, პარალელურად თბილისის სასულიერო სემინარიაში ძველ სლაურს ასწავლიდა. სამწუხაროდ, საბჭოთა ხელისუფლების მომძლავრების წლებში მას თავისი საქმიანობის შეწყვეტა მოუხდა და გარდაცვალებამდე პენსიონერის უნტერესო და უღიმღამო ყოფას თავისი მდიდარი ბიბლიოთეკითა და ახლო ნათესავ-მეგობრებთან ურთიერთობით იმსუბუქებდა. ქალბატონმა ნანამ შემდეგი მიაზბო: კიკნაძეების გვარი წარმოშობით ხარაგოულიდან არის. გრიგოლ კიკნაძის მამას — ნიკოლოზს მშობლიური კერა ადრე დაუტოვებია. სამხედრო სამსახური ჯერ ბათუმში დაუწყია, შემდეგ თბილისში გად-

მოუყვანიათ. თბილისში დაფუძნებულ ნიკოლოზ კიკნაძეს და თამარ სულთანის შვილს ოთხი შვილი შეეძინათ: ანა, ილია, გრიგოლ (გიგო) და სოფიო (სონა). ბავშვები დედით ადრე დაობლდნენ.

19 წლის ანას მოუხდა უმცროს და-ძმაზე, 3 წლის გიგოსა და 1 წლის სონაზე ზრუნვა.


ნიკოლოზ კიკნაძის უმცროსმა ვაჟმა გიგომ მამისა და ძმისგან განსხვავებით, სასულიერო განათლება მიიღო. მან თბილისის სასულიერო სემინარია დაასრულა. გიგო კიკნაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან, რომელთა შორის შესამჩნევი ადგილი ეკავა ნიკო მთვარელიშვილს. სწორედ ნიკოს ოჯახში გაიცნო ახალგაზრდა გიგომ სოფელ შილდის ეკლესიის დეკანოზის — მატათია მირიანაშვილის ქალიშვილი — ანა. ანა იმ დროს წმინდა ნინოს სასწავლებელს ამთავრებდა. ახალგაზრდების გაცნობა-დაახლოება ქორწინებით დამთავრდა. კიკნაძეების ახლადშექმნილი ოჯახი დაბინავდა საკუთარ სახლში, რომელიც გიგოს დისშვილის, პარესას მეუღლემ, გრიგოლ ქურდიანმა ააშენა. მათ ექვსი შვილი შეეძინათ — ერთი ვაჟი და ხუთი გოგონა. ამათგან ორი, ბარბარე და ქეთევანი, პატარობისას ქუნთრუშას ემსხვერპლდნენ, გადარჩა ვაჟი ნიკილოზი და სამი ქალი, ნინო (შემდეგში ხიდირბეგიშვილის მეუღლე), თამარი (ქ-ნი ნანა სიხარულიძის დედა) და ელენე. სამწუხაროდ, კიდევ ორნი მშობლების სიცოცხლეში გარდაიცვალნენ: 14 წლის ნიკოლოზი ფილტვების

ანთებას ვერ გადაურჩა, ხოლო დიაბეტით დაავადებულიმა ელენემ მხოლოდ 27 წელი იცოცხლა. ნიკოლოზის გარდაცვალების შემდეგ გაუბედურებულმა მშობლებმა ამჯობინეს ამ სახლს გაცლოდნენ. გიგომ სახლის ნაწილი გაყიდა; მეორე ნაწილი კი დაუტოვა თავის უმცროს დას, სონას, რომელიც პირველ მსოფლიო ომში მეუღლის დაღუპვის შემდეგ ტაშკენტიდან ძმის ოჯახში თავისი ორი მცირეწლოვანი შვილით თბილისში დაბრუნდა. გიგომ ღვთისმსახურების ადგილის შეცვლაც შეძლო: იგი გადაიყვანეს ქალაქ ყაზახის ეკლესიის მღვდელმსახურად. იმ დროს ამ ქალაქში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად გიგოს ცოლის ძმა, სამაზრო ვეტერინარი მიხეილ მირიანაშვილი, რომელსაც რევოლუციური წარსულის მიზეზით აკრძალული ჰქონდა რუსეთის იმპერიის დიდ ქალაქებში სამსახური; შეეძლო ემუშავა მხოლოდ სამაზრო ქალაქებსა ან დაბებში. მირიანაშვილების და კიკნაძეების გარდა ყაზახეთში რამდენიმე ქართული ოჯახიც იყო და იქაურ ქართველებს პატარა სათვისტომოც ჰქონდათ შექმნილი.

გამოხდა ხანი და კიკნაძეების ოჯახი ისევ თბილისს დაუბრუნდა. თავდაპირველად გიგოს ოჯახი ქვისლმა, დეკანოზმა ალექსი მიქელაძემ შეიკვდლა. გიგო კიკნაძე ისევ ქაშუეთს და მის მრევლს ემსახურებოდა. მალე მას დეკანოზის წოდება მიანიჭეს. ამ დროს საქართველოში მენშევიკები იყვნენ ხელისუფლებაში. გრიგოლ კიკნაძე მრავალმხრივ განათლებული პიროვნება გახლდათ. მისი განსწავლულობა მხოლოდ სასულიერო სფეროთი არ შემოიფარგლებოდა. ქ-ნ ნანას ოჯახში დღემდე დაცულია პაპამისის მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც სხვადასხვა ენაზე გამოცემული რელიგიური და მხატვრული ლიტერატურის გარდა შეიცავს ისტორიის, გეოგრაფიის, სამართალმცოდნეობის, ეკონომიკის, მედიცინის და სხვა დარგების ლიტერატურას. ამ წიგნებში ბევრია სამახსოვრო წარწერიანი გამოცემები; მათ შორის კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის მიერ მიძღვნილი.

საქართველოს გასაბჭოების შემდგომ გიგო კიკნაძე ერთხანს კვლავ აგრძელებდა ღვთისმსახურებას. მაგრამ ერთ დღეს ქაშუეთის ეზოდან გამოუსულს ვიღაც წითელი ფანატიკოსი თუ მიჩენილი მოხელე ეცა: მაკრატლით თმა შეაჭრა, ჯვარი ჩამოგლიჯა და ქვაფენილს დაანარცხა. გიგო მცირე ხნით გაშეშებული იდგა, შემდეგ დანვდა დაგდებულ ჯვარს სიტყვებით „ღმერთო, შეუნდე!“ და სახლში წალასლასდა. ამ დღიდან ორი თვე იგი სახლიდან არ გამოსულა — კალისტრატე ცინცაძის რჩევით, გიგო კიკნაძემ ღვთისმსახურებას თავი გაანება; ამ ფაქტიდან ერთ კვირაში თავად დეკანოზი კალისტრატეც დააპატიმრეს — წითელი რეპრესიები თანდათან ფართოვდებოდა და ძლიერდებოდა...

გიგო კიკნაძეს უმძიმესი ხვედრი ერგო: ოთხი შვილის გარდაცვალებას მოესწრო, სასულიერო მოღვაწეობა აუკრძალეს და ცხოვრებისეული ქარ-



ბორჯომი, სხადან (მარცხნიდან): გრიგოლ კიკნაძე, ანა მირიანაშვილი-კიკნაძისა, კალთაში შვილიშვილით (ალექსო სიხარულიძე), სიმე ივანე სიხარულიძე. მჯანან: ალექსო კიკა, გრიგოლის ძალიშვილები ელენე და თამარი

ტეხილებით ჯანმრთელობაშერყეული პენსიონერის უფუნქციო და ამდენად, უღიმღამო არსებობას დასჯერდა; სახლიდან იშვიათად გამოდიოდა. მხოლოდ ოჯახის ნევრებთან, განსაკუთრებით შვილიშვილებთან და მეგობრებთან ურთიერთობა ასულდგმულედა.


ქალბატონმა ნანამ გაიხსენა პაპის უახლოესი მეგობრები — თედო სახოკია და კოტე სუხიშვილი: „კოტე სუხიშვილი საკმაოდ სიმპათიური მოხუცი იყო. პატარა, თეთრი წვერი ჰქონდა, ნაცრისფერ კოსტიუმს იცვამდა და შავი ფერის ბაფთა ეკეთა; ტროსტს ატარებდა ხოლმე. ხოლო თედო სახოკია პატარა ტანის კობტა კაცი გახლდათ; პაპა და მისი მეგობრები დასხდებოდნენ დიდ მისაღებ ოთახში და დიდხანს საუბრობდნენ. სავარძლებს შუა იდგა პატარა მაგიდა, რომელსაც ბებო გადააფარებდა მის მიერ მოქარგულ თეთრ სუფრას და მიჰქონდა „кофе с молоком“. თედო სახოკია ყავას უშაქროდ სვამდა, თუმცა ძალიან ბევრ რძეს კი ისხამდა ფინჯანში — თეთრი, ვარდებიანი სარძევედან. პაპა კიდევ დასცინოდა: ЭТО НЕ КОФЕ С МОЛОКОМ А МОЛОКО С КОФЕ-О. მაგონდება კიდევ პაპას ერთი მეგობარი, მღვდელი გიორგი კალანდარიშვილი, რომელიც წმინდა ბარბარეს ეკლესიაში მსახურობდა. მოდიოდა კიდევ ვალიკო შოთაძე, ძველი პროვიზორი. იგი პაპას ყაზახეთში დაუმეგობრდა. პაპა გიგოსა და ბებო ანიკოს

ფოტომატიანე

მონათლული იყო ვალიკო შოთაძისა და მისი მეუღლის პეპას ქალიშვილი მეგი. პაპას ახლო ურთიერთობა ჰქონდა კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძესთან, რომლის ქალიშვილი მელიტა და პაპას უმცროსი ქალიშვილი ელენე (დეიდაჩემი) ერთად სწავლობდნენ და ახლო მეგობრები იყვნენ. კათოლიკოსი პაპას ყოველ ახალ წელს საეკლესიო კალენდარს ჩუქნიდა სამახსოვრო წარწერით. "გიგო კიკნაძეს სიცოცხლის ბოლო ორი წლის განმავლობაში, როცა იგი ინსულტის შედეგად მწოლიარე იყო, არ მოკლებია ზემოხსენებული მეგობრების ყურადღება; ზოგჯერ კათოლიკოსიც მოინახულებდა ხოლმე მას, დალოცავდა და გაამხნევებდა. „პაპა რომ გარდაიცვალა (1944 წელს), კოტე სუხიშვილი და თედო სახოკია ერთად მოვიდნენ. თედოს არაჩვეულებრივად ლამაზი ვარ-



სხედან (მარცხნიდან): ბრიგოლ კიკნაძე, შვილები ნინო და თამარი, მეუღლე ანა მიჩინანაშვილი, სიღადრი თინათინ მთვარელიშვილი; მგას უმცროსი და სონა



ფოტოგამოფენა „თვალსანიერი“
დიდაჭარა

დების კონა ეჭირა. ორივენი დამწუხრებულნი დიდხანს იდგნენ პაპას ფეხებთან, უყურებდნენ მის მშვიდ სახეს, თითქოს განშორება არ უნდოდათ ... პაპას გარდაცვალების შემდეგ კათოლიკოსის ურთიერთობა ჩვენს ოჯახთან არ შეწყვეტილა. მას მამაჩემი (ცნობილი ოფთალმოლოგი ივანე სიხარულიძე) მკურნალობდა; მოაკითხავდა ხოლმე მამაჩემს პატრიარქის მანქანა, რომელიც სტალინის ნაჩუქარი იყო. ... ახლაც მაქვს სახლში 1947 წლის საეკლესიო კალენდარი, კათოლიკოსის მიერ მიძღვნილი უკვე მამაჩემისადმი. ესეც პაპასადმი კეთილგანწყობის გამოხატულებად მიმაჩნია. ძალიან კეთილი კაცი იყო პაპაჩემი. არასოდეს დამავინყდებამისი სიტყვები — „სიკეთე, სიკეთე, სიკეთე უნდა აკეთო ყოველთვის, თუ კი გინდა, რომ ღმერთი მუდამ შენთან იყოს!“

მასალა მოგვანოდა ქალბატონმა გულიკო გუჯაბიძემ

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინყებინებინო ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩუროშვილი

გთხოვთ, გაზაფხულს გაუფრთხილდეთ მასში დაგეგმილი მასალის გაშორებას.
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახელბო ბანკი, კრწანისის მე-2 ფილიალი, ანგარიში # 360851555 მფო.
220 101 406 მიმღები: ნმ. ანგარიშის პირველნიშნების სახელბოს ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.com
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩაია
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი),
მარიამ ვაგუა, ნინო გაგომაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე,
გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე ფინანსური მენეჯერი:
ელასი ჯიბლაძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი;
დამკავადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ქრონიკა. ინფორმაცია.

დაჯილდოება

13 დეკემბერს რუსთავის საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მეუფე იოანე რუსთავის, მარნეულისა და ცურტაის ეპისკოპოსად სახელდება და საჩუქრად პანალია უსახსოვრა.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ სასულიერო პირები დააჯილდოვა:

უნივერსიტეტის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი მიქაელ ნურნუშია — მეორე ჯვრის ტარების უფლებით;

დეკანოზი პაატა თავართქილაძე — მიტრის ტარების უფლებით;

ილუმენი ვახტანგი (ლიპარტელიანი) — გამშვენებული ჯვრით;

მღვდელი ელგუჯა ბაბუნაძე — ოქროს ჯვრით და დეკანოზის ნოდებით.

ტაძრის კურთხევა

11 დეკემბერს საპატრიარქოს რეზიდენციაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიიღო უკრაინელი ქართველები, რომელთაც კათოლიკოს-პატრიარქს საჩუქრად გადასცეს წმინდა კირიონ კათოლიკოსის ხატი.

ოდესისა და იზმაილის მღვდელმთავრის, მეუფე აგათანგელის ლოცვა-კურთხევით, საგანგებოდ ქუთაისის ახლად აგებული ტაძრისთვის, უკრაინიდან შემოსწირეს წმინდა ანდრია პირველწოდებულის წმინდა ნაწილი, რომელიც საქართველოში ოდესელი ქართველების ძალისხმევით ჩამოაბრძანეს. წმინდა ნაწილი ჩამოაბრძანა ოდესაში მომსახურე არქიმანდრიტმა ანდრიამ (ოსიაშვილმა), თანმხლებ პირებთან ერთად.

წმინდა ნაწილი ჩააბრძანეს საგანგებოდ დანერგლ წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხატში. ხატი ქართველმა ოსტატებმა: ხატმწერმა თამარ გოჩიაშვილმა და ოქრომჭედელმა პაატა ღონღაძემ სრულიად უსახსიდლოდ შეასრულეს და შეამკეს.

13 დეკემბერს ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემ (მარგალიტაშვილმა) ქუთაისში აკურთხა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ახლად აგებული ტაძარი, სადაც დაბრძანდა წმინდა ანდრია პირველწოდებულის ახალი ხატი წმინდა ნაწილით.

ბოლნისის რაიონის სოფელ დისველში დიდაჭარიდან გადმოსახლებული 100 ოჯახი ცხოვრობს. ბოლნისის ეპისკოპოსის ეფრემის (გამრეკელიძე) ლოცვა-კურთხევით, სოფლის ცენტრში წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ბაზილიკური ტიპის ერთნავეიანი ტაძარი აშენდა, რომელიც მეუფემ 12 დეკემბერს საზეიმოდ აკურთხა.

დისველის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის წინამძღვრად სქემმღვდელმონაზონი ანდრია (ნინუა) დაინიშნა.

სამი მუხა წმინდა სამაგის სიგოლოდ

29 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძრის ეზოში ყოვლადწმინდა სამების სახელზე ერთძირად დაირგა სამი მუხის ხე, როგორც საქართველოს ერთიანობის სიმბოლო. ხეების დარგვაში პატრიარქთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სამი მრავალრიცხოვანი გვარის: მაისურაძეების, გელაშვილებისა და ბერიძეების წარმომადგენლებმა. ამით დასაბამი ჩაეყარა საქართველოში საგვარეულო ტყეების აღდგენისა და მოვლა-პატრონობის ფართო მოძრაობას.

ამ მამულიშვილურ საქმის ინიციატორი და ორგანიზა-

ტორია ახალგაზრდულ ცენტრთან არსებული სრულიად საქართველოს საგვარეულოთა კავშირი: „გვარი და გვარიშვილობა“.

ინტელექტუალური კონკურსი

„ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის

განცხადება

(სარაიონო ტურთან დაკავშირებით)

ინტელექტუალური კონკურსის „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ სარაიონო ტური 2009 წლის 25 იანვრიდან გაიმართება, სპეციალური გრაფიკის მიხედვით, რომელსაც შეადგენს ახალგაზრდული ცენტრი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

სარაიონო ტურის თამაშებზე დაიშვებიან სასკოლო ეტაპზე გამარჯვებული გუნდების ბაზაზე შექმნილი სკოლების ნაკრები გუნდები (თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში ცალ-ცალკე), შესაბამისი წესით შედგენილი განაცხადების წარმოდგენის შემდეგ. სასკოლო ნაკრების ჩამოყალიბების წესი:

სასკოლო ნაკრების სახელწოდება უნდა შეესაბამებოდეს სასკოლო ეტაპზე გამარჯვებული გუნდის სახელწოდებას.

სასკოლო ტურში გამარჯვებული გუნდის 4 წევრი აუცილებლად უნდა დარჩეს სასკოლო ნაკრების შემადგენლობაში.

ახალი კაპიტნის არჩევა შესაძლებელია იმ პირობით, თუ ყოფილი კაპიტანი დარჩება ნაკრების შემადგენლობაში.

სასკოლო ნაკრებს უფლება აქვს ჰყავდეს სამი სათადარიგო მოთამაშე (ასაკობრივი ჯგუფის შესაბამისად).

თამაშის ორგანიზატორთა გადამწყვეტილებით, სარაიონო ტურში მონაწილეობის უფლება მიეცემათ იმ გუნდებსაც, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა სასკოლო ეტაპზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომდევნო წლის კონკურსზე, გუნდი რომელსაც გავლილი არ ექნება სასკოლო ეტაპი, სხვა ეტაპებზე არ დაიშვება. გამონაკლისს წარმოადგენენ ის სკოლები, რომელთა მოსწავლეთა რაოდენობა 100-ს არ აღემატება.

სკოლებმა, რომლებიც კონკურსში სარაიონო ტურიდან ერთგებიან, უნდა წარმოადგინონ განაცხადები, თითოეული ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით, რომლებშიც მითითებული იქნება: სკოლის სახელწოდება, სკოლის სრული მისამართი, გუნდის სახელწოდება, გუნდის ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობა, თითოეულზე კლასის მითითებით.

სარაიონო ეტაპზე მოასპარეზე ყოველმა გუნდმა უნდა წარმოადგინოს 50 კითხვა-პასუხი (25 — ძველი აღთქმიდან, 25 — ახალი აღთქმიდან), თითოეულ კითხვა-პასუხზე წყაროს მითითებით. წყაროდ გამოყენებული უნდა იყოს საპატრიარქოს მიერ გამოცემული ძველი და ახალი აღთქმის წიგნები (სხვა ლიტერატურა — ყუბანეიშვილი, ბუკია, გოგებაშვილი და ა.შ. განაცხადის კითხვების შედგენისათვის არ უნდა იქნას გამოყენებული). სასკოლო ეტაპზე წარმოდგენილი კითხვა-პასუხები არ უნდა განმეორდეს.

ყოველმა გუნდმა ასევე უნდა წარმოადგინოს გულშემატკივართა მიერ შესასრულებელი საკონცერტო ნომრები (1 გალობა, 1 ხალხური სიმღერა, 1 ხალხური ცეკვა).

განაცხადები, სარაიონო ტურში მონაწილეობისთვის, უნდა იყოს წარმოდგენილი 15 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე, საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში (თბილისი, წმიდა სამების საკათედრო ტაძარი) ან ინტერნეტ მისამართზე: biblia@axalgazrdoba.ge

გუნდები, რომლებიც წარმოდგენენ განაცხადებს 16 დეკემბრიდან — 22 დეკემბრამდე, დაჯარიმდებიან - 3 ქულით, ვინც განაცხადს შემოიტანს 23 დეკემბრიდან — 29 დეკემბრამდე, დაჯარიმდება - 5 ქულით. 29 დეკემბრის შემდეგ განაცხადები აღარ მიიღება.

ფოტომატიანე

„ქართველი ერის სულიერი მესაჭე“

დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე

1864-1942

დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე! სამოციანელთა ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი: ცნობილი მწიგნობარი, საზოგადო და სასულიერო მოღვაწე, ფოლკლორისტი, პედაგოგი... უარყოფილი და დევნილი საბჭოთა პერიოდში ხან რელიგიური მრწამსისა და თეოლოგიაში აქტიური მეცნიერული მოღვაწეობის, ხან კი ე. წ. „სლავიანოფილური“ მსოფლმხედველობრივი პოზიციის გამო. და აი, გაიხსენეს, აღიარეს: მოზღვავედა ინფორმაცია იმ ადამიანის შესახებ, ვინც მთელი სიცოცხლე, ცოდნა და უნარი საქართველოს, ჭეშმარიტად ეროვნულ საქმეს, ღვთისა და ხალხის სიყვარულს შეაღწია; ვინც ცხოვრება მოკრძალებით, უხმაურო შრომით განვლო და ამ ქვეყნიდან უჩინოდ, დაუფასებლად წავიდა.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (თბ., 1980წ.) ვკითხულობთ: კელენჯერიძე მელიტონ სპირიდონის ძე (5. 02. 1864, სოფ. ტაბაკინი, ახლანდელი ზესტაფონის რ-ნი, — 15. 8. 1942, თბილისი), ქართველი, საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ფოლკლორისტი, სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. კიევის სასულიერო აკადემიის დამთავრების (1894 წ.) შემდეგ მასწავლებლობდა ქუთაისსა და ფოთში. იკვლევდა ხალხური ზეპირსიტყვიერების საკითხებს, კრებდა და აქვეყნებდა ფოლკლორულ ნიმუშებს. 1893-94 წ.წ. ჟურნალ „მოამბეში“ დაიბეჭდა მისი ნაშრომი „სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა“ (ილკე წიგნად — 1896 წ. ქუთაისი); 1915 გამოსცა ხალხური ზღაპრების, აფორიზმებისა და გამოცანების



კრებული. შეადგინა სახელმძღვანელოები სკოლებისათვის: „სიტყვიერების თეორია“, „ქართული ქრესტომათია“, „ქართული ენის გრამატიკა“ და სხვა. მ. კელენჯერიძე ავტორია გამოკვლევებისა ქართული ეკლესიის ისტორიიდან: „სიმართლე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე“ (რუსულ ენაზე, 1906), „გაბრიელი — ეპისკოპოსი იმერეთისა“ (1913), „საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია“ (1918), და სხვა“.

1990 წელს გამოიცა მისი „საღმრთო სჯული ყმანვილთათვის“, ხოლო 1993 წელს გამოცემულ „საღმრთო სჯულში“ 102 გვერდი მისმა „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორიამ“ დაისაკუთრა (პირველად ეს ნაშრომი ცალკე წიგნად 1918 წელს გამოქვეყნდა). 1999 წლის თებერვალში დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძის დაბადებიდან 135-ე წლისთავი აღნიშნა პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ; მამა მელიტონ კელენჯერიძე, როგორც მრავალმხრივი მოღვაწე, სხვადასხვა ნაშრომებისა და დისერტაციების თემად იქცა.

როგორც მრავალმხრივი მოღვაწე და მეცნიერი იგი თავის სიტყვას ამბობდა ფოლკლორისტიკაში, თეოლოგიაში, სიტყვიერების თეორიაში, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში.

დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძის შემოქმედებას ნათლად ატყვია კვალი ღრმა განსწავლულობისა და მშობელი ქვეყნის სიყვარულისა, რაც განსაკუთრებით ითქმის მის ნაშრომებზე ფოლკლორისტიკაში.

დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძის ბიოგრაფია XIX საუკუნის ინტელიგენციის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ტიპური ანარეკლია: იგი 1864 წლის 5 თებერვალს, შორაპნის მაზრაში, სოფელ ტაბაკინში დაიბადა. მამამისი, სპირიდონ კელენჯერიძე, წარმოშობით ლარიბი გლეხის შვილი, სოფლის დიაკვნად მსახურობდა. იგი ადრე გარდაიცვალა და პატარა მელიტონი დედულეთში, სოფელ ზეგანში წაიყვანეს, სადაც დეიდებმა აღზარდეს. წერა-კითხვა ოჯახში შეისწავლა, დანყებითი განათლება კი ქუთაისში, ვასილ პეტრიაშვილის სკოლაში მიიღო, რომე-

ლიც შემდეგ სასულიერო სასწავლებელს შეუერთეს. სასწავლებელში სწავლის წლებს მელიტონი ცუდად ახასიათებს იქ გამეფებული ფიზიკური დასჯისა და მექრთამეობის გამო. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, რომ ყველა საგანში წარჩინებული ყოფილიყო და სწავლის დამთავრების მოწმობაც პირველი ხარისხისა მიეღო.

1884 წელს მელიტონი თბილისის სასულიერო სასწავლებელში განაწესეს. მან სემინარიაც წარმატებით დაასრულა და 1890 წლიდან კიევის სასულიერო აკადემიაში განაგრძო სწავლა. აკადემიაში სწავლის პერიოდში მელიტონი აქტიურად მონაწილეობდა კიევის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს მუშაობაში. შემდგომში იგი იგონებდა: „კიევი იყო ქართველი სტუდენტობა — 30 კაცამდე. უნდა ითქვას სიმართლე, რომ მათ, გარდა ორიოდე პიროვნებისა, არაფერი იცოდნენ ქართული ისტორიიდან. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც არ იცოდნენ ქართული კითხვაც“. ამ ვითარებისათვის თავის გართმევის მიზნით მელიტონ კელენჯერიძეს დიდი მუშაობა გაუწევია: მას დაუჩქარებია ქართული წიგნსაცავის შექმნა, გამოუწერია გაზეთი „ივერია“, რომელსაც თავად უკითხავდა სტუდენტებს. 1893 წლიდან იგი კიევის ქართველ და დაინტერესებულ არაქართველ სტუდენტობას საქართველოს ისტო-

რიასა და ქართულ სიტყვიერებაში ლექციებს უტარებდა. ამ ლექციების საფუძველზე იშვა მისი ერთ-ერთი ცნობილი ნაშრომი — „სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა“. მართალია, მელიტონ კელენჯერიძის ლექციების მიზანი გაცილებით ფართო ყოფილა — ქართველი სტუდენტობისათვის საქართველოს ისტორიის გაცნობა, — მაგრამ მათში, სხვა მასალასთან ერთად, დიდი ადგილი ეთმობოდა ხალხურ სიტყვიერებასა და ფოლკლორის პრობლემებს. პირველივე ლექცია მელიტონ კელენჯერიძეს ქართულ მითოლოგიაზე მსჯელობით დაუწყო. მის მსმენელთა შორის ყოფილან შემდგომში ცნობილი საზოგადო მოღვაწეები: შიო ჩიტაძე, მელიტონ ჩოგოვაძე, ექიმები: მ. ლორთქიფანიძე, გ. ქოქრაშვილი, გრ. იშხნელი. გ. ჯორჯიკია. კიევში დაასრულა მელიტონ კელენჯერიძემ საინტერესო ნაშრომი „საქართველოს ეკლესია მე-18 საუკუნეში“, რომელიც აქვე ნარმატებით დაიცვა 1894 წელს და მოიპოვა ღვთისმეტყველების მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

კიევის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი სამშობლოში დაბრუნდა. 1894 წელს ქუთაისში დაარსდა სასულიერო სემინარია, რისთვისაც მოღვაწეობა ჯერ კიდევ 1867 წლიდან დაიწყო იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე). 1895 წლის 1 თებერვალს ახალგაზრდა და ნიჭიერი მელიტონ კელენჯერიძე ქუთაისის სასულიერო სემინარიის ქართული ენის მასწავლებლად დაინიშნა. ამავე წელს მასვე დაეკისრა იმერეთის სამრევლო-საეკლესიო სკოლების ზედამხედველობა. 1896 წლის ივნისის თვეში, იმერეთის ეპარქიის დროებითმა მმართველმა, ალავერდელმა ეპისკოპოსმა ბესარიონმა (დადიანი) ჯერ დიაკვნად და შემდეგ მღვდლად დაასხა ხელი და ქუთაისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძრის უმცბატო მღვდელმსახურად დაინიშნა. ეკლესიაში ერთგული და დამსახურებული მოღვაწეობის გამო მამა მელიტონს 1896 წელს საგვერდული უბოძეს, 1899 წელს — სკუფია, ხოლო 1902 წლის 15 მაისს — კამილავკით დააჯილდოვეს.

1898 წლიდან სემინარიასთან გაიხსნა სანიმუშო სკოლა, რომლის გახსნასა და მოწყობა-გამართვაში მელიტონს დიდი ღვაწლი მიუძღვის. 1903 წლის 22-31 იანვრის წმინდა სინოდის ბრძანების საფუძველზე იმერეთის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურე, მღვდელი მელიტონ კელენჯერიძე ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა. 1903 წელს იგი აირჩიეს იმერეთის ეპარქიული სასწავლო საბჭოს წევრად, ხოლო ამავე წლის ნოემბერში საღვთო სჯულის მასწავლებლად ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში გადაიყვანეს. 1905 წლის 15 მაისს იგი სამკვერდე ოქროს ჯვრით დააჯილდოვეს.

1907 წელს მამა მელიტონი გურია-სამეგრელოს ეპარქიაში გადაიყვანეს და ქ. ფოთის ვაჟთა გიმნაზიაში საღვთო სჯულის მასწავლებლად დაადგინეს. ამავდროულად იგი ფოთის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა (წინამძღვრობდა 1914 წლის 3 ნოემბრამდე) და დეკანოზის

წოდება მიენიჭა. 1913 წლის აღდგომას წმინდა ანას III ხარისხის ორდენით, ხოლო 1914 წელს — წმინდა ანას II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

აი, როგორ ახასიათებს მ. კელენჯერიძეს პროფესორი ვ. კანკავა, როდესაც ფოთის ვაჟთა გიმნაზიაში სწავლის პერიოდს იხსენებს: „პედაგოგიური პერსონალის შემადგენლობაში გარკვეულ ფიგურას წარმოადგენდა მელიტონ კელენჯერიძე — ლიტერატურის მცოდნე, ფოლკლორისტი, ცნობილი ტონკმელის ფსევდონიმით. მართალია, ოფიციალურად ის საღვთო სჯულის მასწავლებლად ითვლებოდა, მაგრამ ამის გარდა, ის გვასწავლიდა ქართულ ენას, საქართველოს ისტორიას, მართლწერას. პედაგოგიურ საბჭოში ის მცირედთა ჯგუფში შედიოდა, რომელსაც ჰყოფნიდა სითამამე თავისუფლად გამოეთქვა თავისი აზრი დირექტორის პოზიციის წინააღმდეგ. ის უშუალო მონაწილე იყო, როგორც ქალაქში, ისე თვით გიმნაზიაში ყოველი ქართული საზოგადოებრივი ნამოწყებისა, რომელიც ეხებოდა ლიტერატურას ან ხელოვნებას“.

1917 წლის 10 აგვისტოს ქუთაისის რეალური სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ქართული ენის მასწავლებლად ერთხმად აირჩია დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე, რომელიც აქ 1922 წლამდე მუშაობდა. ქუთაისში იგი საჯარო ლექციებს კითხულობდა ქართული ენის სწავლების საკითხებზე, მონაწილეობდა დისპუტებში. მიხა ცხაკაია, რომელიც 1894 წლიდან იცნობდა მამა მელიტონს, ახასიათებდა მას, როგორც „ძლიერ საჭირო კულტურულ ძალას“.

მამა მელიტონი აქტიურად მონაწილეობდა 1917 წლის 11-17 სექტემბერს ჩატარებულ საქართველოს(ს) მოციქული მართლმადიდებელი ეკლესიის I საეკლესიო კრებაში.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე ზესტაფონის ეკლესიის წინამძღვრად მსახურობდა. 1923 წელს, ხელისუფლების ზენოლის შედეგად, იძულებული გახდა ანაფორა გაეხადა და სამოქალაქო სამსახურს შედგომოდა. იგი სხვადასხვა ტიპის სკოლებში მასწავლებლობდა.

1932 წელს მელიტონ კელენჯერიძე საცხოვრებლად თბილისში გადავიდა. ერთხანს იგი საქართველოს განათლების კომისარიატის მეთოდ-სექტორში მუშაობდა. მას შემდეგ კი აღარსად უმუშავია.

მელიტონ კელენჯერიძე ჯერ ქუთაისის, შემდეგ კი საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი იყო. 1934-36 წლებში პედაგოგიის ინსტიტუტის დავალებით მუშაობდა ქართული პედაგოგიის ისტორიის საკითხებზე.

მელიტონ კელენჯერიძე მრავალი მეცნიერული შრომის ავტორია. განსაკუთრებით ფასეულია მისი ღვაწლი ეროვნული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის. მეტად მნიშვნელოვანია მის მიერ 1920 წელს გამოცემული „ქართული ლიტერატურის ისტორია“. კელენჯერიძის ეს ნიგნი საშუალო სკოლის მეხუთე კლასის სახელმძღვანელოდ იყო გამიზნული.

მელიტონ კელენჯერიძე რამდენიმე სასკოლო სახელმ-



ძღვანელოს ავტორია. მათ შორის აღსანიშნავია „სიტყვიერების თეორია“ (1899 წ.) და მისი მეორე ნაწილი, ე. წ. პრაქტიკუმი — „ქართული ქრესტომატია — კრებული ქართული სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებისა“, რომელიც მან 1919 წელს ქუთაისში მესამედ გამოსცა. სადა და გასაგები, გარემოსა და ნაცნობ ყოფასთან არის შეჯერებული მელიტონ კელენჯერიძის „საღმრთო სჯული ყმანვილთათვის“. ცალკე საუბრის საგანია მისი ნაშრომები თეოლოგიაში, რომელთაგან გამოსაკვეთია „საქართველოს საკათალიკოსო ისტორიის მოკლე კურსი“, რუსულ ენაზე გამოცემული „სიმაართლე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე“ და ფუნდამენტური ნაშრომი „გაბრიელი — ეპისკოპოსი იმერეთისა“. ამ უკანასკნელის გამოცემასთან დაკავშირებით საინტერესოა მისი მოგონება, რომელიც სასიქადულო მამულიშვილთან ნიკო ნიკოლაძესთან მის შეხვედრას ეხება:

„გადავწყვიტე ბატონ ნიკოლაძესთან მისვლა, როცა გამოცდილ კაცთან და რჩევის თხოვა. შევეკარი იემი მასალები კონებად, მოვსდევდი ზურგზე კაცებს და ამ ბარგი-ბარხანით მივედი. საღამოს შვიდი საათი იყო. საქმეებში იყო ჩაფლული ჩვეულებრივად. მოყვები ჩემი შრომის თავ-გადასავალს. ეს რომ მოისმინა, ადგა, თავისივე ხელით დახსნა ჩემი ქაღალდების კონები, მასალა და სულ ფურცლა-ფურცლა გადასინჯა. მერე გაიმართა, ადგა ფეხზე, დააჩერდა მასალას და წარმოსთქვა: „ახლა კი ჩამთვალეთ უბედურად, რომ ამის გამო-საცემი ფული არა მაქვს!.. განა ამათი დაუბეჭდაობა შეიძლება? ერთი ნაჭერიც კი არ უნდა დარჩეს დაუბეჭდავი!.. მერე მკითხა, რამდენი იყო ჯერ დაბეჭდილი და რა სჭირდებოდა დანარჩენი გვერდების დაბეჭდვას. ეს რომ გავაგებინე, მითხრა, ის დაბეჭდილი გვერდები გამომიგზავნე, გავეცნობი და ვეცდები შენი მწუხარების განკურნებასო, ვინც მეგულეა შეგნებული და ფულიანი პირი, მივმართავ და, ვგონებ პატივს მცემენო“.

მერე ეს კონები ისევ თავის ხელით შეკრა და გამომიშვა. მე ორი ფეხიც არ დამიკრავს სახლამდის, ისეთს ხარულს მივეცი. ღამე სიხარულით აღარ დამეძინა. მეორე დღეს, საღამოს შვიდი საათზე გავუგზავნე დაბეჭდილი ფურცლები და გათენდა თუ არა შემდეგი დილა, ასე შვიდი საათზე, მისმა კაცმა შემდეგი წერილობითი პასუხი მომიტანა: „დიდად პატივცემულო მამაო მელიტონ! წუხელი მიტროფანოვის სადილიდან რომ დავბრუნდი და ცოტა მოვისვენე, მოსამსახურემ გადმომცა თქვენი თხზულება გაბრიელ ეპისკოპოსზე. დავინწყე მისი კითხვა და არ დამიძინია, სანამ არ გავათავე, ალიონზე. აქედან ხედავთ, რა ღირსებისაა თქვენი ნაწერი და რა ბედნიერი ვიქნებოდი, თუ შეეძელი დაგეხმაროთ მის გამოცემაში“. რამოდენიმე ფაქტიური და ჩვენთვის ძვირფასი შენიშვნის შემდეგ ასე განაგრძობდა: „ამ შენიშვნებზე უფრო თქვენთვის სასიამოვნო იქნება მეორე ამბავი, თქვენი თხზულების შესახებ. თანახმად თქვენი სურვილისა, გუშინვე ვიმაცადინე და გიშოვეთ (ფული) პირველი ტომის გამოსაცემად. ეს ამბავი მომილოცნია თქვენთვის და უფრო მეტად ქართული საზოგადოებისათვის, თქვენი მარად ერთგული ნ. ნიკოლაძე ფოთი. 30 ენკენისთვეს 1913 წ.“

ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა! მაშინვე ვაფრინე რედაქციაში განცხადება (იხ. „სახ. გაზ.“ #1012) და ნიგნის ბეჭდვა განვაახლე“.

ამგვარად, ნიგნის გამოსაცემად საჭირო თანხა, ნ. ნიკოლაძის შუამდგომლობით, ვიღაც უცნობ კაცს გაუღია,



რომელსაც საკუთარი ვინაობის გამხელა საჭიროდ არ ჩაუთვლია. მელიტონ კელენჯერიძე აღფრთოვანებული უხდის მადლობას ამ „იშვიათი და ჭეშმარიტი ქველმოქმედების ჩამდენ უცნობ პიროვნებას, ვისი შემწეობითაც იხილა მზის სინათლე დღეს უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულმა ამ საინტერესო ნიგნმა“ — წერს ავთანდილ ნიკოლაიშვილი თავის ნიგნში „გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე)“.

აი, რას წერს პროფესორი ლევან ფრუიძე: „მელიტონს გაუმართლა. მას ისეთ გენიოსებთან მოუწია ურთიერთობა, როგორც იყო ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი და გაბრიელ ეპისკოპოსი, რომელიც ქუთაისში მოღვაწეობდა. გაბრიელი — ცოცხლად მოარული წმიდანი და ფილოსოფოსი! ალბათ უფლის ნება იყო, რომ მელიტონ კელენჯერიძე მისი ცხოვრების გამოწველივით აღმწერი მემატინან გახდა, ისევე, როგორც ექვთიმე მთაწმიდელისა — გიორგი მთაწმიდელი. ვისაც ეს ნიგნი წაუკითხავს, დამეთანხმება, რომ ღმერთისა და ერის სამსახურის უკეთესად ასახვა შეუძლებელია. ასეთი ჭეშმარიტი მაგალითის ძალა საუკუნეებს წვდება და დღესაც სულს გვისპეტაკებს, იმედით და მომავლის რწმენით გვაესებს. მელიტონმა შეძლო და აჩვენა, რომ ქართველი ხალხის გენია დაუშრეტელია. მოციქულთა სწორი წმიდა ქართველი მამები, ქრისტიანობის საწყისებიდან ბრწყინავდნენ, ქმნიდნენ და უფალს ადიდებდნენ. მათი გაკვალული გზები მიდიოდა ღვთისმშობლის მზრუნველობით რწმენა გასხივოსნებული ქართველობა. XIX ს-ის II ნახევარში ქართველი ერის სულიერი მესაჭეობა გაბრიელ ეპისკოპოსს და მის თანამოსაყდრეებს ხვდა წილად, მათ შორის მელიტონ კელენჯერიძეც იყო“.

მელიტონ კელენჯერიძემ ცხოვრების მონამეობრივი გზა განვლო. იგი არათუ როგორც მოაზროვნე და სწავლული, არამედ პიროვნულადაც კი მიუღებელი იყო ტოტალიტარული რეჟიმისათვის. ბოლშევიკები არ სწყალობ-

ფოტომატიანე

დნენ პატრიოტებს. მელიტონ კელენჯერიძე თითქმის უსახსროდ დატოვეს.

მისი დევნისა და შევიწროების ეპიზოდების მოშველიება შორს წაგვიყვანდა. არ შეიძლება აღვლევების გარეშე მოისმინო ცნობა იმის შესახებ, რომ მათემატიკის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი, ლევან კელენჯერიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მხოლოდ იმიტომ გარიცხეს, რომ იგი მელიტონის ვაჟი იყო; არც ისე შორეულ წარსულში კი, 70-იან წლებში, მაშინ, როდესაც საქართველოს მწერალთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინაშე მელიტონ კელენჯერიძის საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფის დაყენების შესახებ, სხდომის მონაწილე ერთ-ერთი სტრუქტურის ხელმძღვანელმა შიმნარევი ხმით წამოიძახა: „ბატონებო, ის ხომ მღვდელი იყო?“ დარბაზი გაირინდა... გადანყვეტილება, რასაკვირველია, უარყოფითი იყო — იგონებს მელიტონის შვილიშვილი ცისანა ქოჩეჩაშვილი.

უსამართლო დევნა, კრიტიკოსთა დაუნდობელი თავდასხმები, სტამბებში „დაკარგული“ მისი ნაშრომები, პენსიის, არსებობის ამ ერთადერთი საშუალების მოსპობა, მისი საბედისწერო ანაფორა — ყველაფერი ეს და, ალბათ, ბევრი სხვაც გახდა მიზეზი უსაყვარლესი მეუღლის — ოლღა ახრახაძის თვითმკვლელობისა 1940 წელს (ის დიდი სიყვარული, რომელიც ქმრისათვისაც პირველი იყო და ცოლისთვისაც, ბოლომდე გაჰყვა ამ წყვილს). ამბობენ, რომ ქალბატონმა ოლღამ სილატაკის გამო მელიტონის რამდენიმე მეტადღირებული მეცნიერული ნაშრომიც კი გაყიდა, რასაკვირველია, საავტორო უფლებით, რასაც თავის თავს ვერ ჰპატიობდა).

მას შემდეგ მელიტონ კელენჯერიძემ თითქმის ორი წელიწადი ისე იცოცხლა, რომ მეუღლის სიკვდილი არ გაუგია. შვილები რიგ-რიგობით ეფარებოდნენ თვალს და 10-12 დღის შემდეგ ცხადდებოდნენ მასთან წერილებითა და საჩუქრებით, რომელსაც ვითომ სამკურნალოდ წასული ოლღა ქ. კისლაგოდსკიდან უგზავნიდა. შთამბეჭდავია მ. კელენჯერიძის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი, როდესაც მძიმე ავადმყოფობით სარეცელს მიჯაჭვული მაინც განაგრძობდა მუშაობას, დროს არ კარგავდა და ხელ-ფეხნართმეული, მეტყველების უნარდაკარგული, უკანასკნელ სტრიქონებს შვილიშვილებს აწერიდა.

„შვილიშვილებს მის სარეცელთან მორიგეობა



გვქონდა დანესებული — იგონებს ქალბატონი ელენე კელენჯერიძე — სანოლთან გაკრულ მსხვილი ასობით ჩამონერილ ანბანს და სასვენ ნიშნებს მელიტონი გრძელი ჯოხით მიანიშნებდა და ჩვენც ვინერდით მის ნააზრევს, მის „ნაკარნახევს“, ასე იქმნებოდა მისი ბოლო ნაშრომები, მოგონებები“.

ასეთი გახლდათ მელიტონ კელენჯერიძე, რომლის პორტრეტს შეიძლება დაემატოს პიროვნული ხიბლი, ულამაზესი გარეგნობა, განონასწორებული ხასიათი, სულიერი სისპეტაკე და, რაც მთავარია, შრომისა და მუდმივი ძიების დამახასიათებელი თვისებები. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ბრძანებს, თუ რა „გამორჩეულია დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე, რომელმაც, თამამად შეიძლება ითქვას, სიცოცხლე შესწირა ქართველი ერის სულიერებისთვის ზრუნვას და თაობებისათვის დარჩა, როგორც მაგალითი „კეთილი მწყემსისა“ და „სოფლის მნათობისა“.

დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე გარდაიცვალა 1942 წლის 12 აგვისტოს. დამსახურებული მასწავლებლის გარდაცვალებას სამგლოვიარო განცხადებით საზოგადოებას აუწყებენ თბილისის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტის კოლექტივი (აქ მისი ვაჟიშვილი — ლევან კელენჯერიძე და სიძე — ლევან ქოჩეჩაშვილი ლექტორობდნენ), საქართველოს განსახკომი და დანყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირების კომიტეტი. ეს იყო და ეს! იგი დაკრძალეს 16 აგვისტოს, კვირას, ვაკის სასაფლაოზე.

მასალა მოამზადა გიორგი მაჩურიშვილმა

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინყებინებინო ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუზიარებოდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დაეალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი, კრწანისის მე-2 ფილიალი, ანგარიში № 360851555 მფო.
220 101 405 მიმღები: ნ. ანდროსი პირველნოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.com
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ./ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი),
მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე,
გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე ფინანსური მენეჯერი:
ელასი ჯიბლაძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი;
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ქართული ინფორმაცია

გადაარჩინეთ ბავშვის სიცოცხლე

1 წლის ილია იმერლიშვილს სასწრაფოდ ესაჭიროება ძვირადღირებული ოპერაცია გერმანიაში.



ბავშვი დაავადებულია საშარდე სისტემის თანდაყოლილი ანომალიით — ორმხრივი ურეთროჰიდრონეფროზით; მარჯვენა თირკმელში ჩადგმული აქვს მილი, ხოლო მარცხენა შარდსანვეთი ამოტანილი აქვს კანზე. პატარა ილია იმერლიშვილების ოჯახის მეოთხე შვილია, იგი პატრიარქის ნათლული ვერ გახდა, რადგან ავადმყოფობის გამო სასწრაფოდ მონათლეს სამშობლიარში.

გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შეეწიოთ პატარა ილიას ლოცვით და, შეძლებისდაგვარად, ფინანსურად.

ბავშვისთვის გახსნილია ანგარიში.

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“,

ცენტრალური ფილიალი (კოდი) 220101502;

მიმღები — ამონაშვილი ნაზი,

მიმღების ანგარიშის ნომერი — 256526400.

საკონტაქტო ტელეფონი: 23-10-86; 874-555-277

(ბავშვის დედა - ნაზი ამონაშვილი).

საპატრიარქოს რადიო

„ივერიას“ წარმატება

ქართული ინტერნეტ-საიტი gamokitkhva.ge-ს სტატისტიკით საპატრიარქოს რადიო „ივერია“ მეორე ადგილზე გავიდა. ვულოცავთ საპატრიარქოს რადიოს ამ აღიარებას და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ.

ხელდასხმა

13 დეკემბერს თბილისის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიაში (მერვე ლეგიონის დასახლება) თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთავარეპისკოპოსმა თადეოზმა (იორამაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის დიაკვანს ანდრია აფხაზაშვილს.

მღვდელი ანდრია თბილისის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

19 დეკემბერს ნინოწმიდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმიდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის მაცხოვრის ამალლების სახელობის ეკლესიის (საბურთალოს სასაფლაო) დიაკვანს იოსებ ნუსხელაძეს.

მღვდელი იოსები თბილისის მაცხოვრის ამალლების სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

ტაძრის კურთხევა

კრწანისში წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის ახალი ტაძარი იკურთხა. 21 დეკემბერს ტაძრის კურთხევა და საზეიმო ღვთისმსახურება საგარეჯოსა და ნინოწმიდის ეპისკოპოსმა ლუკამ აღასრულა. იმავე დღეს ახლადნაკურთხი ტაძარი მოილოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. ყოვლადწმინდა სამების ტაძრიდან გადმოაბრძანეს წმინდან სპირიდონის ხატი და ფაჩუჩი, რომელიც საგანგებოდ ამ ტაძრისთვის ათონის წმინდა მთიდან ამა წლის თებერვალში ჩამოაბრძანეს.

ქართული წითელი აგურით ნაშენი ახალი ტაძარი ჯვარგუმბათოვანი სტილისაა; მისი გუმბათი წმინდა სპირიდონის ქუდის იდენტურია და მის ფორმებს იმეორებს. წითელი აგურითვე არის ნაშენები სამრეკლოც, რომელიც უახლოეს დღეებში დასრულდება. სამომავლოდ აქ აშენდება მამათა მონასტერი.

ინტელექტუალური კონკურსი

„ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის

განცხადება

(სარაიონო ტურთან დაკავშირებით)

ინტელექტუალური კონკურსის „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ სარაიონო ტური 2009 წლის 25 იანვრიდან გაიმართება, სპეციალური გრაფიკის მიხედვით, რომელსაც შეადგენს ახალგაზრდული ცენტრი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

სარაიონო ტურის თამაშებზე დაიშვებიან სასკოლო ეტაპზე გამარჯვებული გუნდების ბაზაზე შექმნილი სკოლების ნაკრები გუნდები (თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში ცალ-ცალკე), შესაბამისი წესით შედგენილი განაცხადების წარმოდგენის შემდეგ. სასკოლო ნაკრების ჩამოყალიბების წესი:

სასკოლო ნაკრების სახელწოდება უნდა შეესაბამებოდეს სასკოლო ეტაპზე გამარჯვებული გუნდის სახელწოდებას.

სასკოლო ტურში გამარჯვებული გუნდის 4 წევრი აუცილებლად უნდა დარჩეს სასკოლო ნაკრების შემადგენლობაში.

ახალი კაპიტანის არჩევა შესაძლებელია იმ პირობით, თუ ყოფილი კაპიტანი დარჩება ნაკრების შემადგენლობაში.

სასკოლო ნაკრებს უფლება აქვს ჰყავდეს სამი სათადარიგო მოთამაშე (ასაკობრივი ჯგუფის შესაბამისად).

თამაშის ორგანიზატორთა გადანყვეტილებით, სარაიონო ტურში მონაწილეობის უფლება მიეცემათ იმ გუნდებსაც, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა სასკოლო ეტაპზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ

ლა, მეალილოეების მიერ შეგროვებული შემონირულ-ობები კი, ტრადიციულად, შობის დღეებში სოციალურად დაუცველ ბავშვებს, მოხუცებს, უმწიფო ოჯახებსა, ბავშვთა სახლებსა და დევნილებს დაურიგდათ. აღსანიშნავია, რომ წელს აგვისტოს მოვ-

ეები საჩუქრებით ხელდამშვენებულები ესტუმრნენ შემდეგ დაწესებულებებს:

დიღმის ბავშვთა სახლს, სმენადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბაღს, 2 დამხმარე სკოლა-ინტერნატს (გლდანი), თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლს, მიუსაფარ ბავშვთა ფსიქოკორექციულ თავშესაფარ „მომავლის სახლს“, მიუსაფარ ბავშვთა სახლ „რწმენას“, ძეგვის ბავშვთა სახლს, ბედიანის ბავშვთა სახლს, წყნეთის ბავშვთა სახლს, კოჯრის ობოლ და მშობელთა მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა სპორტული სკოლა-ინტერნატს, მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრ „სათნოებას“, აგვისტოს მოვლენების დროს დაზარალებულ დევნილთა ნაწილს, მიუსაფარ ბავშვთა სახლ „ლამპიონს“ — სარეაბილიტაციო ცენტრი, ქუჩის ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრ „ბელურებს“, ქუჩის ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრ „ცი-სარტყელას“, ავჭალის კოლონიას, მოხუცთა თავშესაფარს, „კათარზისს“, იაშვილის სახ. ბავშვთა კლინიკას, ბავშვთა II რესპ.



ლენების დროს დაზარალებულ დევნილთა 5 ობიექტიც მოინახულეს, კერძოდ კოდორის ხეობიდან და გორიდან დევნილი ის მოსახლეობა, რომელსაც აქტიური ურთიერთობა აქვს ეკლესიასა და მის ცხოვრებასთან. მოძღვრები, მგალობლები და მეალილო-

საავადმყოფოს, ჯოენის კლინიკას, უსინათლოთა თავშესაფარს, წყნეთის დევნილ ბავშვთა საბავშვო ბაღს.

მომზადდა
თამარ ასათიანმა

ქრონიკა - ინფორმაცია

**საქართველოს საპატრიარქოს
განცხადება**

10 იანვარი, 2009 წელი

გადაცემა, რომელიც საზოგადოებრივი მანუალების ეთერში გასართობი პროგრამით „დიდი ათეულის“ სახელწოდებით გადის, არსებული ფორმატით არ არის მისაღები ეკლესიისთვის, რადგან იგი მიზნად ისახავს სასულიერო და საერო მოღვაწეთა ერთგვარ შეჯიბრს (არა აქვს მნიშვნელობა მოხდება ეს „შემფასებლის“ თუ „ადვოკატის“ საშუალებით).

საერო პირებთან დაკავშირებით საკითხს ჩვენ არ ვეხებით, მაგრამ წმიდანებთან მიმართებაში ასეთი დამოკიდებულება გაუმართლებელია.

ეკლესია მიესალმება და მხარს დაუჭერს ნებისმიერ შემეცნებით-საგანმანათლებლო (და არა გასართობ) სატელევიზიო პროექტს, რომელიც ორიენტირებული იქნება ცოდნის გაღრმავებაზე, როგორც საქართველოს ეკლესიის წმინდანების, ასევე საერო გამოჩენილ ადამიანთა მიმართ.

საქართველოს საპატრიარქოს ამ საკითხზე მოლაპარაკებები აქვს პირველი არხის ხელმძღვანელობასთან და ვიმედოვნებთ, ეს ურთიერთობა სასურველ შედეგს გამოიღებს.

**წმინდა მინაზე საშობაო
ლიტურგია დაზომბვეებისა და
სროლების ფონზე მიმდინარეობდა**

წმინდა მინაზე საშობაო ლიტურგია დაზომბვეებისა და სროლების ფონზე მიმდინარეობდა. პირველად ბოლო ათწლეულების მანძილზე ბეთლემში ყველა სადღესასწაულო ღონისძიება გაუქმდა. საომარი მოქმედებების მიუხედავად, იერუსალიმის პატრიარქი თეოფილე მესამე მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროზე მაინც ჩავიდა და მაცხოვრის შობის ტაძარში წირვა აღავლინა. წმინდა მინაზე კრიზისის გამო საკმაოდ მცირეა მომლოცველთა რაოდენობა, თუმცა, შობის უდიდესი დღესასწაულის აღსანიშნავად, იქ ათასობით მორწმუნე მაინც ჩავიდა. ადგილობრივმა მართლმადიდებლებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს სამხედრო ოპერაციის შედეგად დაღუპული ადამიანები. პალესტინის ქალაქებში შობა საკმაოდ მოკრძალებულად აღნიშნეს. რამდენიმე მათგანში საპროტესტო აქციებიც კი გაიმართა.

ხელდასხმა

28 დეკემბერს ახალციხის წმინდა მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში, სრულიად საქართვე-

ლოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძემ) მღვდლად დაასხა ხელი დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის ბერ-დიაკონ იოანეს (კავსაძეს).

28 დეკემბერს სოფელ პატარძეულის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტერში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საგარეჯოსა და წინწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძემ) დიაკვნად აკურთხა თბილისის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის ეკონომოსი, ბერი იოთამი (ბასილაია).

11 იანვარს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი თბილისის სასულიერო აკადემიის პედაგოგს დიაკონ ზურაბ ცხოვრებაძეს.



საპატრიარქოს პრესცენტრი, გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანისა“ და გაზეთ „ალილუიას“ რედაქციები გულითადად ულოცავს ჩვენს ყოფილ რედაქტორს, მამა ზურაბს მოძღვრად კურთხევას და სულიერ წინსვლას უსურვებს ერისა და ეკლესიის საკეთილდღეოდ.

28 დეკემბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის III კურსის სტუდენტი დავით ჯიშკარიანი.

დიაკონი დავითი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

7 იანვარს საგარეჯოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საგარეჯოსა და წინწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძემ) მღვდლად დაასხა ხელი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის ბერ-დიაკონ ათანასეს (სვანიძეს).

დაჯილდოება

19 დეკემბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა სოლოლაკის მაცხოვრის ამალღების სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, ილუმენი საბა (ჯიშკარიანი).

21 დეკემბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა შემდეგი სასულიერო პირები: არქიმანდრიტის წოდებით — ილუმენი მელქისედეკი (ხაჩიძე) და ილუმენი ადამი (ახალაძე);

გამშვენებული ჯვრითა და მიტრით — დეკანოზი მაქსიმე ფაიქაძე;

გამშვენებული ჯვრით — დეკანოზი პეტრე ბარამიძე და დეკანოზი დავით შაქარაშვილი;

ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით — მღვდელმონაზონი გაბრიელი (ქაჯაია);

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — მღვდელი გიორგი კუსრაძე, მღვდელი ანტონ გელაშვილი, მღვდელი მიქაელ თევზაძე, მღვდელი გიორგი წურნუშია და მღვდელი ევდემოზ ალელიშვილი.

21 დეკემბერს რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში ცურტავის ეპისკოპოსმა იოანემ (გამრეკელმა) მღვდელი ბესარიონ მეფარიშვილი ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და დეკანოზის წოდება მიანიჭა.

ბანცხადება

18 წლის გოგონას სასწრაფოდ ესაჭიროება მკურნალობა გერმანიაში, სადაც უნდა გაკეთდეს ძვირადღირებული ოპერაცია სიმსივნური პროცესის შესაჩერებლად.

თბილისი ბანკში მის სახელზე გახსნილია ანგარიში. გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ გოგონას სიცოცხლის შენარჩუნებასა და გახანგრძლივებაში.